

ერთი იდეოლოგიური კავკანიის ისტორიიდან

(საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრაქტიკები
თურქეთისადმი 1945-1953 წლებში)

მასალები გამოსაცემად მოამზადა და
შესავალი წერილი დაურთო
ჯაბა სამუშიამ



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2003

1945 წლის დეკემბერში საქართველოში დაიწყო ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური კამპანია თურქეთის მიერ 1921 წელს დაკავებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნით.

წინამდებარე წიგნში ამ მოვლენის ამსახველი მასალაა თავმოყრილი. მასში ძირითადად გაერთიანდა ის საგაზეთო წერილები და ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც ცენტრალურ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრესაში იბეჭდებოდა. კრებულში არ არის წარმოდგენილი რაიონულ პრესაში გამოქვეყნებული ანალოგიური ხასიათის მასალები.

ცხადია, წინამდებარე წიგნს არა აქვს სისრულის პრეტენზია. საკითხი მეტად საინტერესოა და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

კრებული განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი – ვახტანგ გურული

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ვ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ე რ ო ვ ნ უ ლ ი
გ ი ზ ლ ი ო ტ ვ ა

შენახვალი

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე ორ ქვეყანას შორის მრავალი მოუგვარებელი თუ საკონფლიქტო საკითხი წამოჭრილა. ომი, დაპყრობა, დიპლომატიური დაპირისპირება ხშირად ამ ურთიერთობის თანამდევი იყო. მაგრამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, საქართველო-თურქეთს შორის ჩამოყალიბდა კეთილმეზობლური ურთიერთობები, რაც ორივე სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებშია. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველო-თურქეთის კავშირ-ურთიერთობები ასეთი საქმიანი და მეგობრული არასდროს ყოფილა. ეს მართლაც მისასალმებელია. ამ პროცესს გაღრმავება და ხელის შეწყობა სჭირდება.

წინამდებარე წიგნი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის ერთ მოკლე პერიოდს ეხება. ამ დროს საბჭოთა კავშირმა მძლავრი იდეოლოგიური კამპანია დაიწყო თურქეთის წინააღმდეგ ართვინის, არტაანის, ყარსის რაიონების შემოერთების მოთხოვნით. წინამდებარე კრებულში შესულ მასალებში გადმოცემულია ის სულისკვეთება, რომელიც XX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოში სუფევდა. ეს არის საქართველოსა და თურქეთის უახლესი ისტორია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში ტერიტორიული პრეტენზიები უკვე აღარ არსებობს და ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, ეს გამოცემა პოლიტიკურ ჭრილში არავინ განიხილოს.

* * *

1945 წლის მიწურულიდან მოყოლებული მთელი საქართველო მოლოდინში იყო, რომ საბჭოთა არმიის ნაწილებმა თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს გადალახავდნენ და ისტორიული საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალს კვლავ დედასამშობლოს დაუბრუნებდნენ. ბევრს არც კი ეეჭვებოდა, რომ ეს დიდი ისტორიული მოვლენა სულ ახლო

მომავალში მოხდებოდა, იმდენად დიდი პოლიტიკური თუ სამხედრო სამზადისი უძღოდა წინ ე. წ. „თურქეთის საქართველოს“ შემოერთებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე პირველად ეს საკითხი საგანგებოდ პოტსდამის კონფერენციაზე დასვა.

ამას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1945 წლის ივნისის მოლაპარაკება, რომელზეც უნდა მოგვარებულყო ორ ქვეყნას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა. საბჭოთა მთავრობამ თურქეთს წაუყენა რამდენიმე მოთხოვნა, მათ შორის ტერიტორიული პრეტენზიები და ბოსფორის სრუტეზე ახალი რეჟიმის დაწესების საკითხი. ამ პრობლემების მოგვარების გარეშე საბჭოთა კავშირი არ აპირებდა თურქეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას. როგორც ცნობილია, 1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირმა 1925 წლის 17 დეკემბერს თურქეთთან დადებული ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულების დენონსაცია მოახდინა. ამან საკმაოდ შეაშფოთა თურქეთის მთავრობა. 1945 წლის 4 აპრილს თურქეთში საბჭოთა კავშირის ელჩთან სერგეი ვინოგრადოვთან შეხვედრისას საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰასან საკამ განაცხადა, რომ „თურქეთის მთავრობა მზად არის მთელი ჯეროვანი ყურადღებით და კეთილმსურველობით შეისწავლოს წინადადებები, რომლებიც მას ამის თაობაზე წარუდგინეს“ მაგრამ საბჭოთა მთავრობას თავისი გათვლები ჰქონდა. 1945 წლის დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა სერიოზული ცვლილებები განიცადა. მეორე მსოფლიო ომი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. მსოფლიოში ახალი რეალობა იყო შექმნილი და იოსებ სტალინმა გადაწყვიტა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის კორექტირება, რაც გამოიხატა შორეულ და მახლობელ აღმოსავლეთში საბჭოთა დიპლომატიის გააქტიურებით. საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში დომინირებული როლის მოპოვების შემდეგ ჯერი დადგა ძველი ანგარიშები გაესწორებინათ იაპონიასთან, თურქეთთან და სხვა სახელმწიფოებთან, რომელთაც ომის დროს აშკარად თუ ფარულად ანტი-საბჭოთა პოზიციები ეკავათ. საბჭოთა მთავრობისათვის უკვე მიუღებელი იყო მეორე მსოფლიო ომამდე მათთან დადებული ხელშეკრულებები, ამიტომ სტალინი ახლა უკვე თავად ეძებდა მიზეზს ამ ქვეყნებთან ურთიერთობის გართულებისათვის, რათა ეს შემდეგ ამ



იოსებ სტალინი

სახელმწიფოთა წინააღმდეგ ომისა თუ მათ საშინაო საქმეებში ჩარევის საბაზად ექცია. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი დარტყმა 1945 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა თურქეთს მიიყენა.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას თურქეთი ორმაგი სტანდარტით მოქმედებდა. მას მჭიდრო საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული გერმანიასთან. იმავდროულად, აქტიურ დიპლომატიურ კავშირს ინარჩუნებდა ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 1943 წლის 18 აპრილს დაიდო გერმანია-თურქეთის საგაჭრო ხელშეკრულება, რომელიც თითქოსდა მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა და არ არღვევდა 1925 წელს დადებულ საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ. რომელიც ითვალისწინებდა ხელმოშწერ მხარეთაგან ერთ-ერთის საომარ მოქმედებებში ჩართვის შემთხვევაში მეორე მხარის ნეიტრალიტეტს.

მაგრამ თურქეთი ომის მსვლელობისას გერმანიას აწვდიდა სტრატეგიულ ნედლეულს. ამავე პერიოდში თურქეთმა ინგლისთან დაიწყო თანამშრომლობა სამხედრო სფეროში. 1943 წელს ანკარაში ჩავიდა ინგლისის სამხედრო მისია, რომელმაც თითქმის ერთი წლის მანძილზე 20 მილიონი ფუნტის ღირებულების იარაღი გადასცა თურქეთის მხარეს.

1944 წლიდან, მას შემდეგ, რაც გერმანიის მარცხი მეორე მსოფლიო ომში უკვე გარდაუვალი იყო, თურქეთმა მთლიანად შეცვალა თავისი პოზიცია და გერმანიასთან ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. 1945 წლის თებერვალში თურქეთი ანტი-ფაშისტურ კოალიციას შეუერთდა, მაგრამ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად თურქეთის საგარეო კურსის კორექტირებისა, საბჭოთა კავშირი არ აპირებდა მისთვის ეპატივბია მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიასთან ფარული პოლიტიკური ალიანსი. ამიტომ ნაცისტური გერმანიის განადგურების ბოლო ეტაპზე საბჭოთა კავშირმა თურქეთთან უკვე ულტიმატუმის ენით დაიწყო საუბარი. ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის განმუხტვას ემსახურებოდა 1945 წლის ივნისის მოსკოვის მოლაპარაკება, მაგრამ არც ამ შეხვედრამ გამოიღო ნაყოფი.


საბჭოთა კავშირი თურქეთს სთხოვდა არტაანის, ართვინისა და ყარსის ოლქების დათმობას და 1936 წლის 20 ივნისის მონტერეს ხელშეკრულების პირობების გაუქმებას – ბოსფორის სრუტეში თავისუფალი ნავიგაციის უფლებას და ასევე, სრუტეში საბჭოთა გემებისათვის სამხედრო-სარემონტო ბაზის შექმნას.

ეს საკითხები საგანგებოდ განიხილეს „დიდი სამეულის“ (საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი) პოტსდამის კონფერენციაზე.

1945 წლის 22 ივლისის სხდომაზე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა: „თავს უფლებას მივცემ, გენერალ-სიმუსის ყურადღება მივაქციო თუ რამდენად მნიშვნელოვანია არ შევამინოთ თურქეთი. თურქეთი უდავოდ შემოფოთებულია საბჭოთა და ბულგარეთის არმიების კონცენტრაციით ბულგარეთში, აგრეთვე საბჭოთა პრესის და რადიოს გამუდმებული თავდასხმებით. აგრეთვე

ელჩის ბატონ მოლოტოვთან მოლაპარაკებით, რომლის დროსაც ნახსენები იყო თურქეთის აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილება და სრუტეში საბჭოთა ბაზა.

მე შესმის, რომ ეს არის საბჭოთა მთავრობის პრეტენზიები თურქეთისადმი, მაგრამ ვინაიდან თურქეთმა დასვა სსრკ-სთან კავშირის საკითხი, ამ უკანასკნელმა წამოაყენა ამგვარი სახელშეკრულებო პირობები. ჩემთვის სრულებით ნათელია, რომ ვინაიდან თურქეთი



პოტსდამის კონფერენცია. 1945 წ.

ითხოვს ამ კავშირს, საბჭოთა მთავრობას ეძლევა საშუალება, განაცხადოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების პირობების შესახებ. თუმცა თურქეთი შეაშფოთა წამოყენებულმა პირობებმა. მე არ ვიცი, რა მოხდა მოლაპარაკებების შემდეგ და მსურს გავიგოთ ამ საკითხზე საბჭოთა მთავრობის პოზიცია“.

პრემიერის ამ განცხადების შემდეგ იოსებ სტალინმა საგარეო საქმეთა კომისარს ვიარესლავ მოლოტოვს სთხოვა კონფერენციისათვის მოეხსენებინა საქმის ვითარება.

ოქმში ვკითხულობთ:

„სტალინი: გთხოვთ სიტყვა მივცეთ მოლოტოვს.

მოლოტოვი: „სრუტეების საკითხზე წერილობით წარმოვადგენთ დოკუმენტს, შესრულებულს რუსულ და ინგლისურ ენებზე. მაგრამ მანამდე განვიმარტავთ საკითხის წინაისტორიას.

თურქეთის მთავრობის ინიციატივით დადგა საბჭოთა მთავრობასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საკითხი, ჯერ ანკარაში ჩვენს ელჩთან, ხოლო მაისის ბოლოს თურქეთის ელჩის მეშვეობით მოსკოვში.

ივნისის დასაწყისში ორჯერ ვესაუბრე ელჩ სარფერს. მივეცით თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, გარკვეული პირობით. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ურთიერთპრეტენზიები.

ჩვენ გვაქვს ორი საკითხი. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გულისხმობს საზღვრის ერთობლივ კონტროლს, მაგრამ ზოგიერთ უბანზე სსრკ-თურქეთის საზღვარს მივიჩნევთ უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს თურქეთმა საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა სომხეთს ჩამოაჭრა ყარსის, ართვინისა და არდაგანის ოლქები (წარმოადგენს რუკას). ამიტომ განვაცხადე, რომ ხელშეკრულების დასადასტურებლად აუცილებელია საკითხის მოგვარება, დაუბრუნდეთ მათ ეს ტერიტორიები.“

საბჭოთა კავშირ-თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრის თაობაზე კამათი პოტსდამის კონფერენციის მომდევნო სხდომაზეც გაგრძელდა. ამჯერად მოკავშირეებს განმარტებები მისცა იოსებ სტალინმა: „შეიძლება თურქეთი შეაშინა საზღვრის შესწორების წინადადება? აქ საუბარი იყო პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრის აღდგენაზე. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც ომამდე იყო სომხეთის შემადგენლობაში და არდაგანის რაიონი, რომელიც

ომამდე საქართველოს ეკუთვნოდა. ძველი საზღვრის აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ სსრკ-თურქეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი არ დაეყენებინათ. ეს კავშირი კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვკისრულობთ თურქეთის, ისევე როგორც თურქები ჩვენი საზღვრის დაცვას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყარსის და არდაგანის რაიონში საზღვრები უმართებულოა და თურქებს განვუცხადეთ, რომ ჩვენთან კავშირის შემთხვევაში საზღვარი უნდა გასწორდეს. თუ თურქეთს არ სურს საზღვრის შესწორება, კავშირის საკითხი იხსნება.“

აქვე მოკლედ შევხებით არტაანის, ართვინის და ყარსის რაიონების თურქეთისადმი გადაცემის ისტორიას.

საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობით 1918 წელს კარგად ისარგებლა თურქეთმა და ამ სახელმწიფოთა კუთვნილი საკმაოდ დიდი ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დასაწყისში, თურქთა დაწოლის შესაჩერებლად, გარკვეულწილად ცნო თურქთა პრეტენზიები, მაგრამ შემდეგ ვითარება კარდინალურად შეიცვალა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირის ოსმალეთის დამარცხებამ საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა მისცა დაკარგული ტერიტორიები შემოეერთებინა.

1919 წელს საქართველო იერთებს ჯერ ჩრდილოეთ არტაანს, შემდეგ კი ამ პროვინციის სამხრეთ ნაწილსაც. მიმდინარეობს დიპლომატიური მუშაობა ართვინისა და ტაოს ოლქების შემოერთებისათვის. ამ ტერიტორიებზე აქტიურად მიდის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფორმირება. ეს პროცესი თითქოს საქართველოს სასიკეთოდ ტრიალდებოდა, მაგრამ მოკლე ხანში პირველი ქართული რესპუბლიკა წითელი რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა და, ბუნებრივია, უდიდესი მოვლენა – ქართული მიწების შეკრება-გაერთიანების პროცესი ისტორიის კუთვნილებად იქცა. საბჭოთა რუსეთმა უყოყმანოდ განაცხადა უარი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე და იგი თურქებს გადაულოცა.

თურქეთ-საქართველოსა და თურქეთ-სომხეთის საზღვრის დემარკაციის საკითხი განსაზღვრა ორმა შეთანხმებამ: 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთს შორის მოსკოვისა და 1921 წლის 13 ოქტომბრის

კომუნისტი

საპარტიკოლო კ. კ. (ბ) სენატორი კომიკაძის, თბილისის კომუნისტური
საპარტიკოლო სსრ მხარე ლეი ლეიკაძის საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (6)
ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОСЛАНИАЙТЕСЬ!

ЗАРЯ ВОСТОКА

ГОД ИЗДАНИЯ 24-й

ზარია კოსმოკა - საპარტიკოლო კ. კ. (ბ) მენგაღლი და თბილისის კომუნისტური ორგანო
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (6) ГРУЗИИ

ყარსის ხელშეკრულებებმა. მოსკოვის მოლაპარაკებაზე თურქეთმა სწორედ რუსეთის წინაშე დააყენა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და თურქეთის საზღვრის დემარკაციის საკითხი, რაც აისახა კიდევ საბოლოო დოკუმენტში. ეს შეთანხმება 1921 წლის 13 ოქტომბერს, ისევ და ისევ რუსეთის შუამდგომლობით, ქართულმა და სომხურმა მხარემ მიიღო ყარსში - ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებისას. ამიერიდან საზღვარს უნდა გაეუღო სოფ. სარფიდან (შავი ზღვიდან) ყარა-შალვარის მთაზე, სოფ. ზუდა მარადიდის ჩრდილოეთ სექტორზე, გადაეკეთა მდ. ჭოროხი, სოფ. ზუდა მარადიდის ჩრდილოეთით, გაეუღო სოფ. საბაურის ჩრდილოეთით, შემდეგ ქედის მთა, ქვა-კიბის მთა, სოფ. ქავთარეთი, გაპყლოდა მეჯიბნას მთის წყალგამყოფ ხაზს, გაეუღო გერათკესუნის მთა, ქორდას მთისა და შავშეთის მთის წყალგამყოფი ხაზი. ამის შემდეგ საზღვარი გადიოდა სარი-ჩაის მთაზე.

ყვირალას უღელტეხილზე. იქიდან საზღვარი მიუყვებოდა არტაანის და ყარსის სანჯაყების ადმინისტრაციულ საზღვარს.

ეს შეთანხმება, ფაქტობრივად, გამოხატავდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს და გაგრძელება იყო იმ პოლიტიკისა, რასაც წითელი რუსეთი აწარმოებდა თურქეთის მიმართ. ყველაზე ტრაგიკული კი, რაც ამ შეთანხმებამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა, იყო ის, რომ საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა თავის ისტორიულ ტერიტორიებზე – კოლაზე, არტაანზე, შავშეთზე, კლარჯეთზე, ტაოზე, ჯავახეთისა და აჭარის ნაწილზე, სომხებმა კი ყარსის ოლქზე, ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიებზე.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის მიღმა დარჩა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი (936 კვ. კმ), ართვინის ოლქი (3339 კვ. კმ), არტაანის (არდაგანის) ოლქი (ფოცხოვის უბანთან ერთად 5725 კვ. კმ), ტაოს ანუ ოლთისის ოლქი (3051 კვ. კმ). ამ ჩამონათვალში ჩვენ შეგნებულად არ შევიტანეთ ლაზისტანი, რამეთუ ეს ტერიტორია, მართალია, ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ იგი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა.

ამდენად, 1921 წელს თურქეთმა საბოლოოდ შეიერთა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი – 13051 კვ. კმ-ზე მეტი ფართობი.

XX საუკუნის 20-იან წლებში მსოფლიოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია საბჭოთა რუსეთს აიძულებდა ასეთ დათმობებზე წასულიყო. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში სრულიად ახალი ვითარება შეიქმნა, რომელშიც საბჭოთა კავშირი დომინირებულ როლს ასრულებდა. ამიტომაც იოსებ სტალინმა დაივიწყა 1921 წლის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებები და თურქეთ-საქართველოსა და თურქეთ-სომხეთის საზღვრის გამიჯვნის უსამართლობაზე ალაპარაკდა.

საბჭოთა დელეგაცია მარტო დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე არ აყენებდა ამ საკითხს. საზოგადოების სათანადო შემზადებისათვის საბჭოთა პროპაგანდამ დაიწყო მძლავრი იდეოლოგიური კამპანია თურქეთის მიერ 1921 წელს მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად. პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა. ამ საქმეში

ჩართული იყვნენ არა მარტო საბჭოთა მეცნიერები და მწერლები, პარტიული და საზოგადო მოღვაწეები, არამედ ქართული და სომხური პოლიტიკური ემიგრაცია, საქართველოსა და სომხეთის ეკლესია. ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და თურქეთისაგან ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებას ყველა ითხოვდა.

საზღვრის გადასინჯვის მოთხოვნით პირველად სომხები გამოვიდნენ. სომხეთის პარტიული ელიტა თუ ინტელიგენცია აქტიურად ჩაება ამ კამპანიაში. წამოწყებას მხარი აუბა სომხეთის პოლიტიკურმა ემიგრაციამ. სომეხი ერის მოთხოვნას გამოეხმაურნენ უცხოელი მეცნიერები. მათ შორის გამოირჩეოდა ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი დოქტორი ჰიულეტ ჯონსონი.

ეს საკითხი დაისვა 1945 წლის ივნისში ეჩმიაძინში გამართულ საეკლესიო კრებაზე. მას ესწრებოდა III დელეგატი მსოფლიოს 15 ქვეყნიდან. მოწვეულნი იყვნენ სომეხთა სათვისტომოების წარმომადგენლები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, ინდოეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, სირიიდან და სხვ.. საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ კილიკიის კათალიკოსი გარეგინ I, იერუსალიმის პატრიარქი გორეჟ I, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ევროპის ეპარქიის მღვდელთმთავარი არტავაზ სიურმეიანი და სხვა მაღალი საეკლესიო იერარქები. ეჩმიაძინს ეწვია ინგლისის დელეგაციაც ჰიულეტ ჯონსონის ხელმძღვანელობით. 1945 წლის ივნისის მიწურულს ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე ჰიულეტ ჯონსონმა განაცხადა: „მე მთლიანად და მთელი გულით ვეთანხმები იმას, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს სომხეთს.“

1945 წლის ოქტომბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა სომხურმა ორგანიზაციებმა საგარეო საქმეთა მინისტრთა ლონდონის საბჭოს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ითხოვდნენ საბჭოთა სომხეთისათვის დაებრუნებინათ ყველა სომხური ტერიტორია, რომელიც თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა. ამავე პერიოდში გადაწყდა 50 ამერიკულ-სომხურ ორგანიზაციას, რომელიც 150 ათას წევრს ითვლიდა, შეექმნა ახალი საზოგადოებრივი გაერთიანება – „სომხეთისადმი სამართლიანად მოპყრობის ამერიკული



სიმონ ჯანაშია



ნიკო ბერძენიშვილი

კომიტეტი“ ამ ორგანიზაციას განზრახული ქქონდა დაეწყო კამპანია თურქეთში შექმავალი სომხური პროვინციების განსათავისუფლებლად და საბჭოთა სომხეთთან მათ შესაერთებლად, აგრეთვე საბჭოთა სომხეთში სომეხ ლტოლვილთა რეპატრაციისათვის.

თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების კამპანიაში 1945 წლის დეკემბრიდან აქტიურად ჩერთო ქართული მხარეც.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის საგაზეთო სტატია – „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ საქართველოში ამ კამპანიის დასაწყისი იყო. გაზეთ „კომუნისტში“ 1945 წლის 14 დეკემბერს ამ სტატიის გამოქვეყნებიდან მალევე, იგი რესულად ითარგმნა და უკვე 20 დეკემბერს საკავშირო პრესაში დაიბეჭდა (გაზ. „პრავდასა“ და „იზვესტიაში“). 22 დეკემბერს კი იგი გადაბეჭდა უკრაინის წამყვანმა გაზეთმა „პრავდა უკრაინი“-ში.

მიუხედავად ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ტიტულებისა, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს სტატია აბსოლუტურად პოლიტიკური დაკვეთა იყო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ ქართველ ისტორიკოსთა ინიციატივად. ეს დეტალი საკმაოდ კარგად იცოდნენ ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურმა წრეებმა და ამიტომაც საკავშირო პრესაში გამოქვეყნებისთანავე სტატია უცხოურმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს.

ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის სტატიას მოჰყვა არნოლდ ჩიქობავას, დ. ზაურიცის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა პუბლიკაციები. ამ კამპანიაში ჩართო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

კალისტრატე (ცინცაძე) და ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყალი რასიხ ბერიძე.

თურქეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი უმაღლეს პარტიულ შეკრებებზეც არაერთხელ დაისვა. მასზე ღიად საუბრობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერები. საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავდა: „ქართველი ხალხი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს ეგებება დიდი სასიხარულო მიღწევებით, რომლებმაც მიგვიყვანეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოო განმტკიცებად სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების საფუძველზე.“

მაგრამ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქართველი ხალხის საუკუნებრივი ოცნება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება ოდითვე ქართული მიწა-წყალი: არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ბაიბურთის, ისპირის, გიუმიშხანეს, ლაზისტანის რაიონები. ამიტომ გასაგებია ქართველი საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ჩვენი სამშობლოსაგან მოწყვეტილი ტერიტორიები, რომლებიც ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენდა.

ქართველმა ხალხმა საკმაოდ მრავალი მსხვერპლი გაიღო საერთო საკაცობრიო ცივილიზაციის დასაცავად ძველი დროის ბარბაროსთაგან და XX საუკუნის ბარბაროსთაგან. მას უფლება აქვს იმედოვნებდეს, რომ მისი კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება“

ლაშა ბაქარაძე თავის საინტერესო სტატიაში – „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე, თურქეთი-საქართველო: 1945/1946“ აღნიშნავს, რომ საქართველოს ცკ-ს ამ პერიოდისათვის ჯერ არშემოერთებულ ტერიტორიებზე პარტიული უჯრედების ჩამოყალიბების თადარიგი დაუჭერია. შესაბამის კანდიდატებს წინასწარ ამზადებდნენ ართვინის, არტაანის, ტრაპიზონის მხარეების რაიკომის მდივნებად. როგორც ჩანს, გრ. აბაშიძის ლექსს, „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე“, რეალური საფუძველი ჰქონდა:

გზის გასწვრივ ღვანან ალვები მწკრივად,
თეთრად გაჰკვრია ზეცას ღრუბლები...



ექვთიმე თაყაიშვილი



კათოლიკოს-პატრიარქი
კალისტრატე

მე ტრაპიზონის ოლქოვში ვზივარ,
ოლქოვის მდივანს ვესაუბრები...
წუხელ გვიანდამ ჰქონდა თათბირი,
დღეს რაიონი თეთოს არკვია...
რეკავს თბილისი

და პირდაპირი

ხაზით მდივანი უსმენს წარკვიანს

1946 წლის შუა ხანებიდან პროპაგანდისტული კამპანია თანდათან
შენეულდა. ცენტრალურ პრესაში უკვე აღარ იბეჭდებოდა მკვეთრი
სტატიები, მაგრამ, მოუხედავად ამისა, თურქეთის შექადგენლობაში
არსებული ქართული მიწების შემოერთების საკითხი ამის შემდეგაც
არ მოხსნილა. პერიოდული გამოცემებიდან ძირითადად გაზეთი „საბ-
ჭოთა აჭარა“ აქტიურობდა. ქართული მწერლებიდან ირაკლი აბაშიძემ,
გიორგი ლეონიძემ, ვრიგოლ აბაშიძემ, ილო მოსაშვილმა და სხვებმა
არაერთი ნაწარმოები უძღვნეს ამ პრობლემას.

ი. აბაშიძემ ქართველ პოეტთაგან პირველმა 1945 წლის დეკემ-
ბერში ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება ლექსად გამოხატა.
„რა დაგავიწყებს...“ გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა 28 დეკემბერს,
რასიხ ბერიძის სტატიასთან ერთად. ი. აბაშიძე ქართველ ხალხს
მოუწოდებდა:

იქ არის შენი აკვნის გამოვლელი,
შენი დაშლილი ოდა-სართული;

ქართველო, სანამ გქვიან ქართველი
გეძახის შენი მიწა ქართული.

1946 წლის 16 ივნისს გაზ. „კომუნისტი“ აქვეყნებს ღუტუ
მეგრელის „ოლთისის ციხეს“:

ვით მგლოვიარე მიჯნურსა
იზიდაეს სატრფოს სამარე,
რომ მოგონებით წარსულის
დაიტკბოს აწმყო მან მწარე;
აგრევე აქ გადმოტყორცნილს
მოკლებულს მშობელს მხარესა,
ძეგლი ძველ საქართველოსაც,
იზიდავ სულს მწუხარესა.
როს უცხოთ შორის მარტოდ მყოფს,
გულს სედა შემომაწვება,
რომ, მცირედ არის მაინცა,
მიეცე საბრალო თავს შვება,
მოერბივარ... შენს ნანგრევებზე
ვისვენებ დაღონებულ
და დროთ სივრცეში მიმოფურენ
ოცნებით გატაცებული!
ვიგონებ იმ დროს, როდესაც
შენ იდექ მნტიციცე, ძლიერი
და შენში მედგრად ჩედებოდა
მოსულს მტერს ქართველი ერი.
და შორს, შორს ძვირფას მამულში
მიმაფრენს ეს მოგონება
და გული მიძგერს სიამით,
სანამ არ ქრება ოცნება!..

ამავე პერიოდში დაიწერა გიორგი ლეონიძის „მესხეთი“ მოკლე
ხანში ეს ლექსი რამდენიმე თაობის უსაყვარლეს პოეტურ ქმნილებად
იქცა:

ისე დავბერდი,
ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი..
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...

და იქვე დასძენს:



ირაკლი აბაშიძე



არნოლდ ჩიქობავა

ბუქმურაზუი, ვილათუი,
ვორგაჟლანიდან, ვიდრე ჩვენაჟდის,
ქვლა ფეხზეა, ერთი გაფრქით,
რომ შენთან გაინდეს მტრის განენადის!..

1948 წელს გახ. „საბჭოთა აჭარისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ნაწარმოებებში დახატულია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მძიმე მდგომარეობა. ვარლამ ჟურული თავის ლექსში „მიტაცებულ მიწაზე“ გულნაკლული აღნიშნავს:

ტაო-კლარჯეთში კენესის ნიაეი,
ტრებლის გუბეა ყრმათა აკვანთან.
გმინავს ჭანეთი თურქთა სიაჟით,
შეთათვენ ძვლები მამაპაათა.

აღიო ადამიას ლექსი „ლაზური ბაღადა“ გამსჭვალულია თურქეთისადმი სიძულვილით. ასეთი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ამ კამპანიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო:

– იყო, არ არის, ვაჟაკო,
სარფი – სოფელი ლაზური!
ღამით, სულ მოულოდნელად.
რიგორც ქურდი და ლაჩარი,
თურქთა ჯარები დაგვესხნენ
და გულში დაგვეს ლაჩვარი...
აი შეხედე, იქ არის
ღელა-შვილობის გამყოფი
უსწორ-მასწორო საზღვარი!

ასეთივე პათოსითაა დაწერილი ნესტორ მალაზონიას ლექსი „ქორწილი“:

შინ არ დარჩა ახალგაზრდა,
მოხუცი და ხანშესული,
მტრის საულეტად ყველა ადღვა
სატევარ და ხმალასხმული...
მაგრამ მტერმა ეს სოფლები
გადაწვა და გადათქერა,
დააცილა მეზობლები,
გაუცივა მრავალს კერა...

ან:

მაყრად აწვიეთ მესხეთი –
ტბეთიდან არზრუმს გასვლამდე,
უარს ვერ იტყვის ვურც ერთი
ართვინ – არტანუჯ – ყარსამდე...

1948 წელს დაიწერა და უკვე 1949 წლიდან რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“. ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ყოფილი მასწავლებელი, ტომით ქართველი ბეჟან-აღა ახალგაზრდებს მიმართავს: „ოსძალებსა და მათს დღევანდელ ბატონებს – ამერიკელ სოვდაგრებს კი უნდათ ჩვენი გულიდან სამუდამოდ ამოშალონ სამშობლოს სიყვარული... მათ სწადიათ დაგვაეციწყონ ჩვენი ქართული ღედა-ენა, რომ პირუტყვებს დაგვამსგავსონ და უფრო ადვილად იბატონონ ჩვენზე!.. მათ უნდათ ჩვენს შვილებს და მამებს თოფი მისცენ ხელში და თავისუფლების დიდ ქვეყანას მიუხიონ, სადაც ძმები ქართველები სხვა ტომის ხალხთან ერთად ბუნდური ცხოვრებით სტკბებიან.. ხომ გაიგონეთ, ჩემო შევარდნებო?..“

ამავე პერიოდში გამოდის გრ. აბაშიძის ლექსების კრებული „სამხრეთ საზღვარზე“. ეს წიგნი მოკლე ხანში პოპულარული გახდა მთელ საქართველოში. მასში შევიდა ავტორის ის პოეტური ქმნილებები, რომლებიც თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართული ტერიტორიების ბედ-იღბალს ეხებოდა. ლექსებში „ტაო“, „რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი“, „ოცნება ტრაპიზონის ოლქოებზე“ პოეტი გამოთქვამს იმედს, რომ ახლო მომავალში საბჭოთა სახელმწიფო იზრუნებს ამ ტერიტორიების დაბრუნებაზე:



გრიგოლ აბაშიძე



გიორგი ლვანიძე

შენი ხანძთა, შენი ტბეთი,
როდის აღსდგეს იავარო,
როდის იქნეს შენი ბედი
ჩვენს სადროშოს მიაბარო!
(„ტაო“)

„როცა თურქთაგან ასჯერ გათელილ
ტაოს გამოხსნას ტაშით ახარებს,
ჩემი თაობის გმირი ქართველი –
ჩვენი წარსულის ბაირახტარებს“

(„რაც ჩვენს მუზობლად დასახლდა თურქი“)

1951 წელს ილო მოსაშვილს, პიესისათვის „ჩაძირული ქვეები“ და გრ. აბაშიძეს, ლექსების ციკლისათვის „სამზრეთ საზღვრებზე“ და „სამგორის ველზე“, მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

* * *

მსოფლიო დიპლომატია აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს ირსებ სტალინი იძულებული გახდა თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარი ეთქვა და ამ მიწების შემოერთებაზე ხელი აეღო. ამით საქართველომ საბოლოოდ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტანისა და ღაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი. აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკამ ამ მოვლენების შემდეგ თითქმის მთელი XX საუკუნის II ნახევრის განმავლობაში მოახერხა საფუძვლიანად შეეცვალა ამ

პროვინციების დემოგრაფიული სურათი. ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებში გადაასახლეს. ესეც ჩვენი ერის უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია იყო.

1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალურ დონეზე და საბოლოოდ უარი თქვა ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზე. თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით საბჭოთა საქართველო და სომხეთი უარს ამბობენ თურქეთისადმი თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

1992 წლის 30 ივლისს ანკარაში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის მიერ ხელმოწერილ მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულებაში საზღვრის დემარკაციის საკითხი ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა. ამასთანავე მხარეებმა აღიარეს საზღვრის ხელშეუხებლობის პრინციპი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიებზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ძალების, პოლიტიკური ჯგუფების საქმიანობას.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ურთიერთობის ნორმები აღიარებს ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვევობის პრინციპს. საქართველო ერთგულია ამ საყოველთაო დებულებისა. მართალია, ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სამხრეთ ტერიტორიების დიდი ნაწილი, მაგრამ ამჟამად ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას არანაკლებ სერიოზული საკითხი — საფუძვლიანად შევისწავლოთ „თურქეთის საქართველოს“ ტერიტორიაზე არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები — ხახული, ოშკი, ოპიზა, იშხანი, ბანა, არტანუჯი, ოთხთა ეკლესია... ისინი მარტოოდენ ქართველი ხალხის კუთვნილება როდია, მსოფლიო კულტურის საგანძურის ნაწილია და სათანადო მოვლა-შესწავლა ესაჭიროებათ.

ჯაბა სამუშია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ს ტ ა ტ ი ნ ე ზ ი

თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ

განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება, როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სურთ დაიკავონ მათი შესაფერისი ადგილი, ისინი ეძიებენ თავიანთ სასუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

ქართველმა ხალხმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშისმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარმოადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.

ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ.

საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს – ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის მკვიდრ ტერიტორიაზე – დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა – დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრებით პირველობენ წინა აზიაში. იმ მდინარის დიდ უბეში, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსათვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით – ლალისი (ახლა – ყიზილ-ირმაკი), მდინარეების ტიგროსისა და ეფრატის აუზების ზემო ნაწილში ისინი ჰქმნიან სამინათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს ღირსეულად უჭირავს ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის დროშა და ავითარებს ამ ცივილიზაციას.

მომთაბარე დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ხალდთა სახელმწიფოს. მაგრამ ქართველი ხალხი პოულობს თავის თავში სასიცოცხლო ძალებს, რათა განუწყვეტლოვ განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია ახალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრებში, რომლებიც თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადადიან. ურარტუს ადგილს იკავებს ქართველი ხალხის ორი ახალი სახელმწიფო – იბერია აღმოსავლეთით და კოლხეთი დასავლეთით.

ამ ახლად შექმნილ ანტიკურ ქართულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანულად არიან ამოსულნი საერთო-სახალხო ძირიდან, ჯერ კიდევ უკავიათ ძველი ნაციონალური ტერიტორიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. ძველ ბერძენ ავტორთა სარწმუნო ცნობებით, სასურთა, ე. ი. იბერთა სახელმწიფო – წინა ზიის ერთი ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგანი, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა წლებში ვრცელდება კალახენასა და ადიაბენამდე, ე. ი. მთავარი (აღმოსავლეთი) ტავრის ქედამდე.

ძველი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს, (იბერიას ეკუთვნის პარიადრის მთიანი ოლქი) – ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთ სექტორი, ხეთთა ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონი. აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს ტიბარანიის სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ლალისის შესართავის აღმოსავლეთით, ჯერ კიდევ სტრაბონის დროს. ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს მითრიდატე პონტოელს, რომელიც პომპეუსს გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის ხორძენე-ხოტენეს მკვიდრ მცხოვრებლებთან.

ტიბარანიის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა მეორე ქართული სახელმწიფო კოლხეთი, ერთ-ერთი წინა ზიის VI საუკუნის ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგან, როგორც ამას მოწმობს „ისტორიის მამა“ – ჰეროდოტე.

მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის, ქართულად – ეგრისის სამეფოს საზღვრების შესახებაც. ცნობილი ბერძენი მწერალი მხედართმთავარი ქსენოფონტე, რომელიც პირადად იყო კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის 400 წელს, ამბობს, რომ ტრაპეზუნტი და კერასუნტი (ამჟამად გირესუნი) კოლხეთის ქალაქებია, რომ ტრაპეზუნტის

გარშემო კოლხები ცხოვრობენო. თავისი ათიათასიანი რაზმით ქაენოფონ-ტემ მთელი თვე დაჰყო კოლხთა სოფლებში ტრაპეზუნტის მახლობლად და აქედან ესხმოდა და აოხრებდა კოლხეთის სხვა ნაწილებს.

სამხრეთ, უფრო სწორად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია – ე. ი. კოლხეთის ტერიტორია, მდინარე ჭაროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით – უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომელნიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ.

ოცდაათი საუკუნე ებრძოდა ქართველი ხალხი თავისი საკუთრებისა და თავისი პოზიციების დასაცავად მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ განედევნათ იგი შოაფლიო-ისტორიული ასპარეზიდან. მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურღვევი კავშირი თავის დიად წარსულთან, უარი არ უთქვამს თავის წმიდათა-წმიდა უფლებებზე. ჭარბი ძალების მონოლით გამოწვეული უკანდახევა დროებითი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ქართველი ხალხი კვლავ ივრებდა ძალებს და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამპყრობლებს და იბრუნებდა თავის მიწა-წყალს.

ახალი ნელთალრიცხვის დასაწყისში, რომელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა. უფრო გვიან, IV საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისაგან შეიქმნა ლაზთა სამეფო, რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს – ეგრისს. ლაზიკა რომ კოლხეთის მემკვიდრეა და თვითონ ლაზები რომ კოლხთა პირდაპირი შთამომავალნი არიან, ამას სადავოდ არავინ ხდის. ამას მოწმობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა“. ამის შესახებ უფრო გარკვეულად ლაპარაკობს პროკოპის უმცროსი თანამედროვე და თანამემამულე აგათია: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და ისინი რომ ნამდვილად კოლხები არიან, ამამი არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“. „ლაზები, – ამბობს იგივე ბიზანტიელი მწერალი, – ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ფრიად ამაყობენ კოლხთა ძველი სახელწოდებით და ალბათ, არც უსაფუძვლოდ“.

მაგრამ ხომ იყო არა მარტო აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ – რიონის კოლხეთი, არამედ დასავლეთის, ქოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთიც. სწორედ ამიტომ ლაზების სახელი დაერქვა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასაც, თუმცა დასავლეთ კოლხეთმა ვერ მოასწრო ლაზიკის სამეფოსთან ერთ სახელმწიფოში გაერთიანება.

დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობას ეს სახელწოდება შერჩა მთელს მომდევნო დროში – ჭანების, ხალდეების სახელწოდებასთან ერთად. X საუკუნის ქართველი მწერალი ბიზანტიელი ავტორის გამოთქმას – „ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი“, მშობლიურ ენაზე კანონზომიერად გადმოგვცემს ასე: „მაგალითად ქვეყნის ქალაქი ტრაპეზუნტი“.

ტრაპეზუნტის იმპერიის (1204-1461 წლები) ხელმწიფეებს კონსტანტინეპოლში უწოდებდნენ „ლაზთა მბრძანებლებს“, ხოლო მათს სამფლობელოს ხან ლაზიკას, ხან კოლხეთს. ლაზთა ამ ტომის ისტორიული მოსახლეობის საზღვრების გამოსარკვევად კი საინტერესოა აკადემიკოს მარის ცნობა: „კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრებს, სამსუნელებსა და სინოპელებსაც კი... ხოლო არზრუმელები ლაზებს უწოდებენ, ერთი მხრივ – გიუმშიშხანელებს, ხოლო მეორე მხრივ – სანაპიროს ყველა მცხოვრებს“.

შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა ქართლი, იბერიის ნაწილი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს ვახტანგ გორგასალს (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარწყალა სპარსელთა გაბატონებამ VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს) და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობთადმი წინააღმდეგობის განევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის სურის (ამჟამად ისპირი) მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთა საკუთარი მამული მდინარე ქოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდვეს საერთო ეროვნულ დინასტიას. X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გააერთიანა. მაგრამ ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ბაგრატიონებმა, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის – ტაო-კლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს

სამხრეთ საქართველოს მინა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, მუვე დავით II 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი, დაეთმო საქართველოსთვის წინათ წართმეული მისი ოლქები: კარინი (ქალაქ არზრუმის ოლქი), შარქი და აპაჰუნეი (იმ დროს უკვე სომხებით დასახლებული, ვანის ტყის ჩრდილო-დასავლეთით), უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ხალდოი – არიჭი (რაც ნიშნავს ხალდთა სოფელს) და კლისური (ზეკარი) არზრუმიდან ტრაპეზუნტს მიმავალ მაგისტრალურ გზაზე, ჩორმაირი მდინარე ჭოროხის ზემო წელში და სხვ. ოთხმოციან წლებში, დავითმა საზღვრები გააფართოვა უფრო შორს სამხრეთ-დასავლეთით, დაიბრუნა ოლქები დერჯანი (ამჟამად ტერჯანი) და ტარონი, ხოლო 997 წელს მან აიღო ქალაქი მანასკერტი (მელიაზგერდი).

ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვრის ხაზი გადაჭიმულ იქნა ვანის ტბიდან ქალაქ ერზინჯანამდე.

სამხრეთ საქართველოს სამთავროში IX-X საუკუნეებში ბრწყინვალედ გაიფურჩქნა ქართული კულტურა, რომელსაც მტკვრის ხეობაში არაბები ავიწროებდნენ. ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები, თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები – ბანა (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში), ხახული (თორთუმის ახლოს), ოშკი (იქვე), იშხანი, ნყაროს-თავი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა თავისი 12 საგანით („ქართული სინა“), ოპიზა, დოლის-ყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ.

ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა გიორგი მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ.

ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედებითი ძალების დიად გამოვლინებაში XI-XIII საუკუნეების მანძილზე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პირველი ადგილი უჭირავს. საცმარისია დავასახელოთ დიდი რუსთაველი, შეუდარებელი ოსტატები ბექა ოპიზარი და ბეშქენ ოპიზარი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების სიამაყე – იოანე პეტრიანი, გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე, რათა გავიგოთ, თუ რა შვილები მისცა დედასამშობლოს სამხრეთ საქართველომ.

საქართველოს ბუნებრივი განვითარება შესწავიტა მონლოლთა შემო-
სკვამ. თითქმის ორი საუკუნე თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხი,
რათა დაეცვა თავისი კულტურა და თავისუფლება.

დასავლეთს მადლობით უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი
რუსეთი და სამხრეთით იმ დროს ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად
ბარიერად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა სამინელი ტალ-
ლა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა.
მეთხოუმეტე საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვ-
ნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლი-
ლი შეხვდა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების
ნაცვლად გამოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები – ოსმალო თურქები.

XV საუკუნეში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს. ამ დრო-
ისათვის საქართველო გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შე-
დეგად, მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს
წარმოადგენდა. მაგრამ ამ მდგომარეობაშიც სამხრეთ საქართველოს სამ-
თავრობო სამცხე, რომლის სამფლობელო ვერ კიდევ ვრცელდებოდა ერ-
ზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს შე-
მომტევე მოსისხლე მტერს. კიდევ მეტიც: იმ საფრთხის სწორი შეგნება,
რაც მთელ კულტურულ სამყაროს დაემუქრა, ქმნიან ერთიან საგარეო
პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრებისას, რომელნიც ორ-
ჯერ შეეცადნენ მოეწყოთ ოსმალო თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და
ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით
დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია: ქართლის, იმერეთის
და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს
დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, 1545 წელს ქართველებმა
ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსულ დიდ ლაშქარზე
ბასიანში (არზრუმის ახლოს).

თურქებს, რომლებმაც ამ დროისთვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის
დიდი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული, განზრახვა ჰქონდათ და-
ეპყროთ მთელი საქართველო, მაგრამ ქართველი ხალხი უმაგალითო გამ-
დაფრებით უწევდა წინააღმდეგობას მათს ამ განზრახვას. საქართველოს
ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც
შესძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მონყვიტეს დედა-
სამშობლოს.

მაგრამ ბრძოლა შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს მთლიანობის შეგნება არასოდეს არ ჩამქარალა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი გორგიჯანიძე თავის თანამემამულეთა განწყობილებას გამოხატავს, როდესაც ამბობს, რომ ქართველები, რომელთაც „ქრისტეს რეჟული ეჭირათ“ და რომლებიც მომწყვედული იყვნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს – თურქეთსა და ირანს შორის – „ბევრს ეცადნენ: აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნაქნეშიც ჰქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს (აფცორს მხედველობაში აქვს ირან-თურქეთის 1555 წლის ხელშეკრულება) – სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა – ხონთქარსა“.

მაგრამ საქართველო არასოდეს არ სცნობდა მტაცებელთა ამ აქტს, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავის ძველისძეველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატის IV სეპარატულ არტიკულში ნათქვამია: იმპერატორი „პირობას იძლევა, რომ ომის შემთხვევაში ყოველგვარ საშუალებას იხმარს იარაღის შემწობით, ხოლო ზავის შემთხვევაში – დაყინებითი მოთხოვნით, რომ ქართლის სამეფოს დაუბრუნდეს მისი ოდითვე კუთვნილი მიწები და ადგილები“.

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის XIX-XX საუკუნეების ყველა ომში და ამ თემებზე გაერთიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ იმედებს ამყარებენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები – ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი – ალტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. საერთო-სახალხო ზემოთ იქნა აღნიშნული თურქეთისათვის ბათუმის, არტანის (არდაგანის) და ართვინის ოლქების წართმევა, არზრუმის, ლაზის-ტანისა და ტრაპიზუნტის დაკავება. ხალხი ამაში თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა.

საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გველეურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გამოჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა

ცხოვრება მთლიანად ჩაკედა იქ, სადაც იგი წინათ სდულდა და გადმო-
დიოდა. გაპქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები – მეღვი-
ნეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გალატაკდა. მხეცურად, არაადამი-
ანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდას – მის ენას, მის
კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას.
ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს.

ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილები-
დან. იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო
ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლი,
იქ, სადაც XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV
საუკუნეშიც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები,
თურქების შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის მთელ მანძილზე არა-
ფერი დადებითი არ შექმნილა. მეჩეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყე-
ნებდნენ; ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობა მხოლოდ იმ
ხიდებით სარგებლობდა, რომლებიც თამარ მეფის დროს იყო აგებული.

მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა
მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ
შესძლეს, რამდენსაც არ ეცადნენ, აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი
სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან. ამ ერთია-
ნობას ადასტურებდნენ და ადასტურებენ ყველა ფაქტები, მსოფლიო სა-
ზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. თვითონ თურქები იძულებული არიან
აღიარონ ეს. თურქეთის მთავრობამ 1578 წელს დაიპყრო სამხრეთ-საქარ-
თველოს სამთავრობო – სამცხე და მას გურჯისტანის, ე. ი. საქართველოს
ვილაიეთი უწოდა. დაცულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ
გამოსცა 1595 წლის თურქული ოფიციალური დოკუმენტი – „საქართველოს
ვილაიეთის ვრცელი დავთარი“ („დევეთერი მუფასალ ვილაიეთი გიურჯუს-
ტან“), რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის, აწერილია
ჩილდირის, ფოცხოვის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები.

მეორე ვილაიეთი – ტრაპეზუნტისა – წარსული საუკუნის სამოციან
წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე ყიზილ-ირმაკადმე (ძველი
ღალისი) და გაყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: 1. ლაზისტანი, რუსეთის სა-
ზღვრიდან ქ. რიზემდე; 2. ტრაპეზუნტის სანჯაყი, რიზედან ქ. ორდუმდე;
3. ჯანაიკი, ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაკამდე, ცენტრით ქ. სამსუნში
და 4. გიუმშიხანა (ინგლისის კონსულ ვ. ჯიფორდ პალგრევის ანგარიში.
თვლოპდი ტ. 7. დამატება). ამრიგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს

თურქეთის ოფიციალური ნომენკლატურა მონიშნავდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქიც კი, თვით ყიზილ-ირმაკამდე, არის ჯანიკი – ქანების, ე. ი. იმავე ლაზების ქვეყანა.

თურქულ ენციკლოპედია „ჰამუსულ-ალამში“ ნათქვამია: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ... მათი გარეგნობაც კი მონიშნავს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას“.

სამხრეთ საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა დიდი რაოდენობით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის რუკებზე აღნიშნულია მრავალი წმინდა ქართული სახელწოდება, როგორცაა იმერა (გიუმშიშანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), ძარა, გორიანა, მაჭარა, შუვა, მირზანი, მოხორა, ლორი, ბოშიანი, ნატეხილები, ქსანთა, კიჭრა, ჭოროღმა, ხართი, ჩუმოვანი, ორწვერი და სხვ. ახლა თურქი ხელისუფლები გამალებით შლიან ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ანგრევენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს – არქიტექტურის შედეგრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართველ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძევებენ მათ ჩვენი წინაპრების ასეულ თაობათა სისხლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.

მძიმე დროს, რასაც ქართველი ხალხი 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში განიცდიდა, თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორის ოკუპაცია, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისათვის.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც, ფაქტურად, გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოაწყურებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად სწერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ჩვენ კი? განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათა-წმიდა საქმეში?

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის,

ბაიბურთის, გომეშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბ-
ზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე. ი. საქართველოსათვის
ნართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი.

ს. ჰანაშია, პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა
დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი
წევრი.

ნ. ბარქანიშვილი, პროფესორი, ისტორიულ
მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეც-
ნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

НЕСКОЛЬКО ЗАМЕЧАНИЙ О ЛАЗАХ

В результате победоносного окончания войны над фашизмом наша страна получила возможность вернуться к мирному созидательному труду. Теперь вшору нам вспомнить и о том, что многие тысячи наших единоплеменников, силою исторических обстоятельств оторванных от родного народа, не только лишены возможности свободно развиваться, но им грозит полное духовное вырождение и физическое уничтожение.

Речь идёт о лазах. Они известны в истории Грузии под именем чанов. Этнически и лингвистически лазы одно из картвельских племён. Лазский язык особенно близок к мегрельскому и входит вместе с ним в группу картвельских языков. Таково единодушное мнение как советских учёных (И. Джавахишвили, Н. Марр, И. Мещалинов), так и зарубежных лингвистов (Шухардт, Дирр, Блайхштайнер, Мейе, Тромбе тти...).

Разве только турецкие лингвисты могли бы не признать лазский язык картвельским, но ведь согласно турецкой лингвистической «теории» («Гюнеш-Дил» – «язык солнца») все языки «сводятся» к турецкому, – все без исключения языки как древней, так и новой цивилизации: латинский так же, как и английский или французский..., арабский так же, как и шумерский (см. наприм. М. М. Dalkic: «Etude sur la theorie Gunes-Dil», Istanbul, 1936).

Бесхитростная процедура сведения всех языков Европы и Азии к турецкому языку, может быть, любопытна в некоторых отношениях, но с лингвистической точки зрения она менее всего интересна: с наукой, вообще, и с лингвистикой, в частности, теория «Гюнеш-Дил» ничего общего не имеет.

Лазский язык испытал сильное влияние греческого и в дальнейшем турецкого языка, в особенности в области словаря. Несмотря на это основной корнеслов, морфологическая структура, фонетическая система, идиоматика и, как принято выражаться, вся психология лазской речи та же, что и в картвельских языках.

Академик Н. Марр в своё время (1910 г.), вследствие скудости известных ему материалов, подчёркивал самостоятельность лазского языка по отношению к мегрельскому. Однако по опубликованию труда проф. И. Кипшидзе

(«Грамматика мингрельского языка». 1914 г.). Марр вынужден был признать, что «лазский и мингрельский собственно один язык с точки зрения лингвистических норм: это два наречия одного языка, но вследствие культурного разобщения они разошлись до степени соотношения двух языков» (из рецензии на работу И. Кипшидзе).

Сохранилась лазская речь – этот «древнейший и правдивый свидетель истории» лазов, – живучим оказался и лазский фольклор с характерными для грузинско-мегрельского фольклора персонажами, архитектоникой и стилистическими деталями.

Сохранили лазы характерный для гурийцев и аджарцев головной убор и костюм («чакура»). Художником Е. Е. Лансере описан «чрезвычайно интересный танец лазов» (см. Е. Е. Лансере: «Лето в Анторе», Ленинград, 1925. стр. 54-57, 30); судя по описанию и зарисовкам – это широко известный воинственный грузинский танец «хоруми».

Акад. Н. Марр отметил в бытность свою в Лазистане «любопытные мотивы резьбы на дереве, орнаментацию внутри комнат, а также снаружи старых амбаров для ореха и кукурузников», указав при этом, что орнаментация эта повторяет мотивы декоративной резьбы на камне в грузинской христианской архитектуре (см. Н. Марр: «Из поездки в Турецкий Лазистан». изд. АН, 1910, стр. 631).

В нашей этнографической литературе (проф. Г. Читаея) «лазский орнамент» – понятие исключительной важности в кругу аналогичных данных народного искусства других картвельских племён.

Современные лазы – с лазской речью и с сознанием своей этнографической самобытности – незначительный остаток некогда значительного по величине, распространению и богатому историческому прошлому этнического массива.

Ещё до падения т. н. Трапезунтской империи (Трапезунт был взят турками в 1461 г., спустя 8 лет после падения Константинополя) многие лазские районы были грецизированы. Общность религии, отсутствие непосредственной связи с Грузией, раздробленной и обессиленной со времён монгольского нашествия, способствовали процессу ассимиляции лазов с греками. С конца XV столетия начинается жестокий процесс отуречивания лазов.

С полным учётом этих процессов известный армянский лингвист Р. Ачарян, ныне действительный член Академии наук Армянской ССР, в работе «Очерк лазского языка», опубликованной на французском языке в 1897 г., пишет: «Страна лазов или Лазистан находится на юго-западе Кавказа

между Чёрным морем и большой цепью гор. Зигала; она (страна лазов) начинается у Батума и продолжается до Платаны. Лазы-христиане зависят от греческого патриарха в Константинополе. Они занимают западную часть Лазистала, от Платаны к востоку до Трапезунта и к югу от Трапезунта до Гюмюшханэ... Лазы-магометане или собственно лазы занимают восточную часть Лазистана, от окрестностей Трапезунта до Батума... В Атине, Архаве, Вице. Хопа говорят на разных лазских диалектах... Восточные диалекты – наиболее чистые, по мере продвижения на запад влияние турецкого языка более значительно» (см. H. Adjarial: «Etude sur la langue laz» - в журнале Парижского Лингвистического Общества: *Memoires de la Société de Linguistique de Paris*, т. X, вып. 2 (1897), стр. 145. Подчеркнуто нами. – А. Ч.).

В работе историка и географа Вахушти «Описание грузинского царства», датированной 1745 годом, про Лазистан сказано: «Чанети, ныне называемая также Лазией, простирается по побережью Черного моря от Гонни до пределов Трапезунта; по вероисповеданию ныне уже мусульмане; встречается лишь ничтожная часть христиан» (стр. 142).

К 1615 году относятся весьма ценные сведения о методах отуречивания лазов, сообщаемые в отчёте итальянского миссионера Луи Гранжие, посланном генералу ордена иезуитов Клоду Аквивива. Повествуя о длительной вынужденной остановке, по пути в Западную Грузию, у Ризэ, Л. Гранжие пишет:

«Местечко Риза... находится в стране Лазии, которая простирается от Трапезунта до Грузии. Но в части, которая ближе к Трапезунту, говорят по-гречески; в той, которая ближе к Грузии, говорят вообще на языке Мингрелии... Они переходят мало-по-малу в магометанство; обыкновенно те, которые уже в кстах, перенося почти что невыносимый гнёт из-за того, что исповедуют христианскую религию, желая избавиться от налогов, которыми их отягощают, переходят на сторону турок; что касается детей, то родители подвергают их обрезанию, чтобы они были освобождены от всех податей и налогов; они стараются, чтобы христианские девушки выходили за янычар для сохранения жизни отцов и матерей» (см. Сборн. материалов по опис. местн. и плем. Кавказа, т. 44, 1915 г., ч. III, стр. 38. Подчеркнуто нами – А. Ч.).

Ислам с его пресловутой формулой – «все мусульмане составляют один народ» – в принципе антинационален. Вот почему ни одна из религий, известных в истории человечества, не являла собою такой реальной угрозы существованию малых народов, как ислам.

Приходится удивляться тому, как смогли лазы в условиях неимоверного гнёта вообще сохранить свою индивидуальность. Безусловно, немалую роль сыграл в этом низкий культурный уровень угнетателей: турки превосходили лазов лишь численно, значительно уступая им в культурном отношении.

Исламизация (или, что то же, туркизация) лазских районов была исходом неравной борьбы лазов с поработителями турками. Борьба эта длилась долго. Она сохранилась в памяти народной так же, как и сознание о кровной связи лазов с грузинским народом.

Вот несколько отрывков из лазских сказаний, записанных проф. И. Кипшидзе в 1916 году в Лазистане. В одном из них рассказывается о том, что султан Селим после покорения Трапезунта блокировал лазские районы. Три месяца длилась неравная борьба. Истошив силы, лазы были вынуждены капитулировать, но это была капитуляция на почётных условиях: турки обещали не трогать православной религии лазов, не обременять их налогами. Три года, действительно, всё оставалось попрежнему; а затем население обложили данью, священников выслали, вместо них прислали мулл из Амасии; школа превратилась в орудие мулл: исламизация началась с детей. Тогда собираются старейшины (вождём лазов, по рассказу, выступает Петро Хецна. Фамилия Хацна и ныне известна в Мегрелии) и принимают меры самозащиты: землю иноземцам не продавать: на торчанках не жениться; иначе «лишимся родной речи, исчезнет наш род. Пройдёт лет 50 и опять будем хлопотать, чтобы нам разрешили нашу школу иметь». «Султан не разрешил лазам», – меланхолически заключает сказитель, – «иметь свои школы. Когда в Турции началось революционное движение (имеется в виду движение младотурок. – А. Ч.), султан обещал дать школы, но опять ничего не вышло...».

Иллюстрацией к рассказу об обещанной школе может служить сообщение акад. Н. Марра о лазе Фаик-эфенди, который в начале нашего столетия попытался «изобрести чанский (лазский) алфавит: его выслали и заточили в тюрьму, дом его был обыскан и все его работы и книги сожжены». («Из поездки в Тур. Лазистан», изд. АН, 1910, стр. 626).

А вот сказитель о «царском роднике» (по-лазски: «мапа цкари», ср. груз. «мепис цкаро») как объясняет такое название родника, находящегося недалеко от Хопы: «От стариков слышал, что в старину наши предки были мегрели и до Старого Трапезунта страна находилась в руках царицы Тамары. В честь её и назван родник»...

По другому же преданию, бежавшие от султана Селима лазы спаслись в Грузии: «царица Тамара отвела им место и поселила»... Любопытный анахронизм: бежавшие от султана Селима не смогли бы обратиться за покровительством к царице Тамаре (три века разделяют их), но при всём анахронизме это предание полно глубокого смысла: оно – яркое выражение неизменного тяготения лазов к Грузии. В прославленной царице Тамаре видело заступника народное сознание обездоленных лазов.

Приведём ещё рассказ, записанный проф. И. Кипшидзе со слов одного лаза: «Лазы в деревнях готовятся к Новому году: всё приводят в порядок, вычищают, стирают, как перед Байрамом. Такого обычая нет ни в Турции, ни в Аравии. На мой вопрос: наш Новый год начинается в марте, почему же мы готовимся к первому января? – бабушка ответила: «наши предки были мегрелы, потому и некоторые древние адаты и ныне соблюдаем» (см. проф. И. Кипшидзе «Чанские тексты», изд. Груз. фил. АН ССР, 1939).

Характерны имена и фамилии лазов, всплывающие в рассказах о старине: Туха (женское имя), Хесиа (фамилия)... Ныне в Лазистане имена все мусульманские, не осталось и старых лазских фамилий. Но они не исчезли из памяти народной; лазы знают по преданию, что такой-то родом из фамилии Патарая, другой – Поракия, третий – Ломидзе и т. д.

Живы среди лазов исторические предания, жива лазская речь, сквозь века пропесённая лазским племенем, как символ его самобытности.

Ещё не погасло сознание, что лаз, хотя и мусульманин, но не турок. Не погасло это сознание, несмотря на всю тяжесть угнетения, испытываемого лазами на протяжении четырёх с лишним веков, несмотря на все старания угнетателей туркизировать их. Но жестокость гнёта изо дня в день усиливается: всё больше вытесняется лазская речь; всё меньше становится лазских районов.

История не простила бы нам, если бы мы оказались безучастными зрителями того, как тает на наших глазах одно из картвельских племён с богатым историческим прошлым, с поразительной силой устойчивости в борьбе за существование.

Историческая несправедливость должна быть исправлена. Естественное место лазов – в родной среде единокровных картвельских племён.

АРН. ЧИКОБАВА, Действительный член Академии наук Грузинской ССР, доктор филологических наук, профессор.

თურქმა მოქალაქეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მინა-წყალი

მსოფლიო მშვიდობიანობის მოსურვე ხალხებმა, დიდი ალაჰის ნებითა და სურვილით, იხსნეს ქვეყნიერება შავ-ბნელი ფაშიზმისაგან, კაცობრიობის ამ წყეული მტრისა და ბნელუთის მოციქულისაგან. დამყარდა დიდი ხნის ნანატრი საყოველთაო მშვიდობა. საბჭოების ქვეყანა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავისუფლებისმოყვარე ხალხებს გაემარჯვნათ.

აჭარის ქართველი მუსლიმანები, სიხარულით აღვსილნი, უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამენ ჩვენი ქვეყნის – საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიული გამარჯვების გამო. ქართველ ხალხს დიდი ღვაწლი მოუძღვის ამ დიადი გამარჯვების მიღწევის საქმეში, მან უდიდესი წვლილი შეიტანა სინიდისის, პატიოსნებისა და სამშობლოს კეთილდღეობის დასაცავად.

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის დიდ მანძილზე მამაცურად იგერიებდა ყველა სახის უცხოელ ურჩხულთ, ანადგურებდა მათ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს, რათა უზრუნველყო თავისი ქვეყნის ერთობა.

განსაკუთრებით გართულდა ჩვენი სამშობლოს – საქართველოს მდგომარეობა მე-15 საუკუნეში. ეს იყო დრო, როდესაც საქართველოს მეზობლად შექმნილმა თურქეთის სახელმწიფომ თავისი დამპყრობლური სურვილების განხორციელების მიზნით უშუალოდ დაიწყო ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა.

ოსმალ-თურქებმა ბიზანტიის დაპყრობისა და მისი დედაქალაქის კონსტანტინოპოლის ალების შემდეგ იერიში მოიტანეს სამხრეთ საქართველოზე და ქართველთა ტომებს ლაზ-ჭანებს და სხვებს შეუქმნეს სასიკვდილო საფრთხე. 1462 წელს თურქებმა აიღეს ლაზთა ქალაქი ტრაპიზონი და ისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ მთელი სამხრეთი საქართველო. ქართველები თურქების წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ თავისი საკუთარი მინა-წყლისათვის, მაგრამ რიცხვით მეტ ძალებს ვერ გაუმლავდნენ. თურქებმა დიდი მსხვერპლის ფასად ჩვენი მხარე საქართველოს მოსწყვიტეს და დაამყარეს აქ თავიანთი სახელმწიფო ადათები. მაგრამ ჩვენი ხალხი ამ

უცხო წესებს ვერ ურიგდებოდა და მუდამ იყო სისხლისღვრა და ბრძოლა. ამას ადასტურებს ისტორია.

ზ. ჭიჭინაძეს, რომელმაც ფეხით შემოიარა მთელი სამხრეთი საქართველო, თავის წიგნში მოჰყავს მუფთი-ხოჯის ახმედ ეფენდი ხალილაშვილის ნაამბობი: „– ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ განყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენ. დანდალომ ზეგანს მიბაძა და ამიტომ განყდნენ ისინიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვრა“.

ოსმალების მიერ ჩვენი ტერიტორიისა და ქართველი ხალხის ნაწილის დაპყრობის შემდეგ გავრცელებულ მუსლიმანურ სარწმუნოებას – ისლამს არ გამოუწვევია ქართული სისხლის შეცვლა და ეროვნული გადაგვარება.

ქართველი მუსლიმანნი და ქართველი ქრისტიანები ძმები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ.

დიდ საბჭოთა ქვეყანაში მრავალ სხვა სარწმუნოების ხალხებთან ერთად არიან ისლამის სარწმუნოების მიმდევრებიც, რომელნიც თავისუფლად ასრულებენ მუსლიმანურ წესებს ყურანის შესაბამისად. ჩვენთან, აჭარაში არსებულ ჯამეებში მორწმუნენი ასრულებენ თავიანთ ლოცვებს და კითხვებს. ჩვენ არ ვგრძნობთ არავითარ შევიწროებას. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, თავის სარწმუნოების წესების შესრულება ყველას შეუძლია. ჩვენ ჩავატარეთ მუსლიმანთა ყრილობა და კრებები, მოვეწოდეთ ყველა მუსლიმანს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ქართველი მუსლიმანები მზურვალედ ეხმარებოდნენ ფრონტს საერთო მტრის გასანადგურებლად. ქართველმა მუსლიმანებმა ყველგან იციან, რომ ისინი ნამდვილი ქართველები არიან და ეროვნებით ერთ ერს – ქართველ ერს ეკუთვნიან, რომ სარწმუნოებით განსხვავება მათ ეროვნულ გათიშვას ვერ გამოიწვევდა და ვერც ვერასოდეს გამოიწვევს. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მუსლიმანები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. მათთვის კარგად ცნობილია, რომ ქართული ეროვნების ეს მოსახლეობა თურქებმა მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

ქართველებმა საკუთარი სამშობლოს დაცვისათვის დაღვრილი სისხლის შედეგად შეინარჩუნეს თავისი არსებობა, კულტურა და სახელმწიფოებრიობა. ამჟამად ქართველი ხალხის დიდი ნაწილი მზიურ საბჭოთა ქვეყანაში თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობს.

მე და მთელი ქართველი მუსლიმანები დიდად ვუმაძლით ღმერთს, რომ მოეხდით საბჭოთა ქვეყანაში, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც სარწმუნოებრივ თავისუფლებასთან ერთად მოგვეპოვება კულტურული და ეკონომიური აღორძინების ყოველგვარი საშუალებები.

ქართველი მუსლიმანების საგრძნობი ნაწილი, რომელსაც ცხოვრება უხდება თურქეთის მიერ საქართველოსაგან ძალით მოწყვეტილ ტერიტორიაზე, სრულიად მოკლებულია ამ დიად უფლებებს, კერძოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი. ეს ქართველი მუსლიმანები დიდი ხანია გულის ფანცქალით მოელიან საკუთარი სამშობლოს მთლიანობის აღდგენას, რადგან, როგორც გვინერია ჰედისში „სამშობლოს სიყვარული ყველა მუსლიმანის აუცილებელი მოვალეობაა“. ქართველი მუსლიმანები, რომელნიც მოქცეულნი არიან თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს ტერიტორიაზე, დიდი სიხარულით შეხედებინ მათი სამშობლო ადგილების საქართველოსთვის დაბრუნებას.

ყველასათვის და თვით თურქეთისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მინა-წყალი სცილდება ტრაპიზონს, გუმბიშხანეს, ბასიანის მიდამოებს, ყორობ-ტრაპიზონის კოლხეთს, რომელსაც შერჩენილი აქვს დასავლეთ კოლხეთის სახელწოდება. თვით კონსტანტინოპოლის თურქებიც კი ტრაპიზონს „ლაზთა საბრძანებლოს“ უწოდებდნენ.

ქართველ მუსლიმანთა ეროვნული ნიშნების მოსპობის მიზნით თურქეთის ხელისუფალთა მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, უკანასკნელ წლებში ქართველი მოსახლეობის თურქეთის შორეულ რაიონებში გადასახლების, ეროვნული დამცირებისა და ამ ადგილებში ქართულ სახელწოდებათა შეცვლის მიუხედავად, – აქ მაინც შერჩენილია უამრავი ქართული სახელწოდება. მაგალითად, ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ჯანიქ-სანჯაყი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილები ჭანებისა, ე. ი. ლაზებისაა. იმერზევი, მიქელეთი, ნოლეთი, მარიშ სკირიშ ოფუტე, ოხვამე და სხვა მრავალი ქართული სახელწოდება ახლაც არის ხმარებაში. აღსანიშნავია აგრეთვე ქართული ქრისტიანული ჩვევების არსებობა, როგორცაა: ახალი წლის შეხვედრა, კვერცხის შუღება და სხვ.

ამგვარად, სამხრეთმა საქართველომ, მიუხედავად თურქეთის ბატონობისა, უკანასკნელ ხანებამდე ქართულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებთან ერთად შეინარჩუნა ქართული ენა და ადათ-ჩვევებიც.

ქართველ ხალხს, პირველ რიგში ქართველ მუსლიმანებს, არასოდეს არ დაავიწყდებათ თურქეთის ვერაგული თავდასხმა საქართველოზე 1920-

21 წლებში, როცა მათ მოახდინეს არტაანის, ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის ნაწილის ოკუპაცია. მრავალი მუსლიმანი ქართველი გაულიტეს მაშინ თურქებმა, მრავალი მათგანი აყარეს და შორეულ რაიონებში გადაასახლეს.

ქართველი ხალხის, მათ შორის ქართველი მუსლიმანების ნება-სურვილია გამოთქმული ჩვენი მეცნიერების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის წერილში, რომელიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი: არტაანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გოემიშანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით.

ქართველო მუსლიმანებო! ვთხოვოთ დიდ ღმერთს, რომ ჩვენი საუკუნეობრივი სურვილი შესრულდეს და სამუსლიმანო საქართველო მთლიანად შეუერთდეს თავის დედა-სამშობლოს – საქართველოს და გახდეს მონაწილე თავისი ძმების ერთიანი ოჯახისა, ამინ!

რასიხ სულეიმანის ძე ბარიძე, ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი.

წერილი რადიოცხიის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მომცეთ საშუალება გაზეთ „კომუნისტი“ ამ მონოდების გამოქვეყნებით ჩემი და მთელი ჩემი სამწყსოს ხმა შევუერთო ქართველი ერის სამართლიან მოთხოვნას, რომელიც წამოყენებული იყო თურქეთის მიმართ პატივცემული მეცნიერების – ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის წერილში (იხ. „კომინუსტი“ №24 (7461) 14/XII – 1945 წ.).

XV საუკუნეში მაჰმადიანურმა ოსმალეთმა ქრისტიანულ მსოფლიოს გულზე ფეხი დაადგა: სახელოვანი კონსტანტინოპოლი დაიპყრო და კულტურული ახლო აღმოსავლეთის სიამაყის – ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობა საბუდამოდ შეწყვიტა.

ოსტინიანე კეისრის დროის გენიალურ ქმნილებაზე – ნმინდა სოფიის ტაძარზე, დაპყრობილ ქრისტიანეთა სისხლით მოსვრილი ხელის ანაბეჭდი – გამომხატველი გამარჯვებული ხონთქარის მიერ ქრისტიანული ტაძრის მაჰმადიანურ მიზნითად გადაქცევისა, მომასწავებელი რამ იყო ოსმალთა პოლიტიკისა მათ მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ბნელი უკუნეთი ჩამონვა, ჩვენს ქვეყანას ოსმალეთი გაუმეზობლდა. შეწყდა მრავალსაუკუნოვანი ცხოველი ურთიერთობა ქართველებისა დასავლეთის განათლებულ ხალხებთან.

ოსმალეთი ყოველთვის შორს იდგა მეზობლებთან მშვიდობიანი კულტურული ურთიერთობისაგან. ეს აგრესიული ბუნების სახელმწიფო ყველა მეზობელს თავს ესხმოდა და გლეჯდა, ვიდრე საამისო ღონე მოსდევდა.

ამ დროიდან მოკიდებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ზავი არა ჰქონია. ოსმალეთი უჩვეულო სიჯიუტით ცდილობდა საქართველოს დაპყრობას ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ ქართველები შეუნელებელი მხნეობით თავს იცავდნენ.

300 წელს გრძელდებოდა უსწორო ბრძოლა.

მოდლადე მტაცებელმა განაზრახი ვერ შეისრულა, ქართველთა სიმტკიცე ვერ გასტეხა და საქართველო მთლიანად ხელთ ვერ იგდო.

დამპყრობელს მწარედ მოაგონდება ბასიანი, ბათომი, გორი, ასპინძა, ზეკარი, ხრესილი, ჩხერის ციხე და არაერთი სხვა ადგილი – მონმე ქართველთა მამაცური შებმისა და მომხდურის დამარცხება-უკუქცევისა.

მაგრამ უზარმაზარ მტერთან ბრძოლაში მეტად დაზიანდა ქართველი ხალხი. ოსმალეთმა თანდათან მიიტაცა საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ვრცელი მიწა-წყალი: ქანეთი, ბეიბურთ-გიუმშიხანე, თორთუმი და სპერი, შავშეთ-კლარჯეთი, ტაო-ბასიანი, კოლა-არტაანი და სამცხე.

არც ერთ დამპყრობელს შუა საუკუნეებში კულტურული ახლო აღმოსავლეთისათვის ისეთი ზიანი არ მიუყენებია, როგორიც მას ოსმალეთმა მოაყენა. ბიზანტია-საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სერბია, ალბანეთი, სომხეთი, საქართველო და მრავალი სხვა კულტურული ქვეყანა, ქრისტიანული თუ მაჰმადიანური, შეიქმნა მსხვერპლი ოსმალური მიმტაცებლობისა და მისი ბარბაროსული მოძალადეობისა.

შეუძლებელია სიტყვით გამოითქვას ის უსამართლობა, რომელიც გადაიტანა ხონთქრის საბრძანებელში მოყოლილმა ქართველობამ ოსმალთა დამპყრობელთაგან. ფიზიკური ძალადობა, მორალური შეგინება ოსმალთა ბატონობის მთავარი იარაღი იყო.

ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. ბარბაროსული თურქული ფეოდალიზმი სულ-შემხუთავ ძალად დაანვა შეუდარებლად უფრო წინმდგომ ქართულ საზოგადოებრივ წყობილებას დაპყრობილ ოლქებში. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დამპყრობელთა მიერ შემოღებულ წესებს, ყოვლად უცხოვს და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისათვის, უწოდა ოსმალთა, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა.

წინსვლა შეჩერდა და ქვეყანა თანდათან უკან წავიდა. ქრისტიანობა, ეროვნული კანონები და ქართული ენა ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა. ოდესმე აყვავებულს ქვეყანაში უკულტურობამ დაისადგურა. სასოებით და სიყვარულით ნაგები ტაძრები, ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები, თანდათან დაიცალა, დაყრუვდა. თანდათან გაქრა ანჩას თუ ხახულს ოპიზართა მიერ ნაჭყედი წმინდა ხატები, წყაროსათვის მოხატული სამღვთო ნიგნები, შატბერდს ნათქვამი სიბრძნე, ოშქს შეთხზული საგალობლები. მათი დიდი უმრავლესობა დაიღუპა, ნაწილი სასოებით გადამალეს შევიწროებულმა მლოცველებმა, ნაწილიც თან წაიღეს გაჯოჯოხეთებულ სამშობლოდან ლტოლვილებმა.

დამყრობელთა ბარბაროსულმა მმართველობამ ხალხი გააღატაკა; მოსახლეობის რიცხვი კატასტროფულად შემცირდა, ქვეყანა გავერანდა. ოსმალური მმართველობის ჩამორჩენილობის მჭევრმეტყველური ნიშანია, რომ მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს დამყრობელი დაეპატრონა, იქ მოიშალა და მოისპო ოდესმე აყვავებული საქალაქო ცხოვრება, ინტენსიური სასოფლო მეურნეობა, ჩაქრა განათლების კერა, შეწყდა ყოველგვარი მშენებლობა. მთელს ამ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც სავსეა ქართველობის დროის დიდებული არქიტექტურული ძეგლებით (რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ გაუნადგურებიათ ისტორიისა და მეცნიერების წინაშე პირშავ ბარბაროსებს), არც ერთი სასახლე, არც ერთი ტაძარი, არც ერთი ქარვასლა, არც ერთი ხიდი და არც სხვა რამ შენებულუბა, რამდენადმე ღირსშესანიშნავი, არ აგებულა ოსმალთა ბატონობის დროს.

ხალხის სასიცოცხლო ძალების პარაზიტული გამოწოვით ოსმალურმა მმართველობამ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში დაახშო განვითარებისა და შემოქმედების ყოველგვარი გზა.

ზემოთაქმულში დასარწმუნებლად საკმაოა ერთიმეორეს შევადართ დღევანდელი საქართველოს ორი ნაწილი: საქართველო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი და საქართველო თავისუფალი. განუზომელია ჩამორჩენა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისა და მწარე კავშირის მომგვრელია ბედის უკუღმართობა: ისტორიულ საქართველოს დიდი კულტურული აღმავლობის ხანაში, IX-XII საუკუნეებში, და შემდეგ, ვიდრე ოსმალთა მიერ მიტაცებამდე, საქართველოს სწორედ ეს ნაწილი იყო ყველაზე აკვანი და საძირკველი მთელი ჩვენი ხალხის სულიერი თუ ნივთიერი კულტურისა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა ხალხებთან გაწყურულ ძმურ კავშირში აღდგა თავისუფალი ქართველი ერი. გასაგებია, რომ საუკუნო ზრუნვის საგანი – მტრისგან ძალად მიტაცებული ქართული მინა-წყლისა და დაჩაგრულ-შევიწებული ლეიძლი ძმების დედა-სამშობლოსათვის დაბრუნება – გარდაუვალ ამოცანად დაისვა მის წინაშე.

ქართული მართლმადიდებელთა ეკლესია ისტორიულად ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მატარებელი და მქადაგებელი იყო. ჩვენი ეკლესია ამასთანავე სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ყოველთვის ლმობიერებით და მოთმინებით განიჩიოდა. მით უმეტეს ეს ითქმის იმ ქართველების, ჩვენი ლეიძლი ძმების მიმართ, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ძალადობის შედეგად ისლამის სარწმუნოება მიიღეს.

ქართულ ეკლესიას არ ჰქონია და არც არასდროს ექნება განზრახვა სამხრეთ საქართველოს რაიონებში ქრისტიანობის აღდგენაზე იფიქროს. ხოლო რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ყველასათვის ცნობილია მისი დამოკიდებულება სარწმუნოების საკითხისადმი: ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება – ყველას შეუძლია ირწმუნოს და ილოცოს ისე, როგორც თვითონ სურს.

დღეს ისტორიული უსამართლობის გასწორების ფაზაა. თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა სამუდამოდ დაამარცხეს მძლავრობა-მტაცებლობის კერა – ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირენი.

ქართველმა ხალხმა თავდადებული ბრძოლით მნიშვნელოვანი ნულილი შეიტანა ბოროტ ძალთა განადგურების ამ საერთო საქმეში და უდავო უფლებაც მოიპოვა მოითხოვოს ისტორიული უსამართლობის გასწორება – საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანება.

თავისუფალ ერთა გაერთიანების ნევრმა ოსმალეთმა საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მიწა-წყალი: რაიონები არტაანისა, ართვინისა, ოლთისისა, თორთუმისა, ისპირისა, ბაიბურთისა, გუემიშხანესი და ლაზისტან-ჭანეთი ტრაპიზონისა და გირესუნის ჩათვლით.

მე მივმართავ გაერთიანებულ ერთა ხელმძღვანელებს, მსოფლიო მონინავე საზოგადოებრივობას და მოუწოდებ მათ მხარი დაუჭირონ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ამ წმინდა საქმეს.

კალისტრატე, სრულიად-საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, 1946 წლის იანვრის 5.

თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა გვრიდრი მინა-წყლის შესახებ

თურქთა მომთაბარე ტომი, ისტორიაში ცნობილი ოსმალთა თურქთა სახელწოდებით, აღმოსავლეთიდან მოვიდა და შესცვალა სულჯუკი თურქები, რომელნიც თავის მხრივ პირველად XI საუკუნეში გამოჩნდნენ მცირე აზიაში. ეს ტომი საქართველოში შემოჭრას იწყებს XV საუკუნიდან.

საქართველოს მაშინ კიდევ ვერ მოესწრო წელში გამართულიყო მონღოლების გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ და დასუსტებული იყო შინაგანი პოლიტიკური არეულობის გამო. ამიტომ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების შედეგად ოსმალთა თურქებმა შესძლეს თავიანთი ქარბი ძალებით XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხელში ჩაეგდოთ სამხრეთი საქართველო და იქ დაპყრობილი ქვეყნის მმართველობის მკაცრი რეჟიმი დაამყარეს.

საქართველოს ამ ნაწილის ხელში ჩაგდების მომენტიდან თურქები შეუდგნენ ქართველთა მთელი ეროვნული ყოფის მეთოდურად აღმოფხვრას, მოსახლეობის გათურქებისა და ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყანაში ისლამის რელიგიის ძალდატანებით დანერგვის გზით. თურქები ნახევრადველურ მომთაბარეთა მორალით ხელმძღვანელობდნენ და თავიანთი განზრახვათა განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. თუ რამდენად მკაცრი იყო ეს ღონისძიებანი, ამზე შეგვიძლია წარმოგვანა ვიქონიოთ იმის მიხედვით, რომ საქართველოს დაპყრობილი ოლქების მრავალი მცხოვრებნი, მშობლიურ წრეს მონყვეტილნი, მასობრივად გარბოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, რათა „თავი ეხსნათ თურქების მიერ ფანატკური დევნისაგან“ (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 119) და შეძლებისდაგვარად გადაერჩინათ თავიანთი კულტურის ძეგლები (ხელნაწერები, ხელოვნების საგნები და სხვ.). ცნობილია, მაგალითად, რომ სამცხის ზარზმის მონასტრიდან პატრიოტთა ჯგუფმა თავისი მშობლიური მხარე მიატოვა, თან წაიღო ეროვნული კულტურის ძეგლები და თავშესაფარი ჰპოვა გურიაში, შემოქმედის მონასტერში (დ. ბაქრაძე, იქვე).

ამ მკაცრ პოლიტიკას, რომელსაც ოსმალთა ხელისუფალნი მხარის გასათურებლად და გასამაჰმადიანებლად ახორციელებდნენ, მონაშობენ ის უცილობელი მონაცემებიც, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „საქართველოს ელამის ვრცელი დავთარი“. ეს ოფიციალური თურქული დოკუმენტი თურქულხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ არის შედგენილი საქართველოს ახლად დაპყრობილი ნაწილისათვის და ამიტომ წარმოადგენს ობიექტურ წყაროს, საიდანაც შეიძლება ამოღებულ იქნას თურქეთის პოლიტიკის დამახასიათებელი მასალები; დასახლებული პუნქტების ჩამოთვლასთან ერთად იგი შეიცავს აგრეთვე იმ სოფლების გრძელ სიებს, რომლებიც შიშით შეპყრობილ ქართველ მოსახლეობას მოუტოვებია. ეჭვს გარეშეა, რომ ეს, „დავთარის“ მიხედვით „მოსახლეობისაგან თავისუფალი სოფლები“ იმ ქართველ პატრიოტთა საცხოვრებელი ადგილები იყო, რომლებმაც, ამაყობდნენ რა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ნახევრადველურ მომთაბარეებს თავი აბუჩად არ ააგდებინეს. მიუხედავად უდიდესი მატერიალური და მორალური მსხვერპლისა, თავიანთი მშობლიური ადგილები დასტოვეს და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გადასახლდნენ. ამ გადასახლების მასშტაბს თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ „მცხოვრებთაგან თავისუფალი სოფლების“ რაოდენობა საქართველოს მარტო იმ ნაწილში, რომელიც „დავთარშია“ შეტანილი, 300-ს აღწევს!

იმ ძალადობას, რასაც თურქები დაპყრობილ მხარეში სწადიოდნენ, აღნიშნავს XVIII საუკუნის ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც, როცა იგი ამბობს, რომ დაპყრობილი მხარის წარჩინებულ ქართველთა წოდება თურქულ ენაზე გადავიდა, „დამჭირნეობისათვის ოსმალთა“ (იხ. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 131).

მაგრამ თურქი ხელისუფალნი პირდაპირი რეპრესიების გარდა, რასაც ქართველი მოსახლეობა სასონარკვეთილებამდე მიჰყავდა, მიმართავდნენ არაპირდაპირი ზემოქმედების ზომებსაც იმისათვის, რომ დაპყრობილი მოსახლეობა იძულებული გაეხადათ ხელი აეღო თავის საუკუნეობრივ ეროვნულ ტრადიციებზე. ეს იყო ეკონომიური ზეგავლენა, რაც გამოიხატებოდა აუტანელი გადასახადების შეწერით, რომლებითაც სპეციალურად დაბეგრეს არამუსლიმანი მოსახლეობა. იმავე „დავთარში“ არის მასალები, რომლებიც ახასიათებენ ხალხის ჩავერის ამ ხერხს. „დავთარის“ მიხედვით, მრავალ სხვა გადასახადს გარდა, არამუსლიმანი, ამ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობა იხდის კომლობრივ გადასახადს ეგრეთწოდებულ „ისფენჯეს“

25 ახჩის ოდენობით, რაც იმ დროის მიხედვით მძიმე ტვირთს წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ მოსახლეობისათვის, რომელიც თავდადებულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად და გალატაკებული იყო მომთაბარეთა ურდოების ხანგრძლივი თავდასხმებით. ამავე დროს კი, მუსლიმანი გაცილებით ნაკლებს იხდიდა: ევრეთნოდებულ „ბენაქს“ და „მუჯერეთს“, 18 ან 12 ახჩს. „დავთარში“ 127, 262, 274, 358, 365 და სხვა გვერდებზე მუსლიმის ყოველ სახელთან არის სპეციალური აღნიშვნა, რაც მოუთითებს იმაზე, რომ ეს პირი მუსლიმანია და ამიტომ შეღავათიან გადასახადს იხდის.

ასევე მკაცრი იყო თურქეთის პოლიტიკა თურქების მიერ დაპყრობილ მეორე სექტორში – ქანეთში (ლაზთა ქვეყანაში). დამპყრობი თურქების დაჟინებით მისწრაფებას – ჩაეხშოთ ლაზებში საუკუნეობით განმტკიცებული ეროვნული თვითმყოფობის ყოველგვარი გამოვლინება – ლაზები უპირდაპირებდნენ მტკიცე ეროვნულ თვითშეგნებას და, მოუხედავად სრული იზოლაციისა და მშობლიურ მინა-წყალს მონყვეტისა, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ლაზური ენა. ლაზებისადმი თურქების მხრივ ზიზლით აღსავსე და ეროვნულად შეურაცხმყოფ დამოკიდებულებას მონშობს თურქული ანდაზა: „ლაზლარინ თერმონი-მისლიმან იემზ ონი“, ე. ი. „ლაზური ფელაშუმში მუსლიმანს არ ექმევაო“ (ნ. მარი, თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვ. 627).

ფიქრობ, აქ უადგილო არ იქნება ცოცხა რამ ვთქვათ ლაზთა ტერიტორიული გავრცელების შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ლაზთა ქართველური ტომის ქვეყანა ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით სამსუნის ვილაიეთამდე ჩათვლით. ამის შესახებ ინგლისელი კონსულის ვიფორდ პალგრევის ანგარიში, რაც მოყვანილია აკადემიკოს ს. ჯანაშიას და აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სტატიაში (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1945 წ. 14 დეკემბერი) სხვა ფაქტითაც დასტურდება. საქმე ის არის, რომ მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში შავი ზღვის სანაპიროს ყველა თურქული დიალექტი, მათ შორის სამსუნის ვილაიეთის დიალექტებიც, უსაფუძვლოდ როდია ცნობილი „ლაზურ-თურქულის“ სახელწოდებით (გერმანულად – Lazisch – Türkisch, იხ. მაგალითად, პოლონელ პროფესორ ტადეუმ კოვალსკის სამიმოხილვო სტატია Enzyklopädie des Islam-ის IV ტომში, გვ. 996 და სხვ.). ცხადია, რომ ანატოლიის ამ ნაწილში ვაბატონებული ლაზური ენობრივი სუბსტრატი, ფრიად ქმედითი ფაქტორი იყო, რაც სპეციფიკურ ლაზურ ელფერს აძლევდა ლაზთა ამ ტერიტორიაზე ძალდატანებით გავრცელებულ თურქულ ენას.

ეს გარემოება მონიშნავს არა მარტო ლაშთა ტერიტორიულ გავრცელებას აღნიშნულ ფარგლებამდე, არამედ ლაზებისა და საერთოდ ქართველთა ტომების კულტურულ უპირატესობასაც დამყრობ თურქებთან შედარებით.

და მართლაც, ოსმალთა თურქები, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოიჭრნენ, ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდისათვის მომთაბარე ტომების ტიპიური ნარმომადგენლები იყვნენ. მცირე აზიისა და კავკასიის ცივილიზებულ სახელმწიფოებს რომ შეეფასნენ, ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მაღალი კულტურის მქონე ხალხებს. თურქებმა ჯერ ბიზანტია დაამარცხეს და შემდეგ ხელი მიჰყვეს საქართველოს, ჩამოაშორეს იგი ევროპას და გაბატონდნენ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დაპყრობილ ქართველთა ტომებს თურქებმა შემდგომი განვითარების გზა დაუბნეს და ფეხი მოიკიდეს ანატოლიაში, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა, რომ მათ არ განეცადათ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის კეთილმოყვანილი გავლენა. ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ფაქტებს არაერთხელ მიუპყრიათ ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. ცნობილია, მაგალითად, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ქართველებმა, მათ შორის ლაზებმაც, რომლებსაც იმ დროისათვის მაღალი სამინათმოქმედო კულტურა ჰქონდათ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გაავრცელეს, როგორც გარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ისე მინის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები. უეჭველია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა – სიმინდი ანატოლიის ამ ნაწილის თურქებმა ლაზებისაგან გადაიღეს. ამაზე მიუთითებს სიმინდის თურქული სახელწოდება – „ლაზოთი, ლაზუთი“, რაც ნიშნავს „ლაზურ მცენარეს“ (იხ. რედჰაუსი, თურქულ-ინგლისური ლექსიკონი, გვ. 1619, აჰმედ ვეფიკ-ფაშა, ლეხჯე-ი ოსმანი გვ. 748 და შრომა „სიტყვა Jazut-ის ნარმოშობისათვის“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში, ტ. V, № 2 გვ. 227).

აკადემიკოსმა ი. ა. ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ გამოარკვია, რომ მთელი რიგი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები (ჯუთანი, ჯილა) აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებმა ქართველებისაგან გადაიღეს (იხ. დასახელებული შრომა, I, გვ. 248 და სხვ.).

თურქების მიერ უსამართლოდ მიტაცებული სამცხის მხარე საქართველოსათვის იყო არა „განაპირა მხარე, არა პერიფერია, არამედ ცენტრი“ ქართული კულტურისა. ამ კულტურის შემოქმედნი, რომელთა

სახელებთანაც დაკავშირებულია ხალხური და ფილოსოფიური შემოქმედების შედეგები, სამხრეთ საქართველოდან წარმოსდგებოდნენ. აქვე იქმნებოდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ცნობილი შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მოსულ დამპყრობთა მიერ მოსპობის, დანგრევისა და აბუჩად აგდების საგანი გახდნენ. აკადემიკოსი ნ. ი. მარი, რომელიც ამ მხარეებში 1904 წელს მოგზაურობდა, ყველგან ხედავდა მატერიალური კულტურის ქართული ძეგლების „ულმობლად გაძარცვულ კედლებს“; ეკლესიები გადაკეთებული იყო მეჩეთებად. „მუეძინის ძახილი ბერთის საყდართან, ამბობს აკადემიკოსი ნ. მარი, ახლა მე იმდენად სევდის მომგვრელი არ მეჩვენება, რამდენადაც დაბისა და ჯმერქის ეკლესიების, სამონასტრო ტაძრების ახლანდელი უბადრუკი მდგომარეობა“ („მოგზაურობის დღიური“, გვ. 182). ისტორიის უკულმართობაზე, თურქთა ძალადობაზე აკადემიკოსი ნ. ი. მარი „მოგზაურობის დღიურში“ ამბობს: „სევდის მომგვრელი იყო ოდესღაც ცოცხალი ქრისტიანობის ბურჯზე ისლამის გამარჯვებული ხმის მოსმენა... იმათი ღვიძლი შვილები, ვინც ქრისტიანობის ეს ძეგლები ააგო, მიისწრაფოდნენ მალლა ტაძარში, რათა თავიანთი ლოცვა აღველინათ ისეთ ფორმებში, რაც უცხოა ბერთის მშენებელთათვის. სევდის მომგვრელი იყო ამის დანახვა, სევდის მომგვრელი იყო ამის მოსმენა“ (გვ. 182).

სურათი ნათელია. უაღრესად განვითარებული კულტურისა და აყვავებული ეკონომიკური კეთილდღეობის ქვეყანა გაპარტახებულ იქნა და „დღემდე გაყინულია გავლურებაში“. ამ ქვეყნის ასეთი სავალალო მდგომარეობა (მისი დაპყრობის შედეგად) მკაფიოდ დაახასიათა მისმა საუკეთესო მცოდნემ აკადემიკოსმა მარმა: „მალე (ქართველებისაგან მონყვეტის შემდეგ) ამ მხარეში ჩაიფერფლა და ჩაქრა ყოფილი ცხოვრების უკანასკნელი შუქი, და ახალი შუქი აღარ ამობრწყინებულა. მხარის კულტურული ცხოვრება ჩაკვდა. ადამიანი მოკვდა“ (ნ. მარი, ბათუმი – არტაანი – ყარსი, გვ. 47).

მაგრამ თურქთა ტყვეობაში მყოფ ქართულ მოსახლეობაში მუდამ იყვნენ პატრიოტთა ცალკეული ჯგუფები, რომელთა გულშიც ღვიოდა ჩაუქრობელი სიყვარული სამშობლოსადმი. ეს პატრიოტები, ამა თუ იმ საშუალებით, თაობიდან თაობას გადასცემდნენ მშობლიურ მეტყველებასა და მშობლიურ დამწერლობას. ერთეული როდი იყო იმის შემთხვევები, რომ ისმებოდა მიტაცებულ ტერიტორიებზე სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის შემოღების საკითხი. მაგრამ ასეთ ცდებს სულთნის მთავრობა

ყოველთვის ახშობდა. ცნობილია, თუ რა ბედი ეწია ლაშს ფაიკეფენდის, რომელმაც სცადა „გამოეგონებინა ქანური (ლაშური) ანბანი: იგი გადაასახლეს და საპყრობილეში ჩასვეს, მისი სახლი გაჩხრიკეს და მთელი მისი ნაშრომები და ნიგნები დასწვეს“ (ნ. მარი, მოგზაურობიდან, გვ. 626). მშობლიურ ენაზე დაბრუნების ასეთსავე ცდებს ეკუთვნის სტამბოლში ქართული ენის სახელმძღვანელოს გამოცემის ცდა. თურქეთის ქართველთა ჯგუფის ინიციატივით, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, ბავშვებისათვის ქართული ენის სასწავლებლად ქართველ კათოლიკეთა კოლონიამ სტამბოლში სახელმძღვანელო გამოსცა. მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ ძირშივე აღკვეთა ეს ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ქართული ეროვნული თვითშეგნების გალვიძებისაკენ.

თურქეთის ქართველთა სიყვარულს სამშობლოსადმი შემდეგი ფაქტიც მონაშობს: სტამბოლში შევხვდი ერთ შუახნის ქართველ მაჰმადიანს, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვრობდა და საქართველოში არასოდეს არ ყოფილა. მას თავისი მამისაგან ესწავლა ქართული კითხვა და მოუხერხებინა რამდენიმე ქართული ნიგნის წაკითხვა. მას აინტერესებდა საქართველო და მისი ისტორია და დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში წამოსულიყო. მე სავსებით დავრწმუნდი მისი სურვილის გულწრფელობაში, როდესაც მან ჯობიდან ამოიღო ქართული ნიგნი, აკაი ნერეთლის „რჩეული ლექსები“. რამდენიმე ლექსი მას ზეპირად დაესწავლა.

დღეს, როდესაც დემოკრატია უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე, რომელიც ხალხთა მონობასა და ჩაგვრას ქადაგებდა, – საქართველოს, ჩვენის აზრით, იმდენად ის კი არ სჭირდება, რომ დაამტკიცოს თავისი შურეველი უფლებები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მშობლიურ, მიტაცებულ მიწა-წყალზე, რამდენადაც ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე აღიმალლოს ხმა თავის სამართლიან პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ.

ამ პრეტენზიათა სამართლიანობა კარგად ცნობილია ობიექტურად მოაზროვნე კულტურული სამყაროსათვის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის და ყველაზე უკეთესად თვით თურქებისათვის, რომლებიც ასე უსახელოდ გამოვიდნენ დემოკრატიული ქვეყნების დიდი ომიდან კულტურისა და ჰუმანიზმის მტრების წინააღმდეგ. საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა არც იმდენად შორეულ წარსულში მომხდარა. თურქებმა ან მოსაქეს ან მშობლიური ადგილებიდან განდევნეს მთელი ხალხები. მაგრამ ქართველმა ხალხმა შესძლო არათუ შეენარჩუნებინა თავისი ფიზიკური

არსებობა და სახელმწიფოებრიობა, არამედ კიდევ გაეგრძელებინა მრავალსაუკუნოვანი კულტურით დაგვირგვინებული ტრადიციები თავისი წინაპრებისა, რომლებიც დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ სწორედ იმ პროვინციებში, ახლა რომ მონაწილე იყვნენ არიან საქართველოს. საქართველო სისხლხორცულად დაინტერესებულია ამ პროვინციების მიღებით და კიდევაც უნდა მიიღოს ისინი.

ს. ზიჟია

თურქეთის ნაციონალური რაიონების მკივა მდგომარეობის შესახებ

აკადემიკოსების ს. ჯვანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ისტორიულად დასაბუთებულ წერილში „თურქეთის მიმართ ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ ჩამოყალიბებულია ქართველი ხალხის სამართლიანი მოთხოვნა, რომ მას დაუბრუნდეს საქართველოს ძველისძველი ტერიტორიები, რომლებზეც ქართველ ხალხს ხელი არასოდეს არ აუღია და არც შეუძლია აიღოს. მიუხედავად თურქთა ბატონობის უზომო სიმძიმისა და მჩაგვრელთა მეცადინეობისა გაეთურქებინათ დამონებული ქართველი ტომები, ამ უკანასკნელებმა შესძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ინდივიდუალობა და თავიანთი ენა, ხოლო აქა-იქ თავიანთი რელიგიაც. ეს დასტურდება რუს და უცხოელ მეთვალყურეთა მრავალი დაკვირვებით, აგრეთვე ოფიციალური თურქული წყაროების აღიარებით.

ცნობილი ინგლისელი კონსული ტრაპიზონში ვ. ჯიფორდ პალგრევი ამტკიცებს, რომ „თურქულ ენას ისინი (ლაზები) ხმარობენ არა მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობაში, ერთმანეთს შორის კი მხოლოდდამხოლოდ მშობლიურ ქართულ ან მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ; სოფლებმა ხშირად სხვა ენა არც იციან“.

ქემალისტური თურქეთის დროის ლაზების შესახებ ძვირფას მასალებს იძლევა მ. ვ. ფრუნზე, რომელმაც 1921 წელს იმოგზაურა ანგორაში. აღსწერს რა ტრაპიზონში ყოფნას, ფრუნზე ამბობს:

„შემდეგ ვხვდებით ლაზებს. ეს თურქეთის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის სოფლის მოსახლეობის მთავარი მასაა. ისინი გამოირჩევიან იმით, რომ თავზე ხურავთ ყაბალახი, რომელიც მოხვეული აქვთ დოლბანდივით... ლაზები გათურქებული ქართველები არიან“.

შენიშვნაში კი ნათქვამია:

„ლაზები არიან ძლიერ გათურქებული ქართველები, რომელთაც თუშ-ცალა შეუნარჩუნებიათ თავიანთი ენა (რამდენადმე დამახინჯებული), მაგრამ გამუსლიმანებულან“¹.

¹ Фрунзе М. В, собр. Сочинений т. I, стр. 278, 611, М. Л. 1929.

1867 წლის „Кавказский календарь“-ში ვკითხულობთ:

„მათ (ე. ი. ლაზებს) თავი ქართველ ტომად მიაჩნიათ და ერთმანეთში ყველანი ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. თურქული მათ ძალიან ცოცხად და ცუდად იცინა“².

ქ. სადოგუკი 1866 წელს სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ სწერდა:

„მოუხედავად ძლიერი გათურქებისა, მოსახლეობაში მაინც დარჩენილა ამბავი, რომ ისინი გურჯები ანუ ქურჯების შთამომავალნი არიან. თუმცა ისინი მისდევენ თურქულ ადათს. ჰყარგავენ გვარს და იწოდებიან მამის ან პაპის სახელით, მაგრამ ამჟამად ახსოვთ თავიანთი ქართული გვარები და ბევრ მათგანს, თურქული სახელის გარდა, ქართული გვარიცა აქვს“³.

თურქეთში მცხოვრებ ქართველ ტომთა რელიგია ისლამია. მაგრამ ბევრი ავტორიტეტული წყარო აღნიშნავს, რომ ლაზების მაჰმადიანურ რელიგიაში შენარჩუნებულია მრავალი ქრისტიანული ზნე-ჩვეულება (პ. მარენცა)⁴. გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ანდრიევსკი სწერს, რომ მუსლიმანი ქართველები თურქებისაგან იმით განირჩევიან, რომ მრავალცოლიანობას არ სცნობენ⁵. სხვა წყაროები აღნიშნავენ, რომ ლაზები მისდევენ შარიატის მიერ აკრძალულ მელეინეობას, რომ ლაზისტიანის ბევრ ადგილას ყველაზე საპატიო დღეს ახლაც წარმოადგენს თეთრი გიორგის დღე, რაც დროის მიხედვით გიორგი ძლევაშოსილის ქრისტიანულ დღესასწაულს ემთხვევა, რომ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში დღემდე დარჩენილა ასეთი ჩვეულება: ამალეების დღეს გორაკზე ადიან და შეღებილ კვერცხებს აგორებენ. დასასრულ, გ. ყაზბეგი აღნიშნავს, რომ თურქეთის საქართველოში დარჩენილა ზოგიერთი ოჯახი, რომელიც აშკარად აღიარებს ქრისტიანობას. არის ფარულ ქრისტიანთა ოჯახებიც. მაგალითად, ფარხლის ტაძრის მომიჯნავე ქართულ სოფელში 80-მდე ასეთი ოჯახი იყო. ქრისტიანთა კრებულს საკუთარი მღვდელი ჰყავდა, რომლის წოდებაც მეძვიდრეობით რჩებოდა ლიბრაძეთა გვარს⁶.

² Кавказский календарь на 1867 год, изд. по распоряжению Наместника на Кавказе. стр. 4046 Тифлис, 1866.

Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, выпуск пятый, изд. Упр. Кавказ. Учеб. Округа, стр. 41, Тифлис, 1886 г.

Кавказский календарь на 1867 г., стр. 404, Тифлис, 1866.

Кавказско-Турецкий район. Сост. Ген. шт. подп. Андриесвский, стр. 135, Тифлис, 1908.

Казбек Г. И. Три месяца в Турецкой Грузии. стр. 124, Тифлис, 1875.

თურქეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობს მიაფუჩეჩოს თანამედროვე ეროვნული პრობლემები. შავი ზღვის ნაპირას ძალიან დიდხანს არსებობდა ვილაიეთი, რომელსაც ჰქონდა ლაზური სახელწოდება ჯანკი - ჭანთა, ე. ი. ლაზთა ქვეყანა. თურქებმა ვილაიეთის ეს სახელწოდება შესცვალეს „სამსუნით“ ქალაქ სამსუნის სახელის მიხედვით.

ამვე დროს თურქები ცდილობდნენ გაეძლიერებინათ შუღლი ჩერქეზებსა და ლაზებს შორის, ლაზებსა და ქურთებს შორის, ლაზებსა და სომხებს შორის, ლაზებსა და ბერძნებს შორის. ლაზური რაიონების გასათურქებლად ლოზანის ხელშეკრულებით ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან რეპატრიირებული მრავალი თურქი ტრაპიზონში გადაასახლეს⁷. 1934 წელს, ლაზების განმათავისუფლებელი მოძრაობის შიშით, თურქებმა ლაზები თურქეთის შიდა რაიონებში გადაასახლეს. მშობლიური ადგილებიდან შიდა თურქეთში ქართველ ტომთა მასობრივი გადასახლება მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა თურქეთს ჩვენს ტერიტორიებზე ეჭირა თვალი.

* * *

ძალიან ძნელია თურქთა ბატონობის ქვეშ მცხოვრებ ქართველთა რიცხვის ზუსტად განსაზღვრა. სატუნინი თავის „Очерки природы Кавказа“-ში (VIII – По черноморскому побережью, 1911 г.) ლაზთა საერთო რიცხვს განსაზღვრავს 160 ათასი კაცით; ყაზბეგი თავის ნაშრომში „Три месяца в турецкой Грузии“ – 100 ათასიდან 180 ათასამდე კაცით; ლიოზენი ნაშრომში „Берег русского Лазистана“ – 66 ათასი კაცით; 1867 წლის „Кавказский календарь“ – 72 ათასი კაცით. პ. შუბინსკი 1911 წელს აღნიშნავდა, რომ ტრაპიზონში ლაზების ნილად ორი მესამედი მოსახლეობა მოდიოდა⁸.

თურქეთის სტატისტიკა 1914 წელს 180 ათასი კაცით განსაზღვრავდა ლაზების რიცხვს, ვ. აბოლტინი – 200 ათასი კაცით. ამვე ციფრს იძლეოდა თურქეთის 1927 წლის აღწერის წინასწარი მასალებიც. დ. ი. კორვინელები დნიცკომ თურქეთში ქართველთა რიცხვი 700 ათასი კაცით განსაზღვრა. მ. ვ. ფრუნზე თავის ნაშრომში „Поездка в Ашгору“ ლაზების რიცხვს ნახევარი მილიონი კაცით განსაზღვრავს⁹.

⁷ Страны Ближнего и среднего Востока, стр. 28, ОГИЗ, 1944.

⁸ Шубинский П. Гробница имперетинского царя Соломона в Трапезунде. Истор. Вестник, стр. 278, 1913.

⁹ Фрунзе М. В. Собр. Соч. т. I, стр. 278, М. Л, 1929.

ვ. ჯიფორდ პალერევის მასალებისა და მეფის დროის ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე მოსახლეობის საშუალო მატების გათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ჩვენ მოვახდინეთ თურქეთში ქართველი მოსახლეობის რიცხვის მიახლოებითი გამოანგარიშება. ამ გამოანგარიშების მიხედვით, მიუხედავად ქართული რაიონების სასტკიკი გათურქებისა და გადასახლებისა, 1940 წელს მაინც დაახლოებით სულ ცოტა 500-600 ათასი კაცი მოდიოდა ქართველ მოსახლეობაზე, მათ შორის ლაზებზე – 290 ათასი კაცი. ამრიგად, თურქეთში ქართული მოსახლეობის შესახებ ყველაზე სარწმუნო ციფრი მოცემული აქვთ ფრუნზესა და ველენციკის.

* * *

როგორც სწორად აღნიშნავს კენტერბერიის ტაძრის მოძღვარი დოქტორი პოულტ ვონსონი, ქემალისტები ეროვნული რაიონების ეკონომიკურ განვითარებას „განზრახ აბრკოლებდნენ“¹⁰. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ქემალისტებს ეშინოდათ სოციალური ძალების განვითარებისა იმ რაიონებში, რომლებიც თურქეთის ხელში ყოფნის ისტორიული უსამართლობა აქარა იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ თურქეთში სახელმწიფო სახსრებით ამუშავდა მრავალი სამრეწველო საწარმო, რის შედეგადაც ფაბრიკა-ქარხნების მონყობილობის ღირებულება 1936-დან 1941 წლამდე 65 პროცენტით გადიდა, შენობების ღირებულება – 70 პროცენტით, სამუშაო კაცდღეთა რაოდენობა – 90 პროცენტით და ძრავების სიმძლავრე – 142 პროცენტით¹¹. ამავე ხნის განმავლობაში თურქეთის ნაციონალურ რაიონებში აგებულ იქნა მხოლოდ ერთი ფაბრიკა... რძის ფებნილისა ყარსში.

ეკონომიური განვითარების განზრახ შეფერხების იმავე პოლიტიკას ახორციელებდნენ სოფლის მეურნეობის დარგშიც. მაშინ როცა თურქეთის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში, მართალია წელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, ნაციონალური რაიონები, რომლებშიც ფეოდალური ნაშთები მეტად ძლიერი იყო, საშინელი დეგრადაციის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა იმან, რომ მკვიდრნი გადაასახლეს და შესცვალეს მოსული ელემენტებით, რომლებსაც სოფლის მეურნეობის წარმოების ჩვევები არა ჰქონდათ და კულტურული განვითარების მხრივ უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ.

¹⁰ საკლესი, 28. VI, 1945 წ.

¹¹ İstatistik yilliqı, 1942-43, vol 14, pp. 201, 202, Ankara, 1944.

თურქეთის სტატისტიკის ოფიციალური ცნობები ერთგვარ წარმოდგენას იძლევიან ამ საშინელ დეგრადაციაზე. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოსავალი თურქეთის ნაციონალურ რაიონებში 1939-დან 1942 წლამდე 61,4 პროცენტით შემცირდა¹², კერძოდ ქოროხის ვილაიეთში (რომელიც მოიცავს ართვინის ოლქს და ბათუმის ოლქის სამხრეთ სექტორს) 67.813 ტონიდან 7.293 ტონამდე (9-ჯერ), გიუმიუშხანეში – 180.058 ტონიდან 88.359 ტონამდე, რიზეში – 40.683 ტონიდან 22.862 ტონამდე. ტრაპიზონში – 67.947 ტონიდან 31.885 ტონამდე¹³. ცნობილი ტრაპიზონული თამბაქოს მოსავალიც კი 3,7 ათასი ტონიდან 2,8 ათას ტონამდე შემცირდა. პირუტყვის რაოდენობა ნაციონალურ რაიონებში 21 პროცენტით შემცირდა და სხვ¹⁴. ეკონომიურად ნაციონალური რაიონები ქემალისტებმა ნახევარი საუკუნით დასნიეს უკან.

ქვემოთ მოგვყავს შედარებითი ცნობები თურქეთის ხელში გადასული რაიონების ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესახებ ქემალისტებისა და ცარიზმის დროს. ამასთან ქემალისტების პერიოდისათვის ციფრები აღებული გვაქვს ქემალისტური ოფიციალური სტატისტიკიდან „I statistik yilliqı, 1942-43, vol. 14, Ankara, 1944“, ხოლო ცარიზმის დროის პერიოდისათვის ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მასალებიდან და მეფის გუბერნატორთა უქვეშევრდომილესი ანგარიშებიდან. ამ მასალების საფუძველზე უნდა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. მოსახლეობის რიცხვი 1940 წელს (ე. ი. ქემალისტების დროს) ნაკლები იყო, ვიდრე 1915 წელს (ე. ი. ცარიზმის დროს).

2. ნათესი ფართობი 1927 წელს ნაკლები იყო, ვიდრე 1885 წელს.

3. სასოფლო-სამეურნეო მანქანების რიცხვი 1940 წელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა 1911 წლისას.

4. საშუალო მოსავლიანობა ნაკლები იყო, ვიდრე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში.

5. ხორბლის, ქერის, ოსპის და სხვა კულტურების მოსავალი 1942 წელს 1896 წლის დონეზე ნაკლები იყო.

6. თამბაქოს მოსავალი ართვინის ოლქში 1930 წელს 1902 წლის მოსავალს უდრიდა.

7. სამრეწველო წარმოება და მუშათა რიცხვი 1930 წელს უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1898 წელს.

¹² გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ 1942-43 წლის „I statistik yilliqı“-ის მასალების საფუძველზე. vol 14, pp. 144-155, Ankara, 1944.

¹³ Ibid ..144-155.

¹⁴ Ibid... 176-181

8. ჭაბუკეცილები 1939 წლამდე ძირითადად ცარიზმის დროისა დარჩა.

9. ნერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი 1931-32 წელს ნაკლები იყო, ვიდრე 1897 წელს და მხოლოდ 1935 წელს გაუთანასწორდა ამ უკანასკნელს.

10. ექიმთა რაოდენობა ნაკლები იყო, ვიდრე 1885 წელს და სხვა და სხვა.

თურქეთის ნაციონალურ რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის საქმის დაყენების თაობაზე განეთი „Kars“-ი სწერდა:

„ბევრ სოფელში გლეხები ჯერ კიდევ ექიმბაშებთან მკურნალობენ ავადმყოფებს. ექიმბაშები ხმარობენ მკურნალობის პრიმიტიულ, აშკარა მანე მეთოდებს – ეს წარსულის ცრუმორწმუნეობის ნაშთია. ხოლო თუ იმის შესაძლებლობა არა აქვთ, რომ ექიმს მიმართონ, უნდა მიმართონ სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულთ, რომლებსაც ცოტა რამ მაინც გაეგებათ პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საქმეში“¹⁵.

საინტერესოა შევადაროთ ეს ცნობები, რომლებიც თურქეთის ნაციონალურ რაიონებს შეეხება, ცნობებს, რომლებიც შეეხება მთელ თურქეთს, რათა მივხვდეთ ნაციონალურ რაიონებში წარმოებულ ჩაგვრის თურქულ პოლიტიკას:

პროფესია	თურქეთის მასშტაბით ¹⁶ (პროცენტობით)	ნაციონალურ რაიონებში (პროცენტობით)
მრეწველობაში მომუშავენი	4,1	1,05
ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებში მომუშავენი	0,8	0,06
თაღისუფალი პროფესიების პირები და მოხელეები	2,5	0,7

სახალხო განათლების ხაზით აღვნიშნავთ, რომ ნაციონალური რაიონების წილად, რომლებიც ფართობის მიხედვით შეადგენენ თურქეთის მთელი ტერიტორიის 30 პროცენტს, ხოლო მოსახლეობის რიცხვის მიხედვით – 20 პროცენტს, მოდის მთელი დანაწილებითი სკოლების მხოლოდ 10 პროცენტი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა 9 პროცენტი¹⁷. ნაციონალური რაიონების საქალაქო ელექტროდანადგართა სიმძლავრემ 1942 წელს

¹⁵ „Kars“, 20, VI 1633

¹⁶ İstatistik yilliqı, 1942-43, p.51, Ankara, 1844.

¹⁷ İstatistik yilliqı, 1931-32, pp. 150-154, Ankara, 1933.

შეადგინა მთელი თურქეთის მასშტაბის საქალაქო ელექტროდინამოგართა სიმძლავრის 2,5 პროცენტი, პროდუქციამ – 2 პროცენტი, აბონენტების რიცხვმა – 3,4 პროცენტი¹⁸. აი ნათელი სურათი თურქეთის ნაციონალურ რაიონებში ეკონომიკური და კულტურული მოღონების პოლიტიკისა, რასაც შეგნებულად ენევიან.

თურქეთის ნაციონალური რაიონების ეკონომიურმა და კულტურულმა ჩამორჩენილობამ თავი იჩინა ამ რაიონების მოსახლეობის პროფესიულ შემადგენლობაშიც: 94 პროცენტი მოდის მინის-მუშებზე, ერთი პროცენტი მუშებსა და ხელოსნებზე, ამდენივე ვაჭრებზე, 0,7 პროცენტი ინტელიგენციანზე და 2 პროცენტი სამხედროებზე¹⁹. ინგლისური წყაროების ცნობებით, თურქეთის ნაციონალურ რაიონებში მეურნეობათა მთელი რაოდენობის 40 პროცენტს შეადგენენ ერთ ჰექტარზე ნაკლები ფართობის და ამდენსავე 1-დან 5 ჰექტარამდე ფართობის მეურნეობანი. ამ ჩია მეურნეობებთან ერთად არსებობენ ვეებერთელა მემამულური მინათმფლობელობანი. თურქეთის ახალ აგრარულ კანონში ნათქვამია, რომ დიდ მამულად ითვლება 500 ჰექტარზე მეტი, საშუალოდ – 500 ჰექტარამდე, წვრილად – 50 ჰექტარამდე²⁰. რალა უნდა დაერქვას იმ ჩია, ერთ ჰექტარზე ან 5 ჰექტარზე ნაკლები ფართობის მეურნეობებს, რომლებიც თურქეთის ნაციონალური რაიონების ყველა მეურნეობათა 80 პროცენტზე მეტს შეადგენენ!

ჯერ კიდევ 1936 წლის 29 დეკემბერს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სხდომაზე ისმეთ ინენიუ (თურქეთის ახლანდელი პრეზიდენტი) ამბობდა, რომ გლეხობის თითქმის ნახევარს ყველაზე მდიდარ რაიონებშიც კი მინა არა აქვს.

თურქული გაზეთი „Ieni Asir“ 1945 წელს სწერდა:

„მეტი ნილ ვილაიეთებში... ჩვენი გლეხობის ცხოვრება პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებისაგან არ განსხვავდება. ისინი საქონელთან და შინაურ ფრინველთან ერთად ცხოვრობენ უბადრუკ ქონმახებში, ან პირდაპირ ორმო-გამოქვაბულებში“²¹.

გლეხობის უბედურებასა და სილატაკზე, თვით თურქეთის პრეზიდენტი ისმეთ ინენიუს აღიარებით, თავიანთ სიმდიდრეს აშენებენ პარანიტიები.

„ჩვენ მწუხარებით უნდა მოგაგონოთ, – განაცხადა ისმეთ ინენიუმ, – რომ მთავრობის ღონისძიებანი ორი წლის განმავლობაში ... ვერავითარ

¹⁸ Ibid.. pp. 329, 330, 331, 333.

¹⁹ İstatistik yilliqı, 1942-43, pp. 64-66, Ankara, 1933.

²⁰ „Ulus“, 17. VI. 1945.

²¹ „Ieni Asir“, 13. I. 1945.

დახმარებას ვერ აპოვებენ საზოგადოების ერთი ნაწილის მხრივ... ძველი მეფასზე, ყალბადანდი და გაიძვერა, რომელიც მძიმე დროებას იყენებს, ვაჭარი, ეს სპეკულანტი, რომელიც, თუ შესძლებდა, ჰაერიოთაც კი ივაჭრებდა, რამდენიმე პოლიტიკანი, რომლებიც ყოველგვარ სიძნელეს უყურებენ როგორც გამდიდრების მარჯვე შემთხვევას ... ცდილობენ ხელაყონ დიდი ხალხის ცხოვრება“²².

აი იმათი ავტორიტეტული დახასიათება, ვისი უღელიც სრულ სულიერ გადაგვარებასა და ფიზიკურ მოსაპობას უქადის ქართველ ტომებს, რომლებიც ისტორიულმა ვითარებამ მშობლიურ კერას მოსწყვიტა.

გასაგებია, რომ ქართველ ხალხს არ შეუძლია გულგრილად უყუროს თავისი ღვიძლი ძმების საშინელ მდგომარეობას. მას სურს აზიაროს ისინი იმ თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც ქართველ ხალხს საბჭოთა ხალხების ოჯახში აქვს.

დ. ზაპრიაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

²² “République”, 2. X1. 1942.

მოვითხოვთ თურქების მიერ დამონებული ჩვენი ღაბისა და ქაბის განთავისუფლებას

ბევრი მწარე, მძიმე განსაცდელი ახსოვს ქართველი ხალხის – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურული ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. აჭარამაც, საქართველოს ამ განუყოფელმა ნაწილმა, უწომოდ მძიმე ტანჯვა და ვაება განიცადა. ამ შესანიშნავ მხარეს დიდხანს ვიჯგუნიდნენ და აპარტახებდნენ მრავალი ჯურის ბარბაროსები, რომელთა შორის თავისი ველური წესებითა და დესპოტიზმით განირჩეოდნენ ოსმალო-თურქები.

თურქები ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თავიანთ აუტანელ, სისხლიან რეჟიმს. ხალხისათვის მათ მოჰქონდათ სიკვდილი, განადგურება, აოხრება, გადასახლება. ისინი კრძალავდნენ ოჯახებშიაც კი ქართულ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკს, ქართველებს უცვლიდნენ სახელსა და გვარს თურქულ სახელსა და გვარზე. სდევნიდნენ რა ყოველივე ქართულს, თურქებს ამით სურდათ ქართველები სავსებით გაეთურქებინათ.

თურქმა დამპყრობლებმა როგორც საერთოდ სამხრეთ საქართველოში, ისე კერძოდ აჭარაშიც დაანგრიეს ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუშები: ტაძრები, მონასტრები, დასწვეს და გაანადგურეს კულტურის ძეგლები, ფერფლად აქციეს ქართული წიგნები და ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტები, ხელოვნების ნიმუშები.

„1859 წელს ოსმალოს სულთანმა ირადე გამოსცა, რომლის ძალით სამუსულმანო საქართველოში დასწვეს და დახიეს სამი ათასზე მეტი ქართული წიგნი“ (ზ. ჭიჭინაძე. აჭარის ისტორიის კონსპექტი, გვ. 24).

ხალხს დღესაც ახსოვს, რომ თურქი მოხელეები დიდი ფორმატის ქართულ წიგნებს, რომელთა გარეყდა ტყავისა იყო, ჰგლეჯდნენ, სწავდნენ, ხოლო ტყავისაგან ქალამნებს იკერავდნენ.

აჭარაში თურქების ბატონობის დროს მოსახლეობა საშინელი უმეცრების ბურუსში გაეხვია. აქ მაშინ მხოლოდ მაჰმადიანური რელიგიური განათლება იყო, რომელიც ვრცელდებოდა სასულიერო სკოლების, ე. წ. მედრესეების საშუალებით. მედრესეებში ახალგაზრდობის „სწავლა-აღზრდას“

ენოდნენ მოღობი, რომლებმაც ხშირად თვითონაც არ იცოდნენ ხეირი-ანად წერა-კითხვა. ისინი სრულიად გაუგებარ არაბულ სიტყვებს და მითი-ურ ზღაპრებს ძალით აჩრიდნენ პირში მოსწავლეებს. „მედრესეებთან მი-ახლოებისას შორით ისმოდა რაღაც გოდების მსგავსი საშინელი ხმაური. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვები იზეპირებენ ანბანს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ გამონაკლისი თუ სწავლობდა წერა-კითხვას“. (Френкель А. С. «Очсрк Чуруксу и Батума», Тифлис, 1879 г.)

მედრესეებში გამოყენებული იყო ფიზიკური სასჯელის ყოველგვარი სახე. თურქეთის მიერობა, მუსლიმანური რელიგიის საფარქვეშ, მედრესეების საშუალებით სობდა ყოველივეს, რაც ქართული იყო, და წერგავდა თურქულ ენასა და თურქულ ზნე-ჩვეულებას.

თურქების მიერ მოტანილმა უმეცრებამ და ველურმა ადათებმა კიდევ უფრო მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა აჭარელი ქალი, რომელიც გაეხვია შვე სუდარაში – ჩადრში და მამაკაცის მონად და გასართობ საგნად იქცა.

სანარმოო ძალით განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომმა თურქებმა ჩვენს მხარეში სრულიად მოსაქეს სოფლის მურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მევენახეობა, მეპრეშემეობა და სხვ., მოშალეს ქალაქები, შეაჩერეს მათი განვითარება. აჭარის უალრესად მდიდარი და თვალწარმტაცი ზღვის სანაპიროები ეკალ-ბარდით, მამბნარებით და ქაობებით დაიფარა. გაჩნდა მალარიის კერები.

„ეს საუცხოო სანაპირო ზოლი ყოველთვის როდი წარმოადგენდა მალარიის შხამის კრას. იყო დრო, როცა ის ცხოვრების უფრო ხელსაყრელი პირობებით ხასიათდებოდა; მისი გაუარესება, დაჭაობება თურქეთის სამასწლიანი ბატონობის დროს მოხდა... ამავ დროს უეჭველია, რომ თურქეთის აქ გაბატონებამდე მოსახლეობა გაცილებით უფრო ხშირი იყო და იმყოფებოდა უფრო კულტურულ მდგომარეობაში, რასაც მონშობს ძველი დასახლების, ხიდების, სხვადასხვა ნაგებობათა მრავალრიცხოვანი ნაშთები“. („Батум и его окрестности“, И. А. Веру, Батум, 1910 г.)

ამრიგად, თურქეთის მიერ დაპყრობილი აჭარა და მთელი სამხრეთი საქართველო ეკონომიურად გაპარტახდა, ხოლო მისი კულტურული ცხოვრება სრულიად ჩაკვდა.

ყოველივე ეს ხალხში იწვევდა დამპყრობლებისადმი უსაზღვრო ზიზლსა და სიძულვილს, მაგრამ მათ, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, ახრჩობდნენ, თავს ჰკვეთდნენ, ხიდებიდან მდინარეში ჰყრიდნენ, კლდეებიდან აგდებდნენ, ქალებს ტუტეებს აჭრიდნენ.

თურქი დამპყრობლები აწარმოებდნენ ტყვეებით ვაჭრობას, ძალით იტაცებდნენ ქალიშვილებსა და ვაჟებს, მიჰყავდათ თურქეთის ბაზარზე და პირუტყვივით ჰყიდდნენ. ამავე დროს აჭარიდან თურქეთის ფაშები ახდენდნენ თავდასხმებს გურიანზე, სამეგრელოზე, იტაცებდნენ ახალგაზრდებს და მონებად ჰყიდდნენ სტამბულში, აფრიკაში, სირიაში.

მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც დიდი ხანი დაჰყო საქართველოში, მოგვითხრობს თურქ სატრაპებსა და მათს თარეშზე სამეგრელოში. ის ამბობს: „... ყველა ოჯახს, საცა ოთხი ბავშვი იყო, ერთი გამოართვა. ძალიან საცოდავი სანახავი იყო, როცა სანყალ ბავშვებს ჰგლეჯდნენ დედებს ხელიდან, გადააბამდნენ ორ-ორს ერთმანეთზე და მიჰყავდათ ოსმალებთან“. (ჟან შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“, გვ. 35, 1935 წელი).

ცნობილია, რომ ბათუმში მყოფ მუჰამედ ფაშას 1856 წელს ბათუმიდან სტამბოლს გაუგზავნია გასასყიდად გურული ქალ-ვაჟებით დატვირთული გემი.

თურქები შორეულ პროვინციებში ასახლებდნენ იმ ქართველებს, რომლებიც არ ურიგდებოდნენ მათს აუტანელ რეჟიმს და იბრძოდნენ ამ რეჟიმის წინააღმდეგ, ხოლო დამნაშავე თურქებს ჰგზავნიდნენ და ასახლებდნენ სამხრეთ საქართველოში. უკანასკნელნი აქ ყოველგვარ საზიზღრობას სჩადიოდნენ და ხალხს ავიწროებდნენ.

უფრო გვიან, XIX საუკუნეში, თურქმა დამპყრობლებმა მრავალი ქართველი აჭარეს თავისი მშობლიური მინა-წყლიდან და გადაასახლეს შორეულ უდაბურ ადგილებში, სადაც ისინი მასობრივად იხოცებოდნენ. ასე, მაგალითად, ჩაქვის ხეობიდან გადასახლებულ იქნა 1 000 კომლი. მარტო მერისიდან, სადაც 700-მდე კომლი ითვლებოდა, გადასახლეს 600 კომლი. ბათუმისა და მის ახლო მდებარე რაიონებიდან თურქებმა გადასახლეს 20 000-ზე მეტი ქართველი.

პროფესორ მ. ჯანაშვილის ცნობით, XVIII საუკუნიდან აყრილ და ბრუსას, სამსუნსა და სხვა ადგილებში მთელი მესხეთიდან გადასახლებულ იქნა ნახევარ მილიონამდე კაცი, რომლებსაც აქ, ადგილებზე ხელი ვერ ააღებინეს ქართველობაზე. მრავალი ქართული სოფელი დაცარიელდა და გავერანდა ამ გადასახლების შედეგად.

მიუხედავად დენისა, შვეიცარიებისა, ანიოკებისა და გადასახლებისა, აჭარლები განაგრძობდნენ შეუდრეკელ ბრძოლას ქართული, ეროვნული კულტურის დაცვისა და თავიანთი მინა-წყლის შენარჩუნებისათვის.

მრავალმა აჭარულმა დასდო თავი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მრავალმა აჭარულმა შესწირა თავისი სიცოცხლე ეროვნული განთავისუფლების საქმეს. XVIII საუკუნეში ქართველი პატრიოტი – სულეიმან ფაშა ნიბაძე მისთვის თავის მოკვეთის წინ საჯაროდ აცხადებს: „მე მუსლიმანი ვარ, მიყვარს ისლამი და მასთან მიყვარს ჩემი მამა-პაპის ენა, სამშობლო ქვეყანა და ჩემი ძმანიო. შეიძლება სამ ძმაში ერთი მუსლიმანი იყოს და ორი კიდევ სხვადასხვა სჯულისანი, მაგრამ სამივეს კი თავიანთი სამშობლო და დედაენა უნდა უყვარდესო“ („ბათუმის გაზეთი“, 1911 წ., № 21).

ასეთივე ბედი ეწია სამშობლოსათვის თავდადებულ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს: „... ბაბა ფაშამ ხელთ იგდო ოტომანთა სულთანის წინააღმდეგ ამბოხებული სელიმი, თავი მოჰკვეთეს მას და სტამბოლში გაუგზავნეს სულთანს“. (Акты Арх еографической комиссии, том V, стр. 828, 1873 год. Тифлис).

თავის მოკვეთის წინ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილმა რწმენით განაცხადა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ ჯურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დაუფტოვებო“. სელიმ ფაშას ოცნება მუდამ ის იყო, რომ სამუსლიმანო საქართველო შეერთებოდა დედა-საქართველოს. იგი სწერდა ამიერკავკასიის მთავარმართებელს: „მე თქვენთან ომი და თქვენგან დაშორება არ მინდა, არამედ მენატრება, რომ თქვენის ვარის დახმარებით მთელი ამ ჩვენსი ჯურჯისტანის ადგილები ჩამორთმეული იქნეს ოსმალეთისაგან და იგი გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ის ათაბეგის დროს იყო“ („ბათუმის გაზეთი“, 1911 წელი, № 134).

XIX საუკუნეში ცნობილია 1813, 1815, 1830, 1845 და 1852 წლების მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი სახალხო გმირები: დვალიძე, კიცნაძე, ცეცხლაძე, ბერიძე, ჩახალოღლი და სხვები.

აჭარისა და ლაზეთის მებრძოლ პატრიოტებს თურქეთის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა. „ლაზისტანში 1826 წელს თავი მოჰკვეთეს მემიშალა ტუსეჯიოღლის, ხოლო მისი მომხრენი დარჩიოღლი, ქუჩუოღლი, ლელოღლი და სხვები დაპატიმრებულ იქნენ; სურმენის, ოფის და გონიოს აჯანყებები კი ჩაქრობილ იქნა“ (გაზეთი „Южная Речь“, № 31, 28 ოქტომბერი, 1917 წ.).

მოუხედავად იმისა, რომ სამასი წლის მანძილზე აჭარა მონყვეტილი იყო საქართველოს, აჭარლებს არ გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ ქართველ ხალხთან.

თურქთა ბატონობის დროს დამონებულია, აოხრებულმა და საშინელ უმეცრებაში მყოფმა აჭარამ მხოლოდ მაშინ დაიწყო თავისუფალი და ადამიანური ცხოვრება, როცა შეუერთდა დედა-სამშობლოს – საქართველოს. აჭარას მხოლოდ საბჭოთა საქართველოს მშობლიურ კალთაში მიეცა საშუალება ეკონომიური და კულტურული აღორძინებისა. თურქების დროს მალარიის შხამით აშმორებული აჭარის მინდორველები დღეს აბიბინებულია ნარინჯოვან და სხვა ძვირფას კულტურათა ბაღნარებით. ჰყვავის და იფურჩქნება აჭარის სოფლები და ქალაქები. დღეს ის დაფარულია სკოლების, თეატრების, მუზეუმების, კლუბებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით.

აჭარას აქვს უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ატარებს უკვდავი შოთა რუსთაველის სახელს, და მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები. აჭარას ჰყავს მშობლიური საქართველოს ნიაღში აღზრდილი მაღალი კვალიფიკაციის მქონე მრავალი სპეციალისტი – ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერი მუშაკები, მსახიობები, მწერლები და სხვ.

აჭარელი ქალი, რომელიც წინათ წყვიდადში იყო გახვეული და შზის სხივს ნატრობდა, დღეს თავისუფალი და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

დღეს, როცა დედა-სამშობლოში ადრევე დაბრუნებული აჭარლები თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობენ, თურქეთის უღელქვეშ მოქცეული ჩვენი ძმები: არტანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმშიშხანეს, ტრაპიზონის, გირესუნის და სხვა რაიონების ქართველები თურქი მოხელეებისგან გაუგონარ დევნას, შევიწროებას, ჩაგვრასა და დამცირებას განიცდიან.

თურქეთი ჩვენდამი მუდამ ვერაგული ზრახვებით იყო შეპყრობილი. მის განზრახვას ყოველთვის წარმოადგენდა მთელი საქართველოს ხელში ჩაგდება და სამუდამოდ დაპყრობა. სამამულო ომის პერიოდშიც, როცა ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანიის მხარეზე იყო, ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რათა ქართველი ხალხისათვის ზურგიდან ჩაეცა სასიკვდილო ლახვარი.

საქართველომ და მისგან განუყოფელმა პატარა აჭარამაც სახელოვანი წვლილი შეიტანეს დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რითაც მოიპოვეს

კანონიერი უფლება მოითხოვონ თურქეთის მიერ ძალმომრეობით წაგლე-
ვლილი ტერიტორიების დაბრუნება – სამხრეთ საქართველოს შემოერთება
დედა-სამშობლო საქართველოსთან.

ჩვენ მოვითხოვთ თურქეთის მიერ ძალით მიტაცებული საქართველოს
მინა-წყლის დაბრუნებას.

მოვითხოვთ თურქების მიერ დამონებული ჩვენი დებისა და ძმების
განთავისუფლებას.

ნადიმ ნიჟარაძე, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოცენტი.

ჯემალ ნოღაიძელი, ბათუმის პედაგოგიური
ინსტიტუტის დოცენტი.

მამად სტამბოლიშვილი, ბათუმის პედაგოგიური
ინსტიტუტის დოცენტი.

ხუსაინ ახვლედიანი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის
უფროსი, მეცნიერი მუშაკი.

თურქეთის მიერ მიტაცებული ჩვენს მინაზა

1

ამ რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნდა ორი წერილი თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების შესახებ, ერთი აკადემიკოსების ს. ვანაშიას და ნ. ბერძენიშვილისა გაზეთ „კომუნისტში“, მეორე – აკადემიკოს არნ. ჩიქობავასი გაზეთ „Звезда Востока“-ში. სიმართლეს პლალადებენ. დაათვალიერეთ საშრეთ-საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილები, რომლებიც სახეში აქეთ ავტორებს, და ისინი თვითონვე გეტყვიან, დაგიმონებენ, თუ რომელი ერი ცხოვრობდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე მათს წიაღში. საკმარისია მარტო გაიხსენოთ მათს სივრცეზე გადარჩენილი, ზოგი ნანგრევების სახით, ზოგიც მთლიანი ძეგლები, საკმარისია გადაათვალიეროთ ამ მხარის შემსწავლელ ქართველ და არაქართველ მეცნიერთა, არქეოლოგთა შრომები, და უწინმუნონიც კი დარწმუნდებიან, რომ ეს მხარე სამყოფი ადგილებია ძველ დროს მჭიდროდ მოსახლე და ახლა ნარჩენებად გადაქცეულის ჩვენი ღვიძლი ძმებისა – ქართველი ერის შვილებისა.

ამ მხარის თაობაზე მომთხრობ შრომათა ავტორები ცნობილნი არიან ყველასათვის და დიდი ავტორიტეტიც აქეთ მოპოვებული. მოთავისებობას, მიმკერძველობას მათ ვერავინ დასწამებს. საკმარისია გავიხსენოთ დ. ბაქრაძე თავისი „აჭარა-გურიაში მოგზაურობით“, გ. ყაზბეგი თავისი „Три месяца в Турецкой Грузии“-თ, პავლინოვი „Материалы по археологии Кавказа“-ს III წიგნში მოთავსებული ნაკვლევებით, უვაროვა ამავე „Материалы по Археологии Кавказа“-ს IV წიგნში მოთავსებული ნაკვლევებით, ნ. მარი თავისი „Григорий Хаидзтиский“-თა, და „Путешествие по Кларджию, Шавшию и Имерхеви“-თა, და თვალწინ აღგემართებათ ამ მხარეში ქართველის სისხლითა და ოფლით შექმნილი მატერიალური კულტურა, მისი ნაშთები, რომლებიც ვერ გადარეცხა ვერც დროთა სრბოლამ და ვერც უცხო ტომთა დაუნდობელმა ხელმა.

ჩემი თვალით მინახავს საქართველოსაგან მიტაცებული – ოსმალეთის ხელით ძალით მოგლეჯილი ეს მხარე. ჩემი თვალი გადამივლია იმ ძეგლებისათვის, რომლებითაც თამამად შეუძლია იამაყოს ჩვენმა ერმა. სამი

ექსპედიცია მომიწყვია ამ მხარის შესასწავლად და თვითოეული ექსპედიციის შედეგები მიკარნახებდა, შენი შშობელი ერისაა ეს მხარეო, მის ღვიძლ შვილთა ნაღვანეცა აქ ყველაფერიო. ქართველი ერის შვილები არასდროს არ შერიგებიან თავისი ექვშუტანელი დიადი კულტურის ერთი მთავარი კერის დაკარგვასა და მუდამ ელოდებოდნენ მისი დაბრუნების დროსა, სამართლიანობის გამარჯვებასა.

თვალწინ მიდგას ბუმბერაზი, საოცარი ბანა, რომლის შესწავლის შესაძლებლობა მომცა პირველმა ჩემმა ექსპედიციამ 1902 წელს, და სხვა ძეგლები, ამავე დროს ჩემს მიერ ნანახი. თვალწინ მიდგას მრავალი თვალსაჩინო ძეგლი, კოლა-ოლთისში მობნეული, რომელთა შესწავლის შესაძლებლობა მომცა 1907 წელს მონყობილმა მეორე ექსპედიციამ. არაჩვეულებრივ ძეგლებს შემახვედრა მესამე ექსპედიციამ 1917 წელს. მომეცა საშუალება შემესწავლა: იშხანი, ოშკი, ხახული, ექექი, პარხალო, ოთხთა ეკლესია და ყველა ჩამოთვლილის გვერდში ამომდგარი სხვა ძეგლები, მიმოხეული ტაო-თორთუმ-ისპირში, ჭოროხის ხეობაში.

ბანა, იშხანი, ოშკი, ხახული შექმნილია ცნობილი ქართველი მოღვაწეების მესვეურობით. მათ რიგში მოსჩანან გრიგოლ ხანძთელი, მისი მონაფე საბანი, გრიგოლ ოშკელი, ტაო-კლარჯეთის მფლობელი დიდი დავით კურაპალატი და სხვანი მისნი ნათესავნი. ძეგლები ბრწყინავენ თავისი სახოვნების ძნელად ასანერი სილამაზით, ფრამენტებად გადარჩენილი კედლის მხატვრობით, ბარელიეფებით, ჩუქურთმებით. ძეგლები ჰლალადებენ უმაღლეს ნერტილამდე მიღწეულ ხელოვნებაზე. ეს ხელოვნება კი გვიჩვენებს ამ ძეგლების შემცველ ტერიტორიაზე მათი შემქმნელი ერის მრავალსაუკუნიან ცხოვრებას. ყოველი შემსწავლელი ამ ძეგლებისა მხოლოდ ერთს დაასკნის, რომ ისინი ქართული ძეგლებია, ქართული ხელოვნების ნაკვეთია, და ხალხის ნარჩენებიც ამ ძეგლების ტერიტორიაზე ქართველის იერით იცქირებიან.

ჟამთა უკულმართობის წყალობით სადავოდ გამხდარი ჩვენი სამხრეთი მხარის ნაწილები, თურქი მფლობელების სისარბით თურქეთზე მიკრებული რომ უდავოდ ჩვენია, ჩვენი ერის ღვიძლი შვილების სისხლითა და ოფლითაა მორწყული, ამის დასასაბუთებლად უნდა მივცე ჩემს თავს ნება და მოკლედ მაინც გაგაცნოთ, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც ჩვენი ძეგლებისა, რომელთა ნარწერები მრავალი საუკუნის სიღრმიდან მხოლოდ ქართულით ჰლალადებენ და არა სხვა რომელიმე ენით და მოგვითხრობენ მხოლოდ ქართველთა ღვანლზე.

საქართველოსაგან ჩამოკვეთილსა და თურქეთის მოძალადე მფლობელების მიერ თურქეთის საზღვრებში ძალით მოქცეულს მინა-წყალს შეადგენს ყოფილი არტაანის (არდაგანის) ოლქი მთლიანად, ესე იგი ზემონელი მტკვრის ხეობისა და ზემონელი ფოცხოვის ხეობისა, მთლიანად ყოფილი ოლთისის ოლქი და საზოგადოდ მდინარე ქაოროხის მთელი ხეობა, აჭარის გამოკლებით. სამმა ჩემმა ექსპედიციამ ამ მხარეში მაჩვენა ქართული ხუროთმოძღვრების აუარებელი ნაშთები ეკლესიების სახით.

როგორც ყველგან საქართველოში, ისე აქაც, გავრცელებულია ჩვეულებრივი ოთხკუთხედი ეკლესიები, მომრგვალო საკურთხეველით, ანუ აბსიდიტ აღმოსავლეთ მხარეზე. ამ ნაგებობათა საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ: არტაანის ოლქში – ეკლესიები ვაშლობისა, ჩაისისა, ჩომარდოსა, ამპურისა, კოპისა და საწსუთისა, და ოლთისის ოლქში – ეკლესიები სოფლებისა: კერ-ლუხისა, სეხჩერისა, ვიფგორისა, უკამისა, ზარდანესისა, ტახტაკრანისა, კოპისა, პერნიავისა და ოთხთა ეკლესია კოლაში. სიმრავლე ასეთი ეკლესიებისა მოგვითხრობს, თუ როგორ მჭიდროდ იყო დასახლებული მხარე.

ამ მხარეში მრავლადვე მოხუცი ციხეების საშუალებით ქართველი მოსახლეობა რამდენიმე საუკუნის მანძილზე მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ადრე – სხვა შემოსულ მტრებს, და შემდეგ – მოზღვავებულს თურქთა ლაშქრებს, რომელთა ძალას ვერ გაუმეგრდა ბიზანტიის იმპერია და დაეცა, ხოლო ევროპის სხვა სახელმწიფოები მას შიშის თვალით უცქეროდნენ.

არტაანის რაიონში, ველისციხეში, რომელსაც დიდი, მტკიცედ შემოზღუდული, ადგილი უჭირავს, დაცულია თლილი ქვით ნაგები და ქართული კედლის მხატვრობის შემცველი X საუკუნის ეკლესია. ეკლესია დაცულია აგრეთვე მგელციხეშიაც. პატარაა, მაგრამ კოხტაა, ჩუქურთმებით შემკობილი. პატარა ეკლესია დაცულია არტაანის ოლქში, მტკვრის ნაპირას მდებარე ქაჯის ციხეში. თვით არტაანის უზარმაზარ ციხეშიაც ყოფილა ეკლესიები. ფრაგმენტები მათი წარწერებიანი ქვებისა, ჩამუნებულია თურქებისაგან განახლებულს ციხის ზღუდეში. ერთი ფრაგმენტის წარწერა თამარ მეფის ასულის რუსუდან დედოფლის დროს ეკუთვნის. ისპირის მხარეს ოთხთა ეკლესიის ზემოთ თითქმის მიუვალ კლდეზე აღმართულ ციხეშიაც აღმოჩნდა ეკლესია, რომლის კედელზე, შიგნით, დახატულია, როგორც წარწერა გვამცნობს, ვინმე მურვან კაკასიძე და მისი მუელლე. წარწერა იკითხება ასე: „სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა

წმინდასაითა, მეოხებითა ყოვლად წმინდასა ღმრთისმშობლისაითა, მე მურ-
ვან კაცასიტემან აღვაშენე ეკლესიაი ესე მეორედ განსრულებით სალოც-
ველად სულისა..." გაგრძელება წარწერისა არაა გადარჩენილი. მხატვრობა
XV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ეკლესია ყოფილა კალმახის ციხეშიაც,
რომლის მდებარეობა არ ყოფილა გამორკვეული ჩვენს ექსპედიციამდე.
მისი ნანგრევები, ოლთისის რაიონში, სოფელ ნიაკომის მახლობლად მდებ-
არე მაღალ კლდეზე აღმართული. ეკლესიები ციხეებში გვეუბნებიან,
რომ მათი შემცველი ციხეები ქრისტიანთა მოსახლეობისა ყოფილა და
მათი წარწერების ქართულობა კიდევ მოწმობს, რომ ეს ქრისტიანთა მო-
სახლეობა ქართველობა ყოფილა და არა სხვა ვინმე.

კალმახის ციხის კლდის ქვემოთ, სოფელ ნიაკომის ხევში აღმოჩნდა
ლიტურატურაში სრულიად უცნობი ვაჩიგორის დიდი მონასტერი – ლავრა.
მთავარი შენობა წარმოადგენს გუმბათიანს სამნავიან ბაზილიკას მრავალი
ეკვტერიის შემცველს უფრო მეტად დასავლეთით. ამ მხარეზე დაცულია
სამრეკლო და მთავარ ტაძარზე სხვადასხვა დროს მიშენებული სამი ეკვ-
ტერი, ანუ მცირე ეკლესია. უკანასკნელი მათგანი, როგორც წარწერა
უჩვენებს, აშენებულია მეფის დიმიტრი III ასულის რუსუდანის მიერ 1306
წელს. ირგვლივ მონასტერს ახლავს კიდევ ხუთი პატარა ეკლესია და ამას
გარდა სხვა მრავალი შენობა. აქვე ჩვენ ვნახეთ და ფოტოგრაფიულად
გადმოვიღეთ ექვსი საბუთი, მღვიმეში ნაპოვნი.

ჩვენმა ექსპედიციამ აღმოაჩინა კიდევ მეორე უცნობი მონასტერი
ოლთისის რაიონში, კინეპოსი, სადაც დაცულია ოთხი ეკლესია. სამი სხვა
ეკლესია დ სამრეკლო დანგრეულია. მთავარი ეკლესია ოთხფასადიანი,
ლამაზია და ჩრდილოეთის მხრით მიშენებული აქვს სამი ეკვტერი.

დიდი მონასტერი – ლავრა ყოფილა სოფელ ლექსორშიც, ბარდუსის
მაღალ კლდოვან ნაპირზე. მთავარი ეკლესია უბრალო ბაზილიკაა, მოდიდო,
სამი ეკვტერთი; ორი ეკვტერი სამხრეთითაა და ერთი – ჩრდილოეთით;
მთავარი ეკლესიის შორი-ახლოს ხუთი პატარა ეკლესიაა. ყველა ესენი
კარგად არის დაცული.

ოთხაფსიდიანი ეკლესია, კინეპოს მთავარ ეკლესიას გარდა, გვხვდება
კიდევ სადგურ კოსორის მახლობლად მდებარე მღვიმეში, ბანას დიდი
ტაძრის ჩრდილოეთით. მაგრამ, ამ მხრივ ყველაზე უფრო შესანიშნავია
ოლთისის რაიონის ბობიქგურის ეკლესია, გარედან მრავალნაზნაგოვანი.
თლილი ქვით შემოსილი ყოფილა. ესლა კი თითქმის მთლად შემოძარცუ-
ლია გარედან. კანკელზე გამოკვეთილი ყოფილა წმიდანების რელიეფური

სახეები. გადარჩენილია მხოლოდ ერთი ნმიდანის სახე, ვგონებ ნმიდა ნიკოლოზისა. გადარჩენილია ნარწერა ირგვლივ, ასომთავრული, რომელშიაც მოხსენებულია ვინმე მიქელ ცოდვილი. ეკლესიის შინაგანი ასახულობა მომხიბლავია. ეს ნაგებობა IX-X საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩემმა ექსპედიციამ ამ მხარეში კიდევ აღმოაჩინა სამაბსიდიანი ეკლესიები. ერთი სამაბსიდიანი ეკლესია ვნახეთ კოლის ოთხთა ეკლესიის სოფელში, მეორე – სოფელ ორთულში, მესამე – ბალჩალოკიშტაში და მეოთხე – სოფელ იხსში თორთუმის ტბის ნაპირას.

ორაბსიდიანი ეკლესიაც არის ნახული კოლის რაიონის სოფელ ფარსადანში. ოლთისის რაიონში, ბანას მახლობლად, სოფელ ჩამხუსში, მცხეთის ჯვარის გეგმის მსგავსი ეკლესიაც შემხვდა. მცხეთის ჯვარისებურად ოთხაბსიდიანია, აბსიდთა შორის შექმნილ კუთხეებში თითო ოთახის ჩართვით. მხოლოდ აქ გარედან ამ ოთახების ასახულობა სამნახნაგოვანია, მცხეთის ჯვარში კი ორნახნაგოვანი. სამნუსხაროდ, ეს ნაგებობა ისეა დანგრეული, რომ სხვა მეტი ველარა ითქმის რა მასზე.

ამ მხარეში გავრცელებული მრგვალი ტიპის ეკლესიები უმეტეს შემთხვევაში ნარმოადგენენ ექვსაბსიდიან ნაგებობას, გარედან გუმბათოვანსა და მრავალნახნაგოვანს. ასეთებია ეკლესია კიაგმისალტში, ბანას მახლობლად, ოლთისის ციხის ეკლესია და გოგოუბას ეკლესია, არტანის რაიონში, სოფელ ველის მახლობლად. უკანასკნელი პირველებისაგან განირჩევა თავისი სიმაღლით და მდიდრული შემკულობით, ბარელიეფებით შიგნით, რომელთაგან ცოტადაა გადარჩენილი. მრგვალი ტიპისვე ეკლესიაა სვეტშიაც, ართვინის მახლობლად. ამავე ტიპისაა ორიგინალური გეგმის ტაძარი ტაოსკარისა, ბურჯებ შორის სენაკების მქონე. უნიკუმია. მისი მსგავსი და თვალწარმტაცი ნაგებობა ჯერ არსად არის ნახული.

მრგვალი ტაძრის ტიპის დამკვირგვინებლად გვევლინება ბანას დიდებული კათედრალი, ბუმბერაზი თავისი აღნაგობით, მთასავით მაღლა აზიდული. აღაშენა „ხელითა კვირიკე ბანელისათა“ ადარნასე II კურაპალატმა, ქართველთა მეფედ კურთხეულმა 898 თუ 899 წელსა. კვირიკე ბანელი პირველი ეპისკოპოსი იყო ბანისა.

ბანის კათედრალისთანა ტაძრის საერთო გეგმას მის აგებამდე ტაოში უკვე იცნობდნენ VI საუკუნის ნახევარში აგებულის იშხნის ტაძრის სახით. იშხნის ტაძრის სახე განმეორებულ იქნა ამავე საუკუნეში ვალარშაპატში. მაგრამ ეს ტაძრები მოკლე დღისანი აღმოჩნდნენ. მალე დაინგრნენ. ასევე მალე მოეღო ბოლო 1 000 წელს აშენებულს გაგვიცის ტაძარს ანისში.

აშენების დღიდან ორ საუკუნესაც ვერ გადააბიჯეს თავისი მთლიანობით. ბანა კი მრავალი საუკუნე არსებობდა და იარსებებდა კიდევ, რომ თურქთა მფლობელების ბარბაროსულ ხელს ციხე-სიმაგრედ არ გადაექცია რუს-ოსმალის ომის დროს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ბანის კათედრალის უდრეკელობა გამოიწვია იშხნის ტაძრის გეგმაში შეტანილმა გენიალურმა ცვლილებამ. ცვლილება შემდეგში გამოიხატა: ხუროთმოძღვარმა ჩვეულებრივი სვეტების ნაცვლად აღმოსავლეთის და დასავლეთის აბსიდებით შექმნილ კუთხეებში ამოიყვანა სამ-სამი სართული ოთხკუთხე პატრონიკეთა. ისინი ტაძარს ბურჯობასაც უწევდნენ თავისი სიმტკიცითა და გამძლეობით, და ამშვენებდნენ კიდევ. 1843 წელს ბოტანიკოს კოხს უნახავს ბანის ტაძარი ჯერ კიდევ კარგად შენახული, თვალი მოსჭრია და ასეთი სიტყვები აღმოხდომა: „მთელ აღმოსავლეთში, მხოლოდ კონსტანტინეპოლის გამოკლებით, რაც კი მინახავს უეჭველად ეს ყველაზე ულამაზესია და უმშვენიერესი“¹. სხვანაირად რომ ვსთქვათ, კოხის აზრით აია სოფია თუ შეედრება ბანას, თორემ სხვა არც ერთი ძველი აღმოსავლეთისა. ბანის ტაძარი უსათუოდ სიამაყეა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქართული ისტორიისა.

თურქეთის მფლობელებისაგან მითვისებულს ამ ჩვენს მხარეში შეხედებით საერთოდ მარტო ზევით დასახელებულს ტაძრის ტიპებს კი არა, სხვა მრავალრიცხოვან ტიპებსაც. იშვიათი არაა აქ წმინდა სამნავიანი ბაზილიკა. სოფელ ურთაში შენახულია ამ ტიპის კოხტა პატარა ტაძარი, ექვსსვეტიანი, უძველესი, ჩემის რწმენით, ქართული ნარჩენით. სვეტები, იონური რიგის, თავისი შესაფერისი სვეტისთავეებით დამთავრებული, მსხვილია და დაბალი, უკვარცხლბეკო და ორ მწკრივადაა მოცემული, მწკრივში სამი სვეტის აღმართვით. მათზე დამყარებული კამარები სამ ნავად ჰყოფენ ნაგებობის სივრცეს. ნაგებობა არ ასცდენია თურქ მესვეურთა ხელით დამახინჯებას. გარედან ზედნაშენი კედლებით ციხედ გადაუქცევიათ. მისი შიგნითა შუა ამალღებულნი ნაწილისათვის ხის იატაკის დამატებით პატრონიკეს სახე მიუციათ და ნაწილობრივ სვეტის თავეები დაუფარიათ. ძველი V საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

სამნავიანი ბაზილიკა უფრო დიდი და ძველი დაცულია ჩილდაარის რაიონში, წყაროსთავში. V-VI საუკუნეს ეკუთვნის. XI საუკუნეში ეს ტაძარი გადაუკეთებიათ ჯუმბათიან ნაგებობად სამი მკლავის მიშენებით მის აღმოსავლეთ ნაწილზე.

¹ Reise in Pontischen sebirge, II, Weimar. 1846. გვ. 243-248.

ამგვარივე ბაზილიკა ყოფილა კლარჯეთში, ჩვენი სასიქადულო ოქრომქანდაკებლების ბუქენისა და ბექას სამშობლო ოპიზაში და IX საუკუნის პირველ მეოთხედში გუმბათიან ტაძრად გადაუკეთებია აშოტ I კურაპალატს, რომლის ქანდაკება თვით ტაძრის გამოსახულებით ხელში, ტაძრის გადაკეთებულ კედელზე, „ფრიად საჩინო ადგილზე“, როგორც გიორგი ყაზბეგი მონშობს, ყოფილა გამოკვეთილი. ესლა ეს ქანდაკება, თბილისში ფოტოგრაფ ერმაკოვის ხელით მოტანილი, საქართველოს მუზეუმში ინახება.

უფრო მკვეთრი სახის სამწავანი დიდი ბაზილიკები დაცულია ისპირის დასავლეთ ნაწილში, ოთხთა ეკლესიის მახლობლად, და პარხალში. უკანასკნელი აუგებინებია 973 წელს დავით მაგისტროსს, შემდეგ კურაპალატს. ამჟამე წინათ, როგორც ჩვენმა ექსპედიციამ გამოარკვია, ამენებული ყოფილა ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა, რომელიც შემდეგ შეუძენინებია თლილის ქვით დავითს დიდ კურაპალატს, რასაც თვით წარწერა ამტკიცებს. აქ ყოფილა დიდი მონასტერი. დაცულია სხვადასხვა ნაგებობანი, მათ შორის დიდი სემინარია – საოსტიგნეც. ეს ადგილი ერთი აკანთაგანია ჩვენი კულტურის მოღვაწეებისა. აქედან არიან გამოსულნი ექვთიმე მთაწმინდელი, არსენ წინონმინდელი და სხვა ცნობილი პირნი. საერთო გეგმა ოთხთა ეკლესიის ბაზილიკისა ურბნისის ბაზილიკის გეგმას მოგვაგონებს.

პარხლის ბაზილიკა ოთხთა ეკლესიის ბაზილიკის განმეორებაა. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, პარხლის ბაზილიკისათვის თავიდანვე დაურთავთ პატრონიკე და შემდეგ ამის მიბაძვით ამგვარივე ოთხთა ეკლესიის უკვე აგებული ბაზილიკისათვის დაუმატებიათ. პარხლის ბაზილიკა თავიდანვე თლილი ქვით აუგიათ და შეუძკიათ მრავალნაირი ლამაზი ჩუქურთმებით, უფრო მცენარეთა და ცხოველების სურათებით. ბაზილიკის შუა ნაგის კამარნარი უჩუქურთმოდაა დატოვებული, მაგრამ შემკობილია შემდეგ დროში პოლიხრომის საშუალებით იოანე ქართლის პატრიარქისა და სხვების მიერ. შერჩენილია ნაშთები ძველი მხედრული წარწერისა, რომელიც ტაძრის მოხატვას ეხება. ტაძრის წარწერაში აღსანიშნავია ერთი მოვლენა: შიგ ლაზურ-მეგრული სიტყვები ურევია.

II

საქართველოს სამხრეთ ნაწილებში გვხვდება ტაძრის კიდევ ერთი გახშირებული ტიპი. ეს არის ცენტრალური გუმბათიანისა და ბაზილიკის ტიპის ტაძრის სინთეზი. ეს სინთეზი საქართველოში უფრო ადრე გვხვდება (IX-X საუკუნეებში), ვიდრე ბიზანტიაში. ამ სინთეზმა როგორც

საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე თურქეთის მიერ მითვისებულს სამხრეთ საქართველოს ნაწილებში დიდი შედეგები მოგვცა. მისი ნიშნებია იშხანი, ოშკი და ხახული. მომხიბლავია მათი ასახულობა და სამკაულობა – ფრესკები, ჩვენამდე ბევრი მათგანი ფრამენტებად მოღწეული, ჩუქურთმები მრავალფეროვანი და ბარელიეფები.

იშხანი. ეს კათედრალის ტაძარი აგებულია ტაოში, ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ტაფოზზე. ტაძარი აუგია გრიგოლ ხანძთელის მონაფეს, საბანს IX საუკუნის პირველ ნახევარში.

თავისი გეგმით იშხანის კათედრალი წარმოადგენს ერთნავიანი ბაზილიკისა და ცენტრალურ გუმბათიანი ტაძრის სინთეზს, და ამის გამო ჯვრის სახოვნებას. დასავლეთი მკლავი წაგრძელებული აქვს. ტაძრის სწორედ ეს ნაწილი უკვე თაღჩაქცეული და შემდეგ კრამიტგადახურული მაჰმადიანებს თავისი მიზეთისათვის გამოუყენებიათ. ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი და გუმბათი საკმაოდ კარგად არის დაცული. კათედრალი ნაგები ყოფილა მსუბუქად ნათალი აგურისებური ქვით, ხოლო 1032 წელს, ბაგრატ IV დროს შეუქმნიათ მოყვითალო ნათალი ქვით. ბაგრატ IV შვილის გიორგი II დროს კიდევ გადაუკეთებიათ სამხრეთის კარის ბჭე. დასავლეთის ეკვტერი აღარ არსებობს. მოსაზრებელია აგრეთვე რესტავრაციისას, ჩემის აზრით, გალერიაც, სამხრეთის მხრით სამი ფრონტონით, იმგვარი, როგორიც დაცულია ოშკის ტაძარში. კარ-სარკმლები ტაძრისა შექმნილია ფრიად ლამაზი ჩუქურთმებით, რომლის მსგავსიც ბაგრატ IV დროის სხვა ძეგლებში იშვიათი არ არის. განსაკუთრებით ლამაზია სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადები. რესტავრაციისას, ე. ი. 1032 წელს, გუმბათს ცოცხა ცვლილება განუცდია. მისი რვა გლუნახნაგი შეუქმნიათ გარედან ლამაზად მოჩუქურთმებული თითო მრგვალი სარკმლით. ამ სარკმლების გამოკვეთის დროს დაუზიანებიათ, თითქოს დაუკოდიათო, წინასწარმეტყველთა სურათები და მათი წარწერები.

იშხნის კათედრალი ცნობილია კარგი ფრესკებით. ტყუილად კი არ არის აქ გავრცელებული ასეთი გამოთქმა: „საქებარია სალამაზე ოშკის ტაძრისა, ადგილ-მდებარეობა ხახულისა და მხატვრობა იშხნისა“. მხატვრობა კედლებზე მთლად წარხოცილია. გუმბათში სხვათა შორის გადარჩენილია ლამაზი სტილის ჯვართამაღლება და ზაქარია წინასწარმეტყველის ხილვის ფრესკა – ეტლები, რომლებშიაც შებმულია ფერადი ცხენები. საკურთხეველში მარჯვნივ, კანკელის ზემოთ, თაღზე მედალიონში ყოფილა დახატული

ქალი, რომლის ძლიერ ნაბლალული ნარწერა მე ასე აღვადგინე: „(ნანა მუულლე მირიანისა მცხეთისა) დედოფალი ნინოის მიერ განათლებული“

ჩრდილოეთის ეკვტერში ვიპოვე უძველესი ნარწერა, 27 სტრიქონიანი, შესრულებული ლამაზი ასომთავრულით. ნარწერის რვა უკანასკნელი სტრიქონი სრულიად ნარხოცილია, დანარჩენები – მკრთალად მოსჩანან, მაგრამ ნაკითხვა მათი მაინც შევძელი.

იშხანში გადარჩენილია კიდევ კედლის მხატვრობის სამი ნარწერა, თვით სურათები ნარწერებში მოხსენებული პირებისა კი აღარ არსებობენ. პირველი ნარწერა დასაწყისში დაზიანებულია. გაგრძელება იკითხება ასე: „(... ძე ბ) ბაგრატ კურაპალატისაი...“ მეორე ნარწერა – „ბაგრატ (მაგისტ)როსი, ქართველთა მეფე“. მესამე ნარწერა იკითხება სრულად: „ბაგრატ ერისთავთ ერისთავი: ძე ადარნესე კურაპალატისაი“.

ეს ნარწერები მოგვითხრობენ ადრეულ ბაგრატიონებზე, რომელთა ჩამომავალნი XIX საუკუნემდე საქართველოს სახელმწიფოებრიობის მესვეურობას ეწეოდნენ და XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე ჩვენი „ოქროს ხანის“ შემქმნელები გახდნენ.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი რამ ცხადი ხდება მისგან უსამართლოდ ჩამოკვეთილ მხარეში მობნეულის ძეგლების გადათვალიერებით.

ოშკი. ეს ტაძარი თავისივე სახელის სოფელშია აღმართული, თორთუმის ნყლის მარცხენა მხარეს, თორთუმის ტბაში ჩამდინარე თორთუმის ნყლის შესართავის მახლობლად მაღალ მთაზე. სოფელ ოშკის მცხოვრებნი ქართველი მაჰმადიანნი არიან. მთის კალთა, საცა ტაძარია მოთავსებული, საგანგებოდ მოვაკებულია. კალთას აღმოსავლეთით ღრმა ნაპრალი საზღვრავს. ოშკი ბანას შემდეგ პირველხარისხოვანი ძეგლია ტაოში თავისი ბუმბერაზობით, ჰარმონიული სტილით და სამკაულადობით. თანატოლია ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა, მცხეთის სვეტიცხოველისა და კახეთის ალავერდისა. მას უსათუოდ გავლენა მოუხდენია ქუთაისის კათედრალის აგებაზე.

ოშკის გეგმა რამდენადმე განმეორება იშხნის ტაძრის გეგმისა, მხოლოდ დიდი მასშტაბით. აქაც სინთეზი გვაქვს ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძრისა და ერთნაფიანი ბაზილიკისა ერთის ჩრდილოეთის ეკვტერით. მაგრამ ოშკსა და იშხანს შორის განსხვავებაც არის. ოშკს ვჯვრის აღმოსავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები სამ-სამი აბსიდით უთავდება, იშხანს კი სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები ოთხკუთხედად აქვს დათავე-

ბული. ოშკს ამშვენებს ორი პატრონიც, ერთი დასავლეთით და მეორე ჩრდილოეთით ეკვტრის ზემო სართულში. პატრონიც დასავლეთ მკლავში ოთხი ლამაზი კამარით გამოიშვირება. გარედან დასავლეთის მკლავის სამხრეთს გრძელი ლამაზი ვალურია ახლავს თავისი ოთხი ფრონტონით. ტადარი თავიდანვე აგებულია ლამაზად ნათალის მოყვითალო ნითელი ქვით. ძეგლი დაზიანებულია: ჩანგრეულია მისი დასავლეთის მკლავისა და ნანილობრივ აღმოსავლეთის მკლავის თალი. მაღალი გუმბათი კი, დამყარებული დიდს, მრგვალს, მაღალს და მდიდრულად შემკულს ოთხ სვეტზე, კარგადაა დაცული. საკმარისად დაცულია ტადრის ფასადებიც. ტადრის სამხრეთი მკლავი ჯამედაა გამოყენებული და ამით დაუშნოებულია.

ოშკი მოხატული ყოფილა. ცოტაოდენი მხატვრობა გადარჩენილია საკურთხეველში. დაცულია მხატვრობის ერთი ნარნერა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ტადარი მოხატულია ჯოჯოკ პატრიკის საფასით 1036 წელს. მხატვრობის სტილი მონუმენტურია. გადმოღებულია მისი ორი ნიმუში: ნმ. თეკლა და ერთი ანგელოზი.

ტადარი აგებულია X სუკუნის მეორე ნახევარში. მისი აგება დამთავრებულია 961 წელს. აღმშენებელნი არიან ტაოს ბაგრატიონები, ძენი ადარნესე III კურაპალატისა – ბაგრატ ერისთავთ ერისთავი (966) და მის ძმა დავით III – ოშკის აშენებისას ერისთავთ ერისთავი და მაგისტროსი, შემდეგ დიდი კურაპალატი ტაოსი, ტაოს მეფე, რომელიც მიიცვალა 1001 წელსა. ორთავე მაშენებელი ტადრისა ოთხს სხვადასხვა ნარნერაშია მოხსენებული. დაცულია ერთისაც და მეორის ბარელიეფიც ვედრებისა, ბარელიეფის აქეთიქით ტადრის გამოსახულებით ხელში თვითიული. ვედრების ქანდაკებას აწერია: „წმინდაო ღვთისმშობელო და წმინდაო ნათლის მცემელო ადიდენ მეფენი ჩუენნი, გლახაკნი შენნი, მშენებელნი ამის წმინდისა (ეკლესიისა) და კუალად წარუმართენ მეფეთა ჩვენთა ბაგრატსა და დავითს“.

დავით მაგისტროსის ბარელიეფს აწერია: „მონაი ღმრთისაი მეფე ჩვენი დავით მაგისტროსის ადიდენინ ღმერთმან ორთავე ცხოვრებათა მაშენებელი ამის წმინდისა ეკლესიისაი – ამინ“.

ოშკს სხვა ნარნერებიც აქვს. ერთი აღმოსავლეთის აბსიდის სარკმლის თავზე ასომთავრული ხუთსტრიქონიანი, ერთი ათსტრიქონიანი – დასავლეთის მკლავის სამხრეთის კარის თავზე. ერთიცა და მეორეც საყურადღებოა, მაგრამ ყველაზე დიდი და ძვირფასი ნარნერა დაცულია სამხრეთის მკლავის კარის თავზე. ის თორმეტსტრიქონიანია. ჯერ მოხსენებულია ტადრის მაშენებელი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი, მერ-

მე მშენებლობის ხელმძღვანელი, ალბათ მწე, გრიგოლი და შემდეგ თუ რამდენი კალატოზი, ხურო და მჭედელი მუშაობდა ტაძრის აგებაზე, რამდენი ღვინო, რკინა, ხორბალი იხარჯებოდა, რამდენ საქონელს ამუშავებდნენ, საიდან მოჰქონდათ ქვა და რამდენი სხვა მუშა ხელი მოქმედებდა. ამ წარწერაში მოხსენებულის გრიგოლის ბარელიეფიც შერჩენია ტაძარს სამხრეთ გალერიაში, დიდს ექვსწახნაგაიან სვეტზე. ეს სვეტი საუცხოოდ არის შემკობილი ნაირნაირი ჩუქურთმებით, ბარელიეფებით, გორელიეფებით და ქანდაკებებით. თვით გრიგოლი ვედრების ქანდაკების ქვემოთ არის მუხლმოდრეკით წარმოდგენილი. აქვე არის წმინდა ნინოს ქანდაკებაც. სხვა წახნაგებზე წარმოდგენილი არიან სხვადასხვა დასი ანგელოზთა და სხვათა შორის გორელიეფები კომპანისა და დომიანესი.

ოქის სამხრეთ ფასადს ამშვენებს ხუთი მთავარანგელოზის ქანდაკება და ბარელიეფები არწივისა, ირმებისა და სხვათა, ჩრდილოეთ ფასადს ქანდაკებანი – ლომისა და კუროსი, დასავლეთის ფასადს – ბიუსტი სიმეონ მესვეტისა.

ოქის სამკაულადობაში უხეად გამოყენებულია პოლიხრომი. წარწერები, ორს ამოჭრილს გარდა, ნითელი საღებავით არის შესრულებული. სხვათა შორის საღებავით შესრულებულია ზევით მოხსენებული თორმეტსტრიქონიანი წარწერაც. ატმოსფერული მოვლენებისაგან დაუცველ ადგილებში წარწერა გადასულია, დაცულში კი შენახული.

ოქი დიდი მონასტერი ყოფილა. მის გარშემო სხვა შენობების დიდ-ძალი ნანგრევებია. სამხრეთით ორი მცირე ეკლესიაა თლილი ქვით ნაგები. ერთს ქვა მთლად შემოძარცვული აქვს. ოქის ჩრდილოეთის მკლავს უშუალოდ ეკვრის ერთი საყურადღებო ნაგებობა – სამნავიანი ბაზილიკა სამხრეთიდან აღმოსავლეთისაკენ გაგრძელებული თავისი ორწყება სვეტებით და ამ სვეტებზე დამყარებული კამარებითურთ. ამ ნაგებობის ჩრდილოეთის კედელი ეკვრის ჩამოჭრილ მთასა და გლუვია. ნაგებობა თაღამოქცეულია. სხვა მისი ნაწილები დაცულია. ასეთი ნაგებობა კლარჯეთის სხვა მონასტრებშიაც გვხვდებოდა – ოპიზასა, შატბერდსა და ტბეთში. ჩემის აზრით, ნაგებობა საკრებულო სახლს წარმოადგენდა, სახელდობრ სემინარიის ბინას, სადაც განათლებულ ხალხს ამზადებდნენ. ამზე მიგვითითებს ზევით დასახელებულ ნაგებობასთან ჩრდილოეთით მოდგმული უშველებელი კვადრატული, გვირგვინიანი დარბაზი. გვირგვინი ტრომპეზზეა ამოყვანილი. დარბაზი თავისი გამშუქებელი გვირგვინითურთ კარგადაა დაცული. თავისი კონსტრუქციით მოგვაგონებს ჩვენში აქ-იქ სოფლებში გადარჩენილს დარ-

ბაზებს. ეს დარბაზი, თქმა არ უნდა, განესებულ იყო საბიბლიოთეკოდ და ხელნაწერების გადასაწერად. ამ დარბაზის გვირგვინის ქვეშ 978 წელს თორნიკე ერისთავის შეკვეთით გადანერილია ქართული დაბადება და მრავალი სხვა წიგნი, რომელნიც ესლა ათონის ივერიის მონასტერში ინახება და თავისი წარწერებით მონიშობენ, რომ ოშკში არიან გადანერილნი. მიქელ მოდრეკილის საგალობლების წიგნი ამ დარბაზში უნდა იყოს გადანერილი.

ოშკი ერთ-ერთი აკვანია ჩვენი ღვანღმოსილი ძველი განათლებული ხალხისა და ამასთანავე წყაროც ყოფილა ჩვენი მნიგნობრობისა. ქართველთა განათლების ამ მნიშვნელოვან ცენტრს, ახლა უპატრონოდ მიგდებულსა და ნანილობრივ გავერანებულს, დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ხახული. ეს ტაძარიც თავისი სახელის სოფელშია აღმართული. სოფელს უჭირავს ხახულის წყლის ვიწრო ხეობა ექვსი კილომეტრის მანძილზე. ეს მდინარე ჩადის თორთუმის წყალში მარცხენა მხრიდან. მის შესართავთან ახლოს ჩვეულებრივი ტიპის ეკლესიაა, რომლის გასწვრივ თორთუმის წყალზე ერთმალაიანი და ცალკამარაიანი ქვით ნაგები ძველი ხიდია გადებული. თორთუმის წყლის სათავეში ციხეა, ციხის ქვემოთ კიდევ სოფელი თორთუმი. თორთუმის ციხის მახლობლად მთაზედ სოფელ ექექში (ეკეკი) დაცულია ლამაზი, გუმბათიანი ეკლესია, თლილის ქვით მკვიდრად ნაშენი. ახლა მიზგითად არის გადაქცეული. აშენებულია XI საუკუნის დასაწყისში. ჩვენი ექსპედიციის დროს თორთუმის ხეობა ექვს უბნად იყოფოდა. მცხოვრებთა რიცხვი აღწევდა 14 ათასს, რომელთა შორის 79 სომეხი აღმოჩნდა. დანარჩენნი მესხები იყვნენ. ხახული ბალნარით მოცული მთავარი სოფელია თორთუმის ხეობაში. ხახულის ტაძარს ქვიტკირის გალავანი არტყია. გალავანი დანგრეულია. გალავანში მოქცეულია ხუთი მცირე ეკლესიაც. ერთი – მთავარი ტაძრის სამხრეთითა და მეორე ჩრდილოეთით – მთლად დაწიანებელია. გალავანში შესასვლელი კარი სამხრეთით არის მოთავსებული. მის თავზე სამრეკლო ყოფილა დაშენებული. თურქეთის ხელში ჩავარდნილს ჩვენი ქვეყნის მთელს მხარეში არც ერთი ტაძარი არაა ისე დაცული, როგორც ხახულში. ტაძარი გამუსლიმანებულ ქართველებს მიზგითად გადაუკეთებიათ, ამგვარად ზრუნვის საგნად გაუხდიათ და კარგად შეუნახავთ.

ხახული სინთჳზია ცენტრალურ გუმბათოვანი ტაძრისა და სამწავიანი ბაზილიკისა. ამით განირჩევა იშხნისა და ოშკისაგან. ეს წინ წადგმული ნაბიჯია ოშკის აშენების შემდეგ X საუკუნის დასასრულს, დავით კურაპალა-

ტის დროს, ხახულიც, როგორც ქართლის ცხოვრება მონიშნავს, უეჭველად, დავით კურაპალატის ბრძანებით არის აშენებული. ხახულის ერთი ნარნერა გვიან მიშენებულის გალერიის სვეტზეა ამოკვეთილი და იკითხება ასე: „სახელითა ღმრთისათა მე საბა საღირის ძემან შევსწირე წიხტვილის ადგილი წმიდასა ღმრთის მშობელსა და დავდეე ალაპი სალოცველად თავის ჩემისა და მშობელთა და ძმათა ჩემთათვის და ვინც შეუცვალოს შეჩვენებულ არს ღვთისა პირითა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ამინ“. ტაძრის აგების დროის ნარნერები აღმოჩნდა გუმბათის სვეტების კვარცხლბეკებზე, მაგრამ, როგორც ეტყობა, ესენი იხსენიებენ მხოლოდ კალატოზებს. ამ ნარნერებს ჩვენ ვკითხულობთ ასე: „გურსი, ადერკ, მიქელ, ჯავახ, თვალშავ, გიორგი და თვალის, მუხნის (მხნს)“.

ხახულს თავდაპირველად ჰქონია ორი ეკვტერი – ერთი დასავლეთით და მეორე ჩრდილოეთით. ეს უკანასკნელი სანოვაცისა და ნიეთების საწყობი ყოფილა. ამას მონიშნავს, ეკვტერში ნახული ნაქვევრალი ადგილები და მისი უბსიდობა. XIII-XIV საუკუნეებში ხახულისათვის სამხრეთით მიუშენებიათ გალერია სამი ღია თალით. ამ მინაშენს დაუფარავს ხახულის სამხრეთის სარკმელი, დაუფარავს ნანილობრივ სვეტებით ბარელიეფები და ჩუქურთმები, მოთავსებული ტაძრის ერთადერთ შესასვლელზე. კარგად მოსჩანან აქ ბარელიეფი – პეტრე მოციქული გასაღებით, მამალი ლომი ხარის მზრდღენელი, ნიანგი იონას მელაპავი და ლომი. ტაძარი მოხატულია. საკურთხეველში წარმოდგენილი მოციქულები უფრო კარგად არიან დაცულნი, ვიდრე სხვა ადგილების ფრესკები. ტაძრის სამხრეთის მკლავის ორმაგი სარკმელი შემკულია ორმაგი სვეტებით, დამშვენებულია პოლიხრომიით შექმნილი მარათი, რომლის შუაში მოთავსებულია საუცხოო ბარელიეფი – კურდღლის მზრდღენელი არწივი. ყველაფერი ეს ერთად სამხრეთ ფასადს თვალწარმტაცობას უქმნის. მშვენიერია ტაძრის დასავლეთი ფასადიც. ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი ნაკლებად არის შემკული, თუმცა სარკმელი ამ მხრითაც ლამაზია.

ხახული – დიდი ლავრა – მონასტერი, ეს კიდევ ერთი აკანია ჩვენი ქვეყნის ძველ, განათლებულ შვილთა. აქედან არიან გამოსულნი გიორგი მთაწმინდელი, მისი ხელმძღვანელი და ნათესავი გიორგი მწერალი, რომელიც იყო მწერალთა ზედა მთავარი ბაგრატ III დროს. აქ გაჩაღებული იყო ხელნაწერების გადანერაც. სხვათა შორის, აქ გადაინერა XI საუკუნის დამდეგს თარგმანებანი იოანე ოქროპირისა. ეს ხელნაწერი სინას მთაზეა დაცული. აქედანაა გამოჩენილი იოანე ეპისკოპოსიც, იოანე ხახულელი,

რომელსაც ოქრობირს უწოდებდნენ. მისი გადაწერილი სადღესასწაულო დაცულია იერუსალიმის მახლობლად ჯვარის მონასტერში.

ამრიგად, თურქეთის საზღვრებში მოქცეულია საქართველოს ტერიტორიის სამხრეთი მხარე, ჩემს მიერ და სხვა მეცნიერთაგან დავლილი, და ჭანეთ-ლაზეთი, რომელიც, მე არა, მაგრამ სხვა ჩვენ მეცნიერთ დაუვლიათ, შეუსწავლიათ ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, რასიულად და კულტურულად, საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მისი შვილების შრომით, ოფლითა და კულტურული უნარით იყო აყვავებული. საქართველოს აღნიშნული ნაკვეთის უხეში ძალით ჩამოშორებას ქართველი ერი არასოდეს არ შეპრიგებია და არც შეურიგდება.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირ-ინგლის-ამერიკის კოალიციამ ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია დაამარცხა და მთელი ევროპა იხსნა მონობისაგან, დადგა ჟამი მრავალი ისტორიული უსამართლობის გამოსწორებისა. რეაქციის შეიარაღებული ძალების განადგურებაში მთავარი როლი საბჭოთა ქვეყნის წითელმა არმიამ და მისმა შემქმნელმა და ხელმძღვანელმა გენიოსმა დიდმა სტალინმა შეასრულეს. ქართველმა ერმა, საბჭოთა კავშირის სხვა ერებთან ერთად, დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში. მისი კანონიერი მოთხოვნები თურქეთის მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს.

აქვთიბა თაყაიშვილი, პროფესორი.

0 9 9 9 9 9 9

რა დაგავინწყებს...

ქართველო, სანამ გქვიან ქართველი
და ტკბილი ენა იცი ქართული,
სანამ გინთია თვალში ნათელი
და სადმე გიდგას ოდა-სართული;

სანამდეც ალებ კარს სტუმრისათვის, –
გიყვარს შეხვედრა წელ-გამართული;
სანამდეც ზიზღი იცი მტრისადმი,
ხოლო მოყვრისთვის ჰანგი ქართული;

რა დაგავინწყებს შენს ძველს ნააცნარს,
რა დაგავინწყებს იმ ძველ საბუდრებს,
ზედ რომ წინაპრის სუნთქვა დააკედა
და მტრებმა ცეცხლით დაისაკუთრეს.

იქ შენი მზეა, შენი თოვლია,
შენი გვარ-ტომის გასახარები;
ეფურატის წყლამდე გაფანტულია
ჩვენი ქვითკირის ნასახლარები.

იქ არის შენი საზღვრის კარები
ათასჯერ სიზმრად რომ გაქვს ნახული,
შენს ყურში რეკენ ომის ზარები,
შენ თვალწინ გიდგას შენი ხახული.

შენ შენი გქონდა დედულ-მამული,
მაგრამ ზედ კართან გყავდა მომდგარი
მუდამ მრისხანე და მოშხამული
მარად ვერავი თურქის ხონთქარი.

რა დაგავინწყებს ძველს ნატყვიარებს,
სად დარჩა შენი ნაფუზვარები,
იმ ქართულ გზებზე დღესაც კრიალებს
წინაპრის ცხენთა ნაქუსლარები.

იქ არის შენი აკვნის გამთლული,
შენი დაშლილი ოდა-სართული;
ქართველო, სანამ გქვიან ქართველი
გეძახის შენი მინა ქართული.

გაზ. „კომუნისტი“, 28 დეკემბერი, 1945 წ.

გიორგი ლეონიძე

მესხეთი

1. ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით

ისე დავბერდი,
ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
როდის მოუვა მათ გაზაფხული?

ველარ ვემთხვიე მესხეთის მინას,
სადაც გმინავენ ძველი ლოდები,
სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა
შემოგეძახიან: თქვენ გელოდებით!

იქ ხე არა დგას, რომ არ ოხრავდეს:
– გაზაფხულია, რად არ აყვავდი!
იქ თვალი მხოლოდ ნანგრევებს ერთვის,
ჭოროხის კენესას – ქვათა ლაღადი...

შავშეთის მთებზე ნისლი გადადის,
კარჩხალის მთებზე ვხედავ არნივებს,
და მათ ანგრეულ, აშლილ ბუდეებს,
ქარი უბერავს, ქარი აციებს...

მაგრამ გუგუნებს ქართულად მინა,
და თუ გამზდარან დასანაცრები! –
ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით
მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები.

რუსთველის მამულს, მერჩულის მამულს
ვერ მოგვტაცებენ შვე ზღვის ქურდები;
თუ ნაგუბარში წყალი ჩამდგარა,
მე ჩემს მამულში ჩავსადგურდები!

2. ვინ მეჩვენება... ვინ მინვდის ხელებს?

ვინ მეჩვენება... ვინ მინვდის ხელებს? –
დაკარგული ძმის მესმის ყივილი...
საქართველოზე მოჭრილო ძუძუ,
შემაჭირიალებს შენი ტკივილი...

შენ ჩემი გულის დასაკლავი ხარ
ისევ მტრის ხელში გადავარდნილი!
დიდო მესხეთო, ძველო მამულო,
ფეხდაფეხ დამდეფს შენი აჩრდილი.

შენი ხანძრები მომბოლებია,
მომყრია ფერფლი მკედარი ზღვის ფერი...
მინდა დავემხო მე შენს წინაშე,
კოცნით ავნმინდო შენს ლოდებს მტვერი...

შენი ნაშთები ნამსხვრევებია
ჩემის იმედის გაზაფხულისა,
ვკრებ და ვაერთებ, ცრემლით ვანებებ,
ნამსხვრევებია ჩემი გულისა!

3. დიდო მესხეთო, ძველო მესხეთო

დიდო მესხეთო, ძველო მესხეთო,
მადლო მესხურო, მზეო მესხურო,
ოცნებას უნდა, რომ ძველებურად
უკვდავი სხივით გადამესხურო!

შენი კოშკების სარკმელებსკენ
მოჭრის ოცნება ჩემი ფრთამალი.
ოქროსფერად რომ იხედებოდა,
ისევ დაგნათის თავზე თამარი...
ისევ ორბებად დაგტრიალებენ
შენს ნანგრევებზე ჩამოხედული,

ბაგრატი, გიორგი, დიდი დავითი,
და სხვა ათასი გუნდი მხედრული, -

ვინც მტერს ულენა მოიერიშეს
შენს გალავენებზე მუზარადები...
თვით კახაბერი, ზღვის კარის მცველი,
რკინის პალოთი საზღვრის დამდები...

დიდი დროშების შემარხეველნი,
მტრის გამრეკელნი ხმლით, აჯანყებით...
შავ ურდოების დამჯახებელნი,
შალვა თორელი, სარგის ჯაყელი...

და სხვა დაჭრილნი და ნამებულნი,
ზედ დაკაფული შენი შვილები...
აბჯარცმულები, შუბნანუელნი,
ხმალმართულნი, მხარგამულილები.

ბუმბერაზები, გოლიათები,
გორგასლანიდან ვიდრე ჩვენამდის,
ყველა ფეხზეა, ერთის გაფრენით,
რომ შენტან გაჩნდეს მტრის გაჩენამდის...

და თვით ჯერ პერანგაუხეველნი
და გახვეულნიც ბნელ სუდარაში,
ყველა გამხდარა შენი ნყლულების,
შენი შეკომლილ აბჯრის დარაჯი...

მამამთავრები, მაკურთხეველნი,
ოქროს ენა და სულის მბილველი...
მგოსნები ალურ-სიმებიანი,
როგორც ათასი ოქროს ფრინველი...

თვით ჯადოქარი ქართული ქნარის,
ვეფხვის ხალების დიდი მღერალი
კელაპტრის შუქში მთანმინდელები,
გრძელ ეტრატებით გადმომცქირალი...

ოპიზარები... საბანისძენი...
დიდოსტატები... გადამწერლები...
შენტან არიან, ვით შენტან არი,
მათი სიმღერა, ღვანლი, ცრემლები.

შავი ზღვის უბემ, დე, ჩაიბაროს
შენი ტკივილი, ძველი სევდები...
დაგიბრუნდება კვლავ რუსთაველი,
არნივის მხრებზე გამოშხვედები!

1946 წ.

„საქართველოს ცრემლები“, ლექსები, თბ., 2000

ალიო ადამია

ლაზური ბალადა

აი, ნამდვილი ამბავი
ამ ერთი ლექსის სათქმელი,
ოშკის ტადარი ლაღადებს –
აქ ბინადრობდა ქართველი.
ოშკის და სარფის გადაღმა
როგორ ჰყვოდნენ სოფლები,
მერმა თუ როგორ გადახმა,
როგორ ჩანაცრდა ყოველი...
ქართველთა ის მინა-წყალი
კვლავ აყვავებას მოელის!

* * *

სარფი – ლაზების სოფელი,
ყველგან ბალი და ხეხილი,
კენჭებიანი ზღვისპირი,
ხე ვაზებმემოგრებილი;
სარფი – პატარა მდინარე,
დიდი სოფელი ლაზური,
მოყვრისთვის გულმომღიმარი,
მტრისათვის კარდარაზული.
განთქმული სიმშვენიერით,
ლალი, სუფთა და მზიანი!
ჩუქურთმიანი სახლები,
ჭიმკრებიც ჩუქურთმიანი!...

სოფელში ერთი სახლია,
სახლზე ვაზია ასული;
იქ სამი პატარძალია,
სამი ლამაზი ასული.

სამი ქალია, სამ-სამი
ნანნავი მხრებზე ჰკიდიათ,
დილით ყელმალალ სურებით
წყაროზე ერთად მიდიან.

სამი ქალია, სამივეს
თაფლისფერი აქვს თვალი, -
სოფლის შნოა და ლაზათი
ის სამი პატარძალი.

ოჯახში სამი ძმა არის,
სამი ვაჟკაცი ჯგუფა!
ხმალივით მჭრელნი ერთპირად,
ძლიერნი, როგორც მუხა;
ლხინია? ერთად ილხენენ,
წუხილი? ერთად სწუხან...

არ გაუყვიათ სიმდიდრე
დედ-მამის დანატოვარი -
შუბი, ელვარე ფარ-ხმალი,
ხანჯალი სწორუპოვარი.
არ ჩაუქრიათ ვაჟკაცებს
კერიის ცეცხლის ლადარი.
ოჯახს დოვლათი უმატეს,
აყვავდა მათი სახლკარი,
მარჯვენით გამაგრებული
და სიყვარულით გამთბარი.

* * *

სარფს ამშვენებდა წარმტაცი,
ბევრი ლამაზი სახლ-კარი,
იმათი ნახელავი და
იმათი ნაოსტატარი.
მოდემიდან მოდემას გადმოჰყვა
ეს ოსტატობის უნარი, -
არ შეუქმნია ამათ ხელს
ვინმესგან დასაწუნარი:
ოდა-სახლები, ქიშკრები,
კამარიანი ბუხრები!
ყველას ხიბლავდა, მოსწონდა
იმათი ნაჩუქურთმები...

* * *

სარფში სალამო სხვა არის,
გაბრწყინებული მზის სხივით
მოოქროვილი მთა-ბარით
და მოკეჩილი ზღვისპირით;
ხეებს სიმნვანე ეცლება
და მუქი ფერი ედება.
მზე ნუთით ზღვაზე შედგება
და ქედებს შეაჩერდება.
მერმე მისწყდება თანდათან
ხმაური... ყურობს ტყე-ველი.
და მთაზე მთვარე ამოვა
ნათელის გადმომფრქვევლი.

* * *

ამგვარი იყო სალამო,
სახლში ილხენდნენ ძმები;
კერაზე ცეცხლი ღვიოდა,
ვახშამს ხარშავდნენ რძლები; -
ვიღაც მოადგა ჭიმკარს და
იკითხა მასპინძელი.

მიიპატიუეს... სტუმარი
ცხენიდან მოსწყდა მარდად,
მიესალამა მასპინძლებს.
ზრდილი ვაჟკაცი სჩანდა.

თეთრი ფაფახის ბენვები
თვალს ეხებოდა ოდნავ, -
შავი, სულ შავი უღვამი
ტურზე ღიმილად ჰქონდა.
შემდეგ ბოდისით ნარმოსთქვა:
„თქვენი ამბავი ვიცი:
სამი ხართ, სამივ ვაჟკაცი
შემსრულებლნი ფიცის.
სამი ხართ, სამივ ოსტატი,
ვერ შეგედრებათ სხვანი!
თქვენს სტუმრად მოსვლას ნატრობენ
ჩვენი მესხეთის მთანი...“

ჩვენ გვინდა ჩვენი სოფლები,
ჩვენი მთები და კორდები

დამშვენდეს თქვენი ნაგები
დარბაზებით და ოღებით“...

* * *

ძმები დასთანხმდნენ... თანხმობით
მესხის თვალები ელაყდა.
იმ ღამეს კარგად ივასშემეს,
ბევრჯერ დასცალეს ხელადა.
დილით მესხს გაჰყვა უფროსი –
უფრო ნაცადი ძმებში;
ის ბევრის იყო მნახველი,
ბევრიც იწვინა გარჯა!
გადის თვე ერთი, მეორეც
და უფროსი ძმა არ ჩანს...

* * *

ღაზი ოსტატი მესხეთში
შრომობდა, სახლებს აგებდა.
ყველა ღაზის ხელს ლოცავდა,
მის ნაოსტატარს აქებდა.

უცკრად ღაზთა ქვეყანას
თურქებმა დასცეს ლახვარი,
სარფიც გადასწვეს, აკლეს,
მინას გაჰქონდა ზანზარი.
მერმე საზღვარი გაავლეს
დედა-შვილობის გამყოფი,
უსწორმასწორო საზღვარი!

* * *

მესხთა მზარემდე მივიდა
ამბავი გულის მომკვლელი,
რომ ნადგურდება მტრის ხელით
სარფი – ღაზების სოფელი!
და გამოქანდა შინისკენ
ღაზი ოსტატი მალი,
მოდის და ჰაერს მოაპობს
პირგაბასრული ხმალით.
ნაპერნკლებს აჩენს შარაზე
მისი ფეხმარდის ნალი.
მოდის, – შემოხვდნენ ბავშვები,

პირსახე ჩამომტირალი
მოდის, – შემოხვდა მოხუცი
მწუხარე თვალით შვირალი, –
მერმე შემოხვდნენ ქალები
პირსახე ჩამოკანრული:

– იყო, არ არის, ვაჟკაცო,
სარფი – სოფელი ლაზური!
ლამით, სულ მოულოდნელად,
როგორც ქურდი და ლაჩარი,
თურქთა ჯარები დაგვესხნენ
და გულში დაგვცეს ლახვარი...
აი შეხედე, იქ არის
დედა-შვილობის გამყოფი
უსნოორ-მასნოორო საზღვარი!
თავი ასნია ვაჟკაცმა
და თავის თვალით ხედავს:
აი, იქ არის წყალგალმა
მისი ტიალი სახლ-კარი,
მისი და-ძმანი, დედა.
ვერ ამორებდა მიდამოს
ბოლმით ანთებულ თვალებს
და ისწრაფოდა შვილები
მკერდში ჩაეკრა მალე.

* * *

ის ეზო, სადაც ოსტატებს
ედგათ ლამაზი ოდა,
დიდი მენყერი მოვიდა,
ზღვაში ჩახერგა ლოდად...
ხანი გავიდა... იმ ლოდზე
ხე ამოვიდა სამი;
ერთი შუაში დამდგარა,
ხარობენ როგორც ძმანი!

როცა ავდება შავი ზღვა,
აშლის ტალღების ფარას,
ტოტებს გადმოშლის მაღალი
და უმცროს ძმებს იფარავს...
ხის ძირში სხედან პირქუშად,
ისმის ქართული ნანა,
ბავშვი კითხულობს: – დედილო,

მალე ჩამოვა მამა?
– კი შვილო, მზე რომ ამოვა,
მაშინ მოგვია მამა.

„საბჭოთა აჭარა“, 14 მარტი, 1948 წ.

ნესტორ მალაზონია

ქორნილი

(ბალადა)

ეს ძველისძველი ამბავი
არვის ეგონოს სადავო:
სხალთელ ბიჭს ვაშლოვანელი
გოგონა შეუყვარდაო.

ვაუი – ჩანჩქერმა მთისამა.
ქალი – პირიმზემ ზარდაო,
ვაუი ბრგე იყო მთისთანა,
ქალი პირიმზეს გავდაო.

და შეხაროდნენ ერთმანეთს
ეს ბადრი მთვარე და მზეო –
ბიძინა მიქელაძე და
მზექალი აბულაძეო.

ხევს იქით-აქეთ სახლობდნენ
ის ბიჭი და ის ქალიო...
ერთხელ ვაშლოვანს, მალლობზე
ვაუმე ქალს მოჰკრა თვალიო.

სხალთის საყდარში წირვაზე
ქალმაც ის ვაუი ნახაო:
– დაიცა მაჭრის წურვამდე,
ჯვარს ნუ დავინერთ ახლაო.

კვირას და კვირადღეზედაც
გაღმა-გამოღმა მთაზეო

იდგნენ ბურუსის მოსვლამდე,
როგორც ხატის წინ ლოცვაზე –
ბიძინა მიქელაძე და
მზექალა აბულაძეო!

* * *

მარტში დაედოთ პირობა,
ჩანჩქერს რომ ნისლი ემოსა,
თოვლი რომ ნელ-ნელ ტიროდა
მთის კალთებზე და ქვემოთაც.
ტყეში არ იყო ფოთოლი
და არც ვენახში მტევანი,
მხოლოდ მზიანზე ობოლი
მთებს შესცინოდა ტყემალი.

არც ატამი და არც ვაზი
ჯერ არ სუნთქავდა მკაფიოდ.
რთველის ნატვრაში ქალ-ვაჟი
ელოდა ყოველ დაფიონს...

აი, კლარჯულის კვირტები
მზემ შეათბო და შენამა!
ვაზო, ფოთლითაც ირთვები,
ლერწი გეკურთხოს შენამა!

მალე მტევანიც დაჰკიდე,
სურნელ-ყვავილის ნაცვალი,
დამნიფდეს, მალე დამნიფდეს
ქარვის და ლალის მარცვალი.

გაივსოს ხეავით, ბარაქით
ყველა ბელელი აჭარის,
რომ შემოდგომის ქარვაში
ხარობდეს ჩვენი ქალ-ვაჟი.
აივსოს ღვინით მარანი
და საქორწილო მაჭარით!

* * *

სიმინდს ფოთოლი შეახმა,
დროა ტეხის და შენახვის,
ნლუულს იჩქარა ვენახმა,
მკრეფავებს ინვეს ვენახიც.

ცვარავს და არ უწვიმია,
ცაზე მთვარეა გაკრული,
შრომაა თუ ქორნილია,
ხელხვაგია თუ მაყრული!

სამარიომოდ ნაკრეფი
კალოზე მაჭრად დალიეს,
უკვე დატვირთეს ბელლები.
კარი დასჭედეს ნალიებს.

ახლა ვენახის ჯერია,
სხვას რალას მოეციდები!
დაბლარს კალათი სჭირია,
მაღლარს – თოკი და გიდლები.

ქვევრს და სანახელს სინჯავენ,
მარანსაც თვალი მიაპყრეს,
გადანერეს პირუჯვარი,
როგორც სჩვეოდათ წინაპრებს:

– წმინდა აგუნავ, აკურთხე
ვენახ-მარანი აჭარის!
წლის მოსავალი დალოცე,
წლის მოსავალით გვაოცე!
აგუნავ, ღვინოც აკურთხე
და საქორნილო მაჭარიც!

* * *

შაბათს იდგნენ საქორნილოდ
ვაშლოვანი, მთელი სხალთა.
აბა, ნეფეს ვინ აცილებ?
ვინ დადგები დედოფალთან?

მომღერლები შეარჩიეთ,
მომღებნი და მსმელი კაცი,
თამადასაც შეარჩიეთ
კლარჯული და ჯიხვის ყანნი!

გამონახეთ ფრთხილი დადე,
მეჯვარე და თავმაყარი.
სინზე ტკბილი მოამზადეთ,
ჯვრისნერის დროს დასაყარი!

შეუკანმეთ ცხენი მზახალს –
ვარსკვლავს ეთამამებოდეს,
თორემ დღეს რომ სირცხვილს ნახავ,
ვერ მოირეცხ ვერასოდეს!

და მზემ როცა გადასერა
არსიანი მკერდფიქალი,
სანთლით ხელში, ჯვარსანურად
იდგა ნეფე-დედოფალი.

არც ბიძინა იყოა მორცხვად,
არც მზექალი თვალმაყვალი,
შესცქეროდა სანთლებს დადე –
ვისი ინვის უფრო ადრე,
და საცაა მისალოცად
მხარს ინყობდა თავმაყარი!

* * *

მაგრამ ზარი, ზარი, ზარი,
– მნათეს ჭკუა დაუკარგავს!
– აკი იყო კვირახალი!
– სამშვიდობო ამბავს არ გავს!

და როდესაც ამ განგაშზე
გალავანში გამოცვივდნენ,
სუყველანი სახტად დარჩნენ –
მაყარიც და მექორნილუც:

სამრეკლოზე ჩამწკრივებულს
მნათე კი არ რეკდა ზარებს,
მეფემ – ჯარი ანვიეთო,
ხევისთავიც კრებდა ჯარებს!

ჯვარისწერა შეწყდა ნამსვე
და ქორნილიც გადაიდო...
– გაუმარჯოს ომში ნამსვლელს!
– დაჰკა, მტერი არ დაინდო!

– სირცხვილი ვინც იგვიანებს!
– სად გვცალია დასამუხლად!
და სოფლებში ივრიალეს –
„ხმაღს ხელი“ და „მემლი მუხას“.

ყველა ჯაჭვის პერანგს იცვამს
და კაპარჭში აწყობს ისარს!

მთას გადმოღმა თუ მთას გაღმა
ყველა ბრძოლის ჟინით იწვის!
ვენაცვალე – ჩვენმა ხალხმა
ლხინიც იცის, ომიც იცის!

* * *

შინ არ დარჩა ახალგაზრდა,
მოხუცი და ხანმესული,
მტრის საულუტად ყველა აღდგა
სატყევარ და ხმალასხმული...

მაგრამ მტერმა ეს სოფლები
გადაწვა და გადათქერა,
დააცილა მეზობლები,
გაუცივა მრავალს კერა.

შეუცვალა ეკლად ვარდი,
სხვის დათესილს თვითონ მკიდა,
დანით დასჭრა მთვარე ბადრი,
საფრთხოებლად ჩამოჰკიდა.

უმანკოთა სისხლი ღვარა,
არ დაინდო მთელი ხალხი,
ყველგან ბარდი გაახარა,
მოსპო ვაზი და ვენახი...

და დაგუბდა ყველგან სისხლი,
ჩამობნელდა მთა და ბარში,
და ბრძოლის დროს მტრების ისრით,
დაილუპა ის ქალ-ვაჟი...

დაილუპა და დატოვა
საბადიშოდ და საშვილოდ:
– არ დაინდოთ, მტერსაც მტრობა
არასოდეს შეარჩინოთ!

და რომ მორჩეთ სისხლის წვიმებს,
იხარეთ და იქორწილეთ!

* * *

სამასჯერ გაჩნდა ფოთოლი,
სამასჯერ კვირტი ატირდა.
აქარა, როგორც ობოლი,
იდგა უფსკრულის ნაპირთან.

აქ ტანჯვა იყო სამასი,
ქართლში – სამასი რთველობა,
ბედის უკულმა თამაშით
დაირღვა ქვეყნის მთელობა.

დაინგრა ციხე მრავალი,
დაინგრა სხალთის ტაძარი,
ყველგან თურქების ნაეალი
ფერფლი იყო და ნაცარი.

აოხრდა მესხთა ალაგი,
სულ რომ ჰყვაოდა მანამდე,
აოხრდა კარნუ-ქალაქი,
ბალი სარფიდან ბანამდე.

თითქოს სინათლე მოთავდა,
ჩაქრა ხახულის ლამპარი,
ზევით ცოცხალნი შფოთავდნენ,
საფლაეში – მამა-პაპანი.

შფოთავდნენ ოშკის ზარები,
ციხე-სიმაგრე ნაგები,
ტაძრები ნაჩუქურთმევი,
ხატები ფასის უთქმელი,
მტბევარ და ოპიზარები,
თამარ და ათაბაგები!

* * *

ჟღეჭდნენ ბარელს და მთიელსაც
მხეცთა ველური ურდონი,
ჭოროხს სხვა ფერი მიეცა –
შიგ სისხლი იყო იმდენი.

მაგრამ არ გახდნენ მონებად,
თუმცა სულს ტანჯვით ლაფავდნენ,

მათი კენესა და გოდება
ქარებს მიჰქონდა ქართლამდე.

მტკვარსაც მიჰქონდა ეს ხმები,
ნაღვლიან გულში იხვევდა,
შველას ითხოვდნენ მესხები
მტკვართან და გორის ციხესთან.

და ქართლი ისარნაკრავი
სწუხდა: მოუესნარ შავ დროსო
ნარგვტაცეს შოთას აკვანი,
ჩვენი პირველი სადროშო!...

ბოლოს, ქართლშივე გაისმა
თავისუფლების ყიჟინი,
ფრთები აისხა მისმა,
ქარი რომ ქროდა გიჟივით.

მზე ამობრწყინდა კრიალა,
ოქროს დაყარა სხივები,
მზე – მარად ჩაუქრობელი,
ჩაგრულთა მანათობელი.
მზე – მარტო ქართლის კი არა,
მთელი მსოფლიოს იმედი!

* * *

ყველგან ჩამოდგა მზის სხივი,
მოლხენამ ფრთები გაშალა,
ირგვლივ მზეა და სიცილი,
თვალეზზე ცრემლი გამშრალა.

გულს დარდის წყარო გაუშრა
მრავალტანჯულს და დაკოდილს,
ველებს ველურთა ნაქუსლარს
ბალი ფარავს და ნალკოტი.

მტრის მახვილს ყავლი გასვლია,
კვლას და ლალატში დაგეშილს,
ვაშლოვანს ისევ ვაშლია,
სხალთას მსხალია ბალებში.
და მღერის ჩვენი ქვეყანა,
როგორც ჯერ არ უმღერია,

ყველგან გუგუნებს ქარხანა,
ყველგან ელექტროჩქერია.

მოთქმა და კენესა არ ისმის,
გოდება გულის მოუთქავი,
ისევ აყვავდა დმანისი,
ლითონით სუნთქავს რუსთავი,

და ქალაქებად გადიქცა
სხვაც ყველა ნაქალაქარი,
აყვავდა დაბა-სოფელი,
აყვავდა მათში მყოფელი.
და მრავალ ცეცხლში დამწვარი
აყვავდა ჩვენი სახლ-კარი!

* * *

განანამებო გლოვითა,
მთაო და ბარო აჭარის!
ვაშლოვანს რთველი მოვიდა,
სხალთაშიც დადგა მაჭარი!

დღეს ყველა წამი გახარებს
ასჯერ კი არა – სამასჯერ:
ქალ-ვაჟს ბორკილი აჰყარეს –
ფეხის ჯაჭვი და სამაჯე!

მზექალო, გახსენ თვალები –
შავ-შავი, მნიფე მოცვივით,
შეუღლდით ახლა ცალები,
გამართეთ ახლა ქორნილი!

მაყრად ანვიეთ მესხეთი –
ტბეთიდან არზრუმს გასვლამდე,
უარს ვერ იტყვის ვერც ერთი
ართვინ – არტანუჯ – ყარსამდე.

თქვენ ერთი გქონდათ ჭირი და
ერთი გექნებათ მოლხენა!
ხომ ხედავთ – მოაჯირითა
ცხენი შოთაის მოყმემა!

მოვა ლაზეთს და კლარჯეთში,
მტრებმა რომ დაიმარტოვეს,
მოვა უქრობი სინათლით,
მოვა მართალი სიმართლით,
მოვა და წყეულ ქაჯეთში
აღარც ამ ნესტანს დატოვებს!

„საბჭოთა აჭარა“, 21 მარტი, 1948 წ.

ვარლამ ყურული

მიტაცებულ მინაზი

ტაო-კლარჯეთში კენესის ნიაგი,
ცრემლის გუბეა ყრმათა აკვანთან.
გმინავს ჭანეთი თურქთა სიავით,
შფოთავენ ძვლები მამაპაპათა.

იქ, სადაც მტკვარი იწყებს დინებას,
კენჭიც ლალადებს მდინარის პირად:
ეტრფოდა ქვეყნის აღორძინებას
მესხი შობილი ბრძენად და გმირად.

ვინ სწავდა ანჩის თორმეტ სავანეს?
ვინ დაანგრია შატბერდი, ხანძთა?
მხარეს – რუსთველის შეიავანანეს, –
ხონთქრის მახვილი მაინც არ ასცდა.

დრო იყო, ჩქეფდა იქ გაზაფხული,
ვარდი ხარობდა ბაღში ნათებით,
მთებში ბრწყინავდნენ ოშკი, ხახული
მტრედებით სავსე თეთრ გუმბათებით.

იცავდათ მარჯვე ვაჟკაცთა მკერდი,
ფრესკებზე ენთო სხივნი შუისანი.
რწყავდნენ ვენახებს გალავნის გვერდით
წყარონი სუფთა, აღმასისანი.

გაქრა დიდებულ ძეგლთა კრებული,
არვის აღვიძებს რეკა ზარების.
სწუხს ჩუქურთმებში ჩასვენებული
სული და ნატვრა ოპიზარების.

ხართ საქართველოს სისხლი და ხორცი,
დიდოსტატების დიდი ქმნილება.
მამულისათვის აღსდგება ბორცვიც,
თუ კელავ იგრავინეს ქარტახილებმა.

„საქოთა აკარა“, 22 აგვისტო, 1948 წ.

ლადო მრევილიშვილი

ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები

მე შენს ნაპირზე გამიტყდა ხმალი,
ძვლები ჩავყარე როგორც სამანი.
მინამ კი არა, – მინა გამოვხარ
და ვერ აველიჯე ვეფხემა საბამი.
გულმკერდს ვაგებებ ჭოროხის შხეფებს
ძვლების ყორღზე თვალმოღალეული,
წყალი კი არა, ეს ცრემლებია
ლაზეთის მხრიდან გადმოღვარული.
ვწევარ და უუცქერ წყრომას თვალითა
დაცლილ კაპარჭს და რისხვით ვიესები...
ხმალი გამიტყდა, ჯაჭვი გამიცვდა,
თურქთა ნეკნებში ჩარჩნენ ისრები.
ო, ნუ მაჩვენებ თვალებს დარდიანს,
აი, აღედგები მეხის დამრტყმელად,
ქართული ზეცა მუზარადია,
ისრად მზის სხივი, ხმლად ცისარტყელა,
ავდგები, როგორც ვეფხვი მშიერი,
ჭოროხო, ნულარ გტანჯავს ფიქრები,
მე ქართველების ვარ ნაშიერი,
ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები.

„ბაღვაზრდა კომუნისტი“, 21 დეკემბერი, 1948 წ.

გრიგოლ აბაშიძე

სამხრეთ საზღვარზე

„თავდაცვის ხაზი“ ქართულ სოფელთან

გაზაფხულია მესხეთში ახლა
და თვალს, როგორც კი ახელს ცისკარი,
რომ მინა დახნან,

რომ ვაზი გასხლან
კაცი და ქალი მინდვრად იჩქარის.

რომ სისხლმა მორწყოს ბალი და ყანა,
რომ მესხთა ბალებს დასცენ თავზარი
საზღვრის გადაღმა

ტანკები დგანან
და ზარბაზნები უზარმაზარი.

მოჩანს ლულები დაუნდობელთა,
ზედ დეტროიტის ტვიფრები აზით,
თურმე აქ გადის ქართულ სოფელთან
ამერიკელთა „თავდაცვის ხაზი!“

გაჰყურებს ბალებს ალუბლიანებს,
ზარბაზანს ყნოსვა აქვს საოცარი:
ქართულ მარგანეცს თვალს უბრიალებს
და ბაქოს ნავთიც აქ ახლოს არი!

თურმე სისხლშიაც ხედავენ ბიზნესს,
რადგანაც ნავთის სუნი ახელებთ,
ამიტომ არი,

რომ დაუმინეს
ქვემეხი ქართველ მევენახეებს.

ამიტომ გვიცქერს ლულუბი ბრანით –
თვალები ნავით გაუძლომელთა
და უოლ-სტრიტის „თავდაცვის ხაზი“
ამიტომ გადის ქართულ სოფელთან.

ამერიკის იანიჩარი¹

„ბრწყინვალე პორტის“² ბრწყინვალე დღეთა
დიდება იყო ისლამის ჯარი,
მაშინ თვით სიტყვაც ამაყად უღერდა,
თურქული სიტყვა „იანიჩარი“.

ომში შმაგები,

ცეცხლში შლეგები,
ღვარად ადენდნენ სისხლს საშიშრები,
თვით არ იბრძოდნენ თურქის ბეგები,
მტრის რისხვად ჰყავდათ იანიჩრები.

მაგრამ დაბნელდა „ბრწყინვალე პორტა“,
ჩამოქდა თურქთა ცის კაბადონი,
სვათი თვით გახდა საჯიჯგინი ქორთა
და მონად იქცა თვითონ ბატონი.

თურქს დაუბნელდა თურმე შეგნებაც,
მან სულიც ახალ ფაშებს მიჰყიდა
და მოველინენ თურქებს ბეგებად
მებირჟეები ამერიკიდან.

და ამერიკელ ბატონს გულკეთილს
არ ენანება მცირე იჯარა,
უკვე აქცია მთელი თურქეთი,
ნავთის მფლობელთა იანიჩარად.

ეს ბნელი ტომი ჩვენს ახლოს ბუდობს,
სხვისი ნაყიდი და საზიარო,
უკვე მზად არი ველური ურდო,
რომ ჩვენს ბავშვებზე გადაიაროს.

¹ იანიჩარი – ოტომანთა იმპერიის ჯარისკაცი. იანიჩრების კორპუსებს ადგენდნენ ბავშვობაში მოტაცებულ ქრისტიან ბავშვთაგან, რომელთაც ზრდიდნენ ისლამის ფანატკოსებად.

² „ბრწყინვალე პორტა“ – ეწოდებოდა ოტომანთა იმპერიის სამეფო კარს.

მაგრამ მან ეს დრო არ იცის განა,
ვინც ბატონობას ომით აპირებს? –
რომ ახლა სულ სხვა ხალხები დგანან
იანიჩრების მოპირდაპირედ.

ნახევარმთვარე

ბრწყინავდა ერთ დროს რიონის გარდა
ნახევარმთვარე ღუნაის თაჭეც,
იგი მოღუნულ თურქულ ხმაღს ჰგავდა
და იყო სისხლით პირამდე საესე.

შემდეგ მოაკლდა სისხლი ბოლგართა,
ველარ აიღო ღალა ჩვენგანაც.
მთვარე,

რომელიც ვეშაპს მოჰგავდა,
ბოლოს გასანყვეტ ძაფს დაემგვანა.

ყოველი მხრიდან უტყევდა მედგრად
მტარვალს შინ მყოფი,

თუ გარეული,
ნახევარმთვარე ცას ძლივსლა ვერა
ფერდაკარგული და გაღუული.

მაგრამ დრო დადგა

და ზღვების იქითი –
თურქნი დასჭირდათ ჯარისკაცებად,
და კელავ მოუნდათ ხალხების სისხლით
თურქთა ნახევარმთვარის გავსება.

და დაავინყდა მისურულ ჰარრის,
რაც თურქთა ქვეყნის გახდა უფალი,
რომ ბუნებაში გაღუვა მთვარის
არის კანონი გარდაუვალი,

რომ თავისუფალ ხალხების სისხლი
არ იყიდება ჩვენში დოლარით,
რომ თვალში უცქერთ

მათ ჩვენი ზიზლი
და სიძულვილი გაუგონარი,
რომ თავისუფალ ხალხების ნება

ოქროს წინაშეც რჩება უცვლელი,
და რაც უნათლოდ,
უსხივოდ ქრება,
მას ოქროს სხივი ველარ უშველის.

„გასაქირნება“ აღმოსავლეთში

ტაოში იდგა ერთი ტადარი,
სვეტებმალალი,
უზარმაზარი.

ზედ აღებეჭდა ჩუქურთმით ხუროს,
ვაზის მტევნები,
გმირთა ზღაპარი,

თალებს ეხვია ხავსი და სურო,
ფანჯრებში შავად იდგა შამბნარი.

თუმც სახურავი გადაეხადათ,
იყო წვიმისგან ნაპარტახალი,
მაინც კედლებზე ლანდად ეხატა
საღებავებით აღთქმა ახალი.

თურმე ელოდა უფრო საზარულ
დასასრულს ტადარის თალი კრიალა,
დიდბანს ენგრია თურქ მომთაბარეს,
ვერ დაენგრია საძირკვლიანა.

გადარჩებოდა
ცამდის ანვდილი
ძეგლი ქართული და ძეგლისძველი,
მაგრამ მოვიდა ჯარის ნანილი
და ინჟინერი ამერიკელი.

გასტეხა ახო,
გაჰკაფა ველი,
აეროდრომის ინჟო შენება
და ინჟინერმა ტადარი ძველი
ნალმით აქცია ბურბუშულუბად.

უცხო ჩუქურთმა ქვით ნაქსოვარი,
ამოკვეთილი ქვაზე ირმები,

ჩანთით წაიღო, ვით სახსოვარი
აღმოსავლეთში გასეირნების.

სალამოს, ცას რომ აკრავს მთიები,
ამფეთქებული შორეულ ფუძის,
„განათლებული“ გადამთიელი
ყავახანაში მაგიდას უზის .

მას თვალს სტაცებენ თურქთა ასულნი,
ყელზე ხალები,
სასურველები,
მას სიგარები უყვარს სამსუნის
და ეზიზღება სამსუნელები.

მას ამ ქვეყნისთვის ვერ ნახავ მწუხარს,
თუნდ წაულია ქექას და ქუხილს,
მას ამ მხარეშიც დოლარი უყვარს,
მაგრამ ეს მხარე არაფრად უღირს.

მას დარდი არ აქვს ქართველთა მინის,
მისთვის არაფერს ამბობს ხახული,
მან ერთადერთი ჩუქურთმა იცის –
ოქროს დოლარზე გამოსახული.

დოლარი არის მისი ხატება,
თურქის მაგიდას უზის მღუმარი
და განათლებით არ განსხვავდება
მასპინძლისაგან მისი სტუმარი.

სარფი

კლდეებზე მოსჩქევს მდინარე სწრაფი,
გათეთრებული ზვირთთა ქალარით,
სოფელს ორად ჰყოფს მდინარე სარფი
და სარფს თურქეთის ჰქვია საზღვარი.
სარფს აქეთ ჩვენი საბჭოეთია,
თურქეთი ჰქვია წყალგალმა მინას,
თუმცა ქართველი სახლობს ერთიან –
წყალგალმა ნაპირს ასკერი იცავს.

გალმა-გამოლმა ეზომიჭრილი
ოდები ჰფარავს ორივე მაღლობს,

გამოღმა ცხოვრობს
ერთი ძმისშვილი,
გაღმა
მეორე ძმისშვილი სახლობს.

წყალგაღმა აღარ ჰყვავის ვენახი,
თვალს არ ახარებს გამოსვლა კვირტის,
ერთ ძმისშვილს
სკოლის ზარი ეძახის,
მეორის შვილი
მიზგიტში მიდის.

და როცა ბინდი ახურავს თალად
გაღმა-გამოღმა გაფანტულ ოღებს,
გამოღმა მღერის
ერთი ძმა ლალად,
წყალგაღმა ჩუმად
მეორე გოდებს.

ორივე მხრიდან ხმა წყდება გვიან
ორგვარი ბედის გამოშატველი...
წყალგაღმა მინას
თურქეთი ჰქვია,
წყალგაღმა
სიკვდილს ნატრობს ქართველი.

ტაო

ტაო, ტაო, ჩვენო ტაო,
ქართლ-კახეთის მკვიდრო დაო!

განწირულო, გადამწვარო,
საქართველოს ნაკვწარო!

ფესვი ჩამრჩა შენს მინაში,
რაგინდ ცეცხლით გადგრუჯონ,
ჩემს ხსოვნაში თქვენ ვინ წაგშლით,
შატბერდო და არტანუჯო!

ტაო, ტაო, კარგო დაო,
აკლებულო, საცოდავო!

ჩვენი ქვეყნის ლხინის დედავ,
მტრებმა მკერდს რომ მიგიბლუჯეს...
შენს ჩუქურთიმებს ძილში ვხედავ,
შენს დაქცეულ ციხის ბურჯებს.

შენი ხანძთა, შენი ტბეთი,
როდის აღსდგეს იავარო,
როდის იქნეს შენი ბედი
ჩვენს სადროშოს მიაბარო!

ტაო, ტაო, ჩვენო ტაო,
ქართლ-კახეთის მკვიდრო დაო!..

ნეტავი შენს ბედს

ნეტავი შენს ბედს პატარა თეფხო,
არ მოგზლუდვია კარი და ეხო.
როგორც კი იგრძნობ ზამთრის დანწყებას,
შენთვის ღიაა ბარის კარები,
ზაფხულზე, როცა ბარად დაცხება
მტკვრის სათავისკენ მიეჩქარები.

ჯერ ჯავახეთში კიდევ არ ცხელა,
მე მტკვრის ნაპირებს მივყვები ნელა.
შორიდან გავცქერ, როგორ ხატავენ
ამ ლამაზ მხარეს ლურჯი ქედები,
მაგრამ ვერ ვნახავ მე მტკვრის სათავეს
და შუაგზაზე უხმოდ ვჩერდები.

განა მაშინებს თოვლი და დაღლა?
მაგრამ შენსავით ვერ ნავალ მალლა.
ვერ ვნახავ წყაროს მზიან სადაფებს,
ვერც არსიანის თოვლიან ქედებს,
მე მტკვრის წყაროებს ვინ დამანაფებს,
ან მტკვრის აკვანში ვინ ჩამახედებს?!

ნეტავი შენს ბედს პატარა თეფხო,
არ მოგზლუდვია კარი და ეხო.
შენ მტკვრის სათავის შვერჩა ჩანჩქერი,
ნაკადულების თავშესაყარი,
შენ არ გდარაჯობს თურქი ასკერი,
შენთვის არ არის მტკვარზე საზღვარი.

რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი

რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი,
რაც აქ მოვიდა ველური ტომი,
უნდოდა ჩვენი გაეჭრო შუქი,
გვიტყუდა ჩვენი ნალექის მდომი.

ხანძრების ფერფლით გახდა ჭალარა,
ბალების ჩეხვით,
ბალების ხოცვით,
არ მოგვასვენა,
არ გაგვახარა,
ვერ გაძლა ჩვენი სისხლით და ხორციით.

ჩვენ გვსაობდა,
თავად მოსაობის ღირსი,
გამნარდა ლხინი,
განყდა ქორნილი,
ბრუნავდა ქართლი ვეშაპის პირში –
თურქის ხახაში ხმალამონვდილი.

დღეს რომ აკლებს იყო მტრის ენა,
ხვალ მოფერება ფარისეველური,
ვერ იქნა
ქართლმა ვერ დაისვენა,
არ ჩამოგვეხსნა მტერი ველური.

არ დავემონეთ,
გვეკონდა ჭიდილი,
თურქეთის მონობას სიკვდილს ვარჩევდით,
ბოლოს გაგვტყუა ღონემისდილი,
მკერდზე მოგვევლიჯა ტაო-კლარჯეთი.

დაადგა ჩვენს ძმებს მძიმე უღელი,
და ჩვენს წინაპარს ლანდივით სდევდა.
თურქეთის ჯავრი ამოუყრელი
და საქართველოს სამხრეთის სევდა.
ოცნებად ექცათ ჯავრის გამხელა.
ჩვენს მამებს დარდი ერტყათ ორკეცად,
და ეს ოცნებაც ხორცშესასხმელად
მემკვიდრეობით ჩვენ გადმოგვეცა.

და მელანდება ის ნამი, როცა
ხანძთაში შვეალ ხალისით საჯესე,

ყარსზე გადიელის სტალინის დრომა
და სალუტები თბილისის თაჯზე.

როცა თურქთაგან ასჯერ ვათელილ
ტაოს გამოხსნას ტაშით ახარებს,
ჩემი თაობის გმირი ქართველი –
ჩვენი ნარსულის ბაირახტარებს.

ველარ გვინატრონ მამელუკებად...

ცხრა ზღვის გაღმიდან ნაირნაირი
წყალობა ავსებს თურქების ხურჯინს,
თურქეთში მიდის ზღვით და ჰაერით
ამერიკული რკინა და თუჯი.

მათ რკინა უნდათ

ხალხების ხუნდად,
ბირჟის კურთხევით და დახმარებით,
მათ საქართველოს ქალებით უნდათ
ისევ აავსონ ჰარამხანები.

და ხმაღს ლესავენ ყიზილბაშები,
თუმცა არაგინ, არ ემუქრებათ,
მათ უნდათ ჩვენი მკვირცხლი ბავშვები
კვლავ დაიტაცონ მამელუკებად.

უნდათ ჩაგვიქრონ ჩვენ მზის კაშკაში,
თავისუფლების ცა მონმენდილი,
ჩვენი მახვილიც არ სთვლემს ქარქაშში
ხალხების ძმობით გამოჭედილი.

და თუ თბილისზე ნამოვლენ ზარით,
მათთან ჩვენ ძველი გვაქვს ანგარიში,
ის,

ვინც შელენა ბერლინის კარი,
ადვილად შევა მათ ანკარაშიც.

შევალოთ,

ხმაღდახმაღ შეხლა გვექნება,
ერთად გადვუხდით ვალებს უკლებლად,
რომ ველარას დროს თურქთა ბეგებმა
ველარ გვინატრონ მამელუკებად!

ისტორიის გაპვეთილი

შუქი რომ აღარ გაჩნდა ნათლისა,
ჩარხი რომ აღარ დაბრუნდა ნაღმა,
რუსეთს მიანდო ბედი ქართლისა
მკლავმოუღლეღმა პატარა კახმა.

დარიალიდან დაჰკრეს დაფდაფი,
შედრკა,
შენანდა თურქს თავებდობა,
ხმლების კაშკაშით,
ხიშტის ლაპლაპით
ქართლში მოვიდა რუსთა მხედრობა.

პირქუშად შეხვდა რუსებს ოსმალო,
ვით უსიამო ახლის მეკვლეთა,
ცეცხლში გაჰხვია,
კვამლი მოავლო,
რუსი ვაჟკაცი ასკერს ეკვეთა.

ოცნება ტრაპიზონის ოლქკომში

გზის გასწვრივ დგანან ალუები მწერივად,
თეთრად გაჰკვრია ზეცას ღრუბლები...
მე ტრაპიზონის ოლქკომში ვზივარ,
ოლქკომის მდივანს ვესაუბრები.

კედელზე რუკა ჰკიდია ოლქის,
მდივანი დასცქერს გადაშლილ ფურცელს,
სახეზე დაჰკრავს იერი კოლხის
და ლაპარაკში ლაზურად უქცევს.

ნუხელ გვიანლამ ჰქონდა თათბირი,
დღეს რაიონი თვითონ არცვია...
რეკავს თბილისი
და პირდაპირი
ხაზით მდივანი უსმენს ჩარკვიანს.

შემდეგ მოიხმობს ოლქის ქალაქებს,
მაგიდას დიდხანს არ მოცილდება
და შუალაშით კრემლს უპატაკებს
ჩვენი სამხრეთის აღორძინებას.

აღმოსავლეთის კაქტი

ცხელა და სიოც არ იძვრის არსით,
შავი თმა-წვერით, თეთრი დოლბანდით,
მორთხმით დამსხდარან, თურქნი და სპარსნი,
რომ გადასწყვიტონ ქვეყნის მყობადი.

გვერდით არაბიც უზით ბასრიდან,
მთვლემარე ინდუსს ახლავს ავლანიც,
ისმის ყვირილი,
როგორც ბაზრიდან,
ყურის ნამლები გააქვთ ყაყანი.

იქნებ შეყრილან აქ მოგზაურნი,
უცხო ამბები აქვთ გასანდობი?
ან ბაზარია აღმოსავლური,
ან სალოცავი,
ან გასართობი?

ილო მოსაშვილი

ჩაკირული ქვები

დრამა 4 მოქმედებად, 11 სურათად

მოქმედი პირნი

ჯემალ თურმან ოღლუ - ვილაიეთის უფროსის მოადგილე, 35 წ.

გაიანე - მისი და, 20 წ.

გოგიჩა - მათი ძმა, 12 წ.

ფატმა - მათი დედა.

შუქრი ჯაფარ ოღლუ - მეზღვაური, ჯემალის სიყრმის მეგობარი.

შამანდუხ - შუქრის დედა, შუახანს გადასული.

რუსუდან - გაიანეს მეგობარი ქალი.

ბეჟან ალა - ყოფილი მასწავლებელი, მოხუცი.

ოსმანი - მეზღვაური, შუქრის მეგობარი.

აბდულ სადაყი - ვილაიეთის უფროსი, შუახანის.

ჯონ რაიტი - ამერიკელი ინჟინერი.

მირზა - სადაყის მდივანი, მოხუცი.

ყაეახანის პატრონი.

ხოჯა სულეიმან - ნაგურჯალი.

საზლვო პოლიციის კაპიტანი.

მომღერალი ქალი.

მსახური ქალი.

ციხის დარაჯები, ჩაფრები, მეზღვაურები, ხალხი.

მოქმედება პირველი

პირველი სურათი

ზიარეთის ციხე-გალანის ნანგრევები. ცალ მხარეს თავიდან ბოლომდე გარღვეული ტაძრის კედელი, რომლის ძირას, საფლავის ხავსმოკიდებულ ლოდებს შორის, მუაზე გადატეხილი დიდი ქვის ჯვარი მოსჩანს. მეორე კედლის თავზე ნახევრად ჩამორეცხილი ფრესკაა უცნობი ნმინდანისა. ტაძრის გარღვეულ გუმბათში ლურჯი ცა კრიალებს. ძირს, ნანგრევებს იქით ზღვის სანაპირო პატარა ქალაქი მოსჩანს, ვინრო ქუჩა-ბანდებით და შუზე აჭრელებული მეჩეთების მალალი მინარეთებით.

ფარდის ახდისას, ლოდზე ჩამოგდარ ბეჟან აღას თავზე ჩაბლანაკრული ხუთი-ექვსი ბიჭუნა შემოხვევა. გოგონას გარდა, რომელიც ფერად ჩაქურაშია გამოწყობილი, მათ ძველმანები აცვიათ და ფეხშიშველები არიან. ბიჭები მოხუც სულგანაბულნი უსმენენ.

ბეჟან აღა - (კედელში ჩატანებულ ლოდზე ამოკეთილ ძველისძველ ნარნერას კოხულობს) „ბრძანებითა თამარისათა მე აბესალმას ქვისმთლელმან და კალატომმან დავით ეს ტაძარი ქართული აღაშენეთ...“ ქართულიო, - ხომ გაიგონეთ, ჩემო ვაჟკაცებო?..

ბიჭები - (ერთხმად) დიახ, ბაბუა ბეჟან აღა!

ბეჟან აღა - ოსმალეებსა და მათს დღევანდელ ბატონებს - ამერიკელ სოვდაგრებს კი უნდათ ჩვენი გულიდან სამუდამოდ ამოშალონ სამშობლოს სიყვარული... მათ სნადიათ დაგვაინყონ ჩვენი ქართული დედა-ენა, რომ პირუტყვებს დაგვამსგავსონ და უფრო ადვილად იბატონონ ჩვენზე!.. მათ უნდათ ჩვენს შვილებსა და მამებს თოფი მისცენ ხელში და თავისუფლების დიდ ქვეყანას მოუსიონ, სადაც ჩვენი ძმები ქართველები სხვა ტომის ხალხებთან ერთად ბედნიერი ცხოვრებით სტკებებიან... ხომ გაიგონეთ, ჩემო შევარდნებო?..

ბიჭები - (ერთხმად) დიახ, ბაბუა ბეჟან აღა!

ბეჟან აღა - თუ ჩვენი სამშობლო გვეყვარება, თუ ჩვენს დედაენას არ დავივინყებთ, ადამიანობასაც ადვილად ვერავინ წაგვართმევს და მე თუ ველარ ველირსები - თქვენ მაინც მოესწრებით იმ მზის

ამოსვლას, ამ ზღვას იქით რომ ყველასათვის ბედნიერად ანათებს!
ამიტომ უნდა ისწავლოთ ჩვენი საყვარელი დედა-ენა, ჩემო შევარ-
დნებო! (გოგიჩას სიყვარულით შევლო თვალი) აბა, ჩემო გოგიჩავ, ის
მეორე წარწერა კიდევ შენ წამიკითხე!..

გოგიჩა - (ქვასთან ჩაიბუხლა, წარწერას თითო მიაყოლა) „ესე კაბადონი გავ-
თაღე და ჩუქურთმითა ქართულითა შევამკე მონა ღვთისა კალმა-
ხელმან...“ (ბეჟან ალას კმაყოფილებით შეხედა)

ბეჟან ალა - ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო შევარდნო... გუშინდელზე უკეთესად
წამიკითხე!.. აბა, ეხლა შენი სახელი და გვარი დამინერე!

გოგიჩა - (პირველ განჯა და საჩვენებელი თითით მინაზე დაიწყო წერა) გო-გი-ჩა
თურმან-ოღღუ... (შერთა, უმაღ წაშალა) ფუ, ეს ოხერი კიდევ შემე-
შალა... ოღღუ კი არა (ხელახლა სწერს) თურ-მანი-ძე!

ბეჟან ალა - ეგრე... ეგრე, ჩემო ვაჟკაცო!.. ოღღუ არ გამაგონოთ...
მაგან დაგვადო მონის ბორკილები და ვიდრე სამუდამოდ არ მო-
ვიშორებთ, - ისევ საბრალო მონები ვიქნებით!.. ხომ გაიგონეთ,
ჩემო არწივებო?

ბიჭები - (ერთხმად) დიახ, ბაბუა ბეჟან ალა!

გოგიჩა - ბაბუა ბეჟან ალა, შენ რომ სთქვი ამ ზღვას იქით ქვეყანა
არისო, იმ ქვეყანამდე ძალიან შორია?

ბეჟან ალა - შორია... არც ისე შორია... რაზე მეკითხები, შვილო?

გოგიჩა - ისე, არაფერზე... ბიძია შუქრიმ სთქვა, იქ ბავშვებს თურმე აი,
ამ ქვების მაგიერ წიგნები აქვთ და ჩვენსავით მინაზე კი არა სწერენ,
- თოვლივით თეთრი, კრიალა ქალაღლი ჰქონიათ!.. მაააშ!...

ბეჟან ალა - ეგრეა, შვილო... თოვლივით სუფთა, თეთრი... იქ კაცის
გულიც თოვლივით თეთრია და სუფთა... მას დღემუდამ მონის
გაუთავებელი ჯავრი არა შხამავს და სიყვარულით უმღერის იმ
დიდი ადამიანის სახელს, ვინც მათს ქვეყანაში ხალხს სამშობლო
მისცა და ადამიანს კაცური ღირსება დაუბრუნა!..

გოგიჩა - (ჭარბი ცნობისმოყვარეობით) ის ადამიანი ვინ არის, რა ჰქვია?

ბიჭები - (ერთხმად) რა ჰქვია?

ბეჟან ალა - მისი სახელი, ჩემო ვაჟკაცებო... მას ჰქვია.. ჯერ პატარები
ხართ, დაიზრდებით და თვითონ ისწავლით მის სახელს...

გოგიჩა - არა, გვითხარით... ახლა გვითხარით, ბაბუა ბეჟან ალა!

ბეჟან ალა - გეტყვით, მხოლოდ ახლა არა... ვინც თქვენში ყველაზე
უკეთესად ისწავლის, იმას ვეტყვი...

გოგიჩა - ეგრე იყოს, ვინც უკეთესად ისწავლის...

- ბიჭები - (ნამოიძალნენ) იყოს... იყოს!.. (გოგიჩამ ფერდობს გადახედა. ეტყობა რალაც შენიშნა, უმაღლეს დარღობაზე დაეშვა).
- (შემოდის შამანდუხ. მას ძლიერ მოაქვს მხარზე შედებული, გათლილი ქვის დიდი ნატეხი. ბეჟან ალა შეეგება. ხელი შეაშველა, ქვა მონინებით დაუშვა კედლის ძირას).
- შამანდუხ - შუადღე მშვიდობისა!.. გზის ქვემოთ, ლელის პირას ეგდო... შინ მემურებოდა, მაგრამ დაილოცოს ამისი გამთლელი, სანამ არ ნამოვიღე - გულმა არ მომასვენა!
- ბეჟან ალა - ეგრე, ეგრე ჩემო შამანდუხ!.. შენი შუქრი გიცოცხლოს, ოჯახი აგიშენოს... ჩვენ - უბედურებს, ამ ქვების მეტი რალა დაგვრჩენია, - რომ ამათაც არ გავუნოთ პატრონობა. (გარედან გოგიჩას ძახილი მოისმა) „ხოჯა სულეიმან გუდაა!.. გუდაა! გუდაა!“ დაფეთებული შემოიჭრა).
- გოგიჩა - ბაბუა ბეჟან ალა, გუშინ გალავანთან ჩვენ რომ დათლილი ქვები დავანყეთ, ხოჯა სულეიმანს ურემზე დაუნყვია და შინ მიატქს!
- ბეჟან ალა - რაო, რაო?..
- ხოჯა სულეიმანი - (გოგიჩას კალდაკვალ შემოაყვა, დაინახა თუ არა, ყავარჯენი ესროლა) არამზადავ!.. ლორის ვიშისავ!..
- ბეჟან ალა - (ბრახმორული წინ გადაელობა) შენ თვითონ ლორების უსტაბამო, ის ქვები რომ ურემზე დაგინყვია, ეხლავე შენის ხელით თავის ადგილას მიიტანე, თორემ ზედ იმ ქვაზე თავს გახლეჩინებ!
- ხოჯა სულეიმანი - (გაცეცხლებული) ერთი ამ სულნანყმედის დამიხედეთ! ამ ნანგრევების მოვლა-პატრონობა შენ ვინ ჩაგაბარა?!
- ბეჟან ალა - ვინ ჩამაბარა და, ჩემმა სინდისმა და ჩემმა კაცობამ!.. (ბიჭებს) გოგიჩავ, ბიჭებო, აბა, ის ქვები ეხლავე თავის ადგილას!.. (ბიჭები უმაღლეს დაეშენნენ დარღობაზე).
- გოგიჩა - (შურდულში ქვა გამართა და გატყორცნა) ხოჯა სულეიმან, გუდააა!.. (დარღობაზე დაქანდა).
- ხოჯა სულეიმანი - ვიცი, კარგად ვიცი, რაც გინდა, ბებურო ქოფაკო!.. დამაცადე, თუ ციხეში არ ამოვალაობინო შენი თავი... დამაცადე!.. (სწრაფად მიეფარა ნანგრევებს).
- შამანდუხ - უფრთხილდი, უფრთხილდი, შენ გენაცვალე... ხო იცი რა ენის პატრონია!..
- ბეჟან ალა - (ორივენი მიდან) სანამ პირში სული მიდგას, ჩვენი მამაპაპის საფლავებს არავის შევაბილწინებ!..

ფარდა

ზღვის პირი. მარცხნივ – ფართოაიენიანი ოდა, ნარინჯისა და ფორთოხლის ხეხილით დარჩდილულ ქოთი. ოდის წინ – დიდი ძირგადგმული ლეღის ხე, მსხვილ-მტკე-ნებიანი ვაზით გაბარდული. სიღრმეში პატარა, ძველებური ქალაქი მოსჩანს; მის შუაგულში – დიდებული ციხე-კოშკისა და ტაძრის ნანგრევები. მჭიდროდ მიყრილ შენობათა შორის რამდენიმე ვინროგუმბათიანი მინაერთი ამართულა. ფარდის ახდისას გაიანე ქოსს ჰკვის.

ხმა სახლიდან – გაიანე, შვილო, რატომ ანაის არ დაუძახე?

გაიანე – ანაის, რატომ, დედა? ბავშვი ჰყავს ავად... გესმის? იმას უმღერინან... (ისმის ჩონგურზე შეწყობილი „ბატონებო“).

ფატმა – (საჩეხში გამოვიდა, ერთმანეთზე შედგმული კეცები ბუხართან დაანყო) ვერ მოვასწრებთ, გოგო, ხელს შეგვაშეველებდა, – ხომ იცი, დღეს ჩვენთან სტუმრად რა კაცი უნდა მოვიდეს!

გაიანე – თვალმც დაუდგება, ჩვენც როგორც მოვასწრებთ, ისე დავ-ხედეთ.

ფატმა – (ბუხარში ცეცხლს ანთებს) ეგ რა სათქმელია, შვილო!.. სტუმრის უკადრისად დახვედრა სად გაგონილა? ეგაც არ იყოს, ჩვენს ოჯახს რამდენი სიკეთე გაუწევია! ვენაცვალე, თხუთმეტ წელიწადს თვა-ლით არ გვენახა ჯემალი... ეგ კაცი რომ არა ყოფილიყო, ვინ იცის, რამდენ ხანს კიდევ ვერა ვნახავდით!.. შერე, სიკეთეც სიკეთესა ჰქვიან, – არც ერთ ჩვენებურ კაცს რომ არ ღირსებია, თავის მოადგილედ დანიშნა... ვილაიეთის უფროსის შემდეგ ჯემალი მთელს ჩვენს მხარეში პირველი კაცია... მთელი ზიარეთი ესლა შენს ძმაზე ლაპარაკობს... ბედნიერი დედა ხარო, ყველა ამას მეუბნება...

გაიანე – წინანდელი უფროსი არც ერთ ზიარეთელს თვალთ არ და-უნახავს: რაც ეგ მოვიდა, სულ ერთთავად ქალაქში დაეხეტება! იმ დღეს მე და ანაი ზღვაზე ხალიჩას ვრეცხავდით, უეცრად ხალხმა გზა დაადგო, ვილაიეთის უფროსი მოდისო... ისე ერთბაშად წამოგ-ვადგა, გვერდი ძლივს აფუქციეთ... თვალებით დაგვიწყო ქამა, – ურცხვი ვილაცა სჩანს!

ფატმა – ალბათ მოგეჩვენა, ნასწავლმა ხალხმა ეგრე იცის, შვილო! თუ არა და, – განა გონჯი ხარ, ვაჟკაცმა არ შემოგხედოს?

გაიანე – შემოხედვაც არის და შემოხედვაც... კარგათ რომ დაგვცილდა, ერთბაშად მობრუნდა, მსლებლებს ჩვენზე რაღაც ანიშნა და

გაიცინა... გუშინინაც ვემალოთან სამსახურში რომ მიველ, თვალი არ მოუშორებია, - იმის მაგივრად მე შემრცხვა... ვემალს იმიტომ ვეღარ მოვუცადე და გამოვიქეცი...

გოგინა - (შურდულის ქნითი ქოში შემოიჭრა, ქვა გასტყორცნა, გაიანესთან მივიდა) გითხრა, - ბაბუა ბეჟან ალამ რა მასწავლა? გითხრა?..

გაიანე - შენა და შენი ბეჟან ალა! ბარემ ადექი და მასთან გადასახლდი... ბიჭო, დღედაღამ იმ მოხუცთან უნდა ევდო?!

გოგინა - (მედიდურად) რა შენი საქმეა!.. კაცების საქმეში რას ერევი? ალბათ საჭიროა და იმიტომ დავდივარ...

ფატმა - ღმერთო, ქვეყნის შემდგენელო, - დიდი ხანია არ გიჩხუბნი-ათ... ბიჭო, გოგინა, არ გესმის? - შეშა მომიტანე.

გოგინა - (მთელი ილღია შეშა დედას მოუტანა) იცი, დედავ, ბაბუა ბეჟან ალამ რა მითხრა? თათრის ბიჭები გურჯეს როცა გეძახიან, არ უნდა იჩხუბო. - რა ვუყოთ, რომ გურჯები ვართ, გურჯობა განა სასირ-ცხვო საქმეაო?

ფატმა - მართალი უთქვამს, შვილო, სადაც ახლა ვართ, - მთელი ეს მინანქალი ძველად ჩვენი, გურჯებისა ყოფილა...

გოგინა - დედავ, იცი, ბაბუა ბეჟან ალამ კიდევ რა მითხრა?! (შურდულში ქვა ჩადო, მოიწინა, გასტყორცნა). როცა ოსმალო გურჯეს დაგიძახებს, შენ სამაგიეროდ ასე უთხარი - გუდით მოყვანილოვო. როდესაც ოსმალები ამ არემარეში პირველად მოსულან, მათ თურმე უკან გუდამოკიდებული ქალები მოსდევდნენ და იმ გულებში თურმე ბავ-შვები ესხდათ... მააშ! (ისევ შურდული დაატრიალა, ქოს განაპირას მიიჭრა, კუნძზე შეხტა და შორს ვილაცას გასძახა) ახმედ! ჰუ! ახმედ!... გუდაა... გუდაა! (ქვა გასტყორცნა და ქოდან გავარდა).

გაიანე - იმ მოხუცმა ბიჭი ერთიანად გადარია... (გოგინას თვალი გააყოლა). აი ხედავ? - ახლაც ისევ იქითკენ გაიქცა!..

ფატმა - ცალკე იმან და - ცალკე შენმა მეგობარმა შუქრიმ... (ქოში შუქრი შემოვიდა) აი თვითონაც, ხსენებანზე!.. (გაიანე შკრთა, გაშლილი ნანანავები მხრებზე გადაიყარა, შინ შევარდა).

შუქრი - შუადლე მშვიდობისა!

ფატმა - მშვიდობა მოგცეს ქვეყნის შემდგენელმა! ეს კი იყო, შენ გახსენებდით... გოგინა ამტყვია, მზღლავური უნდა გამოვიდო... რაც შენ საქართველოში ნახული უამბე, ვეღარ დავგიყენებია!

შუქრი - რა ურიგოა, მთელ ქვეყნიერებას მოივლის! ერთი ეს არის, - როდესაც შინ ყოფნა ყველაზე მეტად დაუტკებება, სწორედ მაშინ

უბრძანებენ გამგზავრებას... აი ეხლაც ამიტომ მოველი: დღეს როგორ მინდოდა თქვენთან ყოფნა, ჯემალთან საუბარი, მაგრამ მოულოდნელად გამოგვიცხადეს, - გემი სასწრაფოდ უნდა გავიდესო..

ფატმა - (ნაწყინი) რას ამბობ, შვილო, ჯემალმა დილასვე მითხრა, შუქრი არსად წავიდეს, რამდენი ხნის უნახავები ვართო... (შინ გასძახა) გაიანე, გაიანე!.. (ისევ შუქრის) ეხლა შენ იცი და გაიანემ... მე მაგ საქმეში ვერ გავერევი, შვილო.

(გადის).

გაიანე - (ნანწყებდნული, ახალი კაბით საჩეხში გამოჩნდა) როგორ თუ მიდის?! სად მიდის?! (შუქრის მივება) ხუმრობ თუ მართალს ამბობ?!
შუქრი - რა ვქნა, განა მე კი მინდა, მაგრამ სამსახური...

გაიანე - (თამამად გაწყვეტინა) მე შენ ვერსადაც ვერ გაგიშვებ!

შუქრი - ნეტავი შენ იყო ჩემი უფროსი, მაგ ბრძანებას რა სიამოვნებით შევასრულებდი!

გაიანე - მე რომ შენი უფროსი ვიყო, მაშინვე დაგითხოვდი სამსახურიდან... (ნაზად, გაბუტული) დიახ, გააჭირა საქმე შენმა ზღვამ და სამსახურმა...

შუქრი - იქნებ ევაც მალე მოხდეს... ამ ბოლო დროს გურჯი წარმოშობის მზღვავურებს აღმაცერად გვიცქერიან... ამასწინათ მეორე გემზე, რომელიც შავი ზღვის ნავთსადგურებში დადიოდა, ხუთი გურჯი მზღვავური იყო და ხუთივე დაითხოვეს...

გაიანე - როგორ თუ დაითხოვეს? რატომ დაითხოვეს? იმიტომ რომ გურჯები იყვნენ?

შუქრი - სწორედ იმიტომ... ამ ერთი თვის წინათ ჩვენი გემიცა და მათი გემიც, ორივე მარმარილოს ზღვაში იდგნენ. მე ნავთსადგურში დავდიოდი, როდესაც მათი გემის საყვირი გაისმა. სწორედ გემის გასვლის წინ, საზღვაო პოლიციამ ხუთი მზღვავური ჩამოსვა ნაპირზე. რა მოდა მეთქი, - შევეკითხე. იმის მეტი არაფერი, რომ გურჯები ვართო... უსაქმოდ, ულუკმაპუროდ დარჩენილებმა არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. ჩვენი გემის კაპიტანთან მივასწავლე... თორმეტი მზღვავური ავად გვყავდა, - აფრიკის სანაპიროზე დასიცხულუები ალექსანდრიაში დავტოვეთ... კაპიტანს ჯერ გაუხარდა, მაგრამ რა წამს შეიტყო, რომ გურჯები იყვნენ, ცივი უარი უთხრა!..

გაიანე - (დაღონებული). მაშ, მარტო იმისათვის დაითხოვეს, რომ გურჯები იყვნენ?!

შუქრი - ასე ამბობენ რიზეში მეზადურებისთვის რაღაც ქართული გაზეთები უპოვნიათ... რამდენიმე გურჯი დააპატიმრეს თურმე!

- გაიანე - კი მაგრამ, ის მზღლუაურები რა შუაში არიან?!
- შუქრი - კურდღლისა არ იყოს, ჯერ დაგჭედავენ, მერე დაუმტკიცე, რომ აქლუმი არა ხარ!..
- გაიანე - მამ, შეიძლება შენც დაგიტხოვონ?
- შუქრი - რატომაც არა, ყველაფერი შეიძლება...
- გაიანე - მერე?
- შუქრი - ქვეყანა დიდია და ზღვაც ბევრია ქვეყანაზე...
- გაიანე - მე კი მეგონა...
(გულდანყვეტილმა თავი დახარა).
- შუქრი - რა გეგონა? ვერ გაიგე გაიანე!..
- გაიანე - სულ ზღვა, გემი... გემი და ზღვა... აი, დღესაც მეგონა ჩვენთან ერთად იქნებოდი...
- შუქრი - მერე და, სამსახურიდან რომ დამითხოვონ, განა აქ, შენთან დამტოვებენ? ასე თქვეს, ისინი - ხუთივენი ყვითელ კუნძულზე გაგზავნესო... მერე იცი, ყვითელი კუნძული სად არის? აქედან ათი დღის სავალია და კიდევ მეტიც..
- გაიანე - (შეშინებული) შენც რომ იქ გაგზავნონ, მერე? შუქრი, არ შეიძლება ზღვას სულ მიაწებო თავი?
- შუქრი - მე თეჭივით მხოლოდ ზღვითა ვცხოვრობ, გაიანე! ამ თხუთმეტი წლის წინათ მე და ჯემალი ერთად ნაგვიყვანეს... ის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს, მე პირდაპირ მზღლუაურად... მას აქეთ ზღვაზე ვარ... როდესაც ნაპირზე გადმოვდივარ, გული მეხურება...
- გაიანე - (გული ამოუჯდა, თვალებზე ხელი მიიფარა) მამ, ჩემი ნახვა არ გიხარია?
- შუქრი - როგორ არ გრცხვენია, გაიანე!.. შენ რომ აქ არ მეგულუბოდე, იმ გემიდან ფეხს ერთხელაც არ გადმოვდგამდი!..
- გაიანე - (მონყენილ) აკი სიზმარი მართალი არ არისო, ვიცოდი რაღაც სანყენი შემხვდებოდა... წუხელ, ვითომ, მე და შენ ზღვაში მივცურავდით... უეცრად ჩემსკენ დიდი ტალღა წამოვიდა... საითაც მივბრუნდი, ყველგან წინ დამიხვდა. რამდენსა ვკიოდი, ვიძახდი... მერე იმ ტალღამ ერთბაშად ზურგზე მომიგდო და შუა ზღვაში გამიტაცა...
- შუქრი - შენ რომ მოგიტაცა, ის ტალღა მე ვყოფილვარ, არა გჯერა? აი საბუთი!
- (უბიდან ქალღღმა შეხვეული რაღაც ამოიღო, გაუნოდა).
- გაიანე - რა არის?

შუქრი - აბა გამოიცანი!

გაიანე - (ველარ მოთმინა, გახსნა, აღტაცებულმა შესძახა) თეთრი მანდილი!

შუქრი - თუმცა ჩემს სიყვარულს საბუთი არა სჭირდება, მე მინც ნმინდა გულით მოგიტანე...

გაიანე - (მონინებით მყრდში ჩაყრა) სამარეში ჩამყოლოდეს!

შუქრი - ჯემალსა და დედაშენს შენ გააგებინე, მე ვერაფერს ვეტყვი...

გაიანე - დედაჩემმა ყველაფერი იცის, ჯემალს კი - ვერც მე ვეტყვი...

გოგჩა - (ხმა გარედან) ახმედ, ჰაუ ახმეეედ. გუდაა, გუდაა!.. (შურდულის ტრიალით შემოვარდა, შუქრი დაინახა, მისენ გაქანდა). ბაბუა ბეჟან ალამ მითხრა, შუქრი ბათუმში მიდისო!..

გაიანე - (წყრომით) როდესაც უფროსები ლაპარაკობენ...

გოგჩა - (არ დაცალა) რამდენჯერ მითქვამს კაცების საქმეში ნუ ერევი მეთქი!.. დიააახ! (შუქრის მოუბრუნდა) იცი, ბაბუა ბეჟან ალამ რა მითხრა? თუ შუქრი ქართულ წიგნს ჩამოგიტანს, კითხვას უფრო კარგად გასწავლიო... ჩამომიტან, შუქრი?

შუქრი - თუ ნაპირზე ჩამოსვლის ნება მომცეს, რა თქმა უნდა ჩამოგიტან!

გოგჩა - ნაპირზე ჩამოსვლის ნება? რატომ არ უნდა მოგცენ?

შუქრი - ამ ბოლო დროს ყველაფერი ხდება.. ჯურჯი თუ ხარ, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს... (გოგჩას სახე მოღრუბლა) რა იყო, მოინყინე? როგორ არა გრცხვენინან?! ხომ გითხარი, ჩამოგიტან მეთქი! უეჭველად ჩამოგიტან...

გოგჩა - (შებტა, ზედიზედ ტაში შემოჰკრა) უუუ... წიგნიც მექნება!.. (შურდული დაატრიალა, კუნძუ შეტტა, გაღმა გასძახა). ახმეეედ, ჰაუ, ახმეეედ! გუდააა. გუდაა...

(ქვა გასტყორცნა, ქობდან გავარდა. გაბმული საყვირი გაისმა).

ფატმა - (საჩეხიდან) შინ რატომ არ მოხვალთ, შვილო? გაიანე, ქობში რას გაჩერებულხართ?

შუქრი - (კვლავ საყვირის ხმა) აი, გემზეც გვედახიან... მშვიდობით გნახეთ, ქალბატონო ფატმა!

ფატმა - უი, ჯემალს როგორ ეწყინება, შვილო!.. მშვიდობის გზა მოგცეს ქვეყნის შემდეგენელმა!

(შუქრი და გაიანე საუბარით გადიან. გარედან ისმის ყვირილი. შემოდინან გაცეცხლებული ბეჟან ალა და ხოჯა სულეიმანი. ბეჟან ალას გვერდით გოგჩა მოსდევს).

სულეიმანი - (ბეჯან აღას) რას გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან?
ბეჯან აღა - ჩემი არ იყოს, ხომ ხედავ, საცაა სულს ეშმაკს ჩააბარებ...

არ გინდა საიქიოს ჯენეეთის კარზე პირთეთრად მიხვიდე?

სულეიმანი - ავი კაცის შარისაგან ალლაჰმა დაგიფაროს... ზიარეთის პატრონობა შენ ვინ ჩაგაბარა? ვინა გკითხავს, მე იქიდან ქვას ნავილებ, თუ რას ნავილებ?

ბეჯან აღა - (ფატმას მიესალმა) მრავალი მშვიდობის დღე გაგიტენოს! ჯემალმა გვიკადროს, თუ შინ არის... კაცმა ამდენი ვიცხოვრე ქვეყანაზე და ჯერ სამართლის კარზე არა ვყოფილვარ... ეხლა (სულეიმანზე აჩვენებს) ამ ეშმაკის სულმა საჩივარზე დამაყენა!.. ბატონო ჩემო, ზიარეთში მისულა, ჩვენი მამა-პაპის დათლილი ქვები, - ჩვენი ნმინდა ქვები, ურუმზე დაუნყვია და სახლის ქიშკი ფილაქანი დაუგვია, რომ თავისი უნმინდური ფეხებით ყოველდღე ზედ იაროს!..

სულეიმანი - შენ რა გინდა? შენი ქონება ხომ არ ნამილია?!

ბეჯან აღა - ჩემი ქონება რომ ნაგელო ხმას როგორ შეგძრახავდი?.. ქვეყანამ იცის, ცოლი მე არა მყავს, შვილი და სხვა ნათესავი მე არ გამაჩნია, ჩემი სიცოცხლე იმ ქვებს შევალე... თუ რამე შესანიშნავი შემოსულა, ჩემიც დამიმატებია, რომ ის ჩვენი მამა-პაპის სამარხი არასოდეს არ მოშლილიყო. (უფრო გაცხარებული ფატმას) მერე იმ ქვებთან ერთად, იცი, რა ქვა ნაულია? სიონის ქვა, მე რომ სამ წელიწადს ვეძებე და ბოლოს, მეჩეთის კარებთან მიწაში ჩაფლული ვიპოვე... (სულეიმანს) ფუ, შენს კაცობას, ტყუილად კი არ გეძახიან ნაჯურჯალს!.. (მათ ვერ შეაშინიეს, მირზა ქიშკი როგორ შემოვიდა. იგი მოხუცებს შესცქერის. ხელში რაღაც ამანათი უჭირავს).

ფატმა - კაცების დავაში დედაკაცს სიტყვა არ ეთქმის, თორემ ბეჯან აღას სიმტყუნე ამ ქვეყანაზე ვის გაუგონია? რა თქმა უნდა, ხოჯა სულეიმანი ჭკვიანი კაცია და სანამ სამართალი ეტყოდეს. იმ ქვებს ზიარეთშივე მიიტანს... ჯემალი, გენაცვალეთ, შინ არ არის, რაც იმ გზის მშენებლობა დაიწყო, ხან მუშებიო, ხან ინჟინრებიო, - დილიდან საღამომდე იქ არის!..

ბეჯან აღა - მზეგრძელი იყოს შენი ჯემალი! შარშან, შარშანწინ, უგზოობის გამო ხალხი დაიმშა! თითო ოცა ხენდრო და თხილი ვერსად გავიტანეთ, რომ სამაგიეროდ, ცოტაოდენი სიმინდი მაინც გვეყიდნა. ახლა ხალხი ჯემალის მზესა ფიცულობს... რაკი გზა გვექნება, ამდენ გაჭირვებასა და შიმშილს თავს დავაღწევთ... (ნახლა დააძრა).

ფატმა - ბოდიში უნდა მოვიხადო თქვენთან, რომ ასეთ პატივსაცემ სტუმრებს ვერაფრით გეცით პატივი...

ბეჟან ალა - რასა ბრძანებთ! მშვიდობითა გნახეთ...

ფატმა - მშვიდობა ნუ მოგიშალოთ...

(მოხუცები მიდიან, გოგია მათ აუღევან, ცერად შესცქერის სულიმანს).

ბეჟან ალა - (იხევ აბობოქრდა) სამართლის იმედი რომ არა მქონდეს, კაცის სისხლში გავერევოდი!

სულეიმანი - ზიარეთისათვის რაც განძეული შეუნირავთ, შენს ოჯახში შუზიდე და მე ქვებსაც აღარ მანებებ? ვნახოთ ერთი, რას იტყვის სამართალი!..

ბეჟან ალა - ქვებს იპარავ და განძეული რომ არ შემენახა, აქამდის სტამბოლის ბაზარზე ჩაიტანდი... იმ დღეს ამეროველ ოფიცერს ვისი ხალიჩა მიჰყიდე?

სულეიმანი - ვისი და ჩემი საკუთარი!

ბეჟან ალა - მამ ყოფილ მედრესეში რომ დიდი ხალიჩა იყო. სად ნავიდა?

გოგია - (თვალეზი ეშმაკურად აუთამაშდა) ბაბუა ბეჟან-ალავ, გახსოვს, შენ რომ ზღაპარი მიაძებე? ზოგმა ხალიჩამ ფრენა იცისო...

სულეიმანი - ამ ლორის დინგს რალა უნდა?!

(ვოზი მოუჩნია, გოგია განზე გახტა, მოხუცები გადიან)

გოგია - (ლუღის ხეს ამოფარა) ხოჯა სულეიმან. გუდაა... გუდა.

ფატმა - (გამოკოდა) სუ, შე გასაქრობო...

(გოგია ქოდან გავარდა).

მირზა - (ფატმასთვის მოულოდნელად) როცა ოჯახში ბედნიერება შემოდის, ნყეულას ძალა ეკარგება, ფატმა ხანუმ!

ფატმა - (ეხლა შენიშნა) რა გნებავთ?

მირზა - (ქარბი თავზიანობით) ღმერთმა კარგი ბაირამი და კარგი დღეები გავითენოთ... სიხარულის ელჩი ვარ, ეს ამანათი თქვენს ქალიშვილს მთართეს...

(გაუნოდა)

ფატმა - რა არის? (ჩამოართვა)

მირზა - ბედნიერება!

ფატმა - ვინ გამოგზავნა?

მირზა - ყველა სკეტეს თვითონ ალლაჰი უგზავნის ადამიანს... როდესაც დრო იქნება, მაგასაც შეიტყობთ!..

ფატმა - მაინც?

მირზა - მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, მუდამ ასე საესე იყავით სიკეთითა და სიხარულით!..

(მდაბლად დაურა თავი, გაეცა).

ფატმა - (ამაზით გახსნა, მანდილი გაშალა, სახეგაბრწყინებულმა შესძახა) თეთრი მანდილი! (სასოებით აღაპრო ხელები). საბედნიეროდ დაეხუროს თავზე ჩემს გაიანეს! (შეხვია. ქოში შემოსულ გაიანეს ხელებგაძლილი მიეგება). დედა გენაცვალოს, საპატარძლო მანდილს გიგზავნიან და მე არაფერს მეუბნები?

გაიანე - (დარცხვნილი. ჰგონია დედა შუქრის მოტანილ მანდილზე უბნება) არ ვიცი... მე არაფერი ვიციოდი... (მანდილს ხელში კომშავს).

ფატმა - თვითონ ალბათ, ვერ გაგიბედა, ელჩის ხელით ამიტომ გამოგიგზავნა.. (მანდილი გაშალა და გაიანეს მოახვია) სიხარულსა და ბედნიერებაში გაგაცვეთინოს, შვილო!

გაიანე - (გაოცებული მანდილს მისჩერებია) ეს რა არის, დედა?

ფატმა - როგორა მგაეხარ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. მეც ასე ენა ჩამივარდა, როდესაც სანყალმა მამაშენმა თეთრი მანდილი მომიტანა... როგორ თუ რა არის? ქორწილის დღე უნდა დაენიშნოთ... განა თვითონ შუქრემ არაფერი გითხრა? საპატარძლო მანდილს სწორედ ამიტომ უგზავნიან, შვილო!

გაიანე - (გარინდებული) ამიტომ უგზავნიან, მაგრამ მე ვინ გამოგიგზავნა დედა?

ფატმა - გენაცვალოს დედა, შუქრის მეტი ვინ იქნება?

გაიანე - (ეტყობა გული ცუდს რაღაცას უბნება) არა დედავ, ეგ მანდილი - არ ვიცი... (ერთბამად) შუქრის გამოგზავნილი არ არის, არა!..

ფატმა - (შენუბებული მისჩერებია გაიანეს) აბა, სხვა ვინ იქნება, შვილო?

გაიანე - არ ვიცი, დედავ.. (დედა ეზრალება) შეიძლება შუქრემ გამოგზავნა, მაგრამ ვისი გამოგზავნილიც უნდა იყოს, არ მინდა, არა!.. (შინ შევარდა)

ფატმა - (შეშოთებული) შვილო... გაიანე... (განვლილი მანდილი ხელში შერჩა).

ფარდა

სცენა შუაზე გაყოფილი. მარცხენა მხარეს - მისალები ოთახი. ოთახში - მაგიდა, სკამები, კედლის საათი. მარჯვენა მხარეს - ვილაიეთის უფროსის კაბინეტი. კარ-ფანჯრებზე - ატლასის ფარდები, კედლებსა და იატაკზე - ხალიჩები. აღმოსავლური ჩუქურთმებით შეკუმულ ქერში ფერადი მინით მოჭედნილი ქალი ჰკიდია. ფარდის ახდისას აბდულ სადაყის კაბინეტი ცარიელია. მისალებ ოთახში მონყენილი მირზა მაგიდასთან კრიალოსანს არაწყუნებს, ხოჯა სულეიმანმა ფრთხილად შემოალო კარი.

სულეიმანი - კაი ბაირამი და კაი დღეები ჩვენს მირზას!

მირზა - (ნამოღვა) მზეგრძელი იყოს ხოჯა სულეიმანი! რას შეუწუხებია მაჰმადის თავდაფიციული მსახური?

სულეიმანი - მისი აღმატებულება აქ არის?

მირზა - არა, ჯერ არ მობრძანებულა!

სულეიმანი - მოადგილე?

მირზა - არც ისა გბლებიათ! დაბრძანდით... (სყამი შესთავაზა) მალე მოვლენ, თქვენ რომელი გნებავდათ?

სულეიმანი - ჩემთვის ერთია, რომელიც კარგად გადამიჭრის სამართალს.

მირზა - ხოჯა სულეიმანს რა ესწავლება? სამართალს ხანჯალივით ორი პირი აქვს, რომელ პირსაც დუმით გაუპოხავ, ის პირი გასჭრის...

სულეიმანი - სულთნობის დროს ეგრე იყო... ახლაც ეგრეა?!

მირზა - მოადგილისა რა მოგახსენო, ახალი ცოცხია... მის აღმატებულებას კი ექვსი ქალიშვილი ჰყავს, - იმოდენა ჰარამხანას შენახვა არ უნდა? შენ მარტო იმათი კაბა-ქოშები იანგარიშე!..

სულეიმანი - აკი უცოლო არისო?

მირზა - ცოლი ჯენეთში მაჰმადის სულის მოსალხენად გაუგზავნია... იმას მოგახსენებდი, - ჯამაგირით შენახულ ოჯახში ბუხარი ვერ გათბება... ნინათ კიდევ რა გვიჭირდა! რაც ეს ამერიკელები გაგვიბდნენ მეგობრებად, თუ რამე კარგი იმოვებოდა, ყველაფერი გაჭრა... აი მე, პირის გემო დამეკარგა... რამდენი ხანია ჩემს ოჯახში ლაბ-ლაბო და ქიშმიში აღარ მოხარშულა!

სულეიმანი - შენს ღიჰს რომ არაფერი დასტყობია? იმოდენა თხილის ბალი გაქვს, იმოდენა ვენახი... ახლა კიდევ იმ დუქნების ქირა იანგარიშე... რასა ნუწუნებ?.. განა ფულის სასესებლად მოვსულვარ შენთან?!

მირზა - რის ფული, რომელი ფული? ჩემი ოხერი ვამაგირით ათი ოცა სიმინდის ფევილიც ვერ მიყიდნია... შენისთანა კეთილი ხალხი ალ-ლაჰმა ნუ გამოლიოს, თორემ ეხლა იმ ქვეყანაში აბდულ ჰამიდის მექისედ ვიქნებოდი...

ჯემალი - (შემოვიდა. საათს შეხედა, მერე მაჟასა დააცქერდა). ინჟინერი არ მოსულა? თათბირი უნდა ყოფილიყო...

მირზა - კაცი გამოგზავნა, მალე მოვალო...

სულეიმანი - (ლაშის იატაკს გაერა) ვალის თანაშემწეს სიცოცხლე და დღეგრძელობა!

ჯემალი - (არ მოენონა) ვიცი... ვიცი... ტყუილად სწუხდები... არ შემოიძლიან!

სულეიმანი - ბატონო ჩემო, იმდენი ხარჯი... შრომა... ის მოხუცი ტყუის...

ჯემალი - ის მოხუცი კი არა, მთელი ზიარეთი გლანძღავს... გიმეორებ, ის ქვები დღესვე თავის ადგილას უნდა მიიტანო.

მირზა - ბატონო ჩემო, შენს ალლაჰს შეხედე და ერთი სიტყვა მათქმე-ვინე!

ჯემალი - სთქვი, რა გინდა?

სულეიმანი - ნამდვილად ვიცი, კომუნისტების მომხრეა...

ჯემალი - (შეფიქრანდა) ვინ არის კომუნისტების მომხრე?

სულეიმანი - ვინა და ბეჟან ალა.

ჯემალი - საიდან იცი?

სულეიმანი - ნამდვილად ვიცი... აბა გასინჯეთ, გულზე ვჯარი ჰქიდა!..

ჯემალი - (გაეცინა, ხელი ჩაიჭინა) სისულელეს როშავ!..

სულეიმანი - ბატონო ჩემო...

ჯემალი - (მტკიცედ) ვთქვი და გავათავე!..

(მაგიდას მოუწადა. ხოჯა სულეიმანი თავის ქნევით გვიდა. დუმილი ჩამოვარდა).

მირზა - სულელი! ქრთამი შემომადლია... მე რა ამ საქმის გამკეთებელი მნახა?

ჯემალი - მერე? ამ საქმის გამკეთებელი რომ ყოფილიყავი, აიღებდი?

მირზა - არა, მაგრამ... გაჭირებამ შეიძლება შეაცდინოს კაცი...

ჯემალი - ისე რამ გაგიჭირვა, რომ საციხედ გაიხადო საქმე?

მირზა - ეეჰ, ცხოვრება გაძნელდა... ცოლი, შვილი, შვილიშვილები...

ერთს უყიდი - მეორეს აკლია, მეორეს მოუტან - მესამე შემოგტირის...

ჯემალი - (ქალღი დანუა, მიზას გუნოდა) აჰა, მოლარეს გადაეცი!
მირზა - რა არის?

ჯემალი - გამომართვი... მერე კიდევ დაგეხმარებით.
მირზა - მე, ისე ვამბობდი.

ჯემალი - გამომართვი მეთქი.. ასეთი ლაპარაკი აღარ გამაგონო!..

მირზა - (გამოართვა) ჩემი ვალის თანაშემწე მიცოცხლოს... გურჯებს რომ
ერთმანეთი გვიყვარს, თათრები ბრანისაგან ამიტომ იხოცებიან...

ჯემალი - მე შენ უფრო ჭკვიანი კაცი მეგონე... ეგ რა სათქმელია?

მირზა - აი თვითონ ეს ხოჯა ისეთი სულძალია... გუშინ დალაქხანაში
ლაპარაკობდა, რახან ვალის მოადგილედ გურჯი დანიშნეს, ნამდვილ
მუსლიმანებს აქ აღარ გვეცხოვრებო...

ჯემალი - თავი ქვისათვის უხლია!

მირზა - იმ უბედურმა არ იცის, ოსმალეთი დღემდე გურჯების შენახუ-
ლია... აი თვითონ პაპაჩემი, - ძველად, სტამბოლში იანიჩარების
ოქებაში ყოფილა... თურმე ვერც ერთი ფაშა და ვეზირი, ვერც
ერთი სულთანი ტახტზე ვერ დაჯდებოდა, იანიჩარების იმედი რომ
არა ჰქონოდა... (ჯემალი სწერს). ეეჰ, დრო ისა ყოფილა, ცხოვრებასაც
მადლი მაშინა ჰქონია!..

ჯემალი - ეს ქვეყანა სამოთხედ რომ იქცეს, ძველ ხალხს მანც ძველი
დრო გირჩევენიათ... მაშ ის დრო სჯობდა, როდესაც მარტო იმი-
სათვის, რომ სულთანი ცუდ სიზმარსა ნახავდა, ვალათს ათი კაცი-
სათვის უნდა მოეკვეთა თავი?!

მირზა - ალლაჰი იყოს შენი მფარველი! მაშინ ერთი სულთანი იყო,
ეხლა რამდენი უცხოელიც დადის...

ჯემალი - (უხალ განწყობილი) მე შენ გუშინ რა გითხარი?

მირზა - გულმაინყი ვარ, შვილო... სიბერემ გამომაცურა... (დუმილი ჩამო-
ვარდა) იმას ვამბობდი, ჩვენებური, ტრაპიზონული თუთუნის ხომ
გახსოვს? თუთუნის კი არა, ნამდვილი ოქრო... დაილოცოს ვინც
იმისი თესლი მოიყვანა! მთელი ზიარეთი რომ გადააბრუნო, ნამლა-
დაც ველარსად იშოვნი... სადაც მიხვალ, ყველგან იმ ამერიკულ
ციგარებს გაჩეჩებენ... ესაც თქვენი ამერიკა! ასე ამბობენ, - თუთუ-
ნის მაგივრად შიგ თურმე გამხმარი კომბოსტოა! მაშ! ალლაჰი იყოს
შენი მფარველი!

ჯემალი - (გულმოსული ნამოჯა) მოხუცო, ძალიან ყბედი ხარ, არ მომწონს
ეგ შენი ლაპარაკი!

(ქალაქებს ხელი დაავლო, სწრაფად გავიდა. თითქოს ჯემალის გასვლას უცდიდა, მაშინვე კარი შემოაღო საიდუმლო პოლიციის უფროსმა. მირზა ქარბი თავაზიანობით მოესალმა).

რამაზან ალი - (ხმადაბლა) კიდევ არაფერი?

მირზა - არაფერი! გურჯები ვახსენე, გამიწყრა... ამერიკელუბზე ჩამოვუგდე სიტყვა, - ცეცხლი მოეკიდა. ძეგლს დროზე ხომ ლაპარაკიც არ უნდა!..

რამაზან ალი - ქკუთ ხომ არ გვატყუებს?

მირზა - არა მგონია... პატიოსანი სჩანს!..

რამაზან ალი - არაფერი შეგამჩნიოს, თორემ მე და შენ, ორივეს - ჯენეეთის გზას გავგიყენებენ... (მოულოდნელად) შენ ეს მითხარი, - ბეჟან ალას ხშირად ხელება?

მირზა - მასთან სულ არ მინახავს... მხოლოდ იმ დავაში ხოგა სულეიმანი გაამტყუნა, ბეჟან ალა გაამართლა... (გახსენდა). მართლა, კარგია მომაგონდა! (ვზიბიდან ქალაქი ამოიღო). ნელან ფული გამომიწერა ფეშქაშად (იციან) ალბათ ძალიან მოვისანყლე თავი... უარი უხერხული იყო, - ინებეთ! (მისცა).

რამაზან ალი - ყოჩაღ, სწორია, ფულმა თვალის ახვევა იცის...

მირზა - (თავმოწონებით) ალლაჰი ხედავს, როგორი ერთგული ვარ...

რამაზან ალი - შენი ერთგულების იმედი რომ არა გექონდეს, ამ საქმეს როგორ დაგვალებდით?... (კოლო შეიცვალა) არც ის გინახავს მასთან? - აი, აქაური მებღვაური რომ არის, - შუქრი ჯაფარ ოღლუ...

მირზა - არც ის მინახავს!

რამაზ ანალი - აბა, შენ იცი, როგორც ვითხარი, ფრთხილად... (ხელო ჩამოართვა).

მირზა - (კარგამდე მიაცილა) ალლაჰმა თქვენი სიკეთე ნუ მომაკლოს!...

(ს.პ. უფროსი გავიდა. აბდულ სადაყი და ჯონ რაიტი კაბინეტში შემოვიდნენ. ამერიკელმა პორთფული მაგიდაზე დასდო. ვილაიეთის უფროსმა ფანჯარა გამოალო. სიღრმეში ზიარეთის ნანგრევები გამოჩნდა).

აბდულ სადაყი - (ხელით აჩვენა) აი ამ ნანგრევებზე მოგახსენებდით...

ჯონ რაიტი - (დააცქერდა) რა ჰქვინან?

აბდულ სადაყი - ზიარეთსაც ეძახიან... თამარის ციხესაც...

ჯონ რაიტი - საოცარია, პირდაპირ საოცარია!.. მთელი ეს მხარე მოვიარე და სადაც კი რაიმე ნანგრევი ვნახე, ყველას თამარის

ციხეს ეძახიან!.. სადაც კი ძველი ხიდი შემხვდა, ყველას თამარის ხიდი ჰქვიან!..

აბდულ სადაყი - სწორედ მაგას მოგახსენებდით... როდესაც ჩემი დანიშვნის ბრძანებას ხელი მოაწერა, მისმა აღმატებულებამ ბატონმა მინისტრმა სიტყვა-სიტყვით ასე მითხრა: თუ ჩვენს ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებში კიდევ სადმე გადარჩენილა ქართული კულტურის ნიშან-წყალი, დაუყოვნებლივ უნდა აღიგავოსო პირისაგან მიწის!

ჯონ რაიტი - ეს ამ ნანგრევებს შეეხებოდა:
(დაცქერდა).

აბდულ სადაყი - დიას! როგორც თქვენ თვითონაც შეგინიშნავთ, მთელი ეს მხარე ასეთი ძეგლებით არის მოფენილი... წინათ ბევრად უფრო მეტი იყო, - ვანგრევთ და ვერ გავათავებთ... კომუნისტები სწორედ ამ ნანგრევებს იყენებენ საბუთად, რომ მთელი ეს მხარე საქართველოს განუყოფელ ნაწილად გამოაცხადონ...

ჯონ რაიტი - კი, მაგრამ, ამ ქვეყანაზე, ვინ იცის, სად, რამდენი ნანგრევია?!

აბდულ სადაყი - არა, მისტერ რაიტ, საქმეს აფუჭებენ წარწერები, ჩუქურთმები, ტაძრებისა და ციხეების არქიტექტურა... რა დაგიმალოთ, ყველაფერი ეს ნამდვილად ქართულია!

ჯონ რაიტი - (დაფიქრდა) ქართული?

აბდულ სადაყი - დიას, სამწუხაროდ ქართული... ამ წარწერებს ჩვენებური გურჯები დღესაც უვლიან. ეს ნანგრევები მათ წმიდათა-წმიდად მიაჩნიათ!

ჯონ რაიტი - ო, მაშინ დაგვიანება არ ივარგებს... კომუნისტების ხელში ამისთანა საბუთი... ღმერთმა დაიფაროს!

აბდულ სადაყი - მეც სწორეთ ამიტომ მეჩქარება.

ჯონ რაიტი - თქვენი კეთილგონიერება ჩემს რჩევას არა საჭიროებს, მაგრამ ერთი რამ მიანც მინდა მოგახსენოთ... ოსმალეთს ისეთივე მარცხი რომ არ შემთხვას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, როგორც მას შემთხვა ძველად, სომეხთა საკითხის გამო, თქვენ, როგორც ვილაიეთის უფროსმა მეტისმეტად ფრთხილად უნდა იმოქმედოთ... ჩვენ, ამერიკელები, თქვენი ქვეყნის მეგობრები რომ ვართ, მრავალჯერ დაგვიმტკიცებია, - ამ შემთხვევაშიც მე მხოლოდ ეს მეგობრობა და კეთილი სურვილი მაღაპარაკებს!..

აბდულ სადაყი - უღრმესი მადლობა! რომ იცოდეთ თქვენმა რჩევამ, ჩემს მოადგილედ ადგილობრივი გურჯი დამენიშნა, რა ჩინებული

ნაყოფი გამოიღო! მისი ერთი სიტყვა საკმარისია და, ხალხს ყველაფერი სჯერა... ხომ ხედავთ, რადგან გზატკეცილის ზიარეთში შემოყვანა მისი წინადადება იყო, მთელი გურჯი მოსახლეობა, როგორ ერთსულოვნად გამოდის საბუშაოზე!

(დუმილი ჩამოვარდა).

ჯონ რაიტი - (დაფიქრდა, ნანგრევს ხანგრძლივ დაცქერდა) მოიცაო, იქნებ მე თქვენ ამ საქმეშიც გამოგადგეთ!

აბდულ სადაყი - სამაგიერო სამსახური ჩემზე იყოს!

ჯონ რაიტი - (ნანგრევებს თვალს არ აპირებს, რაღაც გადსწყობა) ამ გზას ხომ ხედავთ, საით მიემართება?

აბდულ სადაყი - დიახ...

ჯონ რაიტი - აგერ იმ გორაკიდან მარცხნივ რომ გაეუხვიოთ, საკმარისია მხოლოდ ერთი პატარა ხიდი და, - გზა პირდაპირ ნანგრევებს მიადგება...

აბდულ სადაყი - (ხან გზას უცქერის. ხანაც აფრჩხებს) ესე იგი?

ჯონ რაიტი - ესე იგი, საქმე ისე უნდა მოვანყოთ, თვითონ გზის მშენებლობამ მოითხოვოს იმ თქვენი თამარის ციხის დანგრევა...

აბდულ სადაყი - (ალტაცებული) მისტერ რაიტ!

ჯონ რაიტი - ცხადია, გზის პროექტის ამგვარი შესწორება ცოტაოდენ ხარჯს მოითხოვს...

აბდულ სადაყი - (მოუხდა) მერწმუნეთ, უკმაყოფილო არ დარჩებით... ოღონდ ჩემი მოადგილე დღესვე ამ თათბირზევე უნდა დეარწმუნოთ, რომ გზის სხვა მიმართულებით გაყვანა ტექნიკურად შეუძლებელია...

ჯონ რაიტი - ეგ ადვილი სამსახურია.

აბდულ სადაყი - (ზარი დარეკა. მიზნა შემოიდა). ჩემს მოადგილეს სთხოვეთ!

მირზა - ეხლავე! (გაოდა).

ჯონ რაიტი - (მარებს იჩქავს). საოცარია, პირდაპირ საოცარია... ყოველი ნანგრევი, თამარის ციხე!.. ყოველი ხიდი - თამარის ხიდი!.. (იცინის).

აბდულ სადაყი - თქვენ რომ მხარს დამიჭერდეთ, ხვალ ერთიც აღარ დარჩებოდა...

ჯონ რაიტი - თქვენი კეთილგონიერება მაგას არ იზამს... სჯობია ნელა და საფუძვლიანად...

ჯემალი - (კარებიდანვე მიესალმა) მისტერ რაიტს უმდაბლესი სალაპი!

ჯონ რაიტი - (შეეება) მიხარია თქვენი ნახვა. (აბღლ სადაჟე აჩენებს) მათი აღმატებულება დიდად კმაყოფილია თქვენი დამსახურებული ავტორიტეტით ხალხში... ეს კარგია, ძალიან კარგი!

აბღულ სადაყი - (ორივე მაგიდასთან მოიატოჟა) ვთხოვთ! (ამერიკელმა პორთფელიდან ნახაზები ამოალაგა). ჩემს მოადგილეს მეტად სამწუხარო ამბავი უნდა ვაცნობო!..

ჯემალი - (შეფიქრანებული) გისმენთ, თქვენო აღმატებულება!

აბღულ სადაყი - ვიცეი გენყინებათ, მაგრამ ზიარეთის გზის მშენებლობა უნდა შევაჩეროთ...

ჯემალი - (ნანყენი) რა მოხდა?

აბღულ სადაყი - როგორც მისტერ რაიტი ბრძანებს, ეს ინვეეს ზიარეთის ცნობილი ისტორიული ძეგლის დანგრეეს - ამას კი შეუძლია გურჯო მოსახლეობის უკმაყოფილება გამოინვიოს, ვკონებ არ ვცდები, არა?

ჯემალი - დიახ...

აბღულ სადაყი - ჩვენ ხალხისათვის ვზრუნავთ, მისი სიკეთე გვინდა... თუ კი მადლობის მაგიერ, გავილანძლებით, ასეთი გზა რად გვინდა?!

ჯემალი - როდესაც გზის პროექტი ნარმოგვიდგინეთ, მაშინ ამ ძეგლის შესახებ სრულიად არაფერი ვითქვამთ, მისტერ რაიტ?

ჯონ რაიტი - დიახ, არაფერი... ჩვენ ამას არც ვფიქრობდით... მაგრამ, როდესაც ნიადაგი კარგად შევამონმეთ, მაშინ აღმოჩნდა, რომ ამ ძეგლის ორივე მხარეს, მინის სიღრმეში. მუდმივი მენყერება... მაშასადამე გზის გასაყვანად რჩება მხოლოდ ერთად ერთი მიმართულება, - თვით ამ ძეგლის მიმართულება...

ჯემალი - (შენუხებული) კიდეე რომ შევისნავლოთ, იქნებ რაიმე გამოსავალი აღმოჩნდეს!

ჯონ რაიტი - დრო აღარ ითმენს! მისმა აღმატებულებამ ბატონმა პრემიერმა პირადად მთხოვა, რაც შეიძლება დავაჩქარო... ჩვენთვის ყოველი დღე ძვირფასია! თქვენ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, ამ გზის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა!.. ხომ იცი, ეს გზა საით მიემართება?

ჯემალი - როგორ არ ვიცეი, ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრისაკენ!

ჯონ რაიტი - (მედიდურად) საქმეც ის არის, არა გცოდნიათ... ოსმალეთ-საბჭოთა კავშირისა თუ ირან-საბჭოთა კავშირის საზღვარი ამერიკულ რუკაზე დიდი ხანია აღარ არსებობს... ვისაც ჩვენი, - ამერიკელების დახმარება უნდა, დროა იცოდეს, სადაც კი კომუნისტური ქვეყანა

რომელიმე სხვა ქვეყანას ემიჯნება, ყველგან ჩრდილო ამერიკის შერებულ შტატების საზღვარი გადის... ხომ გასაგებია?..

ჯემალი - მესმის, მისტერ რაიტი!

აბდულ სადაყი - (ვითომ შეწუხებული) ისევ პირვანდელ პროექტს უნდა მივმართოთ... სამწუხაროა. მაგრამ ზიარეთი უფზოდ დავგრჩება...

ჯემალი - თქვენო აღმატებულებავ, ხალხმა ამდენი თანხა გაიღო, ამდენი ხარ-ურემი გამოიყვანა... ეს ხომ კიდევ უფრო დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს?!

აბდულ სადაყი - მაშ, როგორ მოვიქცეთ? ეხლა საკითხი ასე დგას, - გზა თუ ის ძეგლი! (ყოყმანობს) მე... არ ვიცი... (ჯემალს) ამ საკითხის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია... თქვენ აქაური ხართ და უკეთ იცით, რა აჯობებს... რასაც იტყვი, თანახმა ვარ!

ჯონ რაიტი - (თვითონვე კმაყოფილია, რომ შერს მიავნო) გამოსავალი ვიპოვნე, ნამდვილად ვიპოვნე!.. ეს ნანგრევები თოვლსა და ქარბუქში, წვიმასა და ქარიშხალში დღეს არა, ხვალ ხომ მაინც დაილუპება!.. განა უმჯობესი არ იქნება იმისათვის, რომ განადგურებას გადავარჩინოთ, ყველა ძვირფასი ნარნერა, ჩუქურთმა, თუ ბარელიეფი, რაც კი დღემდე იქ შენახულა, ოსმალეთის სახელმწიფო მუზეუმში იყოს დაცული?

აბდულ სადაყი - აი, შესანიშნავი შერი! (აღტაცებული) გზასაც გავიყვანთ, იმ შესანიშნავ ძეგლსაც გადავარჩინოთ!.. (ჯემალს) რას იტყვით? ხომ თანახმა ხართ?

ჯემალი - მე კი, მაგრამ... ხომ მოგეხსენებათ, იმ ქვებს ხალხი როგორ უფლის!

აბდულ სადაყი - ხალხი კი არა, ის მოხუცი... როგორი ვიუტი და შეუპოვარია... თუ ის დაითანხმეთ, ხალხიც თანახმა იქნება!

ჯემალი - თუ შეიძლება, სალამომდე მადროკეთ...

აბდულ სადაყი - კეთილი, სალამომდე იყოს...

ჯემალი - (აღგა). მაშასადამე, არ გეთხოვებით... ჩემთან გელით! (გაჟიდა)

აბდულ სადაყი - (მეტისმეტად გახარებული) შერი კი არა, ნამდვილი აღმოჩენა!

ჯონ რაიტი - კი მაგრამ... ხალხს შეუძლიან გზაზე უარი სთქვას, - მაშინ?

აბდულ სადაყი - მაშინ... ამ თავმოყვარე ჯურჯს ჩემი მირზა დაუგებს ფაცერს... ძველი მებადურია!

ჩვენ სანახაობა, რაც პირველ სურათში, - ჯემალის სახლის ქო. ფარდის ახდისას გაიანე და რუსუდანი სტუმრების მოლოდინში აივანზე სუფრას შლიან. ფატმა და შამანდუხ ქოში გრძელ სკამზე ჩამომსხდარნი საუბრობენ.

რუსუდანი - იცი, ამ დილას ვინა ვნახე?

გაიანე - ვინა, გოგო?

რუსუდანი - ჯემალი... ისა და ვილაიეთის უფროსი გზის მშენებლობას ათვალეერებდნენ...

გაიანე - ასე დილაადრიან იქ რა გინდოდა?! აბა თვალეებში შემომხედე! რუსუდანი - რა იყო?!

გაიანე - (ღობილით) რომ იცოდე, როგორი კაპასი მული გეყოლება!..

რუსუდანი - (ვითომ ნაწყენი) არა გრცხვენინან?

(ღუმილი ჩამოყარდა)

გაიანე - რუსუდან, შეიძლება ვაჟმა ქალს ორი თეთრი მანდილი გაუგზავნოს?

რუსუდანი - ორი? როგორ შეიძლება! რაზე მკითხე?!

გაიანე - (ენყინა, არ უნდა შეიძინოს) ისე... არაფერზე... იმ დღეს გულქანმა დამიჩემა, შეიძლებაო... მე ჩემი თვალით მინახავს, ვაჟს რომ ერთ მანდილი თვითონ მიუტანია, მეორე ელჩის ხელით გაუგზავნიაო...

რუსუდანი - სისულელე უთქვამს... ქალს მხოლოდ ერთი მანდილი აქვს თავის სიცოცხლეში...

გაიანე - (ნაძლადევი ღობილით) მეც ვერე ვუთხარი, ორი მანდილი როგორ შეიძლება მეთქი (რუსუდანი შინ შევიდა, გაიანემ ამოიხსრა). მაშ, ის მეორე ვინ გამოგზავნა, ღმერთო ჩემო?!

რუსუდანი - (ხილით სახე ხონჩა გამოიტანა) პირდაპირ ეს დავდგა?

გაიანე - რა ვიცი, როგორც გინდა...

რუსუდანი - რა იყო, გოგო? რას გამტყერებულხარ?

გაიანე - წუხელ არა მძინებია, ვერა ვარ კარგად...

(ისევ ღუმილი).

ფატმა - გაიანე მოწყენილი დადის... შუქრის არაფერი უთქვამს? ერთმანეთს ხომ არაფერი აწყენინეს?

შამანდუხ - ხომ გაგიგონია, სიყვარული ვარდს ისხამს. ვარდი - ეკალსაო... ყველაფერი შეიძლება... თუმცა აბალგზრდებმა თავისი გულის წამალი თვითონვე იცინან... შუქრემ მარტო ეს მითხრა, - ზიარეთობადღეს უნდა ვიქორწინოთო...

ფატმა - შენს პირს შექარი, ჩემო შამანდუხ, თორემ ვინ იცის, რა არ ვიფიქრე! (მირზა და ჯემალი საუბრით შემოვიდნენ. ფატმა და შამანდუხ ნამოდგნენ).

რუსუდანი - (შეძრთალი) უი, ჯემალი!

გაიანე - (ჟან გაყვა) რა იყო, გოგო?

რუსუდანი - ჯემალი!.. (მინ შევარდა).

მირზა - ალლაჰის მადლმა, ძალიან მენყინა... რას იზამთ ხალხი ასეთი უმადურია! ათჯერ რომ ნამლად დაედო და ერთხელ გული ვერ მოუგო, იმდენ სიკეთეს წყალში გადაგიყრის!..

ჯემალი - (შენუხებული) მაინც რას ამბობენ?

მირზა - ისეთს არაფერს, ტრაბახა კაცი ყოფილაო...

ჯემალი - (მზარედ ჩაიცინა) მერე და, - ვინ უთხრა, - რომ გზის მშენებლობა შეჩერებულია?

მირზა - მუშები დაითხოვეს...

ჯემალი - როგორ თუ დაითხოვეს?

მირზა - თქვენზე ამბობენ, საქმე ნაჩქარევად დაიწყო და ეხლა ამდენი შრომა და ხარჯი წყალში უნდა გადაიყაროსო...

ჯემალი - (აღლევებულია, ეტყობა მირზას სიტყვებმა მზანს მიღწეს) მაშ, ასე ამბობენ ტრაბახა კაცი ყოფილაო?

მირზა - თქვენ კი გაიხარეთ, გულთან ახლოს ნუ მიიტანთ... ხალხი რას არ იტყვის? განა ყველაფერს უნდა ყური დაუგდოს კაცმა?!

ჯემალი - (გულნატყენი) რას ამბობ, მირზავ? ხალხმა თუ ერთხელ კბილი დაგადგა, მერე შენსას აღარაფერს ინამებს... (ჩაფიქრდა, აღლევებული დადის, მირზას დააცქერდა) მაშ, ასე ამბობენ, არა? მალე, ძალიან მალე შევაცვლევიანებ მაგ აზრს!..

ფატმა - დედა გენაცვალოს, გაუჯვრება როგორ არ გიხდება?

ჯემალი - რა ვქნა, დედაჩემო.. ხომ ხედავ რა ცეცხლში ვარ ჩავარდნილი? შენ ხომ იცი, აქ რამ ჩამომიყვანა! მინდა ჩემს ხალხს ვემსახურო, ჩემი ცოდნა, მთელი ჩემი ძალღონე ზიარეთის აყვავებას შევალხო... ეს გზაც მინდა გავიყვანო, ერთი სახელოსნო სკოლაც მინდა მოვანყო... იცი, კიდევ რაზე ვოცნებობ?.. ერთი ხუთსანოლიანი საავადმყოფო მაინც გაუფხსნა ამ უბედურ ხალხს... ესენი კი, ხედავ? დახმარების მაგივრად ხელს როგორ მიშლიან!..

ფატმა - ხელი მოგიმართოს ქვეყნის შემდგენელმა... შექრის დედა აღარ გახსოვს, შვილო?

ჯემალი - (მხოლოდ ახლა შენიშნა, გახარებული შეეგება). დედა შამანდუხს როგორ თუ არ მახსოვს?! (ხელი ჩამოართვა). ამათ ქოში აი ამოდენა

ფორთოხლებსა და ბრონეულებს ვიპარავდით... ჩემი ძმობილი შუქ-
რი სადღა არის?

შამანდუხ - ძალიან უნდოდა შენი ნახვა, მაგრამ გემზე სასწრაფოდ
დაუძახეს...

ჯემალი - მეც როგორ მინდოდა მასთან საუბარი! (ნაშთ დაფიქრდა)
არასოდეს დამავინყებდა... ერთხელ, - პატარები ვიყავით მაშინ,
შუქრი ცურვაში შემეფიქრა... ძალიან შორს შევევით ზღვაში... უც-
რად ფეხზე ძარღვი გამენასკვა, კრუნჩხვა დამანყებინა. ველარც
ხელი გავმართე, ველარც ფეხი, ქვასავით ძირს წავედი. ვერ გავიგე
შუქრიმ როგორ გამომიტანა. როცა თვალი გავახილე, გვერდით
მომგდომოდა და ისე მოსთქვამდა, კაცი იფიქრებდა, წინ მიცვა-
ლებული უსვენიაო... მე დამტიროდა! (იკინის) ერთბაშად ისე მომე-
ჩვენა რომ მართლა მკვდარი ვიყავი და მეც ტირილი დავინყე...
გახსოვს, დედი?

ფატმა - როგორ არ მახსოვს, დედა გენაცვალოს! (შამანდუხს) მე რომ
დამინახეს, ტირილს უფრო მოუმატეს... ძლივს გავაჩერე... მერე
ერთბაშად სიცილი აუვარდათ...

ჯემალი - მანამდე შუქრი ყოველ დღე მეჩხუბებოდა, ხან შურდულს
წამართმევდა, ხან ქედსა მტაცებდა... იმის შემდეგ ერთხელ არა-
ფერი უწყენინებია...

შამანდუხ - შუქრის ეხლაც ძალიან უყვარხარ, შვილო!

ჯემალი - არაფერია, მალე შევხვდებით!.. დედავ, მირზას სკამი მოარ-
თვით...

მირზა - ნუ სწუხდებით...

ფატმა - (გრძელ საშუა აჩენა) აქ დაბრძანდით, მე ეხლაც გეახლებით...
(ფატმა და შამანდუხ გავიძნენ).

გოგიჩა - (ხმა გარედან) ახმედ, ჰაუ ახმედ... გუდაა! (შურდულის ტრიალით
შემოიჭრა, ჯემალს შეეფთა) ძამიკო, ჯემალ... იცი, ბაბუა ბეჟან ალამ
რა მასწავლა? სულ პირველად ოსმალები ამ არემარეში თურმე
გუდებით მოუყვანიათ, მამ!

ჯემალი - ბელან ალას სისულელე უთქვამს... ეგ არასოდეს აღარ გაიმეო-
რო?...

გოგიჩა - (ჯოჯად) რატომაც არ გავიმეორებ? ბეჟან ალა სისულელეს
არასოდეს არ ამბობს, ჩვენ გურჯები - ქართველები ვართ, ისინი
კი ოსმალები არიან...

ჯემალი - ერთი ამას უცქირეთ... ბიჭი სულ ერთიან გადაურევიათ!
(გულმოსული შინ შევიდა).

- გოგირა - (მორხას) ჩემი რა ბრალია, ისინი თუ ვუდებით მოიყვანეს?..
- მირზა - (ცდუნებით) ბაბუა ბეჟან ალა ქკვიანი კაცია, კიდევ რა გასწავლა?
- გოგირა - (გულუბრყვილოდ) რა მასწავლა და - ქართული წერა-კითხვა!
- მირზა - ბიჭოს, ბიჭოს!..
- გოგირა - (კვხნით) მამ! ახლა შუქრიმ ქართული წიგნიც უნდა მომიტანოს!
- მირზა - ქართული წიგნი აქ საიდან უნდა გიშოვოს!
- გოგირა - ბათუმიდან ჩამომიტანს... იქ თურმე იმდენია, რამდენიც ვინდა!
- მირზა - კიდევ რას ჩამოგიტანო?
- გოგირა - კიდევ... კიდევ... მალე მე თვითონ მუზღაური უნდა გამოვიდე!.. სულ საქართველოში ვივლი!
- მირზა - იქ რა გინდა?
- გოგირა - შუქრიმ სთქვა, ჩვენი ნამდვილი სამშობლო იქ არისო... იქ თურმე არ შეიძლება, თათრის ბიჭმა, აქაო და გურჯაო, გურჯის ბიჭი აგინოს... მამ!
- მირზა - განა შენ გაგინებს ვინმე?
- გოგირა - მაგინებს და ეგრე? სანამ ჯემალი ჩამოვიდოდა, ცალთვალა ახმედამ ორჯერ გამიტება თავი... (მუშტი შემართა) უჰ, მაგისი! (გაღმა გასძახა) ახმეედ, ჰაუ ახმედ...
(ევენების ხმა და ცხენის თქრა-თქური მოისმა).
- მირზა - (ზზე ნამოხტა) მისი აღმატებულება!
(ჯემალი და ფატმა ქოში გამოეგებნენ სტუმრებს. აბდულ სადაყი და ჯონ რაიტი შემოვიდნენ).
- ჯემალი - კეთილი იყოს, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს ოჯახში თქვენი მობრძანება! აგრეთვე თქვენი, მისტერ რაიტი! (ფატმა თავმდაბლად მიესალმა) დედაჩემი გახლავთ...
- ფატმა - თქვენი წყალობა ნუ მოაკლოს ჩემს ოჯახსა და ჩემს შვილებს, ბატონო!..
- გოგირა - (იგი არავის შეუნიშნავს, თამამად ნაჟიდა მათენ და ჯერ ვილაიეთის უფროსს გაუწოდა ხელი, შემდეგ ჯონ რაიტს) ხომ კარგად, როგორ გეცითხვით, ბატონო!
- აბდულ სადაყი - (გელიმა) კარგად... ეს ვაჟკაცი ბიჭი ყოფილა?
- ფატმა - (წინ ნაჟიდა) მობრძანდით, ბატონო...
- აბდულ სადაყი - (ქოს ათვლიერებს) ჩინებული ქო-კარი გქონიათ!
- ჯონ რაიტი - (მორს გახედა) ეს თქვენი თამარის ციხეც საუცხოოდ მოსჩანს აქედან.

ჯემალი - (გახსენდა) მართლა! მისტერ რაიტ, გზაზე მუშაობა შეგინწყვეტათ?!

ჯონ რაიტი - თქვენი პასუხის მოლოდინში...

ჯემალი - არა, დილიდანვე უნდა განვაახლოთ!

აბდულ სადაყი - უკვე გადასწყვეტით?

ჯემალი - მე ვუერთდები მისტერ რაიტის წინადადებას...

აბდულ სადაყი - რა თქმა უნდა! გზასაც გავიყვანთ, ხელოვნების იმ შესანიშნავ ნიმუშებსაც გადავარჩინო!

ჯემალი - (წინ გაუძღვა) მობრძანდით, ბატონო!.. (ყველანი აივანზე ავიდნენ) გაიანე, რუსუდან! (ქალები გამოგებნენ) ეს ჩემი და გახლავთ, ესაც მისი მეგობარი!

აბდულ სადაყი - (ხელს ართმევს) თქვენი დის ქება მთელს ზიარეთში დადის... (გაიანეს დაატყურდა) ისიც ვიცოდი, შზის მეგობარი მთავრე იქნებოდა!.. (ქალებს უცინის, შინ შევიდნენ).

ხმა გარედან - გამიშვი მეთქი! შენ ამ სახლის დარაჯად ვინ დაგაყენა? (ხმაური გაძლიერდა. ჯემალი აივანზე გამოვიდა, ხედავს - მირზა ჭიშკარში წინ ელობება ბეჟან აღას, ჭოში არ უშვებს)...

ბეჟან აღა - გამიშვი, მე ამ ოჯახში შინაური ვარ... (მირზა, ხელით მოიცილა) გამიშვი მეთქი!

ჯემალი - (მაშინვე მისკენ გაუშურა) მობრძანდით, ბატონო ბეჟან აღა... მობრძანდით! (წინ მიეგება).

ბეჟან აღა - ეს პირველი შემთხვევაა, ზიარეთში ჩემთვის კარი დაეკეტათ!

ჯემალი - მისი აღმატებულება ბრძანდება ჩვენთან და...

ბეჟან აღა (განაწყობა) მეც სწორეთ ამიტომ ვიახელით (ამრწილი) ბატონო ჩემო, დავიჯერო, მართალია? ზიარეთის დანგრევას აპირებენო?

ჯემალი - (სკამზე მოუთითა) დაბრძანდით, ბატონო... დანგრევას კი არა, გადარჩინას!

ბეჟან აღა - ჯემალ, შენ დიდი კაცი ხარ, მაგრამ ჩემს ხელში გაიზარდე და სანყენიც რომ გითხრა, ნუ გეწყინება!

ჯემალი - რასა ბრძანებთ?

(მირზა განზე დგას, გაფაციცებით უსმენს).

ბეჟან აღა - მას შემდეგ, რაც შენ აქედან წახველ, დიდმა დრომ გაიარა და, ვინ იცის, აღარც კი გახსოვს; ჩვენთვის - გურჯუბისათვის რა არის ზიარეთი! ამ ორმოცი წლის წინათ, როცა ჯერ ისევ ახალგაზრდა მასწავლებელი ვიყავი, ზიარეთში ერთი გამოჩენილი

ქართველი ჩამოვიდა... მე მას მეგზურად ვახლდი შავშეთში, იმერ-
ხევსა და ჭანეთ-ლაზეთში. იცი იმ მარადსენებულმა რა მითხრა?
სანამ ეს ნანგრევები დგას, – თქვენც ხალხში სწერიხართ, როცა ეს
ნანგრევები მოიშლება, – მაშინ თქვენი სახსენებელიც ამოუარდებაო
ამ ქვეყანაზე! (მირზა განაბული უსმენს).

ჯემალი – (მოხუცის ლაპარაკი არ მოსწონს) ეს ნანგრევები დღეს არა, ხვალ
სულერთია მინც ჩამოიშლება... რაც ავდარს გადაურჩება, იმას კა-
ციის ხელი მოუღებს ბოლოს... კიდევ კარგი, თქვენი თვალით მო-
იხილეთ, ხოჯა სულეიმანმა რაც გააკეთა.

ბეჟან ალა – (ნარბები აზიდა) შენ ისე მელაპარაკები, ნამდვილად გადაგი-
წყვეტათ!

ჯემალი – ჩვენ გადაწყვიტეთ იმ დიდი ისტორიული ძეგლის მოვლა...
ყველა ძვირფასი ჩუქურთმა, ქაჭდუელი თუ ნარნერა, რაც კი დღემ-
დე ზიარეთში შენახულა, ოსმალეთის სახელმწიფო მუზეუმში უნდა
იყოს დაცული... ამზე თითონ მისი აღმატებულება – ბატონი ვილა-
იეთის უფროსი ზრუნავს და ჩვენ გურჯებს მადლობის მეტი არა-
ფერი გვეთქმის.

ბეჟან ალა – (ხელები აუთრთოლდა, თანდათან ხმას იმაღლებს). შენ, ბალოო,
გონი მიგხდომია, თუ განგებ გინდა ამ დასაესებ თვალებში ნაცარ-
ცხელი ჩამაყარო?!. სამშობლო ჩვენ აღარ გაგვანჩია და ეს ერთი
გოჯი მინა გვინეეს სამშობლოს მაგიერობას... (ფატმა და შამანდუბ
დერფნის კართან გაქვავებულნი უსმენენ). სოფელი დიდია, გზის გაყვანა
თუ გინდათ, საითაც ბარს დაჰკრავთ, გზაც იქით ნავა... რალა ჩვენი
მამა-პაპის ძელები უნდა ამოჰყაროთ?

ჯემალი – მე თქვენი სიკეთე მინდა!..

ბეჟან ალა – (ნასულა დააპირა) გაფრთხილებ ჯემალს, სანამ პირში სული
გვიდგას, ზიარეთის დანგრევას ვერავის დაეანებებთ... (უფრო მტკიცედ)
ვერავის დაეანებებთ!..

(ნავიდა, ჯემალი მიაცილებს, მირზამ ორივე თვალი გააყოლა).

შამანდუხ – ბეჟან ალა მართალია... ჯემალს იქნება აღარც კი ახსოვს,
– ჭირისუფლები ვართ, ჩვენი ნუგები ზიარეთია; ავადმყოფი გვყავს,
– ზიარეთია ჩვენი ნამალი; დალხენილები ვართ, – მაშინაც ზიარ-
ეთია ჩვენთვის... აი ამ ზაფხულსაც გვალვამ რო გადანვა ჭირნახუ-
ლი, ოხვამეზე ვიყავით ზიარეთში და დაილოცოს იმის მადლი, აკი
წვიმაც გაიმეტა ჩვენთვის... (ჯონ რაიტი აივანზე გამოვიდა, მიმავალ მო-
ხუცს თვალი შეასწრო, ჯემალმა დაინახა, მისკენ ნავიდა).

ჯემალი - ბოდიში, მისტერ რაიტი!

ჯონ რაიტი - ის მოხუცი ხომ არ იყო?

ჯემალი - დიას... უპ, რა ჯოუტი კაცია!

ჯონ რაიტი - რას ერჩით? ყველა ჩვენგანს თავისი ჯარი და შეხედულება აქვს!.. (აივანზე გაბადრული ვაზის მტვევნებს სინჯავს) ამბობენ, მაგ მოხუცს ზიარეთის დიდძალი განძეული აქვს შენახულიო...

ჯემალი - ასე მოგახსენებენ...

ჯონ რაიტი - ვინ იცის, ნივთებში ხელოვნების რამდენი შესანიშნავი ნიმუში მოიპოვება! (მტვევნებს ხელის ვულზე სინჯავს). ეს თქვენ, მხედველობაში უნდა იქონიოთ...

ჯემალი - მართალსა ბრძანებთ...

ჯონ რაიტი - მაგ მოხუცს დიდი ოჯახი აქვს?

ჯემალი - მარტოხელა კაცია.

ჯონ რაიტი - (ერთბამად) რა შესანიშნავი მტვევნება! საოცარია, მთელი ოსმალეთი მოვიარე, ამდენი ვაზი და ვენახი არსად შემხვედრია!

ჯემალი - გურჯები ძველთაგანვე მისდევენ მევენახეობას... თუ ეზოში სადმე ვაზი დაინახეთ, იქ უსათუოდ გურჯი ცხოვრობს!

ჯონ რაიტი - ო, ეს მეტად საინტერესოა! - ნაშინონალ საინ!

ჯემალი - ძველად ეს ზღვის სანაპირო სულ ვენახებით ყოფილა დაფარული... ჩვენში ეხლაც ხშირად შეხვდებით მინამი ჩაფლულ უზარმაზარ ქვევრებს, ქვის სანნახელებს... დღესაც თქვენ ჩვენებური ოჯალებით გაგიმასპინძლებით...

ჯონ რაიტი - საინტერესოა, ძალიან საინტერესოა!..

(სუბარს განაგრძობენ. ეზოში აბულ სადაყი და გაიანე გამოვიდნენ. გაიანე თავდახრილი მოჰყვება სტუმარს).

აბდულ სადაყი - მე თქვენ დღეიდან მინდა გინოდოთ კამერტაბ... იცით, ეს სიტყვა რასა ნიშნავს?

გაიანე - (დარცხენილი) არ ვიცი, ბატონო!

აბდულ სადაყი - კამერტაბ მთვარის შუეს ნიშნავს... ეს სახელი უნოდა განთქმულმა მუსტაფა ფაშა ბაირახტარმა ქართველ ქალს, რომელმაც პირველივე შეხედვით მოხიბლა... (თვალბში მისჩერება). შემდეგ ეს ქალი მისი უსაყვარლესი ცოლი გახდა... იგი ქმართან ერთად დაიღუპა იანიჩარების აჯანყების დროს სტამბოლის ციხე-გალავანში... (თვალს არ ამორებს). თანახმა ხართ?

გაიანე - (გაუბედავად) რაზე, ბატონო?

აბდულ სადაყი - ეს სახელი რომ გინოდოთ?

გაიანე - (ყოყმანობს) თქვენი ნებაა...

აბდულ სადაყი - (კმაყოფილი) მაშ თქვენ დღეიდან ჩემი კამერტაბ ხართ, - მე - თქვენი ფაშა ბაირახტარი... (ხელები დაუჭირა).

გაიანე - (შეშინებული თვალები მიანათა) მეგ არ მითქვამს, ბატონო...

აბდულ სადაყი - ნუ გეშინიათ... ჩემი გამოგზავნილი მანდილი ხომ მიიღეთ?

გაიანე - (ელდანაკეპი). როგორ?... ის მანდილი.. თქვენ?!. ლმერთო ჩემო!.. (თვალებზე ხელი აიღარა, ქოიდან გავარდა).

აბულ სადაყი - (მიიხედა, მის გვერდით მირზა გაჩნდა) შემდეგ? როგორია გურჯების წესი?

მირზა - ოჯახის უფროსს უნდა აცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება, ჩემო ბატონო!

ფატმა - (აივანზე გადმოდგა) მობრძანდით, ბატონებო...

ჯონ რაიტი - (აბდულ სადაყი განზე გაიყვანა) ის მოხუცი, ეტყობა, მეტად სახიფათო კაცია. შესაძლებელია კომუნისტების აგენტიც კი არის!

აბდულ სადაყი - რასა ბრძანებთ?!

ჯონ რაიტი - დიახ, დიახ, ნამდვილად! აი, ეს კია ჩემი ყურით ვუსმინე, როგორ ელაპარაკებოდა თქვენს მოადგილეს... ნუთუ თქვენთვის ასე ძნელია მისი თავიდან მოშორება?... მე ვკონებ თქვენ, ოსმალებს ამგვარ საქმეში მასწავლებელი არა გჭირდებათ!..

აბდულ სადაყი - რაკი თქვენ გნებათ, - ხვალვე, ხვალვე ყველაფერი აღსრულდება...

ჯემალი - თქვენო აღმატებულებაგ, მისტერ რაიტი, - გთხოვთ! (აბდულ სადაყი, ჯონ რაიტი, ჯემალი, ფატმა, რუსუდანი, შამანდუხ, მირზა, მაგიდას მოუსხდნენ. გაიანეს ვერცხლის სინზე შედგმული ვერცხლის სურები მოაქვს).

აბდულ სადაყი - (ნამოდგა) ვიდრე ლხინს შეეუდგებოდეთ... ქალბატონო ფატმა, მინდა გაგიცხადოთ, თუ არ დამინუნებთ, დღეიდან თქვენი ქალი ჩემი სახლის ქალბატონი უნდა იყოს!

გაიანე - დედავ!

(მეჭიკელა, სინი ხელიდან გაუშვა, აქვითინებული კედელს მიყრდნო).

ფატმა - შევილო! (შენუხებული გაიანეს მიყარდა).

მირზა - (სინი აიღო) არაფერი გატეხილა, ბოლო კეთილი იქნება!..

ფატმა - (შენუხებული) დაბრძანდით, ბატონებო... (მეტი ვერაფერი მოახერხა). არაფერია... ცრემლი ზოგჯერ სისარულის ნიშანია!

მოქმედება მეორე

მეხუთე სურათი

ღამე, ზღვის პირი. მარცხნივ – ყავახანა დიდი აბრით „ოქროს ვირი“. აბრაზე გამო-
სახულია ვეებერთელა ვირის თაფი. ყავახანის წინ მიწაში ჩარგულ ქოლგების ქვეშ –
პატარ-პატარა თეთრი სუფრაგადაფარებული მაგიდები დგას. მაგიდებს უკან – ნახევარ-
მთვარისებურად გამოყვანილი ესტრადა. მარჯვნივ პალმებით დაჩრდილულ ბაღში –
რამდენიმე გრძელი სკამი. სიღრმეში, – ზღვაში ორი-სამი იალქნიანი ნაფი და ერთი-
დიდი გემი მოჩანს. ფარდის ახდისას მაგიდებს მჭლევურები უსხედან. ერთ მათგანს
განცალკევებით ორი ამერიკელი მჭლევური უზის. ესტრადაზე შავგვრემანი გრძელ-
საყურებიანი ქალი, დაირით ხელში ცეკვავს. მაგიდებს შორის თვალნარბ შეღებილი
მსახური ქალი ტრიალებს.

1 მჭლევური – იბრაჰიმმა რად დაიგვიანა? აკი გუშინა სთქვა, ხვალ
ბაირამი ერთად გავატაროთ?..

2 მჭლევური – წუხელ მათ გემს მოულოდნელად გამოუძახეს. ზიარეთის ქვებით დატვირთეს და პირდაპირ სტამბოლში გაგზავნეს...

1 მჭლევური – ძაღლის იღბალი აქვს... ბაირამი აბა იმას გასთენებია!..
თან ფულს გააკეთებს, თანაც ბერძნის ქალებში იქეიფებს...

მომღერალი ქალი – (ხელში დაირა შეათამაშა, სიძლერა დაინფო):

ხან თუ ვარდის ეკლიანი კონა ვარ,

ხან გიყმაფი სიყვარულის მონა ვარ...

გადამრია შენი ეშხის ძალამ!

ბალამ, ბალამ, ბალამ!

მეზღვურები – (ერთხმად, ტაში). ვაშა... ვაშა... ბის... ბის!

მომღერალი ქალი – (დაირა შეათამაშა, თვლები მიწაბა):

ავადა ვარ, ჩემი მკვლელი შენა ხარ,

ნეტავ ვაფი ქვეყნად სულ არ მენახა...

თუ გიყვარვარ, მითხარ, რაღასა მალავ.

ბალამ, ბალამ, ბალამ!..

მეზღვურები – ვაშა, ბის!

(ტაში. ქალმა მდაბლად თავი დაუჯრა და გარეთ გავარდა).

ამერიკელი მეზღვაური - გოგონა!

მსახური ქალი - რა გნებავთ?

ამერიკელი მეზღვაური - ეგ მომღერალი მართლა გურჯის ქალია?

მსახური ქალი - გურჯისა კი არა, ეშმაკისა... აქ ყველა გურჯის ქალად ასალებს თავს.

2 ამერიკელი მეზღვაური - კვაიტი, რაიტი! (ხელი ჩაიჭნია) მართალი ხარ!

მსახური ქალი - აი მე, ნამდვილად გურჯის ქალი ვარ...

1 მეზღვაური - (გამოულაპარაკა) მოატყუე, რასა ჰქარგავ, იქნებ ამერიკაში ნავიყვანოს! (აბრაზე გამოსახულ ვირის თავზე აჩვენებს) შენ ეს მითხარი, აი ეს შენი ბატონის სურათია?

2 მეზღვაური - მაგის ბატონისა კი არა, შენი... ერთ თვეს რასაც შოულობ, ერთ დღეში სულ იმ ოქროს ვირს აქმევ!..

მსახური ქალი - ერთიცა სცდებით, მეორეც... ეგ იმისი სურათია, ვინც ჩვენს ყავახანაში არ დაიარება!

1 მეზღვაური - ხედავ ამას? (აშხანაგს) შეირთუ, ბიჭო, ჭკვიანი ცოლი გეყოლება!..

(მემოდის შუქრი, თავდახრილი მიდის).

ოსმანი - (განცალკევებით ზის მაგიდასთან, მან შუქრის თვალი შეასწრო) შუქრი, აქეთ შუქრი!.. (შუქრი ჩქარი ნაბიჯით მიდის, თითქოს ოსმანი არც კი შეუნიშნავს. ოსმანმა გზა გადაუღობა, მეგობრულად ხელი ჩაავლო) ბიჭო, რაზე მებუტები?

შუქრი - თუ ძმა ხარ, გამიშვი... მეჩქარება!

ოსმანი - რა იყო? ამ ბაირამის ლამეს რა ცხვირ-პირი ჩამოგტიროს?

შუქრი - ამისთანა ბაირამის ლამესაც რა ვუთხრა... გამიშვი, თუ კაცი ხარ!

ოსმანი - არა, შენ თავს რაღაც ამბავია... სანამ არ იტყვი, არ დაგეხსნები!

შუქრი - გამოძიებას თავი დაანებე... თუ გაქვს რამე, - დაასხი, მეჩქარება... (მაგიდასთან მივიდა)

ოსმანი - დღეს შენი სიფათი არ მომწონს... (ქიქები აუგსო).

შუქრი - ალბათ თქვენს კაპიტანსაც არ მოეწონა და იმიტომ დამითხოვა...

ოსმანი - რაო, რაო?

შუქრი - დღეიდან ხმელეთის მეზღვაური ვარ!

ოსმანი - ხომ არ გადაირიე? კაცს უშენოდ ზღვაში გემი არასოდეს გაუყვანია და ახლა რა სიზმარი ნახა?!

შუქრი - ეტყობა იმისი ბრალი არ არის... როდესაც მოვდიოდი, ასე მითხრა, შენისთანა მწვლეური ბევრი არ შემხვედრიაო... თანაც გადამოკცნა!

ოსმანი - მამ რალა ჟამი შეუდგა? რატომ დაგიტხოვა?

შუქრი - გამოძიებას დაეხსენ-მეთქი... ჭიქა აილე! ეს, ამ ბაირამის ლამეს, ღმერთმა დასწყევლოს, ვინც ქვეყანაზე გურჯის სახსენებელი გააჩინა... რა იქნებოდა, ამ ცის ქვეშ ერთი სრულუფლებიანი კაცი მეცა ვყოფილიყავ?! (გადაჰკრა, ოსმანმა აწული ჭიქა ძირს დაუშვა) რისა შეგემინდა, დალოე!..

ოსმანი - მაგას რად ამბობ, ბიჭო? მე რომ ოსმალი ვარ, განა დაღბინებული ვარ?! იმ დღეს სამსუნში ფეხშიშველა გლეხები რომ ცემა-ტყეპით მიჰყავდა პოლიციას, განა ოსმალები არ იყვნენ?.. იმ უბედურებმა მარტო ის დააშავეს, რომ შიმშილით ილაჯგანყვეტილებმა მთავრობას პური სთხოვეს... და პურის მაგიერ მათრახები მიიღეს!..

შუქრი - ჩვენ, - გურჯებს ორი ვაი გვეჭირს, ჩემო ოსმან, თქვენ კი - მარტო ერთი...

ოსმანი - (ნახევრად ჩურჩულით) იცი რა გითხრა, შუქრი? როცა ის ჩვენი საერთო ვაი გათავდება, თქვენ - გურჯებს მეორე ვაი რომ გჭირთ, იმასაც ბოლო მოელება... განა საბჭოთა ქვეყანაში ყველა ერის კაცი ბედნიერად არ ცხოვრობს?

შუქრი - (ამოიოხრა) ეჰ, საბჭოთა ქვეყანა, - ეს ბედნიერება ჩვენგან შორს არის... (დაჯდა, თავი ძირს დაჰკიდა).

ოსმანი - (გვერდით მოუჯდა, ფრთხილად მიმოიხედა) იქნებ ჩვენთანაც მოვიდეს...

შუქრი - ვითომ როდისმე ველირსებით?..

ოსმანი - თუ მარტო ვიტყვით, არასოდეს (ჩურჩულით) ბრძოლაა საჭირო, შუქრი!.. (ჭიქა აუჯსო) დალოე... (ფრთხილად) თქვენებური ქართული გაზეთი არ გინდა გაჩვენო?..

შუქრი - (ოდნავ შემკრთალი) ქართული გაზეთი?.. შენ, საიდან?!

ოსმანი - ჩუმათ... აბა, ამ ზღვას გახედე!.. (უბიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო, შუქრის გაუნოდა) აჰა, შენი იყოს...

შუქრი - (გამოართვა, თვალი სწრაფად შეაღო, უბეში ჩაიძო) რომ იცოდდე, ერთ მოხუცს როგორ გავახარებ!

ოსმანი - (ჭიქა გაუნოდა) დალიე... (თვითონაც აიღო) მაგ გაზეთის პირველ გვერდზე იმ დიდი კაცის სურათია, ვისაც ქვეყნად სიმართლის დროშა მიაქვს... (ნამოჯდა) შუქრი, იმ კაცს გაუმარჯოს!

შუქრი - (ნამოჯდა, გაბარებული თვალებით მისჩერებია ოსმანს) ოსმან... შე და შენ... არ ვიცოდი, - ძმანი ვყოფილვართ... (გადაოცნა) იმ კაცს გაუმარჯოს!..

(ბაღში თეთრ მანდილმობეველი გაიანე გამოჩნდა)

ოსმანი - (გაიანეს თვალი შეასწრო) შუქრი... აგერ, შენი...

შუქრი - (მიიხედა, ეტყობა არ ელოდა) ამ დროს... ეს რაღაც ცუდს ნიშნავს... მაპატიე... (სწრაფად გაშურა).

გაიანე - შუქრი!

შუქრი - ამ შუალამისას აქ რამ მოგიყვანა?

გაიანე - ჩემმა უბედურებამ... ასე მითხრეს გემი არსად გასულაო...

შუქრი - გამაგებინე, რა უბედურებამ? (ორივე ხელი დაუჭირა)

გაიანე - აი, ხომ ხედავ, შენი მოტანილი მანდილი მხურავს... თუ გინდა, რომ ეს მანდილი არ მომეხადოს, დღესვე უნდა ნამიყვანო აქედან!

შუქრი - ნაგიყვანო? სად ნაგიყვანო, რა მოხდა, გაიანე?!

გაიანე - (გულამომჯდარი) ვილაიეთის უფროსმა აბდულ სადაყმა...

(ველარ დაასრულა, აქვითინდა).

შუქრი - (გაოცებული) რა, აბდულ სადაყმა?

გაიანე - თეთრი მანდილი გამომიგზავნა...

შუქრი - სად... როდის?!

გაიანე - სწორედ იმ დღეს...

(ტირის)

შუქრი - (მტკიცედ) როგორც გამოგიგზავნა, ისე ნაიღებს კიდეც..

გაიანე - ის არ ნაიღებს, შუქრი... ვიცი, არ ნაიღებს...

შუქრი - მაშინ შენ თვითონ მოუგდე!

გაიანე - მაგას ვერ ვიზამ, ჯემალი თანახმაა...

შუქრი - (ერთბაშად ანთო) ჯემალი შენცა გყიდის, ჩვენ ხალხსაც... ოღონდ თვითონ ჩინ-მენდლებით აივსოს!

გაიანე - მაგას ნუ იტყვი, შუქრი... ჯემალმა ამ ჩვენი უბედურებისა არაფერი იცის...

შუქრი - დიახ, არ იცის... არც ის იცის ზიარეთის ჩუქურთმებსა და ქართულ ნარწერებს რომ ზღვაში ყრიან!

გაიანე - რას ამბობ... რასა ყრიან ზღვაში?!

შუქრი - ხალხი მოუტყუებიათ, მჭეუემში მიგვაქვსო... ამ უბედურებს იმოდენა ლოდები კაპარჭაზე თურმე თავისივე ხელით ააზიდვინეს, რომ მერე ღამით, ქურდულად ზღვაში ჩაეყარათი..

გაიანე - ჯემალი მაგას არ იზამდა, - მომკალი და ვერ დავიჯერებ.

შუქრი - (ქუდი ზოხადა, აჩვენებს) ნურც ამას დავიჯერებ... - ამ ნატყვიარს ხედავ?

გაიანე - (შეშინებული) ეს რა არის?

შუქრი - ლელვამ ბერიძის ყურისაკენ წაიღო ჩემი ნავი... მეც რა მქონდა საჩქარო, იქითკენ შევუხვიე.. დღესავით ღამე იყო. უეცრად, ზღვის მოსახვევში დიდი კაპარჭა დავინახე. ახლოს მიველი, რას ვიფიქრებდი - შავ-ბნელი საქმის მონზე გაცხდებოდი! ყურე ყოველი მხრით შეკრული იყო, მაგრამ მაინც აშკარად დავინახე, ზღვაში როგორ ჩაუშვეს ჩვენი ზიარეთის ქვები... სულ პირველად ლომის თავი და ის დიდი ქვის დაფა ჩააგდეს, ბეჟან ალა თამარ მეფის ხელით დანერილ წიგნს რომ ეძახოდა. მინდოდა უფრო ახლო მივსულიყავ, მაგრამ გემიდან შემნიშნეს და სროლა ამიტეხეს... აი, ქუდი გამიხვრიტეს!.. ღამემ მაინც მიშველა და ნაპირზე გამოვასწარ... ახლაც უნდა გავაგებინო ბეჟან ალას...

გაიანე - იქნება მიმაღავ და რაიმე განუხებ?

შუქრი - მე მარტო ის მანუხებს, ჯემალმა რომ ჩვენი ხალხი გაყიდა და ეხლა შენცა გყიდის!

გაიანე - (შეზუზბული) მაგას ნუ მეუბნები... ასე მგონია - მართლა გაყიდული ვარ და სადღაც შორს, უცხო ქვეყანაში მივყევარ, რომ ახლა სხვა ფაქარს მიჰყიდონ ჩემი თავი... გეხვენები შუქრი, სანამ გვიან არ არის, წადი შენს უფროსს სთხოვე, - ამ ღამით გამოვიშვას!.. ახლაც უნდა წამიყვანო... სადაც გინდა წამიყვანე, - ოლონდ აქაურობას მომამოორე!..

შუქრი - ჩემს უფროსს თხოვნა არ უნდა, რადგან დღეიდან მე უფროსი აღარა მყავს...

გაიანე - (ვლდანაცემი) უბედურებაზე, უბედურება?

შუქრი - უბედურება კი არა, ბედნიერება, თორემ აქედან მართლაც ვერსად წაგიყვანდი... ეხლა კი, წადი, მოეშადალე... მე მანამდე ბეჟან

აღას ენახავ. დეე, ხალხმა შეიტყოს, სად და რისათვის მიაქვთ ზიარეთის ქვები!

გაიანე - მე შინ ვერ მივალ, შუქრი... იქ აბდულ სადაყის გამოგზავნილი მკერავები ჩემს საქორნილო კაბებსა ჰკერავენ.

შუქრი - მაშინ... ამ ბაღში მოიცადე, ეხლავე დავბრუნდები!

გაიანე - აქ რომ ვინმემ დამინახოს?

შუქრი - აქ მხოლოდ ჩვენი მებღვაურები დადიან... ჩემი სახელი უხსენე, ნურაფრისა გეშინიან!

(წავიდა, გაიანე ბაღის განაპირას სკამზე ჩამოჯდა. ყავახანიდან მომღერალი ქალის სიმღერა მოისმის).

გაიანე - ისეთ ადგილას სად უნდა წავიდეთ, აბდულ სადაყმა ვერ მოგვაგნოს? მინაში რომ ჩაეძვრეთ, იქაც გვიპოვის... ძმასაც დამი-
ლუპავს, შუქრიხედაც შურს იძიებს... (შემკრთალი ნამოჯდა). ღმერთო ჩემო, მე ვლუპავ შუქრის, ნამდვილად ვლუპავ და ისიც არაფერს ამბობს, თანახმაა ჩემთვის დაილუპოს... მაშ, იქნებ ორივესათვის ისა სჯობდეს, დავთმოთ ერთმანეთი?! თუმცა ეს როგორ გამოსთქვა ჩემმა ენამ? შუქრი დავთმო და, - რილასთვის ვიცოცხლო?

(სკამზე დაეშხო, შორს რამდენიმე თოფი გავარდა, მას სასტვენების გაბმული სტვენა მოჰყვა, იგი ბაღშიც შემოიჭრა. შეშინებული გაიანე ნამოვარდა, ღამის ჩრდილს შეეფარა).

3 მებღვაური - (გულგახეთქილი შემოვარდა) ბიჭებო, კაცი მოჰკლეს!..

1 მებღვაური - ვინ კაცი მოჰკლეს? რისთვის მოჰკლეს?

3 მებღვაური - ეშმაკმა იცის, მე თვითონ არ მინახავს... (სასტვენის გაბმული ხმა) გესმით, რა ამბავია? პოლიციამ ქუჩები შეჰკრა, გზაში აღარავის უშვებენ!..

2 მებღვაური - კისერი უტეხიათ! (ჭიჭა მიანოდა, თვითონაც აიღო) დალიე, რა ჩვენი საქმეა? მოკლული ღმერთმა შეინყალოს, მკვლელსაც თავისი გზით გაუმარჯოს!

(გადაჰკრა. ყავახანიდან ნაცნობი სიმღერა მოისმა).

მომღერალი ქალი -

ავადა ვარ, ჩემი მკვლელი შენა ხარ,

ნეტავ ვაჟი ქვეყნად სულ არ მენახა...

გადამრია შენი ეშხის ძალამ,

ბალამ, ბალამ, ბალამ...

ძახილი - ვაშა, ვაშა... ბის, ბის!

- (ყავახანიდან მოქიფე მზღეაურები ღრინაცვლით გამოიშალენ. მათ შუაში მომღერალი ქალი ჩაუყენებიათ. იგი თავმოშონედ ატრიალებს ხელში დაირას) მომღერალი ქალი - არ შემოძლიან... დავილაღე, არ შემოძლიან!
- 1 მეზღეაური - ერთიც იმღერე, ერთიც... შენ გენაცვალოს აი ამისი ცარიელი თავი! (აშხანაჟს თავზე ხელი ნამოუტყაუნა).
- მომღერალი ქალი - ცარიელ ვიბეს ცარიელი თავი სვობია!.. (მორე მზღეაურს ხელი მოხვია).
- 2 მეზღეაური - ზეინაბ ხანუმ, მაგას თავიც ცარიელი აქვს და ვიბეც! (ხმაურით მიმალენ ბაღში. შუქრი შემოვიდა, იგი გაიანეს ეძებს. ეტყობა, ნელანდელზე უფრო შემფოთებულია, გაიანე ხეინიდან გამოეგება).
- გაიანე - შუქრი, აქ ვარ... ეგრე მალე?
- შუქრი - რალა მალე... გზები შკერულია, ვერსაიდან გავაღწიე, ბეჟან ალა მოჰკლეს!..
- გაიანე - (შეშინებული) ბეჟან ალა მოჰკლეს? ვინ მოკლა?
- შუქრი - აბა რა ვიცი... ამდენ გურჯობას ერთი მოსარჩლე გეყავდა, ისიც ამოაგდეს!
- გაიანე - ნავიდეთ... მეშინიან...
- შუქრი - ამალამ ველარსად ნავალთ... გზებზე ყველგან პოლიციელები დგანან... გიცნობენ!..
- გაიანე - მაშ, რა ვქნათ, შუქრი?
- შუქრი - ეს ღამე როგორმე აქ უნდა გავათენოთ...
- 1 ამერიკელი მეზღეაური - ღამაზო! (ქალი შესდგა) ერთი ბოთლი ოქროს ვირი!
- მსახური ქალი - გამოილია, მალე მოიტანენ.
- 2 ამერიკელი მეზღეაური - ოქროს ვირი რალა ჟანდაბაა?
- 1 ამერიკელი მეზღეაური - აქაური ბერძნული კონიაკი... თუ მისი გემო არ იცი, მაშ ქვეყანაზე არაფერი დაგიღევიან... (ქალს) მაშინ, ვერცხლისა იყოს!
- მსახური ქალი - ისიც გათავდა.
- 1 ამერიკელი მეზღეაური - ნადი და შენს დახლიდარს მოახსენე, - ამდენს რომ გვალოდინებს, ოქროს ვირი კი არა, ნამდვილი ვირი ყოფილა! (ქალი გამჭერებული მიჩერებია) არ გესმის? (ქალი ნავიდა, ამერიკელებიც ადგენენ)
- ყავახანის პატრონი - (შემფოთებული გამოეარდა, ქალიც უკან მოჰყვა) საით, ბატონო? ფული... ანგარიში მიიღეთ!

- 1 ამერიკელი მებღვაური - ჩუ-იორკში რო ჩამაბრძანდებით,
სახკერო მატყისცვას ჩეცხზე იყოს!
- 2 ამერიკელი მებღვაური - ედლამი (ეიბის) ვეღ ბიი
აჭოვლას კასტლასაც მესოიკასი)
- ყავახანის პატრონი - დაქიორეა... ვეღს არ იხდაან... თანაც ვირო
მწოდეს!
- ერთ-ერთი მებღვაური - ჩუმაღ, ხომ ხედავ, ვინ არიან?
ყავახანის პატრონი - უჰ, მათი... კას პირველია?!
- (აჭრელ მჭლეურეს ნინ გადაულობათ ხელგარედილი, ნახერადმამლო
ნათხოვარი. მთერალმა ამერიკელმა მას მუცელში ნიხლი კურა და პირველ
დასცა. ამერიკელები გულანად ახარბარდნენ).
- ოსმანი - (გლნოსული მოჭრა მასთან) არამზადე! (სილა განნა) მათხოვრებზე
ვაჯკაცობით აპირებ მსოფლიოს დაპურობას?!
- 1 ამერიკელი მებღვაური - (ბღვის) პოლიცია, პოლიცია!..
(ისმის პოლიციელების სასტეცების გაბმული ხმა)
- ყავახანის პატრონი - (მეშინებულმა ჭა გადაულობა ოსმანს) რას შერები!..
საეაქროს დამიკეტავენ... დავილუბები... ხომ ხედავ, მთერალია!
- ოსმანი - (მეოდად) მთერალია და მეც სიფხიზლის ნამალი ჩავყლაპე!
(მიდის)
- (დაფეთებული პოლიციელები შემოციფდნენ).

შარლა

იგივე სანახაობა, რაც მეორე სურათში. მარცხნივ მისაღები ოთახი, მარჯვნივ – აბდულ სადაყის კაბინეტი. ღამეა. ფარდის ახდისას აბდულ სადაყი სანერ მაგიდას უხის. მის წინ საიდუმლო პოლიციის უფროსი დგას, მას გვერდით ჩემოდანი უდევს.

აბდულ სადაყი – ეხლა ეს მითხარი, მკვლელი ხომ კარგად დამალეთ?..

რამაზან ალი – სანამ გემი გავიდოდეს, ჩემთან იქნება ბინაზე...

აბდულ სადაყი – სიფრთხილეს თავი არ სტყივა, იცოდე ამ ღამესვე უნდა მოაშორო აქაურობას!

რამაზან ალი – მესმის, თქვენო აღმატებულებავ! (ჩემოდანს ხსნის) განძეული იმდენი არაფერი აღმოჩნდა... სულ ექვსი ვერცხლის სურა და შვიდიც ახარფემა. მხოლოდ ერთი მათგანია ძვირფასი, პირი და სარტყელი მარჯვნივ და ღალითა აქვს მოჭედილი. აი ეს ერთი პარკიც წერილი ვერცხლის ფული იყო, მეტი არაფერი. (პარკი მაგიდაზე დადო).

აბდულ სადაყი – ეს პარკი მკვლელისა იყოს... სურები და ახარფეშები კი, ჩემთან ყველაზე საიმედოა, აქ შევინახავ... (სიფი გამოხსნა, სურებსა და ახარფეშებს შიგ აწყობს, ხელში ერთი ახარფემა შერჩა). ოპო, ეს მართლა ძვირფასი რამ არის! ძველისძველი ზარნიში აქვს მოვლუბული... აი, უცქირე, რალაც წარწერაც აქვს, ალბათ ქართულია... ხედავ? ზედ ჯვარი არის გამოსახული! (ერთბაშად) მართლა, მოკლულს მკერდი უნახეთ?

რამაზან ალი – არავითარი ჯვარი, ტყუილი გამოდგა, თქვენო აღმატებულებავ! სამაგიეროდ ეზოში, ქვევრში დამალული ორი რალაც ტყავის ყდიანი ქართული ნივნი აღმოვაჩინეთ, ერთი დასტა ძველი გაზეთები, აგრეთვე ერთი ქართული და ერთიც რუსული გაზეთი, რომელშიც ქართველი მეცნიერების ცნობილი წერილია დაბეჭდილი...

აბდულ სადაყი – (წარბები ახიდა) ესე იგი კომუნისტური გაზეთი!

რამაზან ალი – დიახ, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი – მერე... საიდან?!

რამაზან ალი – ხომ მოგეხსენებათ, ზღვა...

აბდულ სადაყი – (გაანჯვრინა) არავითარი ზღვა! ცუდად მუშაობთ... (ჭირვეულად) მამ, როგორა გნებათ? შავი ზღვის დაშრობა ჩვენ არ

შეგვიძლიან – და ხვალ, ზიარეთში წითელი დროშები რომ გამოჰკიდონ, არ უნდა გაგვიკვირდეს?!

რამაზან ალი – კი, მაგრამ...

აბდულ სადაყი – არავითარი, მაგრამ... თვითონ ამერიკელმა მითხრა, ცუდად მუშაობთ...

რამაზან ალი – თუ ამერიკელმა გითხრა, მაშინ... დიას... ალბათ ასე...

აბდულ სადაყი – (ოთახში ბოლთა დაქრა). იმ ქოფაკისათვის სწორედ განაჩენი გამოგვიტანია, მეტად სახიფათო კაცი ყოფილა!

რამაზან ალი – წინათ აკი მოგახსენეთ?

აბდულ სადაყი – მართალია, მომახსენე, მაგრამ მაშინ მისტერ რაიტმა მოცდა მირჩია... ჩემი ახალი მონეროლობა ხომ მიიღეთ?..

რამაზან ალი – რომელი?

აბდულ სადაყი – სადაცა გნერდით, რომ მკვლელობის გამოძიების მეთვალყურეობა ჩემს მოადგილეს აქვს დავალებული...

რამაზან ალი – ეს როგორ შეიძლება?

აბდულ სადაყი – შეიძლება კი არა, ნამდვილად ასე სჯობია... შემდეგ ვერცერთი გურჯი ვერაფერს ვერ იტყვის...

(მისაღებ ოთახში ჯგმალი შემოვიდა. ეტყობა დალილია. იგი პირდაპირ აბდულ სადაყის კაბინეთისაკენ გაემურა. მირზა წინ გადაეღობა).

მირზა – ცოტა ხანს, თუ შეიძლება?

ჯგმალი – (არ ელოდა) რა მოხდა?

მირზა – თქვენი სიცოცხლე. ფარეში ჰყავს, სხვა არაფერი!

ჯგმალი – (საათს დახედა) მალე შუალამე გახდება, რა დროს ფარეშია?

მირზა – სწორედ იმიტომ, რომ გამოიფხიზლოს... მასაც თქვენსავით დღეს პური არ მიურთმევია... იმ უბედურის მკვლელობამ ორივენი როგორ შეგანუხათ! (შემაზრაფი ღიმილით). ესლავე მოგახსენებ... (აბდულ სადაყის ოთახის კარი ფრთხილად შეაღო) თქვენი მოადგილე გეახლათ!

აბდულ სადაყი – ხომ არ გითქვამს, ჩემთან ვინ არის?

მირზა – არა, თქვენო აღმატებულებავ!..

აბდულ სადაყი – (სუიფის კარი დაეკრა, რამაზან ალის) აი ამ კარით... მთელ ლამეს ტელეფონთან მიცადე!..

რამაზან ალი – მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

(ჩემოდანი აიღო, მეორე კარით გავიდა).

აბდულ სადაყი – (მირზას) სთხოვე! (მირზა გავიდა).

მირზა – (ჯგმალს) მიბრძანდით... (ჯგმალი შევიდა, მირზა თავს იჩქევს). ვალ-ლაჰ, ეს ქვეყანა ნამდვილი ოინბაზხანაა!

აბდულ სადაყი - (კარბოზე მოგება) ვინ იცის, როგორ დაილაღეთ...
თქვენ არ შეგანუხებდით, მაგრამ, ხომ იცით, ჩვენი პოლიცია... თუ
ხელი არ მოუჭირეთ, ისე თავს არ შეინუხებენ... ვერაფერს მიაგე-
ნით?

ჯემალი - ვერაფერს, მაგრამ... მთელი ხალხი, დიდ-პატარა ერთხმად
ხოჯა სულეიმანს ასახელებს... შესაძლებელია ეს მართალიც იყოს,
რადგან უკანასკნელ ხანს ერთმანეთთან დანასისხლად იყვნენ!..

აბდულ სადაყი - მერე, დააპატიმრეთ?

ჯემალი - სასულიერო პირის დაპატიმრება, ისიც ბაირამის ღამეს, ხომ
მოგეხსენებათ, ცოცხა არ იყოს, უხერხულია..

აბდულ სადაყი - არავითარი უხერხულობა! მკვლელი რადაც უნდა
დაგვიჯდეს, უნდა აღმოვაჩინოთ... თქვენ ჩემზე უკეთ იცით, გან-
სვენებული მთელ ზიარეთს როგორ უყვარდა, - მის სახელს როგორი
პატივით იხსენიებდნენ!

ჯემალი - მეორეს მხრით... ხოჯა და მკვლელი, - ძნელად საფიქრებე-
ლა!

აბდულ სადაყი - სისხლმა ხელობის გარჩევა არ იცის... მართალია,
დაღლილი ხართ, მაგრამ ხოჯა სულეიმანი დღესვე, ამ ღამესვე
უნდა დააპატიმროთ... სულ რამდენი კაცი შეიპყარით?

ჯემალი - ეს მესამე იქნება...

აბდულ სადაყი - ცოცხა... თქვენ მეტისმეტად გაუბედავად იქცევით...

ჯემალი - როდესაც პირდაპირი ნიშნები არ არის, მხოლოდ ეჭვით
კაცის დაპატიმრება ძნელია...

აბდულ სადაყი - თვითონ მისი აღმატებულების, ბატონი მინისტრის
დექმა მივიღე, სასტიკ ზომებს მოითხოვს... თქვენთვისაც ნათელია,
მკვლელობა გაძარცვის მიზნით არის ჩადენილი!.. ხომ ასეა?

ჯემალი - დიახ, აბა სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც მხოლოდ
განძეულია ნაღებული!

აბდულ სადაყი - საჭიროა აქაურ ოქრომჭედლებს დღეიდანვე სა-
იდუმლო მეთვალყურენი მიუჩინოთ... ის რაღაც აზარაფეშები, თუ
სურები ყოფილა, - ადვილად შეიძლება მათთან მივიდეს...

ჯემალი - მართალსა ბრძანებთ!..

აბდულ სადაყი - გარდა ამისა, რადგან ნათესავი არავინ გააჩნია,
საჭიროა ხვალიდანვე დაკრძალვის თადარიგსაც შეუდგეთ... მე
გთხოვთ ყველაფერი ისე გააკეთო, რომ ხალხი, განსაკუთრებით

ჯერჯე მოსახლეობა, უცმაყოფილო არ დაგვრჩეს! (ჯემალი ფანჯარასთან მიიყვანა, საუბარს განაგრძობენ. მისაღებ თოხაში ოქრომჭედელი შემოვიდა. მას ხელში მოჩრდილი, ხავერდგადაკრული კოლოფი უჭირავს).

ოქრომჭედელი - კაი ბაირამი და კაი დღეები ჩვენს მირზას!

მირზა - (ნამოფა) დიდება ალლაჰს... ეს ფული ხვალამდე სად გაგვეცეოდა? ამ შუალამისას აქ რამ მოგიყვანა?

ოქრომჭედელი - დალაქივით ბევრი ლაპარაკი ნუ გიყვარს, თვითონ შენმა ბატონმა მიბრძანა...

(პირდაპირ მიდის).

მირზა - თავი რომ აგლია და პირდაპირ მიდიხარ, საიქიოს კარი ხომ არა გვონია, მუდამ ღია იყოს?

ოქრომჭედელი - როცა კაცს წინ ოქრო მიძღვის, მისთვის საიქიომიც ყველა კარი გაღებულია. (კოლოფი აჩვენა) ამას ვერა ხედავ?

მირზა - რა არის?

ოქრომჭედელი - ბედნიერების სამკაულია...

მირზა - ბედნიერების ერთადერთი სამკაული - სიყვარულია!

ოქრომჭედელი - ჩემო მირზავ! სიყვარულმა ადვილად იცის ხელიდან ნასვლა, თუ ოქროს ვაჭყით არ დააბი... მამ! (პირდაპირ შუალო კარი). მუდამ კაი ბაირამი გაგთენებოდეთ, ჩემო ბატონო!

აბდულ სადაყი - იცოცხლე... ამ შუალამისას რაზე სწუხდებოდით?

ოქრომჭედელი - თქვენ ისე მიბრძანეთ, ოქროქსოვილისა და შიბის სანახავად, თვითონ ქალბატონი მობრძანდებოდა... მთელ დღეს ვუცადე, არ მოვიდა. შევირდი გვეზავნე, - ვერსად იპოვა... ხვალ სახელოსნო დაკეტილი მექნება - მოგესხენებათ, ბაირამია და აქ ამიტომ მოგიტანეთ!

აბდულ სადაყი - უსტაბამის ხელს როგორიც ეკადრება, ხომ ისეთი გამოგივიდა?

ოქრომჭედელი - (კოლოფი გახსნა, ძვირფასი თვლებით შემკული შიბი ამოიღო) ქებას ნახვა სჯობია!.. ეს თვლები სულთან სულიმის პირველი ცოლის ნაქონია, ოქრო თვითონ გამოვჭედე... ამისთანა შიბი ჯერ არც ერთ პატარძალს ყელზე არა ჰქონია!..

აბდულ სადაყი - (ჩამოართვა) აი სანდა სალოლ!.. მართლა კარგია!.. (ჯემალს) ხომ ჩინებულია?

ჯემალი - ბრწყინვალე!

აბდულ სადაყი - (საფულე ამოიღო) სულ რამდენია?

ოქრომჭედელი - დღევრძელი იყოს ჩვენი ვალი!.. მისი ბედნიერებისათვის ფული რა სახსენებელია?

აბდულ სადაყი - გამომართვი, არადა, - ამ შიბს უკანვე წაიღებ!..
ოქრომჭედელი - რათა, თქვენო აღმატებულება? განა მარტო ჩემი, - მთელი აქაური ოქრომჭედლების ფეშქაშია, - ჩვენს ჰამქარს მოუერთმევია!

აბდულ სადაყი - (ერთბაშად მოლა) ეს კი მომენონა... თქვენს ჰამქარს ჩემი მადლობა! გადაეცი, რომ აბდულ სადაყმა შაქარზე შაქრის მოყრა იცის!

(ხელი ჩამოართვა).

ოქრომჭედელი - ძილი ნებისა, ბატონო ჩემო!

(თავი დაუკრა, გავიდა).

აბდულ სადაყი - გაიანე ხომ არ იცით სად არის? მთელ დღეს ცალკე მყერავი ქალები უცდიდნენ და ვერა ნახეს, ცალკეც - ოქრომჭედელს უძებნია, ვერსად უპოვნია? საოცარია, სად წავიდოდა? ჯემალი - რა მოგახსენოთ! დილას რომ გამოველ, მას შემდეგ შინ აღარ დავბრუნებულვარ... სად უნდა იყოს? ვინ იცის ბედნიერებისაგან თავბრუდახვეული მთელს ზიარეთს უვლის!

აბდულ სადაყი - ამაღამ ალბათ ნახავთ, - უთხარით, ხვალ მაინც ნურსად წავა... სტამბოლიდან ცნობილი შაშან ხანუმ გამოვიწერე, თუ ხვალაც ვერ შეუყერავს, მაშინ უკანვე უნდა გავგზავნო...

ჯემალი - ქალს ამისთანა რამ კი გააგონეთ!.. ფეხით რომ გაუშვათ სტამბოლში, - ფეხით წავა, ოღონდ მისი ხელით შეკერილი საქონილო კაბა-ჯულისპირი გაიკეთოს! (ქუდი აიღო). მაშ ასე, - თქვენ ბრძანეთ, ხოჯა სულეიმანი ამაღამვე დავაპატიმროთ?..

აბდულ სადაყი - თქვენ ახლა მარტო ჩემი მოადგილე კი არა ხართ, არამედ ჩემი ნათესავიც... იმოქმედეთ გაბედულად! (ჯემალი გავიდა, აბდულ სადაყმა ზარი დარეკა, მირზა შემოვიდა) შენ ეს მითხარი, მაშ, გაიანე შინ ნამდვილად არ იყო?..

მირზა - არა, თქვენო აღმატებულება!

აბდულ სადაყი - დედამისმა რა გითხრა.

მირზა - მეგობარ ქალთან წავიდაო...

აბდულ სადაყი - სალამოს რომ იყავი?

მირზა - სალამოს აღარც დედამისი დამხვედრია!

აბდულ სადაყი - ეს ქალაქი სულ ორი მტკაველია და როგორ ვერ იპოვნეთ?

მირზა - ყველგან გახლდით, მავრამ...

აბდულ სადაყი - (ჭირვეულად) გამეცალე აქედან! (მირზა გვიდა. ტელეფონმა დაინკრა. აბდულ სადაყმა მილი აიღო).

ალო, ალო!.. დიას! შეიძლება კი არა, ეხლავე, ამ წუთში... (ტელეფონი დადო. ზარი დარეკა. მირზა შემოვიდა) შენ ეს მითხარი, იმ მეგობარ ქალთან არ გეკითხავს?

მირზა - არა, ქალბატონს არ ენყინოს მეთქი, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი - გაეთრიე! (ოთახში ბოლთა დაქრა. შემდეგ ისევ ზარი დარეკა. მირზა შემოვიდა) გახსოვს, იმ დღეს სუფრაზე რომ ატირდა? რასა ფიქრობ, მიზები რა უნდა იყოს?

მირზა - თქვენ კი გაიხარეთ, ბედნიერებამ გადმოხეთქა... განა, უბრალო საქმეა, ქვეყანაში გამოუსვლელი ქალი ხელმწიფის ტოლმა კაცმა ცოლად შეირთოს!

აბდულ სადაყი - ჭკვიანი კაცი ხარ, ჩემო მირზავ, ჭკვიანი... (შარზე მეგობრულად დაადო ხელი) ნელან რომ გაგიჯავრდი, ხომ არ გენყინა?

მირზა - მაგას რასა ბრძანებთ? თქვენი გუჯავრება სხვის წყალობას მირჩევნია! (მისაღებ ოთახში რამზან ალი და საზღვაო პოლიციის კაპიტანი შემოვიდნენ). ჩემს ოთახში რალაც ფეხის ხმაა!

აბდულ სადაყი - ვიცი, ვინც არიან... ნადი, მათს გარდა კარი ყველასათვის დაკეტილია!

მირზა - დასტურ, თქვენო აღმატებულებავ! (გვიდა, ორივეს) მობრძანდით, ჩემო ბატონო!

(რამზან ალი და საზღვაო პოლიციის კაპიტანი აბდულ სადაყთან შევიდნენ)

აბდულ სადაყი - (კაპიტანს მრისხანედ მიჰყურდა) ეს როგორ მოხდა? თვალები სადა გქონდათ?

კაპიტანი - თქვენო აღმატებულებავ, ზღვა ყოველი მხრით შეკრული იყო...

აბდულ სადაყი - (ბრაზისაგან კანკალებს) მიჰქარავ... მამ ის გურჯი მეზღვაური საიდან შემოგეპარათ?

კაპიტანი - მეც ვერ გამიგია, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი - (რაც კი ძალა შესწევდა, კაპიტანს სილა გაანა) მაშინ გაიგებ, როდესაც ციხეში გამოგალაშობ!..

კაპიტანი - თქვენო აღმატებულებავ...

აბდულ სადაყი - გაეთრიე! (კაპიტანი მიდის) მოიცა! იმ მეზღვაურის ადგილსამყოფელი მაინც ვერ შეიტყვეთ?

კაპიტანი - აქური, ზიარეთელი გახლავთ... სავაჭრო ფლოტის მე-
 ზღვაური - შუქრი ჯაფარ ოღლუ...

რამაზან ალი - ვიცნობთ, თქვენო აღმატებულეზე... ორი დღის წინათ
 ჩვენი მითითებით მოხსნეს გემიდან...

აბდულ სადაყი - (კაპიტანს) შენს საქმეს სამხედრო-საზღვაო სასამარ-
 თლო გაარჩევს... ესლა გარეთ მოიცადე! (კაპიტანი მიდის, აბდულ სადაყ-
 მა თვალი გაყოლა) გამოცდილი კაცია და ეს როგორ დაემართა?

რამაზან ალი - თვითონ ის მზღვაური გახლავთ საეჭვო კაცი, თქვენო
 აღმატებულეზე!

აბდულ სადაყი - საეჭვო კაცია და მით უარესი... (ოთახში ბოლთას
 სცემს, შესდგა, დაფიქრდა. ერთბაშად სეიფის კარი გააღო, ის ძვირფასი
 აზარფემა გამოიღო). ხედავ ამ აზარფემას?

რამაზან ალი - ვხედავ თქვენო აღმატებულეზე!

აბდულ სადაყი - იმ მზღვაურის ბინა ამ ღამესვე უნდა გაჩხრიკოთ
 და ეს აზარფემა იქ უნდა აღმოაჩინოთ! გესმის?

რამაზან ალი - მესმის, თქვენო აღმატებულეზე!

აბდულ სადაყი - ეს ხომ საკმარისი იქნება შუქრი ჯაფარ ოღლუც
 მაშინვე დააპატიმროთ, როგორც ბუჟან ალას მკვლელი?

რამაზან ალი - დიდებულია, თქვენო აღმატებულეზე!

აბდულ სადაყი - მამ, ნულარ იგვიანებთ... ჩხრეკასა და დაპატიმრებას
 ჩემს მოადგილეს ვავალებ!

რამაზან ალი - (გოცდა) თქვენს მოადგილეს?!..

აბდულ სადაყი - არ მოგნონს?

რამაზან ალი - ბატონო ჯემალ იმ მზღვაურის უახლოესი მეგობარია!..

აბდულ სადაყი - სწორედ ამიტომ არის საჭირო, მან თავისი თვალით
 ნახოს, როდესაც ამ აზარფემას ჯაფარ ოღლუს ოჯახიდან გამოი-
 ტანთ!..

ფარდა

მოქმედება მესამე

მეშვიდე სურათი

შუქრი ჯაფარ ოღლუს სახლი. ოთახიც, მონყობილობაც ისეთივე, როგორც დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით როგორც სამეგრელოში იცინა. ზურგის ფიცრულ კედელში - ბუხარი. მარცხნივ, - კედელზე მიდგმული სუფთა სუფრაგადაფარებული მაგიდა, იქვე მალალი კიდობანი. მარჯვნივ - დიდი აღმოსავლური ტახტი ფერად-ფერადი მუთაქებითა და ბალიშებით. ფარდის ახდისას ხელებშებოჭილი შუქრი ჯემალის წინ დგას. მათს უკან საიდუმლო პოლიციის უფროსი და ორი ყანდარში. ტახტზე დამხობილ შამანდუხს ორი მოხუცი ქალი ამშვიდებს. გვერდის ოდნავ გამოსხნილ კარებში თავშალმობვეული გაიანე აჩრდილივით ხან გამოჩნდება, ხანაც მიიმალება.

ჯემალი - (ხელში აზარფემა უჭირავს) ეს აზარფემა თქვენს ოჯახში საიდან გაჩნდა?

შუქრი - არ ვიცი...

ჯემალი - (აზარფემაზე უთითებს) წინათ გინახავს სადმე?

შუქრი - როგორ არა, ბეჟან ალას ოჯახში მინახავს:

ჯემალი - მერე, თქვენს ოჯახში საიდანღა გაჩნდა?

შუქრი - არ ვიცი... იქნება თვითონ მოხუცმა მიაბარა დედაჩემს!

ჯემალი - (წელი ნაბიჯით მოუახლოვდა შამანდუხს, მორიდებით). დეიდა შამანდუხ! (ქალი ძლივს წამოდგა, ნამტირალევი თვალები უშწოდ შეანათა). აბა, კარგად გაიხსენეთ, ეს აზარფემა თქვენთან იქნებ თვითონ ბეჟან ალამ მოიტანა?!

შამანდუხ - ტყუილი როგორა ვთქვა, შვილო... ბეჟან ალას არ მოუტანია?!

ჯემალი - მაშ, თქვენსა არც გუშინ, არც წუხელ, ან მჭობელი ან უცხო ვინმე არავინ შემოსულა?

შამანდუხ - არავინ, შვილო... ოღონდ წუხელ მიწვამ ჭხის გადასახადის ქალაღდი მომიტანა, შინ არც კი უნდოდა შემოსვლა, ძალისძალად შემოვიყვანე! (ისევ ტახტზე დაეშვა) ვაი, შენს დედას, შვილო!

ჯემალი - (შუქრის მოზრუნდა) მაშ, ეს მაინც მითხარი, ნუხელ სად იყავი? ღამე ვისთან გაათიე?

შუქრი - (სდუმს).

ჯემალი - გემზე იყავი?

შუქრი - არა, გემზე არა ვყოფილვარ!

ჯემალი - არც შინ შენს ოჯახში?

შუქრი - არც შინ ვყოფილვარ...

ჯემალი - ან იქნებ სხვაგან სადმე იყავი? ერთი კაცი მაინც დამისახელე, მარტო ერთი მონმე. მეტი არ მინდა!

შუქრი - (სდუმს. გაიანე კარებში გამოჩნდა, ძლივს უძლებს მღუღერებას).

ჯემალი - (დაბეჭოთებით) არ გინდა მიპასუხო?... ვისთან იყავი?

შუქრი - მაგას ვერ გეტყვი...

გაიანე - (კარებში) ღმერთო! (მიმალა).

შუქრი - მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ გეფიცები, ჯემალ, მაგ უნმინდურსა და შავ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია!

ჯემალი - (რამზან ალის) ნაიყვანეთ!

შუქრი - არა გჯერა? შენც თუ არა გჯერა, მაშ სხვა ვინლა დამიჯერებს, რომ მე ბეჯან ალას მკვლელი არა ვარ?!

ჯემალი - შენ თავი არ გინდა იმართლო, არც ერთ კითხვაზე პასუხს არ იძლევი... რაც მოგივიდეს, შენს თავს დააბრალებ... (რამზან ალის). ნაიყვანეთ! (შუქრი თავდახრილი, ნული ნაბოჯით მიდის. უკან პოლიციელები მიჰყვებიან. სულ უკან ჯემალი).

შამანდუხ - შვილო ჯემალ... ის მაინც გაიხსენე, პატარები, რომ იყავით... ერთად რომ თამაშობდით!.. (აქტიონებული უკან მიჰყავა, ქალები მაცილებენ. გაიანემ და რუსუდანმა შემოაღეს კარი).

გაიანე - (გულმოკლული) ხედავ, რუსუდან? შუქრი არ ამბობს იმ დანყველილ ღამეს სად იყო... ვისთან იყო...

რუსუდანი - ჰო და, თუ კი მართალია, რატომ არ ამბობს? ხომ გაიგონე, ჯემალმა რამდენჯერ უთხრა, - ერთი მონმე მაინც დამისახელე, მეტი არაფერი მინდაო!

გაიანე - (სასონარკვეთილი) რუსუდან, ეს მონმე მარტო მე ვარ ამ ქვეყანაზე... მარტო მე!.. ჩემს გარდა სხვამ არაფერ იცის იმ ღამის საიდუმლო... შუქრის გადაუნყვეტია - სიცოცხლე ანაცვლოს ჩემი ოჯახის პატიოსნებას, ჩემს პატიოსან სახელს... ვაიმე შუქრი! (ყრუდ ქვითინებს).

რუსუდანი - მერე და რა გატირებს, ქალო? თუ კი შუქრი ალაღმარ-
თალია და შენ ეს იცი, რას დამუნჯებულხარ? მას თუ გადაუნჯევტია
შენი გულისთვის დალუპვა, - დეე მოგეჭრას თავი, მთელმა ქვეყანამ
შენი სახელი სათრეველად გაიხადოს, ოლონდ შუქრი გადარჩეს
ცოცხალი!..

გაიანი - (გულამოჭვადრი) არა გრცხვენინან, რუსუდანი? განა ჩემს სახელსა
და ქალობას ვუფრთხილდები? ნუთუ გგონია, ერთ წამსაც კი
დავფიქრდები, ოლონდ ჩემი სიცოცხლე წამლად დაედებოდეს შუქ-
რის... მაგრამ ეს რომ გავამხილო, მაშინ ხომ წამდვილად დავლუპე
შუქრიც, ჩემი ძმაც, მთელი ჩემი ოჯახიც!.. ის რას იტყვის, ვილა-
იეთის უფროსი - აბდულ სადაყი რას იტყვის, როდესაც შეიტყობს,
რომ მე, მისმა დანიშნულმა, ის ღამე შუქრისთან ერთად, ზღვის
პირას - გზის ძებნაში გავათენე?! მაშინ ხომ შუქრის აღარაფერი
უშველის!.. ღმერთო, ამ ცუცხლს თავი როგორ დავაღწიო?! (რუსუდანი
თავი მხარზე დააყრდნო, აქვითინდა).

ფარდა

მარკე სურათი

სცენა სამად არის გაყოფილი. შუაში მისაღები ოთახი. მარცხენა მხარეს - ჯემალის
სამუშაო ოთახი. მარჯვნივ - აბდულ სადაყის კაბინეტის ის კუთხე მოსჩანს, სადაც
სანური მავიდა დგას. ფარდის ახდისას ჯემალი თავის სამუშაო ოთახში მარტო ზის,
იგი თავდახრილი ხანგრძლივ დასჩერებია იატაკს.

მირზა - (მისაღებ ოთახში ჟურნალ-გაზეთების დასტა აიღო, ჯემალის ოთახის
კარი ფრთხილად შეაღო), შეიძლება, ბატონო ჩემო?

ჯემალი - (ჭირვეულად) ერთ წამს მაინც მარტო დამაყენეთ!

მირზა - ბოდიში, ბატონო! (კარი სწრაფად გაიხურა).

ჯემალი - (ადგა, ოთახში დადის, ეტყობა მძიმე ფიქრს შეუყურია). თხუთმეტ
წელიწადს არ მენახა... დასაპატიმრობლად რომ მიველ, სიცილი და-
ინყო, - ალბათ, ხუმრობა ეგონა... მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ

მწარე სინამდვილე იყო... მე ბავშვობაში სიცოცხლე გაჩუქე, რომ შენ ეხლა სამაგიერო ამით გადაგეხადო... ჩემს სინდისთან როგორც უნდა ვიმართლო თავი, არაფერი გამივა... მართალი მითხრა, ნამდვილად მართალი! (ხმამალა) მირზავ!

მირზა - (კარი წელა შეაღო). თქვენ დამიძახეთ, ბატონო ჩემო?

ჯემალი - (თავუღებლად) წელან რა გინდოდა?

მირზა - თქვენი სიცოცხლე, ახალი ჟურნალ-გაზეთები იყო... მოგართვათ?

ჯემალი - გაზეთები მერე... აქ მოდი! (მირზა ახლოს მივდა) რასაცა გკითხავ, ალალმართლად მიპასუხე!

მირზა - დასტურ, ალალმართლად გიპასუხებ, ბატონო ჩემო!

ჯემალი - იმ მებღავურს, შუქრი ჯაფარ ოღლუს კარგად იცნობ?

მირზა - თქვენ კი გაიხარეთ, - თქვენც და ისიც, ორივენი, ჩემს თვალნინ არ დაიხარდენით?

ჯემალი - (გული ეტყინა) შენ ჩვენს დაზრდას თავი გაანებე! ეხლა, აი ამ ათიოდე წელიწადში ხშირად შეგხვედრია?

მირზა - ხშირად რასა ჰქვიან? როცა კი ზღვაში არ იყო, მუდამ და ყოველთვისა ვხედავდი...

ჯემალი - მამ, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, შეიძლება მას ბეჟან ალა მოეკლა?

მირზა - ალლაჰის მადლმა, ჩემი სიყრმის მზემ, იმ ზღვის დაშრობას უფრო დავიჯერებ!

ჯემალი - (უმაღურად) წადი, არაფრის მაქნისია შენი პასუხი!

მირზა - (გაოცებული) რა ვქნა, ალლაჰს ტყუილად - ხომ ვერ დავიფიცავ?

ჯემალი - (თითქოს მუდარით) წადი მეთქი, გამშორდი თუ ღმერთი გნამს.

(მირზა მხრების ჩეჩით გადის) ნეტავი ამ ბებერ მელიას მაინც ასე არ ეთქვა! სუცველა რომ ეგრე ამბობს, ლამის ამიტომ გამისკდეს გული!..

(კვლავ იატაკს მიაჩერდა. მისაღები ოთახის კარი ხოჯა სულეიმანმა შემოაღო. მას თავი თეთრი მიტკლით აქვს შეხვეული).

მირზა - მექადან ხომ არ ჩამოსულხარ, ეგ თავი წმიდანით ახალი დოღბანდით რომ შევიმოსია?!

ხოჯა სულეიმანი - დახმარების მაგიერად დამცინი კიდევ?

მირზა - ჩემი დასახმარები ალლაჰმა ნურაფერი შეგახვედროს...

ხოჯა სულეიმანი - რალა ნურაფერი! ბაირამის ღამე მეჩეთის მაგიერად პოლიციაში მათევინეთ... გუშინ დილას, როგორც იყო, გამიშვით და ნეტავი შინ სულაც არ მივსულიყავი... იმ ლანირაკმა - ბეჟან

აღას შეგირდმა შურდულით კარ-ფანჯარა ჩამიმტვრია. ორი ქვაც თავში დამცა, თანაც მომძახოდა: ბეჯან ალა შენ მოჰკალიო... სულ ერთია, ცოცხალს არ გაგიშვებო!..

მირზა - მერე აქ რა გინდოდა? პოლიციაში უნდა გამოგეცხადებინა! ხოჯა სულეიმანი - მე არაფერი ვიცი, - ყველაზე დიდი პოლიცია აქ არის... აქედანვე გიცხადებთ, თუ ამ მოკლე დროში რაიმე ამიტყებეს, იცოდეთ, ის ბიჭი იქნება, სხვა არავინ!

მირზა - იმ ერთმა მტკაველმა ბიჭმა ეგრე როგორ დავაშინა!

ხოჯა სულეიმანი - შენ ერთი მტკაველი დაუძახე!.. გურჯები აკვანშივე გასანყვეტნი ხართ, - რასაც იტყვით, კიდევ შესარულებთ!.. (სწრაფად გაიდა).

ჯემალი - (იატაკს თვალს არ აშორებს. ხმამალა) მირზავ, რა იქენი?

მირზა - (უმაღლე კარი შემოაღო) მე მეძახოდით, ბატონო ჩემო?

ჯემალი - აქ მოდი... (საათს დახედა) საცაა შემოიყვანენ... ჩემზე უთქვამს, - თუ ის იქნება, ჩვენებას მოგცემთ, თუ არა და არაო... მე მარტო მასთან ყოფნა არ შემიძლიან... თუ ღმერთი გნამს, აქედან ფეხი არ მოიცვალო!

მირზა - შენ კი გაიხარე, განა ყველაფერი გულთან ახლოს უნდა მიიტანო? ჩვენ - გურჯებმა ვიცით ასეთი მეგობრობა, თორემ...

ჯემალი - (თითქოს გულში რალაც ჩასწყდა) რამდენჯერ უნდა გთხოვო, მაგ ოხერ მეგობრობას ნულარ ახსენებ! თხუთმეტი წელიწადია კაცი არ მინახავს და პირველ შეხვედრისთანავე ჩემს მოსახვევენად გამოწვდილი ხელები თოკით შეუკარი... ამაზე უკეთესი მეგობრობა განა კიდევ შეიძლება! (გაშინებული დადის ოთახში. თოფიანმა დარაჯმა კარი შემოაღო. ჯემალი მაშინვე მაგიდასთან დაჯდა. მეორე თოფიანმა დარაჯმა შუქრი შემოიყვანა. ჯემალი ცდილობს, შუქრის თვალი აარიდოს. მლელარების დასაფარავად ძლიერ ნელა ლაპარაკობს). ბრალდებულო ჯაფარ ოღლუ, მისი აღმატებულების ბატონ მინისტრის პირადი განკარგულებით, საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ხვალ უკვე შესდგება სასამართლო... წინასწარი გამოძიებით და ყველა იმ საბუთით, რაც ჩვენს ხელთ არის შენს მიმართ ნაყენებული ბრალდება საკვებით დასტურდება... შეგიძლიან კიდევ რაიმე დაუმატო გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებას? (შუქრი ჯემალს თვალმოუშორებლად მისწვრება, ხანგრძლივი დუმილი). ბრალდებულო ჯაფარ ოღლუ, შენ გეკითხები!

შუქრი - (თავს ძლივს იმორჩილებს) არ მახსოვს, გამომძიებელს რა უთხარი... ვის რა უთხარი... ან ახლა რა გითხრათ? რა საბუთი მოგიტანოთ? საიდან მოგიტანოთ? ღმერთი არა გაქვთ? ეს რამ გაფიქრებინათ, რომ მე ბუჟან ალა მოვკალი? ჩემი თვალის ამხელი, ჩემი დამკაცებელი მოვკალი?

ჯემალი - (უფრიდან აზარფემა ამოიღო). მაშ ეს აზარფემა შენს ოჯახში საიდან გაჩნდა, ვინ მოიტანა?

შუქრი - რა ვქნა... არ ვიცი... ვერაფერს გეტყვით...

ჯემალი - მაშ, არც ის იცი?... იმ ღამეს, რა ღამესაც მკვლელობა მოხდა, ესე იგი, - ბაირამის ღამეს, სად იყავი? (შუქრის ვტყობა, თქვა ეძნელება. ჯემალი ცდილობს დაეხმაროს). აბა გაიხსენე, იქნება ზღვაზე იყავი?

შუქრი - არა, ზღვაზე არ ვყოფილვარ...

ჯემალი - ბაირამის ღამე იყო, იქნებ დათვერი და აღარ გახსოვს ვისთანაც ქეიფობდი?

შუქრი - არც ზღვაზე ვყოფილვარ, არც ამხანაგ-ნათესავთან, არც მიქეიფნია სადმე... იმას კი ვერ გეტყვი, სად ვიყავი, ვისთან ვიყავი... მაგრამ რა დავიფიცო, - აი ამ დღის სინათლის შადღმა, ბუჟან ალას მკვლელი მე არა ვარ... კაცის მკვლელი არა ვარ!

ჯემალი - (ნაძალადევი ფულციობით) ბრალდებული ვაფარ ოღლუ, ფიცი საქმეს ვერ უშველის... რადგან ვერაფერს ამბობ, - ეს აზარფემა საიდან და როგორ გაჩნდა შენს ოჯახში; არც იმის დასახელება შეგიძლიან, - სად და ვისთან იყავი მკვლელობის ღამეს, ამიტომ ჩვენ დადასტურებულად მიგვანჩნია, რომ ბუჟან ალას მკვლელი ნამდვილად შენ ხარ... გთხოვ, საბრალმდებლო აქტის მიღებაზე აი აქ, ამ ადგილას მოანერო ხელი... (ქალღმრთე აჩვენებს).

შუქრი - (მღელვარებას ვერ უძლებს) მაშ ასე? კიდევ უფრო დიდი კაცი გინდა გახდეს? (ნელში გაიმართა). გინდა და - აჰა, გიხაროდეს, - მე ვარ ბუჟან ალას მკვლელი! აქ მომეცი ეგ საბრალმდებლო აქტი, ხელს მოვანერ... რატომაც არ მოვანერ? (ქალღმრთის მთელი დასტა მოხვეჭა. ნაკუნ-ნაკუნ აქცია, ნახევები იატაკზე გადაყარა). მოვანერ, მხოლოდ ისე არა, როგორც თქვენ გინდათ... რას შემომცქერით? დასწერეთ, ხელმეორედ დასწერეთ... დასწერეთ, რომ ბუჟან ალა მე მოვკალი, მხოლოდ არა გაძარცვის მიზნით... მე სხვისი ქონების მტაცებელი და ქურდბაცაცა არასოდეს არა ვყოფილვარ! მე მოვკალ ბუჟან ალა, რადგან მას სძულდა ოსმალეთი! (გაოცებული ჯემალი თვალუბში

მისჩერებია, შეშინებული მირზა კედელს ვყუდება). იგი საქართველოზე ოცნებობდა, თავისუფლებლაზე ოცნებობდა და ამიტომ მოგვკალი!.. იცი, რატომ მოგვკალი? მან შენს ძმას, პატარა გოგიჩას ქართული წერა-კითხვა ასწავლა... გახსოვს, მე და შენც გვასწავლიდა ბავშვობაში და ამიტომ მოგვკალი!.. თქვენ ზიარეთს ანგრევდით, რომ მისი ქართული წარწერები და ჩუქურთმები მუხუდში გადაგეტანათ. ბუყან აღამ შეიტყო, რომ თქვენ ზიარეთის ქეები ლამით, ქურდულად შავს ზღვაში ჩასძირეთ, - აი რატომ მოგვკალი!.. რაღას უყურებთ? დასწერეთ! ხომ ხედავთ თქვენი საქმე მიკეთებია და თქვენ კი, უმადურნო, იმის მაგიერ, რომ ჩემთვის ვილდო მოგეცათ, - მასამართლებთ? (მზარედ იცინის).

ჯემალი - (აღუღებული დარაჯებსა და მირზას) ცოტახანს დამტოვეთ! (დარაჯები და მირზა გავიდნენ. ჯემალი ზურგით მიყუდა კარს და ერთბაშად, აქამდე შეუმჩნეულად მღელვარება დაეცყო ხმაში) შუქრი, ბიჭო... თავს რაზე იღუპავ?

შუქრი - ასე ტკბილად ნუ მელაპარაკები, მეტს მაინც არაფერს გეტყვი! ჯემალი - არ ვიცი, შუქრი, რით დაგაჯერო?... კაცობას გეფიცები...

შუქრი - (ზოზლით) რომელ კაცობას?... შენი ერთად-ერთი და, - გაიანე ჩინ-მენდლზე რომ გაგაყიდივია? ან იქნებ იმ კაცობას მეფიცები, რამაც ჩვენი ხალხის ის წმინდა სალოცავი ნაცარტუტად გაქცევინა?

ჯემალი - შუქრი, გამიგონე... მე შენთან ახლა როგორც შენი ძველი მეგობარი ვარ და არა როგორც გამომძიებელი!..

შუქრი - (თვალუბანთებული) ვერ ხელები შემიკარი და მერე მეგობრობას მეფიცები?... ფუ მაგ კაცობას! (შუქრის ყვირილზე მირზა შემოვიდა).

ჯემალი - (მღელვარებისაგან სიტყვა ვერ უპოვნია. მირზას ცერად შეულო თვალი, შეუტია) შენ ვინ დაგიძაბა? (მირზა მამივე გაბრუნდა. ჯემალი ერთბაშად მოშვა, ხმა შეეცვალა). მოიცა, მირზავ!.. (შუქრზე უთითებს). ნაიყვანეთ!... (დარაჯები შემოვიდნენ).

შუქრი - (დაცინვით) რამ შეგაშინა? რაც გითხარი ამ კედლებს იქით არ გავა... ან ეს სასამართლოს თამაში რაში დაგჭირდათ? გურუგი რა სამართლის ღირსია? აიღეთ და უბრალოდ მომჯალით, გაქცევას აპირებდა-თქო... ყაჩაღისა და მძარცველის შესახებ ვინ არ დაგიყურებთ?

ჯემალი - (დარაჯებს). ნაიყვანეთ? (შუქრი მიჰყავთ. მირზამ იატაკზე გაბნეული ქალღლები მოყრიდა და შეუმჩნეულად გავიდა. ჯემალი უძრავად დგას).

ზიარეთის ქვები ლამით, ქურდულად შავს ზღვაში ჩასძირეთო?!
(აქეთ-იქით მიხედა) მირზავ!

მირზა - (უმაღვე შემოიდა). მე მეძახით, ბატონო ჩემო?

ჯემალი - შენ მაინც მითხარი, ეს რა მოხდა? ზიარეთის ქვები შავ
ზღვაში ჩასძირეთო?!. ვერაფერი გამიგია...

მირზა - კაცს, დღეს არა, ხვალ, სკვდილი ელის... ხომ ხედავთ, ქკუანზე
აღარ არის?

ჯემალი - სისულელესა რომავ!..

მირზა - ბატონო ჩემო...

ჯემალი - (შეუყვრა) მომშორდი თავიდან! (მირზა ფეხაკრფით გავიდა). იგი
საქართველოზე ოცნებობდა... თავისუფლებზე ოცნებობდა... ამიტომ
მოაკალიო... (სავარძელში მონყევტილი ჩაეშვა). არა, ამ შავს საქმეში
გურჯის ხელი არ ურევია, არამც და არამც შუქრი არ არის ბეჟან
ალას მკვლელი! მაგრამ ის ნყეული აზარფეშა?

ჟარღა

მაცხრა სურათი

სანახაობა იგივე, რაც მეშვიდე სურათში. ფარდის ახდისას აბდულ სადაყი თავის
კაბინეტში უჯუნებოდ ბოლთასა სცემს. მაჯის საათზე მალიმალ იხედება. მან ფანჯარა
გამოალო. ზიარეთის ნანგრევებს გახედა, ლელავს.

აბდულ სადაყი - (საათს დახედა) რა დაემართათ? (ზარი დარეკა, მირზა
შემოიდა) რატომ აგვიანებენ, შენ ხომ არაფერი შეგიტყვია?

მირზა - არაფერი, თქვენო აღმატებულებავ!.. რა ვიცი, აქამდე უნდა
აუფეთქებინათ!

აბდულ სადაყი - არც ჩემი მოადგილე მოსულა?.. აქამდის უნდა
დაერეკნა, - იქნებ იმან მაინც შეიტყო რამე!

მირზა - ჯერ არა გხლებიათ, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი - ნადი, მეტი არაფერი! (ფანჯარა მიხურა. მირზა გავიდა)
საოცარია, თორმეტი დაინყო, ამდენი რად დაიგვიანეს?.. (მაგიდასთან

მივიდა, ტელეფონის მილი აიღო) მშენებლობის პირველი უბანი! (გაიანემ მოულოდნელად კარი შემოაღო, აბდულ სადაყმა მილი მაგიდაზე დააგდო, მას მიეგება) როგორ მოულოდნელად გამახარე?

(ორივე ხელი დაუჭირა) ამდენ ხანს სად იყავ, რომ ასე მომანატრე თავი?

გაიანე - (ნაზად, ნაძალადევი ლიმილით) ჩემი მეგობარი რუსუდანი გახსოვთ? იმასთან ექსოვდი, ჩემი მზითვის ხალიჩა მოვათავეთ... ახლა კიდევ კაბა-გულისპირი, მერე ის თქვენი სტამბოლიდან ჩამოყვანილი შამან ხანუმ... თანაც აქ მოსვლის მერიდებოდა...

აბდულ სადაყი - (თვალეში ჩასცქერის, ფანჯარასთან სინათლეზე მიიყვანა) მეონი თვალი არ მატყუებს, ჩემს მთვარეს უჩინარი რამ ღრუბელი მოჰფენია.

გაიანე - (უფრო ნაზად) თქვენი ყურადღება მარნმუნებს, რომ თქვენი გულიც ასევე კარგად ხედავს, როგორც თქვენი თვალი!..

აბდულ სადაყი - (საკოცნელად ელაშუქება). გურჯი ქალის სინაზე ბევრ გამოჩენილ ოსმალოს თავის სიცოცხლეში ნექტარივით უსვამს... რამდენი მრისხანე სულთანისა და ვეზირის გული გაუთბია მისი თვალეების ჯადოსნურ ელვას, - მე კი ჯერ მხოლოდ შორი-ახლოს ვტკბები მისი მათრობელა ეშხით!..

(თავისკენ მიიხიდა).

გაიანე - (მაცდური ლიმილით) გურჯი ქალის სიყვარულმა ადვილად იცის სანამლავად ქცევა, როდესაც გულით კი არა, ენით დაუწყებენ ლაპარაკს...

აბდულ სადაყი - ენას როგორ შეუძლიან იმის გამოთქმა, რასაც გული ეუბნება! (კვლავ მიიხიდა). შენ ხომ ამიერიდან ჩემი ხარ!

გაიანე - (განზე გაინია). მხოლოდ ქორწინების შემდეგ!

აბდულ სადაყი - ეს დღეც შორს არ არის... რადგან გურჯების სიძე გავხდი, მინდა ქორწილიც თქვენი ნესის მიხედვით გადავიხადო ზიარეთში...

გაიანე - ზიარეთში? ზიარეთობა ხომ ხვალ არის!

აბდულ სადაყი - და შენც, ჩემო კოკობო, ხვალიდან პატარძალი ხარ!

გაიანე - გურჯები პატარძალს დედოფალსაც ეძახიან, რადგან იგი, რასაც ისურვებს, იმ დღეს ყველაფერი უნდა შეუსრულონ...

აბდულ სადაყი - (მოხიზლული) რატომ მხოლოდ იმ დღეს? შერეც...
მუდამ და ყოველთვის... როდესაც და რასაც კი ჩემი მზეთუნახავი
ისურვებს!..

გაიანე - მართალს ამბობთ?

აბდულ სადაყი - ჩემს დედოფალს რომ ტყუილი ეუთხრა, მართალი
ვისთვის შევინახო?

გაიანე - აბა დაიფიცეთ!

აბდულ სადაყი - ჩემი სიტყვა და ფიცი...

გაიანე - არა, დაიფიცეთ, მე დამიფიცეთ!

აბდულ სადაყი - ჩემს მზეს ვეფიცები...

გაიანე - მაშ, მე ერთი რამ მინდა გთხოვოთ... მხოლოდ ერთი რამ!

აბდულ სადაყი - მზადა ვარ, ისეთი რა იქნება, შენთვის გამიძნელ-
დეს?!

გაიანე - მე მინდა ჩემი ბედნიერების დღეს არავინ იყოს უბედური!

აბდულ სადაყი - როდესაც ლამაზ ქალს გულიც კეთილი აქვს, რაროგ
წარმტაცია და მომზიბვლელი!

გაიანე - მინდა ჩვენი ბედნიერება არავინ დასწყევლოს და ის დღე
ყველას კეთილად გაუთენდეს!

აბდულ სადაყი - მაგდენი რომ შემეძლოს, ქვეყნის მპყრობელი ვიქ-
ნებოდი!

გაიანე - იმდენი ხომ შეგიძლიანთ, ხვალ, ზეგ... ზიარეთში სიკვდილის
განაჩენი არავის გამოუტანონ?

აბდულ სადაყი - (გატაცებული) შენი გულისთვის არაფერია შეუძლე-
ბელი... სიტყვას გაძლე!

(კარი მოულოდნელად ჟონ რაიგმა შემოაღო).

ჯონ რაიტი - ბოდიში, დაუკითხავად შემოვედი!..

(ეტყობა ეჭარება).

აბდულ სადაყი - (ამერიკელს მივება) როგორ გეკადრებათ?

გაიანე - (თაფისთვის) სიყვარულს თურმე ზოგჯერ სიძულვილიც გადაარ-
ჩენს!..

აბდულ სადაყი - (რაიტს) მობრძანდით, ჩემი კარი თქვენთვის მუდამ
და ყოველთვის ღია გახლავთ! (გაიანე წარუდგინა) ვერ იცანით?

ჯონ რაიტი - როგორ ვერა, ბატონ სადაყის მეუღლეს ჩემი უმდაბლესი
სალამი! (ხელზე კოცნა დაუპირა. შემერთალმა ქალმა არ დაანება. ამერიკელი
სახტად დარწა. ეტყობა ძალიან ეწყინა).

გაიანე - (ორივეს ღირსებით დაურა თავი). ეხლა დაგტოვებთ, თქვენ საქმე გაქვთ!

აბდულ სადაყი - ჩვენ მალე გავათავებთ.. შორს მიდიხარ?

გაიანე - მკერავთან... სულ მალე დავბრუნდები!

აბდულ სადაყი - (რაიტს) ბოდიში... მე მხოლოდ ერთი წუთით!.. (გაიანე გააცილა).

ჯონ რაიტი - (მიმავალთ ცერად გაყოლა თვალი) ჩვენ ამ ხალხში კულტურა, ცივილიზაცია შეგვაქვსო... თქვენ ამ ხალხში ცხვირის ქონისა და მკბენარის მეტი არაფერი შეგაქვთ! დიახ!..

აბდულ სადაყი - (კარზოდანვე) ბოდიში, მისტერ ჯონ, ორმაგი ბოდიში! რალაც უგუნებოდ მეჩვენებით... (საათს დახედა) აფეთქება რატომ დაგვიანდა?

ჯონ რაიტი - მეც სწორედ ამიტომ გეახელით... რა ხალხი ყოფილა ეს ჯურჯები!..

აბდულ სადაყი - (თვალეში შესცქერის). როგორ?.. ხომ არაფერი განყენინეს?

ჯონ რაიტი - ჩვენთვის, ამერიკელებისათვის ყველაზე სანყენი ის არის, როდესაც უნესობის გამო საქმე ბრკოლდება...

აბდულ სადაყი - (ვლახუცება) როგორა ვწუხვარ, მისტერ რაიტი... ასე უგუნებოდ არასოდეს მინახიხართ!..

ჯონ რაიტი - უგუნებოდ კი არა... თქვენო აღმატებულებაე, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! ყველაფერი უკვე მზად იყო, ოთხივე ბურჯის საძირკველი ოც-ოცი კილო ტოლი ჩავდეთ და კაცი უკვე გავგზავნე ცეცხლის მისაცემად, რომ უეცრად, სამას-ოთხასი დედაკაცი ნანგრევებზე ამოცვივდა... სანამ რაიმე ზომებს მივიღებდი ისინი უკვე შეეფინენ ნანგრევებს და კედლების ძირებში ჩანვნენ. პირველად ვერ გავიგე, რა უნდოდათ. ასაფეთქებლად გაგზავნილი კაცი გავაჩერე და ქალებს ვაცნობე, დაუყოვნებლივ გასცლოდნენ იქაურობას, ნანგრევებს ვაფეთქებ-მეთქი. იცით, რა შემომითვალეს? ჩვენც ამ კედლებთან ერთად აგვაფეთქეთო!..

აბდულ სადაყი - რატომ მუშები არ დაიხმარეთ?.. მაშინვე უნდა აგეყარათ იქიდან!

ჯონ რაიტი - რის მუშები? თვითონ პოლიციამ ვერაფერი გაანყო!.. ხუმრობა ხომ არ გგონიათ ოთხასი თავგანწირული ადამიანი!.. როგორც მითხრეს, იმ ქვების ზღვაში ჩაყრის ამბავი შეუტყვიათ... ასე

გაიძახიან, რაც დაანეროეთ, იცმარეთ, რაც დარჩა, ეს მაინც დაგვანებეთო!

აბდულ სადაყი - ახლაც იქ არიან?

ჯონ რაიტი - იქ არიან კი არა, ხალხი ყოველი წუთით მატულობს... ვიფიქრე, ან შიმშილი შეაწუხებთ, ან წყურვილი-მეთქი... წყალსა და საჭმელს ბავშვები უზიდავენ, თვითონ ფეხს არ იცვლიან... დადუმებულნი წვანან იმ ნანგრევებში... ახლა კიდევ... ხვალ თურმე მათი დღესასწაულიცა ყოფილა!

აბდულ სადაყი - ბოდიში მისტერ ჯონ... ჩვენი გულისათვის ამდენი უსიამოვნება შეგხვდათ!

ჯონ რაიტი - ჩემი უსიამოვნება არაფერი... აქ უფრო სხვა დიდი უსიამოვნებაა მოსალოდნელი. ეს ამბავი ხვალ შეიძლება თქვენს მჭობელ ქვეყანაში, - საბჭოების ქვეყანაში შეიტყონ და მერე ჩემი უსიამოვნება, ადვილად შესაძლებელია, საერთაშორისო უსიამოვნებად იქცეს...

აბდულ სადაყი - მართალსა ბრძანებით, მისტერ ჯონ, მართალს...

ჯონ რაიტი - თქვენ ისიც გაითვალისწინეთ, ამ ამბებს თვით თქვენსავე ქვეყანაში, - შიგნით, რა შეიძლება მოჰყვეს!.. ქვეყნის არევის განაბერი რამ უნდა? მერე ისიც კომუნისტების მჭობელ ქვეყანაში! საკმარისია ხალხის ერთი ასეთი ტალღა კიდევ... მერე ზიარეთს პლატანა მიჰყვება, პლატანას - ტრაპიზონი და ესაც თქვენი რევოლუცია! ამერიკელებს ამიტომ გვეჯავრება ქუჩა... ჩვენ ფართო დემოკრატიის მომხრენი ვართ, პიროვნების თავისუფლებას პატივსაც ვცემთ, მაგრამ ორი კაცის თავისუფლება ერთად ღმერთმა დაიფაროს!..

აბდულ სადაყი - რასაკვირველია, ხალხი - ბრბოა!

ჯონ რაიტი - დღევანდელ აქაურ ამბებსაც ვაშინგტონში, ცხადია, სხვაგვარად ვერ შეაფასებენ, ამიტომ თქვენ მიერ მიღებული ზომები ძირშივე უნდა სპობდნენ შემდეგში ამგვარი ამბების განმეორების შესაძლებლობას!..

აბდულ სადაყი - რა თქმა უნდა?.. (ბოლთა დაქრა). მხოლოდ ერთმა შეცდომამ, ერთმა სულელურმა შემთხვევამ ჩავიფიქრე ასე ბრწყინვალედ შემუშავებული გეგმა!.. საკმარისი იყო ის გურჯი მჭობელური იქვე მოეკლათ და, ყველაფერი რიგზე იყო!.. (ზარი დარეკა. გიონა უმაღვე გაჩნდა) შენ ეს მითხარი, ზიარეთობა დღეს სალამოს იწყება, თუ ხვალ სალამოს?

მირზა - დღეს საღამოს, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი - გურჯების წესით ქორწინება დღეს უნდა მოხდეს თუ ხვალ?

მირზა - ხვალ, თქვენო აღმატებულებავ!

(ჯონ რაიტი - გაოცებული შესცქერის აბდულ სადაყს)

აბდულ სადაყი - ეხლავე ნადი და ბაზრის უფროსს გადაეცი, ხვალ დილით ზიარეთში ჩემს ხარჯზე ორი ძროხა და თორმეტი ცხვარი დაკლას... მთელს აქაურ გურჯობას ჩემს ქორწინებას ვპატიყვებ... პირადად შენ გავალებ, დღესვე ჩამოუარო ყველას... არც ერთი კომლი, არც ერთი კაცი არ დარჩეს უთქმელი, თორემ!..

(ჯონ რაიტი მხრებს იჩქავს, მისი ლაპარაკი არ მოსწონს)

მირზა - თქვენ კი გაიხარეთ, ხვალ რომელი გურჯი დარჩება ზიარეთს ნაუსვლელი?... ახლა კიდე თქვენს მიპატიყვებას შეიტყობენ და ბრძანიცა და კუტებიც კი მოუსვლელნი არ დარჩებიან!

აბდულ სადაყი - არა, ეგრე ზეპირად საქმის კეთება მე არ მიყვარს... ხვალისათვის არც ერთი კაცი არ უნდა გამოძრჩეს... ნადი, მემანქანეს უთხარი, ეხლავე მეკომურთა დავთარი აიღოს და გურჯების ზუსტი სია ამომიბეჭდოს... (მირზა მიდის). მოიცა! არც ერთი კომლი... არც ერთი კაცი არ დააკლოს, ხომ გესმის?... არაფინ!..

მირზა - თქვენი სიტყვა და კანონი ერთია, თქვენო აღმატებულებავ! (მისაღებ ოთახში გვიდა, შემდეგ გარეთ).

აბდულ სადაყი - (ჯონ რაიტთან ახლოს მივიდა, თითქმის ჩურჩულით ეუბნება) როდესაც მაყრები და ნათესაეები პატარადალს მოიყვანენ, საერთო სახალხო ღრეობა დაიწყება და ლხინში ჩაბმული გურჯები ვერაფერს შეიტყობენ, ასკერთა ორი ასეული გარს ისე შემოერტყმის მათ!..

ჯონ რაიტი - (კმაყოფილი) ხალხის აყრა?... საოცარია, თითქოს ერთად მოგვეფიქრებინოს!.. მაშ, ანკარას ახლავე უნდა აცნობოთ!..

აბდულ სადაყი - რალაზე შევანუხოთ? მისმა აღმატებულებამ პირველსავე დღიდან მოქმედების სრული თავისუფლება მომცა!

ჯონ რაიტი - მით უკეთესი! დიდი სახელმწიფო მოღვაწის შესაფერი გადანყვეტილებათ!.. (ერთბამად) მაგრამ თქვენი მეუღლე? მოადგილე?... მათი ოჯახი? ვინ იცის რამდენი მახლობელი და ნათესავი ჰყავთ?

აბდულ სადაყი - (იცინის) ოსმალური ანდაზაა, - ნაპირზე მშვიდობით გამოიჩეული, ზღვაში დაღუპულებს აღარა სტირისო!..

ჯონ რაიტი - ნამდვილი ოსმალური სიბრძნეა!.. ოო, ჩინებული გადაწყვეტილებაა!.. ჩემთვის მხოლოდ ახლა გახდა ნათელი, რამოდენა შეცდომას ვუშვებდით... ჩვენ ერთ საბუთს რომ ვსაობდით, მეორე საბუთს ვუტოვებდით კომუნისტებს!.. ვთქვით - იმ ნანგრევებს მოუვლიდით, ახლა სხვა ნანგრევები აღმოჩნდებოდა! აქ ხომ რამდენი ციხეცა და ხიდიც არის, ყველა თამარის ციხე და ხიდაა!.. ეს ციხეებიც ყველა რომ მოგვესპო, - თვითონ ხალხი? მისი ზნე-ჩვეულება? დედა-ენა?! რასაც ხუთი საუკუნე ვერ მოვირია, ჩვენ ასე ერთის დაკვრით როგორ მოვუვლიდით?

აბდულ სადაყი - რა თქმა უნდა?

ჯონ რაიტი - ოღონდ ერთი რამ უნდა გახსოვდეთ... ეს აყრილი ხალხი, შიგნით - ოსმალეთში ნაცარივით უნდა გააბნოთ!

აბდულ სადაყი - რა თქმა უნდა? ჩვენი აზრი მუდამ შეწყობილია, მისტერ ჯონ!

ჯონ რაიტი - (ქუდი და პორტფელი აიღო. მიდის) მაშ ასე... ხვალ ვნახავთ გურჯებმა როგორი ქორწილი იცინან... ხვალამდის! (მისაღებ ოთახში რამაზან ალი შემოვიდა, აბდულ სადაყთან შესვლა დააპირა, მაგრამ ლაპარაკი რომ შემოესმა, კარებში შესდგა).

აბდულ სადაყი - (კარებამდე მიაცილა) ხვალამდის, ბატონო ჩემო!

რამაზან ალი - (ლაპარაკის ხმა რომ მისწყდა, მაშინვე შევიდა) ნება მომეცით, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი - როდესაც მარტონი ვართ, მაგ ბოდიშებს თავი გაანებე!

რამაზან ალი - (აკეტი ამოიღო) დღეს იმ მზღლავურის საქმეზე სასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს, სასჯელის უმაღლეს ზომას თქვენი დასტური სჭირდება!

აბდულ სადაყი - (შეყოყმანდა) უმაღლეს ზომას? (რალაც გაახსენდა). რანი არიან ეს ქალები!.. (ოთახში დადის, ერთბაშად შესდგა). დღეს იძულებული გავხდი, ფიცის მიმეცა, რომ ზიარეთობის დღეებში სიკვდილით არავის დავსჯიდით... (მისაღებ ოთახში გაიანე შემოვიდა. აბდულ სადაყთან შესვლა დააპირა, მაგრამ მისმა უკანასკნელმა სიტყვამ შეაჩერა). ესლა ამ ფიცის გატება მე არ შემიძლიან!.. (გაიანე კედელს აყრა, სმენად იქცა).

რამაზან ალი - მაშ, ეს საქმე მე მომანდეთ, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი - შენ? მერე შენ რას იზამ?

რამაზან ალი - დღეს, ნაშუალამევს, ციხის კარს ლიად დაეტოვებ...
აბდულ სადაყი - მერე! (გაიანე სულგანაბული უსმენს).

რამაზან ალი - გურჯის თავისუფლება უყვარს!.. ციხის კარს ლიას და-
ინახავს და ციხეში დარჩება?

აბდულ სადაყი - მერე? (გაიანე სულგანაბული უსმენს).

რამაზან ალი - ჩემი ხალხიც იქვე იქნება ჩასაფრებული!

აბდულ სადაყი - და გაქცევის დროს მოჰკლავენ, არა? ყოჩაღ, გატ-
ყოზ, მოკლე ხანში მაიორის ხარისხი არ აგცდება!..

(ელდანაცემი გაიანე კედელს ეკრის).

რამაზან ალი - გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ!

აბდულ სადაყი - მადლობა მერე... მამ ასე... ამალამ?..

რამაზან ალი - დიახ, თქვენო აღმატებულებავ... ნაშუალამევს, ციხის
საათი სამჯერ რომ დაჰკრავს!..

აბდულ სადაყი - შეუდექი... ეს საქმე შენთვის მომინდვია!.. (რამაზან
ალიმ ნასულა დააპირა). მოიცა (საუბარს განაგრძობენ).

გაიანე - (კედელს მოსწყდა, ოთახს უზნეოდ მოავლო თვალი) ციხის საათი
სამჯერ რომ დაჰკრავსო?.. ღმერთო! (ჯემალის ოთახის კარისაკენ გა-
შურა, დაურიდებლად შეაღო) ჯემალ... ძმარ... მიშველე!.. (გულშემოყრილი
კარებში ჩაიყვანა).

ჯემალი - (თითქოს უკან ვინმე მოსდევდეს. გულზეთქებით შემოვიდა ოთახში.
მას გაიანე არ შეუნიშნავს) ის დღე დასწყევლოს რა დღესაც ზიარეთში
ჩემი დანიშნვის ამბავი მახარეს!.. (იაჭაქზე დაშობილი გაიანე დაინახა,
ხელში აიტაცა) გაიანე... დარ!..

შარლდ

მოქმედება მეოთხე

მათე სურათი

მარცხნივ – საპატიმროს ძველებური, დაბალთაღებიანი საკანი. უკანა კედელში დატანებული აქვს ერთი ვინრო, დარკინული სარკმელი და ერთიც კარი, რომელსაც პატარა საჭერეტი აქვს. საკანში, მარჯვნივ – ქვის კიბე ადის, რასაც გვერდის კიბით სხვა ქვის კიბეზე გაყვევართ. ეს კიბე ციხის წმოს უერთდება. წმოს ძველებური გალავანი არტყია. გალავანს შუაში რკინის ალაყაფი აქვს დატანებული. ღამეა. საკანში მთვარის მკრთალი სინათლე ჩამოდის.

შუქრი – (რკინის სანოღზე ზის, იატაკს დასჩერებია) გაიანე შეიტყობდა, რომ სამუდამოდ პატიმრობა მომისაჯეს... ვინ იცის, თავის ძმას რამდენს ემუდარა, სიცოცხლე შეენარჩუნებინა ჩემთვის!.. მან რა იცის, ცოცხლად ამ ქვის კუბოში ყოფნას რომ სიკვდილი მიორჩენია!.. (სანოღზე შედგა, სარკმელში დაინყო ცქერა). ეს ზღვა მაინც არ იყოს ახლოს და მისი ტალღები ასე გაუთავებლად არა ხმაურობდნენ ამ დაყრუებულ საკანში!.. კოლხიდის სანაპიროდან მოიჩქარიან ისინი და ასე მგონია, სიყვარულით კოცნიან ზიარეთის ნაპირებს, – მაგრამ უპასუხოდ ბრუნდებიან უკანვე, რადგან ჩვენ – ჯურჯებს, ენაზედაც ბორკილი გვაქვს დადებული!.. ნეტავი ჩვენმა იქაურმა ძმებმა თუ იციან, – რა ძნელი ყოფილა, სამშობლოში იყო და სამშობლო არა გქონდეს!..

(რკინის ურდულმა გაიღვრილა, კარებში ჯემალი გამოჩნდა).

ჯემალი – შუქრი, გაიანემ ყველაფერი მითხრა, ყველაფერი... ჩემი დისა და ჩემი ოჯახის პატიოსნებისათვის შენ ამდენი ნამება გადაიტანე!

შუქრი – რა გინდა ჩემგან? რატომ ახლა მაინც არ დამეხსნები? გამოძიება ხომ დასრულდა, სასამართლოც... ალბათ შენი შემწეობით, განაჩენიც გამოტანილია, რომ ამ აკლდამაში ცოცხლად ვიყო დამარხული!..

ჯემალი – ეხლა ლაპარაკის დრო არ არის... აქვე, ზღვის პირას ნავი გიციდის... აჰა, გასაღები!

შუქრი – რის გასაღები?

ჯემალი - ამით გვირავის კარს გააღებ და პირდაპირ ზღვის პირას ჩაეშვები?

შუქრი - ხალხმა არ დაგიჯერა, განა?.. და ეხლა ციხიდან გინდა გავიქცე, რომ ამით მაინც დაარწმუნო ქვეყანა, - რისთვის გარბოდა, თუ ნამდვილად მკვლელი არ იყოვო?.. არა, ამ კედლებში ჩაღობა მირჩევნია, ვიდრე გარეთ თავისუფლად ყოფნა და ბეჯან ალას მკვლელის სახელის ტარება!

ჯემალი - ხალხს მე ვეტყვი - რაც სათქმელია... ნულარ იგვიანებ, ნავთან გაიანე და შენი მეგობარი ოსმანი გიცდის!

შუქრი - გაიანე და ოსმანი?..

ჯემალი - ვიცოდი არ დამიჯერებდი... აი, საბუთი! (ჩაუქული მანდილი გაუნოდა. კედელში დატანებული დიდი რკინის სარქველი ძლივს ახადა).

შუქრი - ჩემი მანდილი! (ღელავს, რკინის სარქველს დახედა) ეს რაღა არის?

ჯემალი - სიკვდილის გზა! პატიმარს რომ დიდხანს არ აჭამონ პური, ტომარაში ჩასდებენ და პირდაპირ ზღვაში ჩაუშვებენ... ეს სიკვდილის გზა, ახლა შენი თავისუფლების გზა იქნება!

შუქრი - ჯემალ!

ჯემალი - მოიცა, ჯერ ბორკილი შეგხსნა! (შესხნა, იატაკზე დააგდო) ყური დამიგდე, ნამდვილად დაინახე, იქ ქვები რომ ზღვაში ჩაჰყარეს?

შუქრი - ნამდვილად, ისე, როგორც ეხლა შენა გხედავ!

ჯემალი - როგორ უნამუსოდ მომატყუეს!..

შუქრი - ძმაო ჯემალ! ნუთუ ყველაფერი ეს მართალია?

ჯემალი - სამშვიდობოს რომ გახვალ, ყველაფერს მაშინ გაიგებ... მოიცადე, იმ ღამეს, ქვები რომ ზღვაში ჩაჰყარეს, მცველებიდან ვინმე იცანი?

შუქრი - ვერავინ! სულ უცნობები იყვნენ!..

ჯემალი - ძაღლები!.. უჰ, თვალი როგორ ამიხვიეს!.. (საათს დახედა) ჩქარა, შუქრი... (არ უნდა ყველაფერი გააგებინოს) სანამ ციხის საათი სამჯერ დაჰყარეს, თორემ მერე... მერე დარაჯები შეიცვლებიან, გვიანლა იქნება.

შუქრი - მაშ, ნავიდეო!

ჯემალი - მე... არა... აჰა გასაღები! (მისცა)

შუქრი - შენა?

ჯემალი - მე... შემდეგ ნამოვალ!

შუქრი - ჯემალ, შენ რაღაცას მიმაღავ?

ჯემალი - რას უნდა გიმაღავდე?.. მე აქ შენი მღვეარი უნდა შევარჩე-
რო... ნადი, ნულარ იგვიანებ... რაც შენი თვალითა ნახე, - იქ,
საბჭოთა საქართველოში უნდა გააგებინო!

შუქრი - ჯემალ...

ჯემალი - (საათს დახედა) ჩქარა, მეთქი... საცაა ციხის საათი დაჰკრავს...
გაიანეს გაუფრთხილდი... რომ იცოდე, რა კარგი ქალია... როგორ
უყვარხარ...

შუქრი - მივდივარ... გახსოვს? იმ სულით განათლებულმა ბეუან აღამ
ერთხელ რა გვითხრა: შენ ჯაფარ ოღლუ კი არა, ჯაფარიძე ხარ...
შენ კიდევ თურმანოღლუ კი არა, - თურმანიძეო... ჯემალ, ძმაო...
ჩვენ ქართველები ვართ! (გადაეხვია).

ჯემალი - მშვიდობით!

შუქრი - მშვიდობით!

(ერთბაზად მოსწყდა, გვირაბში ჩაეშვა).

ჯემალი - (სანოღზე შედგა, სარკმელში გაიხედა) გზა მშვიდობისა, შუქრი!
ნეტავი შემეძლოს - მთელი ოსმალეთის ჯურჯობა შემსავით გამეთა-
ვისუფლებინა! (ძირს ჩამოვიდა, საათს დახედა). ცოტაც და ციხის საათი
სამჯერ დაჰკრავს. რა კარგი იქნებოდა, ჯერ იმასთან, - აბდულ
სადაყთან გამესწორებინა ანგარიში!.. (პალტო შეიბნია, ქუდი გაისწორა,
ერთბაზად კარები მიხურა და ზურგით მიეყუდა, თითქოს ემინიან ვინმე არ
შემოვიდესო. ციხის საათმა სამჯერ დაჰკრა). ერთი... ორი... სამი!.. გადარ-
ჩა!.. (კარს მოსცილდა) აი თენდება ზიარეთობის დილა... როგორ მიხა-
როდა ამ დღის გათენება ბავშვობაში!.. (კარი გამოაღო და ნული, მტკიცე
ნაბიჯით კიბეზე ავიდა, სიბნელეს მიეფარა. ჭოშმი, ქვის კიბის ძირას ორი
ლანდი გამოჩნდა).

რამაზან ალი - სხვა გზა აქ არ არის, - ამ კიბეზე უნდა ჩამოვიდეს...
ერთი ტყვიით თუ მოახერხებ, ნაკლები ხმაური იქნება!.. (სიბნელეში
მიიმალა. მალე კიბეზე ჯემალი გამოჩნდა. დარაჯმა მას თოფი დაუმიზნა.
საიდუმლო პოლიციის უფროსმა დარაჯს თოფზე ხელი უტაცა). არ ესროლო...
ვერა ხედავ ვინა არის? (მიიმაღნენ: ჯემალი კიბეზე ნულა ჩამოვიდა,
ჭოშმი სიბნელეს მიეფარა). ამ განთიადისას აქ რამ მოიყვანა? (დარაჯს)
აბა, ფრთხილად... აქ სხვა გზა არ არის! (რევოლვერი მოიმარჯვა, კიბე
სწრაფად აირბინა... დაცარიელებულ საკანს ფრთხილად მოაწვლო თვალი, სახ-
ტად დარჩა). აი, აქ რატომ მობრძანებულა! აკი ვამბობდი... რამდენ-
ჯერ გავაფრთხილე, - მეგობრები არიან მეთქი. არ დამიჯერა...
ნადი და ეხლა სდევ თქვენო აღმატებულებაც!.. (კიბე აირბინა).

ფარდა

მათარომატა სურათი

გორაკზე - ციხე-კოშკის ნანგრევები. ირგვლოვ დიდი, ძველბურთი გაღვანა. მარჯვნივ - შუაზე ჩამორღეული გუმბათი და ტაძრის შიგნითა კედელი. ამ კედელს ძველის-ძველი ქართული ფრესკის ნაკალები კიდევ შეჩვენია. ბორცვზე ხავსმოკიდებული საფლავის ქვები მოსწანს. ნანგრევებს შორის ჯგუფ-ჯგუფად. დგანან მლოცველნი და სდუმან... მარცხენა მხარეს, უხარმხარ, შტოებგაშლილ მუხის ქვეშ სურათა გამლილი. იქვე მახლობლად - ცეცხლზე ვება ქვაბებია ჩამწკრივებული... ქვაბებს შზარეულები დასტრიალებენ. მირზა საქორნილო საშხადისს ანესრივებს. ფარდის ახდისას დუდუკის ხმა ისმის. დუდუკს მალე ქართული სტვირი შესცვლის. მესტვირეს ბიჭები შემოსხდომიან... მათ შორის გოგოჩა მოსწანს. სტვირი ხმადაბლა ზეზუნებს, მისი ხმა მგლოვიარე ხალხის მოთქმას უერთდება.

ჩაფარი - (მირზასთან მივდა, განზე გაიყვანა) რამზან აღიმ შემოგითვალა, აბდულ სადაყს როგორმე შეატყობინე, შუქრი ჯაფარ ოღლეუ ციხიდან გაიქცაო...

მირზა - რაო, რაო? ერთი კიდევ მითხარი, შენი ჭირიმე!

ჩაფარი - რაო და, - წუხელ ის მწხლავური - ჯაფარ ოღლეუ გაიქცა, მთელი ზიარეთი გადავბრუნეთ, ვერსად მივაგენით. ასე გონია, მინამ ჩაყლაპაო...

მირზა - მერე, მე რა შუაში ვარ?

ჩაფარი - შუაში კი არა ხარ, აბდულ სადაყს უნდა გაავებინო!

მირზა - საგიჟეთიდან გამოქცეული ხომ არა გგონივარ? დღევანდელ დღეს ასეთი რამ უთხრა, ზიარეთიდან ხომ ბოლოკვიით ძირიანად ამომავდო?! არა, შენი ჭირიმე, მე მაგისი მთქმელი არა ვარ!..

ჩაფარი - მაშ, ასე გადავცე რამზან აღის? (მიდის)

მირზა - მოიცა... (ნაძალადეოდ იცინის). შენ კი გაიხარე, ასე რად უნდა უთხრა? გეზუმრები... ვეტყვი, მაშ რა ჯანდაბას ვიზამ? (ჩაფარი გავიდა). როცა კარგი ამბავია, ლამის პირში ჩაუვარდნენ, მე არავინ მაცლის... როცა ღვთის ცეცხლია, მირზავ, შენ შუუკეთო... უნდათ, ამ სიბერის დროს ერთი ლუკმა პური დამაკარგვინონ!.. (გაღვანში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა საზეიმოდ გამონყობილი აბდულ სადაყი. მას უკან მოსდევს ჯონ რაიტი, სტუმრები და ამაღა).

აბდულ სადაყი - (მირზას მკვახედ) გაიანემ რად დაიგვიანა? ან მაყრიონი აქამდე სად არის?

მირზა - ეს არის, კაცი კიდევ გავგზავნე, - თქვენო აღმატებულუბავ!..

აბდულ სადაყი - ამ ხალხს რაღას ჩამოსტირის თავპირი?.. ამათ
მინც მივხედავდი, რომ სტუმრებს ასე მგლოვიარედ არ დახვედ-
როდნენ...

მირზა - სუფრა რახანია, გეშაღე, - ახლოს არავინ მიეკარა... ორი
დასტა მუხურნე დილიდანვე უკრავს, - ერთი ფერხულიც არ ჩაუ-
ბამთ, ერთი სამაიაც არ აუნყვიათ!

აბდულ სადაყი - კიდე იმ ქვებს მისტირიაან?

მირზა - ასე გამოდის, თქვენო აღმატებულეზავ!

აბდულ სადაყი - გამოიტანეთ ღვინო... დამუნჯებული ენის წამალი
ის არის!

(მირზა გატრიალდა, საიდუმლო პოლიციის უფროსმა შეაჩერა)

რამაზან ალი - შეატყობინე?

მირზა - შენ კი გაიხარე... ეხლა მაგას რა მათქმევიანებს? კაცი ისეც
გაცეცხლებულა!

აბდულ სადაყი - (პოლიციის უფროსი დაინახა. სწრაფად მივიდა მასთან.
დამკინავი ღიმილით) ხომ კარგად გააქციე?

რამაზან ალი - (მუხურნული) თქვენო აღმატებულეზავ! არ ვიცი როგორ
მოხდა... ყველაფერი მზად იყო, კაციც ჩასაფრებული მყავდა, მაგ-
რამ...

აბდულ სადაყი - რა მაგრამ?!

რამაზან ალი - სანამ მე მივიდოდი, მართლა გაქცეულა!

აბდულ სადაყი - ვინ გაქცეულა?!

რამაზან ალი - მზღვარული, თქვენო აღმატებულეზავ!

აბდულ სადაყი - (გაცეცხლებული, სტუმრების წინაშე მღელვარების დასაფა-
რავად). რაღას უყურებ, მირზავ?.. რატომ ხალხი არა მხიარულობს?
ჩქარა ზურნა... ფერხული!.. (მირზა ხალხში შევრია... დუღუმა დაუკრა...
ხალხმა უფუნებოდ დაინყო ფერხულის ცეკვა. რამაზან ალის). შიგნიდან რომ
დამხმარე არა მყოლოდა, მარტო როგორ მოახერხებდა ციხიდან
გასვლას? ყარაულის უფროსი ვინ იყო?

რამაზან ალი - თქვენო აღმატებულეზავ, არ ვიცი რაშია საქმე, მაგრამ
ცარიელ საკანში თქვენი მოადგილე დაგვხვდა...

ჯემალი - (ხალხის კედელი გამოარღვია) შეჩერდით... ხალხო, რა დროს
ფერხული და მხიარულებაა?

(ხალხმა ფერხული მაშინვე შეაჩერა).

დედაბერი - (გამწარებული) შენ რომ სიყვითით აგვაგუე, იმიტომ ვცეკვავთ და ვმხიარულობთ... ვაი, შენს დედას!.. (ჯემალი მას გაოგნებული მიაჩერდა).

1 მოხუცი - მოკეთესავით ენა ტბილად დაგვიწყე ლაპარაკი, რომ თვალები აგებვია ჩვენთვის და აი, ეს ჩვენი მამა-პაპის ძელები ძირიანად ამოგეთხარა... წყეული იყავ!

2 მოხუცი - (ხელები უაყალებს) შენს მეგობარს ხომ ხელები შეუტარი... (გოგინას ხელი დასტაცა და ჯემალს ზედ მიაგდო) აჰა, ბარემ შენს ძმასაც დასთხარე თვალები, - უფრო დიდი კაცი გახდები! ფუი შენს კაცობას!

შამანდუხ - (ქვითინით) ვაი, შენს უბედურს დედას!

ხალხი - (ერთხმად) წყეული იყავ!

ჯემალი - (ძლივს გაიმართა ნელში) დამწყველეთ, შემარჩენეთ... ახია ჩემზე! აი, ამ ნანგრევებში ჩამაქვავეთ, როგორც თქვენი უღირსი შვილი... რაღას უცქერით? - ჩამაქვავეთ!..

აბდულ სადაყი - (ჯემალს გაოცებული მისჩერებია) რას ამბობ, ჯემალი? მთვრალი ხომ არა ხარ?! გაიანე სად არის?

ჯემალი - (ლოფზე შედგა) გაიანე? გაიანე და შუქრი ნუსხელ ზიარეთიდან გავიდნენ... შენი მღევარი მათ ველარ დაენევა... ისინი უკვე საბჭოთა ქვეყანაში - თავის ნამდვილ სამშობლოში არიან!

აბდულ სადაყი - ხომ არ გაგიუებულხარ? რის სამშობლო? რომელი სამშობლო?

ჯემალი - რომელიც გინდა გულიდან ამოგვაცალო, როგორც ეს ნმინდა ქვები ამოაცალე ზიარეთს და ქურდულად ზღვაში ჩაჰყარე!.. რომელი სამშობლო? - რომლის სიყვარულისთვის შენ ქურდულად მოჰკალი ბეჟან ალა და მე, ჩემი მეგობრისათვის, ალალ-მართალი კაცისათვის ხელები შემაკვრევენ!..

აბდულ სადაყი - რამაზან ალი, შეიპყარით!.. გალავანი დაკეტეთ!.. ფეხი არავინ მოიცვალოს! (რამაზან ალი და რამდენიმე პოლიციელი ჯემალს მისცივდნენ).

ჯემალი - (განზე გახტა) რა გეჩქარებათ, თქვენო აღმატებულებავ, ჯერ ანგარიში გავასწოროთ... გურჯმა ვალის გადახდა იცის... (აბდულ სადაყს რევოლვერი დაახალა, იგი უსულოდ პირველ დაემხო).

ჯონ რაიტი - (რამაზან ალის) რას გაჩერებულხარ, ესროლეთ! (პოლიციელმა ჯემალს ზურგში დასცა თოფი. ჯემალი დაეცა)

გოგიჩა - (ჯემალს მივარდა). ჯემალ!..

ჯემალი - (ნამოჯგომას ცდილობს) გოგიჩა... შენი ქირიმე, ბიჭო... ბეჟან
ალა მართალს გუუბნებოდა, - ჩვენ ქართველები ვართ... ესენი კი
ოსმალები არიან... გიყვარდეს შენი სამშობლო... საქართველო!
(სული დალია. ხალხმა ჯემალის გარშემო დაიჩოქა)

გოგიჩა - (დაჩოქილმა ნამოინია, მუშტი მალლა შემართა) სამშობლო...
შურისძიება!

ფარდა

დასასრული

1948 - დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი (ჯ. სამუშია).....	3
----------------------------	---

სტატიები

ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი. თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ	25
Арн. Чикобава. Несколько замечаний о лазах	31
რ. ბერიძე. თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მინა-წყალი.....	38
კალისტრატე. ნერილი რედაქციის მიმართ	42
ს. ჯიქია თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მინა-წყლის შესახებ	46
დ. ზავრივი თურქეთის ნაციონალური რაიონების მძიმე მდგომარეობის შესახებ	53
ნ. ნიუარაძე, ჯ. ნოლაიდელი, მ. სტამბოლიშვილი, ხ. ახვლედიანი მოვითხოვთ თურქების მიერ დამონებული ჩვენი დებისა და ძმების განთავისუფლებას	61
ე. თაყაიშვილი. თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მინაზე	67

ლექსები

ი. აბაშიძე. რა დაგვიწყებს... ..	83
გ. ლუონიძე. მესხეთი	84
ა. ადამია. ლაზური ბალადა	87
ნ. მალაზონია. ქორნილი	92
ვ. ჟურული. მიტაცებულ მინაზე	100
ლ. მრევლიშვილი. ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები	101
გ. აბაშიძე. სამხრეთი სარკვერები	102
„თავდაცვის ხაზი“ ქართულ სოფელთან	102
ამერიკის იანჩინარი	103
ნახევარმთვარე	104

„გასეირნება“ აღმოსავლეთში	105
სარფი	106
ტაო	107
ნეტავი შენს ბედს	108
რაც ჩვენს მზობლად დასახლდა თურქი	109
ველარ გვინატრონ მამულუკებად... ..	110
ისტორიის გაკვეთილი	111
ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე	111
აღმოსავლეთის პაქტი	112

პიესა

ი. მოსაშვილი. ჩაძირული ქვები	113
------------------------------------	-----

საგამომცემლო ჯგუფი

თამთა აბაშიძე
მარგო ინასარიძე
ვიოლა ტულუპი
შორენა ნიქარიშვილი
ილია ხელანია

გამომცემლობა არტანუჯი